ჯონ ბევირი

# გაუბედაობის ზემუსვრა

**თქვი „არა“! თავს დამნაშავეთ ნუ იგრძნობ!**

*იყავი თავდაჯერებული სხვების შეფასების მიუხედავად*

# გაუბედაობის შემუსვრა

ჯონ ბევირი

ავტორი წიგნისა „სატანის სატყუარა“

თბილისი 2014

Breaking Intimidation by John Bevere, Georgian
© 2014 Messenger International
www.Messengerinternational.org
Originally published in English as Breaking Intimidation
Additional resources in Georgian by John & Lisa Bevere
Are available for free download at: www.CloudLibrary.org
To contact the author: JohnBevere@ymail.com

შეუპოვარი, ჯონ ბევირი, ქართულად
© 2014 Messenger International
www.Messengerinternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
სახელწოდებით „გაუბედაოზის შემუსვრა“
ჯონ და ლიზა ბევირებისაგან დამატებითი
რესურსები ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია
შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელ-ფოსტის მისამართია: JohnBevere@ymail.com

# უღრმესი მადლობა

ჩემს მეუღლეს ლიზას. უფლის შემდეგ, შენ ჩემი ყველაზე ძვირფასი მეგობარი ხარ. მადლობას ვწირავ ღმერთს იმ პრივილეგიისათვის, რომ  შენზე დაქორწინებული ვარ. მადლობა იმ დროისათვის, რომელიც ამ წიგნის გამოცემას მოახმარე. მიყვარხარ, ძვირფასო!

ჩვენს ოთხ ვაჟს...
ედისონს. მადლობა შენი სათუთი გულისთვის. შენ ისე ცხოვრობ, რომ ამართლებ შენს სახელს, რომელიც „ერთგულს“ ნიშნავს. ოსტინს. მადლობა შენი თავგანწირული სიყვარულისა და მგრძნობელობისათვის. ალექსანდრეს. მომწონს, როცა ოთახი ნათდება შენი იქ ყოფნით. არდენს. შენ საოცარი სიხარული მოგაქვს ჩვენთვის.

ჯონ და ქეი ბევირებს იმისათვის, რომ იყავით კეთილშობილი მშობლები. მოხარული ვარ, რომ უფალმა ინება თქვენი შვილი ვყოფილიყავი. ორივე მიყვარხართ.

„ჯონ ბევირ მინისტრიზ“-ის თანამშრომლებს. მადლობა თქვენი თანაგრძნობისა და ერთგულებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჯონ მეისონს, ერთგულ მეგობარს, რომელსაც ნამდვილად შეუძლია იხაროს სხვისი წარმატებით.

გამომცემლობა „კრიეიშნ ჰაუზ“-ის თანამშრომლებს, ვინც მუშაობდა ჩვენთან ერთად და მხარში გვედგა. ყველანი განსაკუთრებული პარტნიორები და მეგობრები ხართ ჩვენი მსახურებისათვის.

და ყველაზე მთავარი. ჩემი გულწრფელი მადლიერება ჩვენს ზეციერ მამას, რომლის სიყვარულიც არასოდეს არ მთავრდება, ჩვენს უფალს იესო ქრისტეს – მისი მადლის, ჭეშმარიტებისა და სიყვარულისთვის, სულიწმიდას – მისი ერთგული მმართველობისათვის ამ წიგნზე მუშაობის განმავლობაში.

როდესაც ამ წიგნს ვწერდი, უფალი დამელაპარაკა და მითხრა :

*მრავალი მათ შორის, რომლებიც*
*მოწოდებულნი არიან უკანასკნელი*
*დღეების დიდებულ არმიაში,*
*გაუბედაობით არიან შებორკილნი.*
*მათი გული სუფთაა ღმერთისა და*
*ადამიანებთან მიმართებაში, მაგრამ*
*გედეონის მსგავსად, ისინი ადამიანთა*
*წინაშე შიშის მიერ არიან დამონებულნი.*
*(მსაჯ. 6-8). ნიჭები, რომლებიც მათში*
*ჩავდე – უმოქმედოა. მე ვცხებ ამ წიგნის*
*შინაარსს, რათა მრავალი გავათავისუფლო.*
*ისინი წინ გამოვლენ და უშიშრად*
*დამემორჩილებიან. ისინი დიდებული*
*მეომრები გახდებიან და დიდ*
*გამარჯვებებსაც მოიპოვებენ*
*თავიანთი ღმერთის ძალაში.*

***წინასიტყვაობა***.....9
***შესავალი***.....11

I განყოფილება

**სულიერი პოზიციის განმტკიცება**

თავი 1. ძალაუფლებაში სიარული.....17
თავი 2. სულიერი პოზიცია და ძალაუფლება.....27
თავი 3. ორი უკიდურესობა.....37
თავი 4. ღვთისგან ბოძებული ნიჭები.....47

II განყოფილება

**გაუბედაობის გამოაშკარავება**

თავი 5. უმოქმედო ნიჭები.....59
თავი 6. პარალიზებული გაუბედაობის მიერ.....71
თავი 7. გაუბედაობის სული.....81

III განყოფილება

**გაუბედაობის შემუსვრა**

თავი 8. ნიჭის გაღვივება.....93
თავი 9. გაუბედაობის ფესვი.....105
თავი 10. სურვილი საკმარისი არ არის.....119
თავი 11. ღვთიური შიში ადამიანური შიშის წინააღმდეგ .....135
თავი 12. მოქმედება თუ რეაგირება?.....151
თავი 13. საღი გონების სული.....163
თავი 14. წინსწრაფვა.....177
ეპილოგი.....191

ეე უკვე მრავალი წელია ვიცნობ ჩემს მეგობარს და თანამშრომელს ჯონ ბევირს და ვთვლი, რომ ეს დიდი პრივილეგიაა ჩემთვის.

მთელი გულით მწამს, რომ იგი ღმერთმა წამოსწია, რათა გამარჯვების, რწმენისა და იმედის უწყება მოეტანა ჩვენი თაობისათვის.

ჯონ ბევირის წიგნი „გაუბედაობის შემუსვრა“ ძალზე თანადროული უწყებაა, რომელსაც ასე საჭიროებს ქრისტეს სხეული. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უფლისგან ბოძებული ნიჭები, რათა მოვაქციოთ ქვეყნიერება. მაგრამ ამავდროულად მრავალი ჩვენგანი უარს ამბობს ამ მიზანზე იმ ვერაგული თუ ნაკლებად ვერაგული შემოტევების გამო, რომელიც მოდის უფალში არსებული ჩვენი ძალაუფლების მიმართ.

სატანა ყველა ღონეს ხმარობს, იყენებს სათანადო გარემოებებს და ადამიანებს, რათა შეაჩეროს ჩვენში არსებული ნიჭების მოქმედება. ღმერთის სიტყვაში მრავალი მაგალითია იმისა, თუ როგორ მოჰქონდათ გარღვევა გამარჯვებისკენ გაუბედავ მორწმუნეებს. იესო ნავეს ძე, გედეონი, ნეემია და დავითი – მხოლოდ ზოგიერთი მათგანია. ბიბლიაში ნათქვამია:

> „ყოველი იარაღი დამზადებული შენს წინააღმდეგ, გაცუდდება“ (ესაია 54:17;)

ამ წიგნისა და სულიწმიდის ძალის დახმარებით თითოეულ მორწმუნეს შეუძლია გაარღვიოს გაუბედაობა და უხერხულობა და გაიჭრას გამარჯვებისკენ. დაე, ღმერთმა წამოაყენოს ამ თაობაში მეომრები, რომლებიც უკან არასოდეს დაიხევენ!

ჯონ მეისონი, ავტორი წიგნისა „მტერი, სახელად „უშუალობა“ და „აღთქმის სიტყვა“.

ქრისტიანთა უმრავლესობა ებრძვის გაუბედაობას, უფრო მეტად კი მის შედეგებს და არა გაუბედაობის ფესვს. წარმოიდგინეთ ლამაზი სახლი ძვირფასი ავეჯით, რომლის ერთ ოთახსაც სახურავი არ აქვს. წამოვა ძლიერი წვიმა და მთელ სახლს წალეკავს, წყალი თითქმის ყველაფერს გააფუჭებს. გარკვეული დრო დასჭირდება დაბინძურებული და დაზიანებული ავეჯის სახლიდან გამოტანას და იატაკის ახლიდან დაგებას. სახლის პატრონს გარჯა მოუწევს იმის გამოსასწორებლად, რაც წვიმის შედეგად დაზიანდა.

როცა სარემონტო სამუშაოები დასრულდება, ცაზე კვლავ გამოჩნდება ღრუბელი და წვიმა ისევ გაანადგურებს ყველაფერს, რაც ეს-ეს არის შეაკეთეს. განაწყენებული მეპატრონე ისევ დაიწყებს მომაბეზრებელ და დამღლელ აღდგენით სამუშაოებს. მაგრამ გაივლის გარკვეული დრო და წვიმა ისევ გააფუჭებს მთელ ინტერიერს. წვიმის გამანადგურებელი ძალა უფრო ძლიერი იქნება. განხიბლული პატრონი ერთხელაც მიატოვებს ამ სამუშაოს და ეს წარუმატებლობა სამუდამო დაღს დაასვამს ცხოვრებისადმი მის მიდგომას.

რა თქმა უნდა, ეს აბსურდულად ჟღერს. თქვენ ალბათ, ფიქრობთ: „რატომ არ შეაკეთებს იგი სახურავს და უკვე შემდეგ გამოასწორებს იმას, რაც შიგნით წვიმის მიზეზით გაფუჭდა? აი, უგუნური!“.

როგორც არ უნდა იყოს, ეს მაგალითი უჩვენებს, თუ როგორ ცდილობს ბევრი მორწმუნე იბრძოლოს უმოქმედობის წინააღმდეგ. ნაცვლად იმისა, რომ დაანგრიონ უმოქმედობის ძალა, ისინი მხოლოდ მისი შედეგების ლიკვიდირებას ცდილობენ, როგორიცაა გულგატეხილობა, დაბნეულობა, უიმედობა, სასოწარკვეთა და სხვა.

ზოგიერთი კი გაუბედაობას და შიშს იმით ებრძვიან, რომ დადიან კონსულტაციებზე და სწავლობენ როგორ შეეგუონ თავიანთ შიშებს. სხვები კი გულჩათხრობილნი ხდებიან და გათავისუფლებაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავენ. ერთიც და მეორეც ცხოვრობს როგორც ნახევრადგადახურულ ავეჯით გატენილ სახლში. ისინი უიმედობაში გადავარდნილნი ტოვებენ თავიანთ ნახევრადგადახურულ სახლს.

ეს წიგნი გამოუსადეგარი იქნება თქვენთვის, თუ საქმის ამგვარად მიმდინარეობას დაემორჩილებით. მაგრამ მოცემული წიგნი დაგანახებთ ღვთიურ გზას ყოველგვარი შიშისა და

გაუბედაობისგან გასათავისუფლებლად, რათა შეძლოთ აღასრულოთ ღმერთის მოწოდება თქვენი ცხოვრებისათვის.

ამ წიგნზე მუშაობისას მრავალი საათი გავატარე კომპიუტერთან და ვთხოვდი ღმერთს, რომ მქონოდა მისი მმართველობა იმაში, რასაც ვწერდი. ერთხელ, დილით, როცა ვმუშაობდი ვიგრძენი, როგორ აავსო ოთახი მისმა თანდასწრებამ. მე წამოვდექი და სიარული და ლოცვა დავიწყე. ლოცვის დროს უფლის სული მოვიდა ჩემზე და დაიბადა ასეთი სიტყვები:

> ჩემო შვილო, უკანასკნელი დღეების დიდებული არმიის მრავალი მორწმუნე გაუბედაობით და შიშით არის შებორკილი. მათ სუფთა გული აქვთ უფლისა და ხალხის მიმართ, მაგრამ ისევე როგორც გედეონი, ისინი ადამიანებისადმი შიშს ჰყავს დამორჩილებული (მსაჯ.6-8;). ნიჭები, რომლებიც მათში ჩავდე, უმოქმედოა. მე ვცხებ ამ წიგნის შინაარსს, რათა მრავალი გავათავისუფლო. ისინი წინ გამოვლენ და უშიშრად დამემორჩილებიან. ისინი მამაცი მეომრები გახდებიან და დიდებულ გამარჯვებებს მოიპოვებენ თავიანთი ღმერთის ძალით.

ეს არ არის მხოლოდ თეორიული სწავლება. წლების განმავლობაში თავად ვიყავი შებორკილი შიშის და გაუბედაობის სულით. ჩემს ბრძოლაში, ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ის, რომ მე არ ვიცოდი სად იყო ჩემი პრობლემების წყარო. მაგრამ ღმერთმა გამოააშკარავა ეს ბოროტი მტერი. მას შემდგომ უფალი იყენებს ამ უწყებას, რათა გაათავისუფლოს მორწმუნეები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ერთმა ლიდერმა წამოიძახა კიდეც: „საჭიროა, რომ ეს სწავლება ამერიკის ყველა მწყემსის ხელში აღმოჩნდეს!“. ეს უწყება არის არა მარტო მწყემსებისთვის, არამედ თითოეული უფლის შვილისთვის. მწამს, რომ ეს წიგნი შემთხვევით არ აღმოჩნდა თქვენს ხელთ. როცა თავად გათავისუფლდებით, გთხოვთ, გაუზიარეთ ეს უწყება მათ, ვინც ამას საჭიროებს. ეს დაგეხმარებათ, რომ თავად განმტკიცდეთ მასში.

და ამ გზის დასაწყისში მოგიწოდებთ, შემომიერთდეთ ლოცვაში. გახსენით თქვენი გული და წარმოთქვით შემდეგი სიტყვები:

> „მამაო, ჩემი უფლის იესო ქრისტეს სახელით გთხოვ, რომ ამ წიგნის კითხვისას სულიწმიდამ გამიხსნას შენი სიტყვა. გთხოვ, გამოავლინე და მოაშორე ჩემს

ცხოვრებაში არსებული ნებისმიერი უსუსურობა და დაუცველობა, რათა შიში და გაუბედაობა მათსავე ფესვში იყოს განადგურებული. დაე, უფრო დაგიახლოვდე და გაბედულად დავამოწმო ჩემი უფლის ქრისტეს შესახებ. ამინ“.

*განყოფილება I*

# სულიერი პოზიციის განმტკიცება

*იარეთ ღმერთისგან თქვენთვის ბოძებულ*
*ძალაუფლებაში, თორემ ვიღაც მას*
*თქვენს  წინააღმდეგ გამოიყენებს*

# ძალაუფლებაში სიარული

ვემსახურები რა უფალს, მეტად და მეტად ვხვდები, რომ ის იყენებს გარემოებებს და ადამიანებს, რათა მოგვამზადოს იმ მოწოდების აღსასრულებლად, რომელიც მან ჩვენი ცხოვრებისთვის განსაზღვრა.

1983 წელს ინჟინრის კარიერა მივატოვე, რათა უფლის მსახურებაში სრული დროით ჩავრთულიყავი ერთ ძალზე დიდ ეკლესიაში. ვემსახურებოდი მწყემსს, მის მეუღლეს და ყველა სტუმრად მოსულ მსახურს. ვზრუნავდი მათ ყოველდღიურ საჭიროებებზე, რათა მეტი დრო ჰქონოდათ იმ საქმისათვის, რომელშიც მოწოდებულნი იყვნენ ღმერთისაგან. ოთხი წლის შემდეგ ღმერთმა ნება დამრთო, რომ ახალგაზრდული ჯგუფის მწყემსი გავმხდარიყავი სხვა დიდ ეკლესიაში.

იმ კვირას, როცა ჩემი ეკლესიიდან უნდა წამოვსულიყავი, ერთმა ძმამ, რომელიც იმავე ეკლესიაში მსახურობდა, ჩემს მეუღლეს უთხრა, რომ ჩემთვის სიტყვა ჰქონდა უფლისგან. და მას შემდეგ, ეს სიტყვა ჩემს ყურებს ესმის, როგორც გაფრთხილება; მაძლევს დაცვას, სიბრძნესა და ძალას. როგორც ღმერთის ჭეშმარიტ სიტყვას ახასიათებს, ის გახდა ჩემი გულის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი და საფუძველი, რომელიც საკუთარი გაურკვევლობისგან და გაუბედაობისგან მიცავს.

იმ ძმამ ჩემი მეუღლე გააფრთხილა: „თუ ჯონი ღვთისგან მინიჭებულ ძალაუფლებაში არ ივლის, ვიღაც სხვა წაართმევს (დაეპატრონება) და მის წინააღმდეგ გამოიყენებს“. ამ სიტყვამ დაუყოვნებლივ დაიწყო მოქმედება. იგი მივიღე, როგორც ღვთიური სიბრძნე, მაგრამ მაშინ სრულად არ მესმოდა, როგორ გამომეყენებინა იგი. ეს ცოდნა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოვლინდება.

## გამოცდილება, რომელმაც ცხოვრება შეცვალა

90-იანი წლების დასაწყისში ღმერთმა დაამოწმა, რომ მისი მოწოდება ჩემი ცხოვრებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ვესტუმრო ეკლესიებს და ვემსახურო ადამიანებს. ასე ვმოგზაურობდი გარკვეული დროის მანძილზე და მივიღე გამოცდილება, რამაც ჩემი ცხოვრება შეცვალა. ამ გამოცდილების წყალობით, ბოლოს და ბოლოს, ჩავწვდი იმ სიტყვას, რომელიც ღმერთმა რამდენიმე წლის წინ მითხრა.

ერთ ეკლესიაში, ოთხშაბათ დღეს, საღამოს მსახურება ჩავატარეთ და ასე უნდა გაგვეგრძელებინა კვირა დღემდე. ღვთის სული ძლიერად იძვროდა, ადამიანები თავისუფლდებოდნენ, იკურნებოდნენ და ხსნას ღებულობდნენ. ღმერთის თანდასწრება დღითი დღე ძლიერდებოდა.

პირველივე კვირას ქალმა, რომელიც „ნიუ ეიჯის“ მოძრაობაში იყო ჩართული, დიდებული გათავისუფლება მიიღო. ალბათ, ამან მისცა ბიძგი ყველა შემდგომი მსახურების წარმატებას. მთელი კვირის განმავლობაში ადამიანები მსახურებებზე დასასწრებად ოთხმოცდაათი მილის რადიუსში არსებული დასახლებებიდან მოდიოდნენ.

მწყემსმა თქვა: „ჩვენ არ შეგვიძლია ეს მსახურებები შევაჩეროთ. ღმერთს ჩვენთვის რაღაც უფრო დიდი აქვს“. მე დავეთანხმე და კიდევ 21 მსახურება ჩავატარეთ. ღვთის სიტყვა ნაკადულებივით მოედინებოდა და ყოველ მსახურებაზე სულიწმიდის ნიჭები ვლინდებოდა.

ერთ საღამოს, ჩემი მსახურების მეორე კვირას, ქადაგების დროს შევტრიალდი და სცენაზე მდგომ მუსიკოსებს და მომღერლებს (დაახლოებით 25 ადამიანს) მივმართე: „ამ სცენაზე ცოდვაა. თუ არ მოინანიებთ, ღმერთი გამოააშკარავებს მას“.

როცა ჩემი სიტყვები მოვისმინე, გავიფიქრე: „აი, ეს მესმის! საიდან მოვიტანე ეს?“. თუმცა მე უკვე მქონდა გამოცდილება და ვიცოდი, რომ არის შემთხვევები, როცა ღმერთის თანდასწრება ძლიერია, შენ აკეთებ რაღაც განცხადებას და შენი ფიზიკური ყურები ისმენენ ამას მას შემდეგ, რაც უკვე წარმოთქვი ეს სიტყვები. როცა ღვთიური შთაგონებით ვლაპარაკობთ, ამას „წინასწარმეტყველური ქადაგება“ ეწოდება.

ჩემს გონებაში გაჩნდა კითხვა: „ეს რა ვთქვი?“. მაგრამ სწრაფად უარვყავი ეს აზრი, რადგან ვიცოდი: რაც ვთქვი, ღმერთისგან იყო. წინასწარ არ მიფიქრია ამის შესახებ, უბრალოდ ძლიერი ცხებულება იყო ჩემზე ქადაგებისათვის.

ყოველ მსახურებაზე ხალხის რაოდენობა იზრდებოდა. მესამე კვირას, კვლავ ქადაგების დროს, სცენისკენ შევტრიალდი, თითი გავიშვირე იქ მდგომი ადამიანების მიმართულებით და სულიწმიდით მართულმა გაბედულად წარმოვთქვი: „ამ სცენაზე ცოდვაა! თუ არ მოინანიებთ, ღმერთი გამოააშკარავებს მას და თქვენ შეგრცხვებათ!“. ვიგრძენი, როგორ გაიზარდა ჩემი დარწმუნებულობა და ძალაუფლება. ამჯერად, უკვე აღარ მეპარებოდა ეჭვი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, რადგან ვიცოდი: ღმერთი წმენდს თავის სახლს ცოდვისაგან.

## გავასამართლოთ თუ გაგვასამართლონ

თუ ცოდვა იჭრება ჩვენს ცხოვრებაში, სულიწმიდა გვამხელს და გვაწესრიგებს, მაგრამ თუ მას არ ვუსმენთ, მაშინ ვიწყებთ გაციებას და ვხდებით გულგრილნი. და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ სრულიად უგრძნობი არ გახდება ჩვენი გული ღმერთისადმი.

მაშინ, ჩვენს დასაცავად, ღმერთი გამოგზავნის ვინმეს, რათა ამხილოს ცოდვა. იგი ამას იმიტომ არ აკეთებს, რომ რთულ მდგომარეობაში ჩაგვაყენოს, არამედ რომ გაგვაფრთხილოს და დაგვიცვას. მაგრამ თუ მაინც უარს ვამბობთ მოსმენაზე, მაშინ მოდის სამსჯავრო. „ხოლო ჩვენ თვითონვე რომ განგვეკითხა ჩვენი თავი, აღარ ვიქნებოდით მსჯავრდადებულნი. ხოლო მსჯავრდადებულნი ვიწრთვნებით უფლის მიერ, რათა სოფელთან ერთად არ ვიყოთ მსჯავრდადებულნი“ (1კორ.11:31-32;).

ღმერთი მოითმენს ცოდვას გარკვეული დროის მანძილზე, რათა მოგვცეს მონანიების საშუალება და სასჯელს აგვარიდოს. მას, მაშინაც კი როცა გვსჯის, არ სურს, რომ ქვეყნიერებასთან ერთად ვიყოთ მსჯავრდადებულნი. ძე, რომელმაც მთელი თავისი მემკვიდრეობა გაფლანგა, გონს მოეგო, როცა ღორების სადგომში აღმოჩნდა. სჯობს გონს მოვიდეთ საღორეში, ვიდრე გავაგრძელოთ ცოდვაში ცხოვრება და ერთ დღეს მოვისმინოთ, თუ როგორ იტყვის უფალი: „მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით უსჯულოების მოქმედნო“ (მათ.7:23;).

თუ არ მოვინანიებთ, დავიტანჯებით, თუმცა ღმერთს არ სურს ეს. პავლე, ამასთან დაკავშირებით, ამბობს: „ამის გამო თქვენს შორის ბევრია უძლური და ავადმყოფი და ბევრიც მოკვდა (ინგლისურში „კვდება“) (1კორ.11:30;). ცოდვას მოაქვს სულიერი და ფიზიკური სიკვდილი. და იმ ეკლესიაში მე ვიგრძენი, რომ ღმერთი სცენაზე მდგომი ადამიანებიდან ვიღაცას სჯის, რათა მონანიებამდე მიიყვანოს. მაგრამ მე არ ვიცოდი, ვის ამხელდა იგი ცოდვაში.

## დაშინების ვერაგული შეტევა

მეორე საღამოს, როცა მწყემსი და მე ოფისში ვიმყოფებოდით და მსახურებისთვის ვემზადებოდით, ჩვენთან მოვიდა ერთი ხუცესი და გვითხრა, რომ მუსიკოსები და მგალობლები პირქუშად გამოიყურებიან და ნეგატიურად არიან განწყობილნი. მწყემსმა იფიქრა, რომ ისინი უბრალოდ დაიღალნენ ხშირი მსახურებების გამო და ხუცესს უთხრა: „გადაეცი, რომ გამოვიდნენ და ღმერთი განადიდონ, თავიანთი გრძნებები კი გვერდზე გადადონ“.

მე ხუცესს შევხედე და ვუთხარი: „ერთი წუთით მოიცადეთ. რაღაც რიგზე ვერ არის?“. თუმცა მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რომ ეს კრიტიკული მომენტი იყო. ძალაუფლება, რომელიც ღმერთმა მომცა იმისათვის რომ მემსახურა და დამეცვა, გამოწვევის წინაშე იდგა. მტერს არ მოსწონდა ის, რაც ხდებოდა მსახურებებზე და ძალიან უნდოდა, რომ ამას ბოლო მოღებოდა.

თუმცა ეს მაშინ არ მესმოდა, მე არჩევანის წინაშე ვიდექი. შემეძლო დავმორჩილებოდი ამ დაშინებას და უარი მეთქვა იმაზე, რაც მუსიკოსების მიმართ წარმოვთქვი და ამ სახით დამეთმო ძალაუფლების ჩემი პოზიცია. ანდა შემენარჩუნებინა ძალაუფლება, მტკიცედ ვმდგარიყავი იმაზე, რაც უფალმა თქვა და დამენგრია გაუბედაობისა და დაშინების ძალა.

მაშინვე გავიფიქრე: „ჯონ, რატომ არ გინდა ჩაეხუტო ამ ადამიანებს? რატომ არ გინდა უბრალოდ იქადაგო შენი ქადაგება, არ მიბრუნდე უკან და თითი არ გაიშვირო სცენაზე მდგომი ადამიანებისკენ? ახლა ეკლესიაში ადამიანები იმაზე ფიქრით არიან დაკავებულნი, თუ ვინ არის ცოდვაში. და რა მოხდება, თუ აღმოჩნდება, რომ არავინ არის ასეთ მდგომარეობაში? და თუ მაინც არსებობს ცოდვა და ის არასოდეს იქნება მხილებული? ადამიანები ეჭვით შეხედავენ ერთმანეთს და ამ ვითარებაში უდანაშაულო დაზარალდება. ეს ზიანს მიაყენებს ეკლესიას. ხომ არ გაანადგურებ იმ კეთილს, რაც გაკეთდა? თუ ეს მოხდება, ცუდი რეპუტაცია გექნება. შენ კი მხოლოდ ახლა დაიწყე ეკლესიებში მსახურებები“.

ეს აზრები უტევდნენ ჩემს გონებას. ჩემმა შიშებმა ერთ აზრზე მოახდინეს კონცენტრირება: მე რა დამემართება? ასე შეუძლია გაუბედაობას და შიშს შეცვალოს თქვენი აღქმა. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ შიში – გაუბედაობის ფესვია, და ის აიძულებს ადამიანებს, რომ საკუთარ თავზე მოახდინონ ფოკუსირება. სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს იმიტომ, რომ სიყვარული ფოკუსირებას ახდენს ღმერთზე და სხვა ადამიანებზე და არ ეძებს თავისას (1იოან.4:18;).

მწყემსმა არაფერი თქვა. სამივემ ხელები ჩავკიდეთ ერთმანეთს და ვილოცეთ, რათა ღმერთის ნება აღსრულებულიყო ამ მსახურებაზე. სცენაზე ისე ვმოქმედებდით, როგორც ნებისმიერ სხვა მსახურებაზე, რაც ამ სამი კვირის მანძილზე აქ გაიმართა. განდიდების დროს შევნიშნე, რომ სიტყვა უფლისგან არ მოდიოდა ჩემს გულში. არ ვგრძნობდი არავითარ მმართველობას, მაგრამ გავიფიქრე: „ღმერთი ერთგულია და მე მეცოდინება რა ვთქვა იმ მომენტისათვის, როცა კათედრასთან დავდგები“.

განდიდება დასრულდა, მწყემსმა გააკეთა განცხადება, მაგრამ მე ისევ არაფერი მიგრძვნია გულში. გავიფიქრე: წამოვდგები და ღმერთი მომცემს მიმართულებას, როცა უკვე ფეხზე ვიდგები. მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც წერს კონსპექტს და მომზადებული ქადაგებით გამოდის სცენაზე. მე ვსწავლობ სიტყვას, ვლოცულობ და შემდეგ შთაგონებით ვლაპარაკობ იმას, რაც ჩემს გულშია. მაგრამ მაშინ ჩემი შეშფოთება იზრდებოდა, რადგანაც დრო გადიოდა და ვიცოდი, რომ ვერაფერს ვიტყოდი, თუ ღმერთი არ მომცემდა მიმართულებას.

შემდეგ მწყემსმა წარმადგინა. მე კათედრასთან მივედი და რადგან ჯერ კიდევ არ მქონდა მიმართულება, ვთქვი: „მოდით, ვილოცოთ“. მაგრამ ლოცვის დროსაც არაფერი მიმიღია. რამდენიმე წუთი ვილოცე, მაგრამ ჩემი ლოცვა უსიცოცხლო გახლდათ. თითქოს სიტყვები მხოლოდ იმიტომ გამოდიოდნენ ჩემი ბაგიდან, რომ ჩემს წინ ფეხებთან დაცემულიყვნენ. გავიფიქრე: „რა ვქნა ახლა? როგორ მოვიქცე?“. გადავწყვიტე ფსალმუნებიდან მექადაგა, რომელიც ადრე უკვე მქონდა ნაქადაგები.

ქადაგების დროს არავითარ სიცოცხლეს და ცხებულებას არ ვგრძნობდი ჩემს უწყებაში. ბრძოლა მიხდებოდა, რომ აზრები მომეკრიბა. თითქოს ღმერთი იქ საერთოდ არ იყო. მე უკვე ფიქრი დავიწყე: „რატომ ვთქვი ეს?“ ანდა „საიდან მოვიტანე ეს? ალბათ, შეცბუნებით ვარ მართული და არა სულიწმიდით“. საკუთარი თავის დამშვიდებას განვაგრძობდი, რომ ღმერთი გამოჩნდებოდა და დამიხსნიდა ქაოსისგან, რომელშიც აღმოვჩნდი. მაგრამ ყველაფერი მხოლოდ უარესდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ქადაგება დავასრულე.

მთელი მსახურება დაახლოებით 35 წუთი გაგრძელდა.

სრულიად თავგზა აბნეული ჩემს ადგილს დავუბრუნდი. „ღმერთო, რატომ არ მოხვედი?“ – ვკითხე მე. „ყველა მსახურება შესანიშნავი და ძლიერი იყო, მაგრამ ამ მსახურებაზე სიცოცხლე არ იგრძნობოდა. ამ ხალხის ადგილზე მე აქ აღარ მოვიდოდი. სხვა რომ არაფერი, ზუსტად ვიცი, რომ აღარ მინდოდა იქ დაბრუნება“.

იმ საღამოს ისეთი გრძნობით წავედი დასაძინებლად, თითქოს ქვიშით სავსე ტომარა მქონდა გადაყლაპული.

მეორე დილით, როცა გავიღვიძე, ვიგრძენი, რომ ქვიშის ტომარა მთად გადაიქცა. ისეთ სიმძიმეს ვგრძნობდი, რომ საწოლიდან ადგომაც კი არ მინდოდა. სიხარული გაქრა. ვილოცე და ღმერთს კვლავ ვკითხე: „რატომ არ მოხვედი?“.

პასუხი არ იყო.

„შევცოდე? გაგანაწყენე?“

ისევ დუმული. მე ერთი საათის განმავლობაში ვლოცულობდი და ამ დროს თითოეული წუთი იყო ბრძოლა.

მე საგალობელი ჩავრთე და გალობა დავიწყე. ვიცოდი, რომ ღმერთი სიმძიმის სულის ნაცვლად განდიდების სამოსელს იძლევა, მე კი სწორედ ეს მჭირდებოდა. მაგრამ ნახევარი საათის მანძილზე უსიცოცხლოდ ვგალობდი და ამან კიდევ უფრო დამაბნია. „რა გავაკეთე ისეთი? რატომ არ მპასუხობ?“.

სადილის შემდეგ ახლომდებარე მინდორში გავედი და გადავწყვიტე ეშმაკი შემებორკა. ამაშია მთელი საქმე! მაგრამ თუ ვინმე თავს შებორკილად გრძნობდა, ეს მხოლოდ მე ვიყავი. ვლოცულობდი და ვუყვიროდი ეშმაკს სამი საათის მანძილზე, მაგრამ შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ ხმა დავკარგე. საჭირო იყო დავბრუნებულიყავი და მსახურებისათვის მოვმზადებულიყავი. საკუთარ თავს ვამხნევებდი: „ასეთი წინააღმდეგობის ფონზე, დღეს საღამოს ღმერთი ძლიერად გამოავლენს თავს. უბრალოდ რწმენით იდექი, ჯონ“.

მსახურება დაიწყო: იყო განდიდება, განცხადებები, შესაწირავი, მე კი იგივე წინათგრძნობა მქონდა, რაც წინა საღამოს. ვფიქრობდი: ღმერთი მოვა, როგორც კი სცენაზე ავალ. მე წარმადგინეს და კვლავ არაფერი. ვლოცულობდი, რომ მიმართულება მიმეღო, მაგრამ უშედეგოდ.

ვიქადაგე კიდევ ერთი ქადაგება, რომელიც ადრე მქონდა ნაქადაგები. და ისევ უხერხულობისა და სირცხვილის გრძნობა დამეუფლა. არ იყო არც სიცოცხლე, არც ცხებულება, არც მიმართულება. ამ ქაოსის მეხუთე წუთზე მე ვთქვი: „ხალხო, ჩვენ უნდა ვილოცოთ, რაღაც წესრიგში ვერ არის!“. ყველა ფეხზე წამოდგა და ჩვენ გულმხურვალე ლოცვა დავიწყეთ.

## შიში გამომჟღავნებულია

და უცებ, მოვისმინე, როგორ დაილაპარაკა ღმერთის სულმა პირველად ამ ბოლო 24 საათის მანძილზე. მან თქვა: „ჯონ, შენ სცენაზე მდგომი ხალხით ხარ შეშინებული. შენ გამოგიყვანეს ძალაუფლების პოზიციიდან და ღვთის ნიჭი ჩააქრეს შენში“.

ამ მსუბუქ მხილებასთან ერთად სინათლის ნაკადმა აავსო ჩემი სული. ვიდრე სხვები ლოცულობდნენ ხუთი წუთის მანძილზე, ღვთის სულმა მთელს ბიბლიაში მიჩვენა ბევრი შემთხვევა, როცა ქალები და მამაკაცები იყვნენ თავგზა აბნეულნი და როგორ აქრობდა ეს მათში ღვთის ნიჭს. ვხედავდი, როგორ თმობდნენ ისინი ძალაუფლებას და როგორ კარგავდნენ ეფექტურობას სულიწმიდაში. შემდეგ მან ჩემი ცხოვრების ბოლო რამდენიმე წელი გამახსენა და დამანახა, რომ მეც იგივე გავაკეთე.

მაშინვე, ლოცვაში დავიწყე შიშისა და გაუბედაობის ძალის დამსხვრევა (წიგნის ეპილოგში მოცემულია ასეთი ლოცვის ნიმუში). ამის შემდეგ ერთ საათზე მეტი ცხებულებით ვიქადაგე იმ ადგილების შესახებ, რომლებიც ღმერთმა ბიბლიაში მიმითითა. როცა ქადაგება დავასრულე, მსახურებაზე მოსული ადამიანების ორი მესამედი წინ გამოვიდა, რათა გათავისუფლებულიყო გაუბედაობისა და შიშისაგან. ეს დიდებული მსახურება იყო მთელი გამოღვიძების განმავლობაში.

კვირაც არ იყო გასული, რომ ღმერთმა სცენაზე არსებული ცოდვის გამომჟღავნება დაიწყო. გაირკვა, რომ ბას-გიტარისტი მსახურების შემდეგ თვრებოდა. ასევე, ერთ-ერთი მგალობელი ვაჟი ეკლესიის წევრ გოგონასთან მრუშობდა. ორივე ჩამოაშორეს მსახურებას. ბას-გიტარისტი ეკლესიიდან წავიდა. მეორემ კი მოინანია და აღადგინა უფალთან ურთიერთობა.

მალევე, ამის შემდგომ, განდიდების ლიდერმა და ადამიანთა ერთმა ჯგუფმა განხეთქილება შეიტანეს ეკლესიაში. ეკლესიის მეოთხედი მათ გაჰყვა. როცა ეს მოხდა, განდიდების ლიდერმა შესცოდა, იმრუშა. ერთი წლის შემდეგ კი ქმარს გაშორდა და ცხოვრება სხვა მამაკაცთან ერთად დაიწყო. იმ ადამიანებიდან, რომლებმაც განხეთქილება გამოიწვიეს ეკლესიაში, მხოლოდ ერთი წყვილი ცხოვრობს ერთად.

ისინი ჩიოდნენ, რომ მე ძალზე მკაცრი ვიყავი მათ მიმართ. ღმერთი მათ აფრთხილებდა. რამდენად უკეთესი იქნებოდა, მათ გულთან რომ მიეტანათ ღმერთის გაფრთხილება.

მე ორჯერ დავბრუნდი ამ ეკლესიაში და იქ უფრო მეტ ერთობას და ძალას ვხედავდი, ვიდრე ეს მანამდე იგრძნობოდა. მწყემსმა ამიხსნა: „ეს ღმერთმა გაწმინდა ჩვენი ეკლესია და ჩვენ უფრო გავძლიერდით. ჩვენი ქება-დიდება არასოდეს ყოფილა ამგვარად თავისუფალი!“. მან ასევე თქვა, რომ დავა და განხეთქილებანი, რომელსაც ადრე ხშირად ჰქონდა ადგილი, მეტად აღარ არსებობს. დიდება უფალს!

ის, რაც მაშინ ღმერთმა ხუთწუთიანი ლოცვის საშუალებით გააკეთა, გადაიქცა უწყებად, რომელსაც ახლა თქვენ

კითხულობთ. მან საშუალება მომცა მექადაგა ამის შესახებ მთელს მსოფლიოში. შედეგად კი ვხედავ შიშისა და გაუბედაობის სულისგან განთავისუფლებულ უამრავ ქრისტიანს.

## უწყება ყველასთვის

მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცხადება იმ დროს მივიღე, როცა მსახურებაში კონფლიქტის დროს უფალს ვეძებდი, არ იფიქროთ, რომ ეს გაკვეთილი მხოლოდ მათთვის არის, ვინც კათედრასთან დგას. უამრავი ქრისტიანი ებრძვის გაუბედაობას. ხშირად ის, ვინც შეშინებულია, ვერ აცნობიერებს, რას ებრძვის. ისევე, როგორც სატანის სხვა ხაფანგები, გაუბედაობაც შენიღბული და დაფარულია. ჩვენ ვგრძნობთ შედეგებს: დეპრესია, უხერხულობა, რწმენის ნაკლებობა, მაგრამ არ ვიცით სად არის მათი ფესვი. მე რომ მივმხვდარიყავი, რომ უბრალოდ შეშინებული ვიყავი, არ მექნებოდა იმხელა ბრძოლა იმ ეკლესიაში. მაგრამ მადლობელი ვარ უფლის, რომელმაც ეს გაკვეთილი ჩამიტარა.

ყველაზე ხშირად ჩვენ ვცდილობთ გავერკვეთ შედეგებში, გაუბედაობის ნაყოფებში, ნაცვლად იმისა, რომ გავერკვეთ, რა არის ყოველივე ამის ფესვი. ამიტომ, ჩვენ, დროდადრო, ვგრძნობთ შვებას, მაგრამ ეს დროებითია და ჩვენი ბრძოლა არ წყდება. შეიძლება, ხიდან მთელი ნაყოფი ჩამოვკრიფოთ, მაგრამ ვიდრე ფესვი ხელუხლებელია ნაყოფი მაინც გაიზრდება. ნაყოფის ზრდის ამ ციკლმა შესაძლოა თავგზა აგვიბნიოს, რადგან ვგრძნობთ, თითქოს არ შეგვიძლია გავთავისუფლდეთ ამ წინააღმდეგობისაგან. ჩვენ უიმედობა გვეუფლება და აღმოვჩნდებით ხოლმე იმაზე ბევრად დაბალ პოზიციაზე, რისკენაც ღმერთმა მოგვიწოდა.

ამ წიგნში მოყვანილი ჭეშმარიტებანი დაგეხმარებათ, არა მარტო გაიგოთ, თუ რა არის გაუბედაობა, არამედ აღიჭურვოთ აუცილებელი ცოდნით, რათა დაამსხვრიოთ მისი ბორკილები თქვენს ცხოვრებაში. ვლოცულობ, რომ შეიცნოთ ეს ჭეშმარიტებები და მიიღოთ თავისუფლება თქვენი მოწოდების აღსასრულებლად, როგორც ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მსახურებმა.

შესაძლოა, თქვენ ახლა ფიქრობთ და წუხთ, როგორ გაიმარჯვოთ გაუბედაობაზე მომავალ ბრძოლაში. ხშირად, ჩვენს ცხოვრებაში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც გვჩაგრავენ და გვანადგურებე და გვსურს, რომ დაუყოვნებლივ გავთავისუფლდეთ, ვიგრძნოთ შვება. მაგრამ, ჩვეულებრივ,

სწრაფი გადაწყვეტილებანი ძალზე ძვირად ფასობს, მაგრამ არც მდგრადია და არც მტკიცე. მინდა, რომ სიფრთხილით გადმოქცეთ ეს უწყება; ისე, როგორც მე გამიცხადდა. შემდგომ სამ თავში მინდა საფუძველი ჩავუყარო, რაც ჩვენი სულიერი პოზიციისა და ძალაუფლების შემეცნებით იწყება.

სატანას სურს დაგვაბრკოლოს, რათა დაიბრუნოს ის ძალაუფლება, რომელიც იესომ ჩამოართვა.

*სატანას სურს დაგვაბრკოლოს, რათა*
*დაიბრუნოს ის ძალაუფლება,*
*რომელიც იესომ ჩამოართვა*

# სულიერი პოზიცია და ძალაუფლება

მოდით, განვიხილოთ სიტყვა, რომელიც ჩემ მიმართ ითქვა: „თუ არ ივლი ღმერთისაგან მოცემულ ძალაუფლებაში, სხვა აიღებს მას და შენს წინააღმდეგ გამოიყენებს“.

პირველ რიგში, ძალზე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ არსებობს განსაკუთრებული ადგილი ანუ პოზიცია სულში, რომელიც უნდა დავიკაოთ, როგორც ქრისტეს მორწმუნეებმა. პოზიციასთან ერთად მოდის ძალაუფლება. მტერს სწყურია ჩვენი ძალაუფლება. თუ იგი შეძლებს და დაგვათმობინებს ღმერთისგან ბოძებულ ძალაუფლებას, მას აუცილებლად ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს. და ეს აისახება არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ ჩვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ადამიანებზეც.

წმინდა წერილი გვთავაზობს რამდენიმე ადგილს, სადაც სულში ჩვენი ძალაუფლების შესახებაა საუბარი. მოდით, ვნახოთ ზოგიერთი მათგანი.

„უზენაესის საფრაქვეშ დამკვიდრებული ყოვლისშემძლის ჩრდილქვეშ ისვენებს“

(ფსალ.90:1;)

„გამიყვანა გაშლილ სივრცეზე, მიშველა, რადგან ვუყვარვარ მე“

(ფსალ.17:20;)

„სწორ გზაზე დგას ჩემი ფეხი, სკრებულოებში ვადიდებ უფალს“

(ფსალ.25:12;)

ფაქტობრივად, მორწმუნეები გარკვეულ ადგილს იკავებენ სულში. ეს მოთხოვნაა, რომ შენ, როგორც მორწმუნემ, არა

მარტო იცოდე შენი ადგილი, არამედ იყენებდე კიდეც მას. თუ არ იცი შენი პოზიცია, ვერ შეძლებ სათანადოდ მოქმედებას ქრისტეს სხეულში.

საბოლოო ჯამში, ძალაუფლების ეს პოზიცია შესაძლოა დაიკარგოს ან მოიპარონ. კონკრეტული ბიბლიური მაგალითი – იუდა ისკარიოტელი. მას შემდგომ, რაც იესო ზეცად ამაღლდა, მოწაფეები ლოცვისთვის შეიკრიბნენ. და მაშინ პეტრემ აუწყა, თუ რა დაემართა იუდას.

> ფსალმუნებში წერია: „გატიალდეს მისი სახლ-კარი, ნუ იქნება მასში მკვიდრი“ (საქმ.1:20;)

შესცოდა რა იუდამ, სამუდამოდ დაკარგა თავისი ადგილი სულში (საქმ.1:16-17;). ყველაზე ხშირად მტერს სწორედ ასეთი სახით გამოჰყავს ადამიანები სულიერი ძალაუფლებიდან. სწორედ ასე მოახერხა ადამის და ევას დაცემა, და საბოლოო ჯამში, შეავიწროვა და მოიპოვა მათზე ბატონობა.

ადამს და ევას ყველაზე მაღალი პოზიცია ეკავათ დედამიწაზე. ცოცხალი ქმნილებები და ბუნება მათი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა. ღმერთმა თქვა: „და ბატონობდეს თევზებზე ზღვაში და ცის ფრინველებზე და პირუტყვზე მთელს ქვეყანაზე, და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც იძვრის მიწაში“ (დაბ.1:26;). ნებისმიერი სულიერი და ფიზიკური სფერო დედამიწაზე ადამიანის დაქვემდებარებაში იყო. ზემდგომი იყო მხოლოდ ღმერთი.

ვიდრე ადამი ძალაუფლების პოზიციას ინარჩუნებდა, არც ავადმყოფობა, არც მიწისძვრა, არც შიმშილი და არც სიდუხჭირე იყო. დედამიწაზე მეფობდა ზეცა, ვიდრე ადამი უფალთან ერთობაში იმყოფებოდა და მისგან მინიჭებული ძალით და ძალაუფლებით მართავდა ყოველივეს. შეცდომების შედეგად ადამმა დაკარგა ყოველივე, რაც მის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა. ჩაიდინა რა დანაშაული, მან თავისი ადგილი სულში დაუთმო მტერს.

წმინდა წერილი ადასტურებს ამას: ეშმაკი ტრაბახობდა, როცა იესოს ცდიდა უდაბნოში. მან აიყვანა იესო მაღალ მთაზე და უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო და უთხრა:

> „მოგცემ მთელს ამ ხელმწიფებას მათ დიდებას, ვინაიდან მე მაქვს მოცემული და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ“ (ლუკ. 4:6;)

ღმერთმა ძალაუფლება ადამს უბოძა, მაგრამ მას ეშმაკმა წაართვა. ადამმა დაკარგა მეტი, ვიდრე პოზიცია. მისმა ქმედებამ ზეგავლენა მოახდინა მთელს ქმნილებაზე, რომელიც ადამის მზრუნველობის ობიექტს წარმოადგენდა. დაიწყო სამყაროს ჰარმონიის თანდათანობითი რღვევა.

ერთ-ერთი მაგალითი – ცხოველთა სამყარო. ბაღში, რომელიც ღმერთისა და ადამის დაქვემდებარებაში იყო, ლომები არ ჭამდნენ სხვა ცხოველებს (გამოს.65:25;). გველს არ ჰქონდა შხამი (გამოს.65:25;). ბატკნებს არ ეშინოდათ მგლების და სხვა მტაცებელი ცხოველების (გამოს.65:25;). მაგრამ ვხედავთ, რომ ცოდვის შემდგომ, რათა გაშიშვლებული ადამიანი შეემოსათ, უცოდველი ცხოველები შეეწირნენ მსხვერპლად (დაბ.3:21;). მოგვიანებით კი შიში გამეფდა ადამიანებსა და ცხოველებს შორის (დაბ.9:2;).

შედეგებმა ასახვა ჰპოვა თვით დედამიწაზეც. მიწა დაიწყევლა და მან ადამიანის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. ადამიანი კი პიროფლიანი შრომობდა, რათა მოეყვანა მოსავალი, რომელიც ერთ დროს მას უხვად ჰქონდა (დაბ.3:17-19;). რომაელთა მიმართ წერილში ნათქვამია (8:20;): „რადგან ქმნილება თავისი ნებით კი არ დაემორჩილა ამაოებას, არამედ მისი დამმორჩილებლის მიერ“.

ყველაფერმა, სულიერმაც და ფიზიკურმაც, იგემა დაუმორჩილებლობის შედეგები. უსამართლობამ, სიკვდილმა, ავადმყოფობამ, სიღარიბემ, მიწისძვრებმა, შიმშილმა, ეპიდემიებმა და სხვა სახის უბედურებებმა მოიცვეს დედამიწა. დაირღვა ღვთიური წესრიგი და ძალაუფლება. ადამის პირველ შვილს უკვე შეეძლო ზიზღი, შური და მკვლელობის ჩადენაც კი. მტერმა მიისაკუთრა ძალაუფლება, რომელიც ადამიანს დაცვისა და უზრუნველყოფისთვის ჰქონდა ღვთისგან მიცემული და მან იგი მთელი ქმნილების წინააღმდეგ გამოიყენა, მოსაკლავად და გასანადგურებლად.

## აღდგენილი ძალაუფლება

ამრიგად, ადამიანმა დათმო ძალაუფლების პოზიცია, და მისი  აღდგენა მხოლოდ მასვე შეეძლო. ათასწლეულების შემდგომ დაიბადა იესო. მისი დედა იყო იმ ხალხის შვილი, რომელიც ღმერთთან აღთქმაში იმყოფებოდა. მამა კი – წმიდა ღვთის სული. ის არ იყო ნაწილობრივ ღმერთი და ნაწილობრივ ადამიანი. ის იყო ემანუელი, რაც ნიშნავს „ღმერთი ჩვენთანაა“ (ინგლ.თარგმ. „ადამიანში გამოვლენილი ღმერთი“) (მათ.1:23;). იმ ფაქტმა, რომ ის იყო ადამიანი, მას ნება მისცა ლეგალურად

დაებრუნებინა დაკარგული. და რადგანაც ღმერთის ძეს წარმოადგენდა, თავისუფალი იყო მტრის ბატონობისაგან, რომელმაც კაცობრიობა დაიმონა.

იგი გვიცხადებდა უფლის ნებას ყველაფერში, რასაც აკეთებდა და ლაპარაკობდა. ადამიანები ღებულობდნენ ცოდვების პატიებას, რადგან მის თანდასწრებაში არავითარ ცოდვას არ გააჩნდა ძალაუფლება. ავადმყოფობა და უძლურება ქედს იხრიდა მისი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის წინაშე (ლუკ. 5:20-24;). თვით ბუნებაც ემორჩილებოდა მის ბრძანებებს (მარკ.4:4;).

იგი დადიოდა ძალაუფლებაში, რომელიც ადამმა ხელიდან გაუშვა. მორჩილებითა და მსხვერპლით იესომ აღადგინა ღმერთისგან ბოძებული ძალაუფლება, რომელიც ადამმა დაკარგა, და რის გამოც გაფუჭდა ჩვენი ურთიერთობები ღმერთთან.

მამასთან დაბრუნების წინ იესომ განაცხადა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ზეცასა და მიწაზე. ახლა წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძის და სულიწმიდის სახელით, ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. აჰა, მე თქვენთან ვარ დღენიადაგ საუკუნის დასასრულამდე“ (მათ.28:18-20;).

აქედან ნათლად ჩანს, რომ იესომ დააბრუნა ადამის მიერ დაკარგული და უფრო მეტიც. ეშმაკს და ადამს ჰქონდათ მხოლოდ დედამიწაზე ბატონობის უფლება, იესოს ბატონობა კი მოიცავს დედამიწას და ზეცას. განგვიცხადა რა თავისი ძალაუფლება და პოზიცია, იესომ თქვა: „წადით“. რატომ ამყარებს იესო კავშირს ჩვენს ძალაუფლებასა და ჩვენს მოწოდებას შორის? პასუხს პავლე მოციქულის წერილებში ვკითხულობთ.

## ძალაუფლების პოზიცია

პავლე ლოცულობს, რომ ჩვენ შევიმეცნოთ, თუ „რა განუზომელია მისი ძალის სიდიადე ჩვენში, რომელთაც საქმით გვწამს მისი ძალის ძლიერება. რომლითაც მან იმოქმედა ქრისტეში, მკვდრეთით აღადგინა რა იგი და თავის მარჯვნივ დასვა ზეცაში (ეფეს.1:19-20;).

(„ზეცაში“ – ეს სიტყვა აქ მრავლობით რიცხვშია). რატომ? ამის მიზეზს რამდენიმე მუხლის შემდეგ ვკითხულობთ: „და თქვენც მკვდრები რომ იყავით თქვენი დანაშაულით და ცოდვებით... გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად და თანააღგვადგინა და ცათა შინა დაგვსხა ქრისტე იესოში“ (ეფეს.2:1,5,6;). ეს „ცები“ –

ის ადგილია, სადაც მისი გამოსყიდული შვილები მკვიდრობენ.

ახლა მეორე საკითხი: სად არის ეს „ცები“ და რა პოზიციაა იქ? პასუხს ეფეს.1:21-ში ვკითხულობთ: „ყველა მთავრობაზე, ხელმწიფებაზე, ძალაზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე მაღლა, რაც კი იწოდება არა მარტო ამ საუკუნეში, არამედ მომავალშიც“.

იესოში დაფარულ, გამოსყიდულ ადამიანს სულში ეშმაკზე აღმატებული ძალაუფლება აქვს მიცემული. იესომ გაბედულად განაცხადა: „აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად და მტრის ყოველი ძალისა. თქვენ კი არაფერი გევნებათ“ (ლუკ. 10:19;).

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია ჩავწვდეთ ბრძანების არსს: „წადით“. იესომ იცოდა, თუ რა ძალაუფლება მიეცა მორწმუნეებს. ჩვენმა აღდგენილმა უფლებებმა დაგვამკვიდრა „ცებზე“, რაც მტრის ძალასა და ძალაუფლებაზე უმაღლესია.

როგორც ედემის ბაღში ადამის მიმართ მოიმოქმედა, ბოროტი დღესაც ეძებს ჩვენი სულში დამარცხების შესაძლებლობას, რათა დაიბრუნოს ის ძალაუფლება, რომელიც იესომ ჩამოართვა. თუ სატანა მოახერხებს, რომ მოგვპაროს ან გვაიძულოს, რომ მივატოვოთ ძალაუფლების ეს პოზიცია, ის მაშინვე შეძლებს მოქმედებას. პავლე ძალზე გარკვევით ამბობს ამის შესახებ: „ადგილი არ მისცეთ ეშმაკს“ (ეფეს.4:27;). როგორც მორწმუნეებმა არ უნდა დავთმოთ ჩვენი ადგილი სულში.

## სამეფოს იერარქია

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღვთის სასუფეველი – ეს ნამდვილად სამეფოა. სამეფო შენდება ქვეშევრდომების რანგისა და ძალაუფლების შესაბამისად. გამონაკლისს არც ზეცა წარმოადგენს. რაც მაღალია რანგი, მით მეტია გავლენა და ძალაუფლება.

ედემის ბაღში სატანა სპილოს ან ლომს არ დასდევდა უკან. მას ესმოდა ძალაუფლების პრინციპი და ამიტომ ადამიანზე ნადირობდა. ეშმაკმა იცოდა, რომ თუ ადამიანს დაეუფლებოდა, მიიღებდა ყველაფერს, რაც მის დაქვემდებარებასა და მმართველობაში იმყოფებოდა.

ამიტომ, როცა ეშმაკი უტევს ეკლესიას, მის პირველ სამიზნეს ლიდერები წარმოადგენენ. ცოტა ხნის წინ ერთი დიდი ეკლესიის მწყემსმა ცოლთან განშორება გადაწყვიტა. არავითარი ბიბლიური მიზეზი არ მოიძებნა ამისათვის, მან უბრალოდ მიატოვა ცოლი და შვილები. როცა მის დაქვემდებარებაში მყოფმა ლიდერებმა

ასეთი ქმედების მოტივები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს, მან თქვა, რომ თუ რაიმე არ მოსწონთ, უბრალოდ შეუძლიათ წავიდნენ.

მან მიზანმიმართულად გადაუხვია უფლის მცნებას და ეკლესიაში გაყრისა და ცდუნების სული გამოათავისუფლა. ამის შემდეგ, ეკლესიაში გახშირდა გაყრის შემთხვევები, მათ შორის ლიდერებშიც. სხვებს უბრალოდ თავგზა აებნათ, გაურკვევლობაში მყოფნი დადიოდნენ ეკლესიიდან ეკლესიაში იმ იმედით, რომ ნახავდნენ ვინმეს, ვისზე დაიმედებასაც შეძლებდნენ. როცა ეშმაკი სახლში პოზიციას აკარგვინებს ძლიერს, მაშინ ძლიერის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანები ადვილად ხელმისაწვდომები ხდებიან მტრისთვის.

მე ვხედავ, როგორ შეგნებულად არღვევენ ღმერთის მცნებებს მშობლები. ასეთ შემთხვევაში ბავშვები მათ მაგალითს მიჰყვებიან, ეს მხოლოდ დროის ამბავია. თქვენ, ალბათ, იტყვით რომ ეს წყევლაა. მაგრამ საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რატომ ხდება ასე? ცოდვის ჩადენით მშობლები თმობენ ძალაუფლების პოზიციას და მათი შვილები მოწყვლადები ხდებიან მტრის წინაშე.

## ღმერთის მტრებისთვის მიზეზის მიცემა

ამ პრინციპის ილუსტრაციის ნახვა შეიძლება დავითის ცხოვრებაში (2მეფ.8:18;). მისი მმართველობის დროს სამეფო ძლიერი და უსაფრთხო იყო. ღმერთმა იგი მრავალი ძითა და ასულით აკურთხა. და მაშინ დავითმა მიითვისა ის, რაც მისთვის ღმერთს არ მიუცია: მან იმრუშა ბათ-შებაყთან. ქალი დაორსულდა, საქმე იმან გაართულა, რომ ბათ-შებაყის ქმარი ომში იმყოფებოდა და დავითის სამფლობელოს იცავდა.

მეფემ კაცი გააგზავნა ურია ხეთელის მოსაყვანად, რათა იგი რამდენიმე ხნით ცოლთან დარჩენილიყო, რომ ბავშვის მამად ის ჩათვლილიყო. მაგრამ ურიამ უარი განაცხადა მიკარებოდა ცოლს იმ დროს, როცა სხვები ომში იბრძოდნენ და ქვეყანას დაცვა სჭირდებოდა. დავითი მიხვდა, რომ მისმა გეგმამ არ გაამართლა. მან იცოდა, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო, და მალე ყველა მიხვდებოდა, ვინ იყო ბავშვის მამა.

მაშინ დავითმა ურიას მოკვლა დაგეგმა. მან იგი ფრონტზე გაგზავნა და თან მისი მოკვლის ბრძანება გაატანა. ურია ფრონტის ყველაზე ცხელ ადგილას გაგზავნეს და იგი ბრძოლაში დაიღუპა. დავითის მრუშობას ტყუილი და მკვლელობა მოჰყვა.

ძალიან მალე ნათან წინასწარმეტყველი მივიდა დავითთან

და ამხილა მისი ცოდვა. დავითმა მოინანია: „შევცოდე უფალს“. მაშინ ნათანმა უთხრა დავითს: „უფალმა მოგიტევა შენი ცოდვა, არ მოკვდები“ (2მეფ.12:13;).

დავითმა მოინანია და მას მიეტევა. ღმერთმა თავიდან ააცილა მას ბოროტმოქმედება (ესაია 43:25-26;).

მაგრამ ნათანმა გააფრთხილა დავითი: „ოღონდ რაკი ამ საქციელით უფლის ლანძღვის საბაბი მიეცი მტრებს“ (2მეფ.12:14;).

დავითს ეპატია, მაგრამ მან მტერს მისადგომი მისცა პირად და თავისი ოჯახის ცხოვრებაში. არა მარტო ფიზიკურ მტერს, არამედ სულიერსაც. მისი ოჯახიც და მთელი ისრაელიც ძლიერ დაზარალდნენ.

დავითისა და ბერ-შებაყის პირველი შვილი მოკვდა. დავითის უფროსმა ვაჟმა, ტახტის მემკვიდრემ, ამნონმა, თავის ნახევარდაზე, თამარზე, ძალა იხმარა. დავითის ძემ და თამარის ძმამ აბესალომმა კი თავისი ნახევარძმა ამნონი მოკლა.

დავითის სამი ვაჟი გარდაიცვალა, რადგან შეცოდების საშუალებით მან ღმერთის მტერს მისადგომი მისცა თავის ოჯახში. მე მინახავს მსახურთა შვილები, რომლებიც ღებულობენ ნარკოტიკებს, მტრულად არიან განწყობილნი ეკლესიის მიმართ, მრუშობენ და ჰომოსექსუალიზმის მსხვერპლნი ხდებიან. ეს იმიტომ, რომ მათმა მშობლებმა ცოდვის შედეგად დათმეს თავიანთი პოზიციები სულში. მთელი სერიოზულობით უნდა აღვიქვათ ის, რაც ბიბლიაში წერია: „ბევრნი ნუ გახდებით მასწავლებლები იცოდეთ, რომ უფრო დიდ მსჯავრს მიიღებთ“ (იაკ.3:1;). მასწავლებლები (მწყემსები) უფრო მეტად განისჯებიან თავიანთი დაუმორჩილებლობის გამო. ისინი ჭრილობას აყენებენ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ იმ ადამიანებსაც, ვინც მათ დაქვემდებარებაში იმყოფებიან. ღმერთი, დავითის მსგავსად, მათაც აპატიებს. მაგრამ ისინი მაინც მოიმკიან იმას, რაც დათესეს. მტერს ადგილი მიეცა!

მესმის, რომ ეს – მკაცრი სიტყვაა. მე მოგიწოდებთ მთელი თავმდაბლობით და მოშიშებით, თრთოლვით ვწერ ამ სტრიქონებს. ჩვენ ბევრი ტრაგედია გვინახავს, განსაკუთრებით მსახურთა შორის. ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ და არ უნდა განვიკითხოთ. დაცემულ ადამიანს უნდა ვაპატიოთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ. თუ ისინი მოინანიებენ – ღმერთი შეუნდობს. მაგრამ ამ სიტყვებს ვწერ, როგორც ინსტრუქციას და გაფრთხილებას მათთვის, ვინც მტრის სამიზნეა. ყველა უნდა იყოს თავმდაბალი და განახლებული.

მე ოთხი ვაჟი მყავს. გავაცნობიერე, რომ პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული ვარ მათ ცხოვრებაზე. ისინი – ღვთისანი არიან, მე კი – მმართველი და მათზე პასუხისმგებელი. მე არ მინდა ვიხილო ის, თუ როგორ ინგრევა მათი ცხოვრება იმის გამო, რომ ეშმაკს ადგილი მივეცი.

როცა დამხმარე მსახურად ვმსახურობდი, მქადაგებელთა სხვადასხვა წვრილმანი საქმეების მოგვარებაზე ვზრუნავდი, რათა მათ ღმერთის მოწოდების აღსრულებაში ხელი არ შეშლოდათ. მე ქიმწმენდაში მიმქონდა მათი ტანსაცმელი, ბავშვები სკოლიდან გამომყავდა, ვრეცხავდი მათ მანქანებს და ა.შ. ერთხელ ღმერთმა მითხრა რაღაც, რამაც საშუალება მომცა საღად  და მშვიდად შემეხედა იმ მსახურებისათვის, რომელსაც ვასრულებდი. მან თქვა: „შვილო, თუ შენ გააფუჭებ საქმეს ამ პოზიციაზე, მისი გამოსწორება ადვილი იქნება, რადგან ფიზიკურ საგნებთან გაქვს შეხება. მაგრამ როცა სიტყვის მსახურების პოზიციაზე დაგაყენებ, შენ ადამიანებს უხელმძღვანელებ და საქმე უკვე მათ ცხოვრებასთან გექნება“.

## მიტოვებული ძალაუფლება

ამ თავის მიზანია – ჩავწვდეთ სულიერი პოზიციისა და ძალაუფლების არსს. ჩვენ გავეცანით რამდენიმე ადამიანის მაგალითს, რომლებმაც დაკარგეს ან მტერს გადასცეს თავიანთი ძალაუფლება. სატანა ყველა ღონეს იხმარს წაგართვათ ძალაუფლება და ამას თქვენს ცხოვრებაში ცოდვის შემოტანით შეეცდება. თუ თქვენი მოწოდებაა მთელი გულით ემსახუროთ უფალს, სატანა შიშისა და გაუბედაობის საშუალებით შეეცდება ჩამოგაშოროთ თქვენს პოზიციას ქრისტეში.

გაუბედაობისაგან გათავისუფლდების პირველ ნაბიჯს ჩვენი გულების მდგომარეობაში გარკვევა წარმოადგენს. მე-3 თავში ვისაუბრებ იმის შესახებ, თუ როგორ გავაკეთოთ ეს.

*გამოცხადებას არავითარი ფასი არ აქვს სიბრძნისა*
*და ხასიათის გარეშე, რომლებიც საშუალებას*
*გვაძლევენ მის შესაბამისად ვიცხოვროთ*

# ორი უკიდურესობა

ღვთის სულს შეუძლია თავისი სიმდიდრე რამდენიმე წამში გადმოღვაროს თქვენს სულში. მაგრამ გამოცხადებას არავითარი ფასი არ აქვს, თუ არ გაქვთ სიბრძნე და ხასიათი, რათა მის შესაბამისად იცხოვროთ. როცა სულიწმიდამ მიჩვენა ადგილები წმინდა წერილიდან, რომლებიც შიშს და გაუბედაობას ააშკარავებენ, მან ორ უკუდურესობაზეც მიმითითა, რომლებსაც შეუძლიათ მორწმუნის ცხოვრება წონასწორობიდან გამოიყვანონ. პირველი უკიდურესობა – ძალაუფლების წყურვილია, მეორე – ცრუ თავმდაბლობა. საჭირო ბალანსს ტიმოთეს ცხოვრებაში ვხედავთ, რომელმაც გამოიმუშავა კეთილშობილური ხასიათი ცრუ თავმდაბლობის ნაცვლად, აღვივებდა ღვთიურ ნიჭებს და არ ეძებდა გავლენის მოპოვებას.

### სუფთა გული

მოციქული პავლე ტიმოთეს პირველად ლისტრაში შეხვდა. ამ ახალგაზრდა კაცის დედა ქრისტიანი ებრაელი იყო, მამა კი – ბერძენი.

პავლემ მოინდომა ტიმოთე მასთან ერთად წასულიყო მოგზაურობაში. მას პავლეს სხვადასხვა საჭიროებებზე უნდა ეზრუნა (საქმ.19:22;).

გავიდა დრო და ტიმოთეს ერთგულება გამოიცადა. იგი დააწინაურეს და სახარების ქადაგება მიანდვეს. კერძოდ, იგი ეფესოს ეკლესიის მწყემსი გახდა. ტიმოთეს მიმართ მეორე წერილში პავლე წერდა:

*„ვიხსენებ შენს წრფელ რწმენას, რომელიც უწინ დამკვიდრებული იყო დიდედან ლოისში და დედაშენ ევნიკეში და მწამს, რომ იგი შენშიც არის. ამ მიზეზით შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში“ (2ტიმ.1:5-6;).*

ხედავთ, პავლე აღნიშნავს, რომ მისი რწმენა არ არის თვალთმაქცური. ამ ახალგაზრდა კაცს წრფელი გული ჰქონდა. ის ვიღაც თაღლითი არ იყო. სხვა ეპისტოლეში პავლე წერს: „იმედი მაქვს უფალ იესოში, მალე გამოგიგზავნოთ ტიმოთე, რათა გავმხნევდე თქვენი ამბის შეტყობით. ვინაიდან არავინ მყავს ასეთი თანამოზიარე, ასე ბეჯითად ზრუნავდეს თქვენზე. იმიტომ, რომ ყველანი თავისას ეძებენ და არა იმას, რაც იესო ქრისტესია. თქვენ იცით მისი გამოცდა, რომ როგორც მამასთან შვილი ისე მსახურობდა ჩემთან ერთად სახარებისათვის“ (ფილ.2:19-22;).

აქედან ჩანს, რომ ტიმოთეს ხასიათის მიმართ პრეტენზიები არ იყო. ხასიათი ქრისტიანისათვის მთავარ პრიორიტეტსა და მისწრაფებას უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი მამა ეძებს არა ძალას, არამედ ხასიათს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ბევრი ქრისტიანი სულში ცხებულებისაკენ ისწრაფვის, მაგრამ ღვთისმოსაური ხასიათის გამომუშავება კი გვერდზე რჩება. კორინთელთა მიმართ პირველი წერილი გვასწავლის: „მიაღწიეთ სიყვარულს; ეშურეთ სულიერ ნიჭებს“. მაგრამ ჩვენ გავაუკუღმართეთ ეს მცნება. ჩვენ ვესწრაფით ნიჭებს და ცხებულებას. ამასთანვე, უბრალოდ გვსურს, რომ სიყვარულის ნაყოფი იყოს ჩვენს ცხოვრებაში. ღმერთი სიყვარულია და მანამ, სანამ სიყვარულში არ ვივლით, მის ბუნებას ვერ მივაღწევთ.

## პირველი უკიდურესობა: ძალაუფლების ძიება და არა ხასიათი

ზოგიერთი ქრისტიანი მზად არის ასობით კილომეტრი გაიაროს, რათა იხილოს სასწაული, მოხვდეს წინასწარმეტყველურ მსახურებაზე, მაგრამ მზად არ არის გაუმკლავდეს რისხვას, უპატიებლობას და მძვინვარებას საკუთარ გულში. აშკარაა, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებენ ძალაზე და არა ხასიათზე. ასეთ მსახურებებზე, სულიერი გამოვლინებები, რა თქმა უნდა, ღმერთისგანაა, მაგრამ ჩვენ უფრო მეტად შინაგან კაცზე უნდა ვმუშაობდეთ. მაშინაც კი, თუ ეკლესია ცივ მდგომარეობაშია, ცოდვას უნდა გავერიდოთ. კარგია, როცა ადამიანებს

სწყურიათ ღმერთის ძალა, მაგრამ მოდით, გულის სიწმიდეს ნუ უგულებელყოფთ.

ბევრი მსახურის დაცემის მომსწრე ვარ. მაგრამ ისინი დაეცნენ არა იმის გამო, რომ ამორალური საქციელი ჩაიდინეს. არა, მათი დაცემა დაიწყო უფრო ადრე, მაშინ როცა მსახურების წარმატება უფრო მთავარი გახდა, ვიდრე უფალთან ახლო ურთიერთობა. და ეს გვინახავს არა მხოლოდ მსახურებს შორის, არამედ მათ ეკლესიებშიც.

იესომ თქვა: „ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათ. 5:8). მას არ უთქვამს: „ნეტარ არიან ვისაც აქვს წარმატებული მსახურება“. მან თქვა, რომ სუფთა გულის გარეშე ღმერთს ვერ ვიხილავთ! რა თქმა უნდა, მხოლოდ იესოს შეუძლია სუფთა გულის მოცემა. მისი დამსახურება შეუძლებელია. ეს, ერთდროულად, ფასდაუდებელიცაა და უსასყიდლოც. ფასდაუდებელია, რადგან ღვთის ძემ სიცოცხლე გაიღო. უსასყიდლოა იმიტომ, რომ არაფერი ღირს მათთვის, ვინც უფალს ეძებს.

ჩვეულებრივ მე ასე ვლოცულობდი: „ღმერთო, გამომიყენე დაკარგული სულების შესაძენად. გამომიყენე, რომ განიკურნონ და გათავისუფლდნენ ადამიანები“. მე ვლოცულობდი და ვლოცულობდი, ასეთი იყო ღვთის შემეცნების დონე. ჩემი უმაღლესი მიზანი იყო წარმატებული მსახური ვყოფილიყავი.

მაგრამ იესომ დამანახა, რომ ჩემი მიდგომა არასწორი იყო. მისი სიტყვები შოკისმომგვრელი იყო. მან მითხრა: „ჯონ, იუდა დევნიდა ბოროტ სულებს, კურნავდა ავადმყოფებს და სახარებას ქადაგებდა. მან თავისი ბიზნესი მიატოვა, რომ ჩემი მოწაფე გამხდარიყო, მაგრამ სად არის ის დღეს?“. ეს ჩემთვის ერთი ტონა აგურის დარტყმის ტოლფასი იყო! ღმერთმა განაგრძო: „ქრისტიანის დიადი მოწოდების არსი არ არის ღვთიური ძალა და მსახურება; მისი მიზანია – მიცნობდეს მე“ (იხ.ფილ.3:10-15;).

მოგვიანებით, როცა ჩემი მეუღლე ლოცულობდა, რომ ღმერთს გამოეყენებინა, იესომ მას კითხვა დაუსვა: „ლიზა, როდისმე თუ გამოუყენებიხარ შენს მეგობარს?

– დიახ, – უთხრა მან.

– და როგორ გრძნობდი თავს?

– ვფიქრობდი, რომ მიღალატეს.

უფალი განაგრძობდა: „ლიზა, მე არ ვიყენებ ადამიანებს. მე ვცხებ, ვკურნავ, გარდავქმნი მათ ჩემს მსგავსად, მაგრამ მე არ ვიყენებ მათ“.

როგორ აღწერდი ოჯახურ ურთიერთობას, როცა ქალს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს – შვილები გაუჩინოს მეუღლეს. იგი ინტიმურ ურთიერთობაში შედის მხოლოდ მაშინ, როცა შვილის გაჩენას გადაწყვეტს. ხოლო საკუთარი მეუღლის, როგორც პიროვნების მიმართ არავითარი ინტერესი არ გააჩნია.

ვიცი, აბსურდულად ჟღერს. მაგრამ განა იმ თხოვნას არ ჰგავს, როცა ღმერთს შესთხოვთ: „გამოგვიყენე ადამიანთა გადასარჩენად“, იმ დროს, როცა თავად არ ვტკბებით უფალთან ურთიერთობით? როცა ახლოს ვართ ღმერთთან, ჩვენ იმის რეპროდუცირებას ვახდენთ, რაც მან განსაზღვრა: „თავისი ღმერთის მცოდნე ხალხი კი მტკიცედ დადგება და იმოქმედებს“ (ინგ.თარგმ. – „ღმერთის მცოდნე ხალხი გაძლიერდება და დიდებულ საქმეებს მოიმოქმედებს“) (დან.11:32;).

პავლეს ერთადერთი სურვილი უფლის ცოდნა იყო (ფილ.3:8-10;). მოსემ თქვა: „მაუწყე შენი გზები, რათა შეგიცნო შენ“ (გამოს.33:13;). დავითი ტიროდა: „ერთს ვთხოვდი უფალს, ამას ვევედრებოდი, რომ დავემკვიდრო უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვუმზერდე უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარს ვიხილავდე“ (ფსალ.26:4;). და კიდევ: „მოსწყურდი ჩემს სულს, შენზე ნაღვლობს ჩემი ხორცი“ (ფსალ.62:2;).

ბიბლიის გმირები, ქალები და მამაკაცები, რომლებიც ყველაზე მეტად უფლის შემეცნებისკე ისწრაფოდნენ, მისი ერთგულები რჩებოდნენ და კეთილად ასრულებდნენ იმ სარბიელს, რომელიც ღმერთს ჰქონდა მათთვის განსაზღვრული. მათ ისწავლეს ერთიანი ძლიერი მიძღვნის პრინციპი.

სხვები კი თავიანთ სულიერ სიმწიფეს მხოლოდ წინასწარმეტყველების წარმოთქმის უნარით და ნიჭებში მოქმედებით განსაზღვრავდნენ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ნიჭები ეძლევა და არა დამსახურებით მოიპოვება. ვირმაც კი იწინასწარმეტყველა და სულიერი სამყარო დაინახა. მამალმა სამჯერ იყივლა და პეტრე ამხილა. და ყოველივე ამის გამო შეიძლება ცხოველები მივიჩნიოთ სულიერებად?

იესომ თქვა, რომ მრავალი უწოდებს მას უფალს და მის სასუფეველში შესვლის იმედი ექნებათ, მაგრამ ისინი უარყოფილნი იქნებიან. ისინი სასწაულებს მოიმოქმედებენ, ეშმაკებს განდევნიან და უფლის სახელით იწინასწარმეტყველებენ. მაგრამ ის ეტყვის: „გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო“ (მათ.7:23;).

ღვთიური ცხებულება – ეს ღვთიური მოწონება, შექება არ არის. საული წინასწარმეტყველებდა მას შემდგომ, როცა ღმერთმა უკვე უარყო იგი (1მეფ.19:23-24;). კაიაფა წინასწარმეტყველებდა, თუმცა მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა – მოეკლა

ღვთის ძე (იოან.11:49-51;). ჩვენ ღმერთის გული უნდა გვქონდეს, მაშინ შევძლებთ ვიყოთ მისი ნების მორჩილნი. ამის გარეშე, ჩვენ მხოლოდ მისი ცხებულების ჩრდილში ვივლით კანონების დაცვითა და ავხორცობით გაწამებულები. ბილყამი წინასწარმეტყველებდა და მისი სიტყვები ჭეშმარიტი აღმოჩნდა. თუმცა მოკვდა, როგორც ჯადოქარი და მჩხიბავი. იგი ხმლით განგმირეს, როცა ისრაელმა აღთქმული მიწა დაიპყრო.

პავლე ტიმოთეს სათნოებას გულის სისუფთავის და ერთგული მსახურების ნაყოფად მიიჩნევდა. ჩვენ ასეთი სტანდარტი უნდა დავადგინოთ ჩვენს ირგვლივ და ნება მივცეთ სულიწმიდას შეგვაფასოს. შეუძლებელია გადავაფასოთ ამ პირობის უკიდურესი მნიშვნელობა, როცა გაუბედაობის წინააღმდეგ ბრძოლას ვაწარმოებთ. ეს თუ არ იცით ამ უწყების ჭეშმარიტება არ გაგათავისუფლებთ, შეიძლება, უფრო დაგაზარალოთ, ვიდრე დაგეხმაროთ. რადგან თვით სიტყვები კი არ ფლობენ გათავისუფლების ძალა, არამედ მათ უკან მდგომი სული და მნიშვნელობა.

სიტუაციის ასახსნელად შეგვიძლია გავიხსენოთ პეტრეს გაფრთხილება: „როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ პავლემაც მოგწერათ მისთვის მინიჭებული სიბრძნით, როგორც ლაპარაკობს იგი ამის შესახებ ყველა წერილში, რომლებშიც ბევრი რამ ისე ძნელად გასაგებია, რომ უმეცარნი და უმტკიცონი, სხვა წერილების მსგავსად, ამახინჯებენ საკუთარი თავის დასაღუპავად“ (2პეტრ.3:15-16;).

მეტად მნიშვნელოვანია, ვილტვოდეთ ღმერთთან სწორი ურთიერთობისკენ და არა იმ ფორმულის საძიებლად, თუ როგორ ვიმოქმედოთ მის ძალაში. ამის ფონზე, მოდით, გამოვიკვლიოთ პავლეს მტკიცებულება ტიმოთესადმი მიწერილ წერილში. აღნიშნავდა რა, ტიმოთეს სუფთა გულის შესახებ, პავლე წერს: „ამ მიზეზით შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში“ (2ტიმ.1:6;). აქ ნათქვამია: „ამ მიზეზით“. ტიმოთესთვის მიცემული პავლეს ინსტრუქციები, რაც ამ უკანასკნელის ცხოვრებაში ღვთის ნიჭების გამოვლენას ეხება, იქნებოდა უმოქმედო, თუ მისი რწმენა წრფელი არ იქნებოდა.

## მეორე უკიდურესობა: ცრუთავმდაბლობა

„ვიხსებებ შენს წრფელ რწმენას, რომელიც უწინ დამკვიდრებული იყო დიდედაშენ ლოისში და დედაშენ ევნიკეში და მწამს, რომ იგი შენშიც არის. ამ მიზეზით

შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში“ (2ტიმ.1:5-6;)

„ამ მიზეზით შეგახსენებ“. პავლე უბრუნდება ტიმოთეს მიმართ მიწერილ პირველ წერილს, რომელშიც მოუწოდებს: „ნუ უგულებელყოფ შენში არსებულ ნიჭს, რომელიც მოგეცა წინასწარმეტყველებით და უხუცესთა ხელდასხმით“ (1ტიმ.4:14;). პავლე ტიმოთეს ყურადღებას მიმართავს იქით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არ უგულებელყოს ღვთიური ნიჭი. იგი ამის შესახებ უკვე მეორედ წერს და ამ საკითხს წერილის დასაწყისშივე შეახსენებს.

იმაში გასარკვევათ, თუ რას ნიშნავს „ნუ უგულებელყოფ... ნიჭს“, მოდით, ვნახოთ ზოგიერთი ანტონიმი, სიტყვები, რომლებიც ამ სიტყვის („ნუ უგულებელყოფ“) საპირისპირო მნიშვნელობებს შეიცავენ.

შესრულება, მიღწევა, მოქმედება, ყურადღების მიქცევა, ზრუნვა, აღსრულება, მხედველობაში მიღება, ბოლომდე მიყვანა.

ყველა ეს სიტყვა – მოქმედების და ძალაუფლების სიტყვებია. უმრავლესობას გააჩნია, როგორც ვერბალური, ისე ნომინალური ფორმა. ყველა პოზიტიური და გადამწყვეტია. უფრო მეტად რომ ჩავსწვდეთ ღვთის სიტყვის მნიშვნელობას, გავერკვეთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „უგულებელყოფა“.

რაიმეს შენგრევა, არად ჩაგდება, შეწყვეტა, ყურადღების არ მიქცევა, ანგარიშის არ გაწევა, იგნორირება, არ დაფასება, აბუჩად აგდება, მხედველობიდან გამორჩენა.

ყველა ეს ნეგატიური სიტყვა ხაზსს უსვამს მოქმედების, გაბედულების და ძალაუფლების ნაკლებობას. ეს ძალზე სერიოზული და მნიშვნელოვანია – უგულებელვყოთ ის, რაც მოგვანდეს. ჩვენ დავზარალებდით, თუ სერიოზულები არ ვიქნებით.

ძალაუფლების წყურვილის მეორე უკიდურესობა, როგორც უკვე ვთქვით, – ცრუთავმდაბლობაა. ასეთ მდგომარეობაში მცხოვრები ადამიანები აღიარებენ, რომ ღმერთის ბუნების მსგავსებისკენ ლტოლვა მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი შუა გზაზე ჩერდებიან. ისინი არასოდეს რისკავენ, რომ ღვთიური ნიჭები გამოიყენონ თავიანთ ცხოვრებაში, რადგან ეშინიათ.

გაურბიან ყველაფერს, რაც კონფრონტაციასთან არის კავშირში, რადგან მას აღიქვამენ, როგორც სიყვარულის ანდა ქრისტიანული ხასიათის უქონლობას.

მე ასეთ ადამიანებს ვუწოდებ „მშვიდობის დამცველებს“. ერთი შეხედვით „მშვიდობის დამცველობა“ შესაძლოა მიმზიდველად გამოიყურებოდეს, მაგრამ იესო არასოდეს ამბობს: „ნეტარ არიან მშვიდობის დამცველნი“. იგი ამბობს: „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, ვინაიდან ღვთის შვილებად იწოდებიან“ (მათ.5:9;). „მშვიდობის დამცველი“ ნებისმიერ ფასად ინარჩუნებს მშვიდობას. ის ყველაფერს გააკეთებს, რათა შეინარჩუნოს საკუთარი უსაფრთხოების ცრუ გრძნობა, რომელსაც შეცდომით აღიქვამს, როგორც მშვიდობას.

მეორე მხრივ, მშვიდობისმყოფელს შეუძლია გაბედულად წავიდეს კონფრონტაციაზე, და მნიშვნელობა არა აქვს, რის ფასად დაუჯდება მას ნაბიჯის გადადგმა, – იგი არ ზრუნავს საკუთარ თავზე. პირიქით, მისი მოტივია – ღვთისა და ხალხის სიყვარული. მხოლოდ ამ პირობის შემთხვევაში დამყარდება ჭეშმარიტი მშვიდობა.

ღვთის სასუფეველში არის მშვიდობა (რომ.14:17;). მაგრამ ეს მშვიდობა არ მოდის კონფრონტაციის არქონის გამო. როგორც იესომ თქვა: „ცათა სასუფეველი ძალით აიღება“ (მათ.11:12;). ცათა სასუფევლისკენ წინსვლაში არის ძალისმიერი წინააღმდეგობა.

ხშირად ჩვენ ვფიქრობთ: „ამას უბრალოდ ყურადღებას არ მივაქცევ და ყველაფერი გაივლის“. მაგრამ გამოვფხიზლდეთ და გავაცნობიეროთ, რომ რასაც არ დავუპირისპირდებით, მას ვერც შევცვლით!

> „საყვარელნო ძალიან მოწადინებული ვიყავი მომეწერა თქვენთვის ჩვენს საერთო ხსნაზე. საჭიროდ ჩავთვალე მომეწერა თქვენთვის შეგონება, რომ იღწვოდეთ რწმენისათვის, რომელიც ერთხელ წმიდებს გადაეცა“
> (იუდ.3;)

ის ამბობს, რომ „იღწვოდეთ“ და არა მხოლოდ უკეთესის იმედი გვქონდეს. იღწვოდეთ, ე.ი. „იბრძოლეთ“ ან „მოიგეთ ბრძოლა(გაიმარჯვეთ)“. ქრისტიანობა – ეს უბრალოდ იოლი ცხოვრება როდია! ჩვენს ღმერთისადმი ლტოლვას თან სდევს გამუდმებული წინააღმდეგობა, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სამყაროში!

პავლე ამხნევებს ტიმოთეს: „იტანჯე ჩემთან ერთად, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა. არც ერთი მეომარი არ შეიბორკება ცხოვრებისეული საქმეებით...“ (2ტიმ.2:3-4;). ჩვენ ჩართული ვართ ომში. საკუთარ თავს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც მებრძოლს, ჯარისკაცს. ჩვენ არ ვაპირებთ უკან დაბრუნებას, არამედ ბოროტების სიკეთით დაძლევას, მასზე უფლის მადლით გამარჯვებას (რომ.12:21;).

ეფესოს ეკლესიის მწყემსის, ტიმოთეს მიმართ მიწერილი პავლეს წერილები მხედართმთავრის ბრძანებებს მოგვაგონებს. ტიმოთეს უწევდა გამოწვევების წინაშე დგომა. საჭირო იყო ცრუ დოქტრინების მხილება, ბრძოლა, დავების მოგვარება, ლიდერების წამოწევა – ერთი სიტყვით, ყველაფრის გაკეთება, რათა ეკლესია ძლიერი და მოწიფული ყოფილიყო. ეს მხოლოდ რამდენიმეა იმ სხვა მრავალ მოვალეობას შორის, რომლებთანაც მას უწევდა შეჯახება.

დარწმუნებული ვარ, მრავალი საშუალება იყო კონფრონტაციისათვის. მჯერა, რომ ტიმოთეს წინააღმდეგ ბრალდება და ცილისწამება ეკლესიაში უპატიოსნო და უმწიფარი ადამიანების მიერ იყო გავრცელებული. სხვა ყველაფერთან ერთად, მას კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა მოეპოვებინა გამარჯვება – თავის ასაკზე. იგი ახალგაზრდა იყო, ეკლესიაში ბევრი იყო მასზე უფროსი. ეს თავისთავად უკვე გზას უხსნის გაუბედაობას და ყოველივე ამის ფონზე პავლე ურჩევს ტიმოთეს იყოს ძლიერი, არ დაივიწყოს ის, რაც მასშია ჩადებული. პავლე გამუდმებით შეახსენებს ტიმოთეს ღვთისაგან ბოძებულ ძალაუფლებაში დარჩენის შესახებ. შესაძლოა, ტიმოთემ ერთხელ მაინც უკან დაიხია, მაგრამ პავლე წერს:

„ეს ამცნე და ასწავლე“ (1ტიმ.4:11;)

„ეს ამცნე, რათა უბიწონი იყვნენ“ (1ტიმ.5:7;)

„ამიტომ... იყავი ძლიერი მადლში, რომელიც ქრისტე იესოშია“ (2ტიმ.2:1;)

შესაძლოა, ტიმოთე ბევრ დღევანდელ ქრისტიანს ჰგავს, – მათ უყვართ ღმერთი, მაგრამ კონფრონტაციას გაურბიან. მაგრამ წინააღმდეგობის წინაშე შიში გაუბედაობის იოლ ნადავლად გვაქცევს.

თუ საკუთარ თავს ასეთი სახის შიშთან აიგივებთ, მაშინ, დაე ამ უწყებამ გაბედულება და თავისუფლება მოგიტანოთ. ღმერთს

სურს, რომ იყოთ თავისუფლები და შეძლოთ მიაღწიოთ იმას, რასაც ღმერთი თქვენგან მოითხოვს. როცა შეშინებული ხართ არ გაქვთ სიხარული. ხოლო სიხარულის გარეშე არ არის ძალა. როცა არის შიში, არ არის მშვიდობა. მაგრამ როცა გაარღვევთ წინააღმდეგობას, რომელიც გაბრკოლებდათ, თქვენ მოიპოვებთ უხვ სიხარულსა და მშვიდობას!

*რა  კავშირშია ეს ჩემთან?*
*რა შეხება აქვს  ამას ჩემთან?*

# ღვთისგან ბოძებული ნიჭები

ამამდე ჩვენ ვსაუბრობდით გაუბედაობის და მისი შედეგების შესახებ მხოლოდ ეკლესიის ლიდერებთან მიმართებაში. მაგრამ სავსებით სარწმუნოა, რომ ამ წიგნის მკითხველთა დიდი ნაწილი არ ეწევა მსახურებას  სრული დროით. ალბათ, იკითხავთ: „რა კავშირშია ეს ჩემთან?“.

ღმერთმა თითოეულ მორწმუნეს განუსაზღვრა ადგილი ანდა პოზიცია სულში. გახსოვთ, პავლე განმარტავდა, რომ ღმერთმა „თანააღგვადგინა და ცათა შინა თანადაგვსხა ქრისტე იესოში“ (ეფეს.2:6;). იქ უნდა იმყოფებოდნენ დახსნილი ღვთის შვილები. ეს ადგილი მდებარეობს „ყველა მთავრობებზე, ხელმწიფებაზე, ძალზე, უფლებაზე და ყოველივე სახელზე მაღლა, რაც კი იწოდება არა მარტო ამ საუკუნეში, არამედ მომავალშიც. და ყოველივე დაემორჩილა მის ფეხთა ქვეშ და დაადგინა იგი ყველაფერზე – თავად ეკლესიისა, რომელიც მისი სხეულია, სისავსე აღმავსებლისა ყოველივესი ყოველივეში“ (ეფეს.1:21-23;).

ეკლესია – ეს ქრისტეს სხეულია. და ისევე, როგორც ადამიანის ფიზიკური სხეული სხვადასხვა ფუნქციისა და უნარების მქონე ნაწილებისაგან შედგება, ქრისტეს სხეულის ნაწილებიც სხვადასხვა მოწოდებასა და ნიჭებში მოქმედებენ. მათი მიზნები და მოქმედებები  ღმერთმა განსაზღვრა. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია, მაგრამ არავინ არის სხვებისგან დამოუკიდებლად.

პავლემ განაცხადა, რომ მთელი დემონური სულები იესოს ფეხქვეშაა. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ არცერთ ბოროტ სულს არ შეუძლია თავისი ძალაუფლების მორწმუნის მიმართ გამოყენება. იესომ თქვა: „აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად და მტრის ყოველი ძალისა, თქვენ კი არაფერი გევნებათ“ (ლუკ.10:19;). მაგრამ, თუ

არ ვვარჯიშობთ და ღვთისგან მონიჭებულ ძალაუფლებაში არ დავდივართ, ვიღაც წაგვართმევს ამ ძალაუფლებას და ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებს! მტერი ჩვენს სულიერ პოზიციაზე ნადირობს.

**ნიჭები მოგვეცა, რათა ვიმოქმედოთ**

მოდით, განვაგრძოთ ტიმოთეს მიმართ მიწერილი პავლეს წერილის შესწავლა.

„ამ მიზეზით შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში“ (2ტიმ.1:6;)

სიტყვა „ნიჭი“ ბერძნულ ენაზე არის „ქარიზმა“. სტრონგის სიმფონია ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „სულიერი წვლილი“. Vine`s dictionazy-ს განსაზღვრებით: „მადლის ნიჭი, რომლითაც მოსილნი არიან მორწმუნეები სულიწმიდის მოქმედების საშუალებით“. ამრიგად, სიტყვა „ქარიზმა“ აღწერს იმ სულიერ შესაძლებლობებს, რითაც ღმერთმა აღჭურვა მორწმუნეები.

სულიერ სფეროში არაფერი ხდება ამ „ქარიზმის“, ანუ ღვთისაგან ბოძებული ზებუნებრივი უნარის გარეშე. რომ არა ეს უნარი ვერ შევძლებდით ვერც ქადაგებას, ვერც გალობას, ვერც წინასწარმეტყველებას, ვერც წინამძღოლობას და ვერც მომსახურებას. არაფერი ხდება ცხოვრებაში ამგვარი მადლის გარეშე. უსიცოცხლო რელიგია იბადება ადამიანის მცდელობის შედეგად, რაც უფლის მიმართ საკუთარი ძალებით მსახურებაში მდგომარეობს. როცა სხვებს ვემსახურებით უფლისგან ბოძებული ნიჭის გარეშე, ჩვენი შრომა ამაოა.

დაუკვირდით, რომ ნიჭი უკვე იყო ტიმოთეში. ნიჭი, რომელსაც ღმერთი გვანიჭებს, მოდის და მიდის, მაგრამ ჩვენში რჩება. „ვინაიდან უცვალებელია ღვთის ნიჭი („ქარიზმა“) და მოწოდება“ (რომ.11:29;). ასეთი ნიჭი, ასეთი ძალა – ეს აღჭურვაა, რომელიც ღვთისაგან ჩვენთვის მოცემული მოწოდების აღსასრულებლად არის საჭირო. ამ ნიჭებში მოქმედება ჩვენთვის უნდა იყოს ბუნებრივი და მოსახერხებელი. როგორც ჩვენი სხეულების ნაწილების როლი და ფუნქცია უცვლელია, არ ჩნდება საიდანღაც და არ ქრება მოულოდნელად, ზუსტად ასევეა ღმერთის მიერ ბოძებული ნიჭების შემთხვევაშიც.

პავლე რომაელ მორწმუნეებს წერს: „ვინაიდან, ძალიან მსურს თქვენი ნახვა, რათა გიწილადოთ სულიერი ნიჭი თქვენს განსამტკიცებლად“ (რომ.1:11;). ეკლესია ვერ განმტკიცდება

ასეთი ნიჭების გარეშე, სულიერი საჭურვლის გარეშე, რაც ღმერთის შვილებს აძლევს უნარს მისი ნების აღსასრულებლად. ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი მუხლი:

„თითოეული ერთმანეთს იმ ნიჭით ემსახურეთ, რაც მიგიღიათ, როგორც ღვთის მრავალგვარი მადლის კეთილმა მნეებმა“ (1პეტრ.4:10;)

ამ მუხლებში ჩვენ სამ პუნქტს განვიხილავთ:

1. თითოეული ღებულობს ნიჭს;
2. ნიჭი არ გვეკუთვნის ჩვენ, ჩვენ – მხოლოდ მნეებს წარმოვადგენთ;
3. ნიჭი – ეს ღვთის მრავალგვარი მადლის ნაწილია.

### *1. თითოეული ღებულობს ნიჭს*

ნახეთ, რას ამბობს ბიბლია: „თითოეული იმ ნიჭით ემსახურეთ, რაც მიგიღიათ“. პეტრეს არ უთქვამს: „იმ ნიჭით, რომელიც ზოგიერთმა რჩეულმა მიიღეთ“. არა. თუ ზეციდან იშვით და სულით ხართ აღვსილი, თქვენ მიიღეთ ღვთიური ნიჭი, რათა იმოქმედოთ მის სხეულში.

პავლე ეფეს.4:7-ში ამბობს: „ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისამებრ“. 1კორ.7:7-ში ვკითხულობთ: „ვინაიდან მსურს, ყველა ადამიანი იყოს, როგორც მე ვარ. მაგრამ ყველას თავისი ნიჭი აქვს ღმერთისგან, ზოგს ასეთი, ზოგს ისეთი“.

თუ ჩვენ არ ვიცით ამის შესახებ, მაშინ არ ვვარგივართ მსახურებისათვის და არც მსახურების უნარი არ გაგვაჩნია. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მოწოდება განუხორციელებელი რჩება. პატარა ბავშვის მსგავსად, რომელიც სწავლობს საკუთარი სხეულის სხვადასხვა ნაწილებთან დამოკიდებულებას, ჩვენც უნდა ვვარჯიშობდეთ და ვავითარებდეთ ამ მსახურების ნიჭებს ქრისტეს სხეულში. უფლის სხეულის არცერთ ნაწილს არ შეუძლია მისი ზებუნებრივი შესაძლებლობების გარეშე მოქმედება.

### *2. ნიჭი არ გვეკუთვნის ჩვენ, ჩვენ — მხოლოდ მნეებს წარმოვადგენთ*

რამდენადაც ჩვენ არ ვფლობთ ამ ნიჭს, იმდენად არ შეგვიძლია მისი იგნორირება, ანდა პირადი სარგებლობისათვის

გამოყენება. ის ჩვენი არ არის, რომ ისე მოვეპყროთ, როგორც მოგვესურვება. ნიჭები მოცემულია იმისათვის, რომ სხვებს მოვემსახუროთ, ჩვენ კი ანგარიშვალდებულნი ვართ მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულებისადმი.

გაიხსენეთ იგავი ტალანტების შესახებ. ბატონმა „ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს – ორი და სხვას – ერთი, თითოეულს მისი უნარისდა მიხედვით“ (მათ.25:15;) და წავიდა. პირველმა ორმა ტალანტი ბრძნულად გამოიყენა და მოგებაც მიიღო, მესამემ კი თავისი ტალანტი მიწაში დაფლა. როცა ბატონი დაბრუნდა ორმა მსახურმა ანგარიში ჩააბარა მათთვის მიბარებული ტალანტების შესახებ. ბატონმა თითოეულს უთხრა: „კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ“.

შემდეგ, ანგარიშის ჩასაბარებლად მოვიდა მესამე მონა, რომელმაც შიშისგან თავის ტალანტი მიწაში ჩაფლა. მას თავისი ბატონი წარმოედგინა, როგორც უსამართლო და ძალზე მომთხოვნი. ამიტომ მსახურმა თავს უფლება მისცა დაუდევარი, ეგოისტური და უდარდელი ყოფილიყო. მან უთხრა თავის ბატონს: „აჰა, შენი შენვე გქონდეს“. როცა ბატონმა დაინახა, რომ მსახურმა არად ჩააგდო ის, რაც მისი მზრუნველობის საგანი უნდა ყოფილიყო, მას ბოროტი და ზარმაცი უწოდა. მას წაართვეს ერთადერთი ტალანტი და გადასცეს იმას, ვინც თავისი გააორმაგა. ხოლო ის მონა, რომელმაც მოგება არ მოიტანა, გააძევეს ბატონის სახლიდან (მათ.25:16-30;).

ჩვენ მოგვიწევს ანგარიშის ჩაბარება იმ ნიჭებისათვის, რომლებიც მოგვეცა, ყველა იმ მმართველის მსგავსად, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი დამქირავებლების მიმართ. ნიჭის განმსაზღვრელი კიდევ ერთი სიტყვა – ესაა „უნარი“, რაც ცოდნას, ოსტატობას, გენიალობას, ძალას ნიშნავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ – ესაა ტალანტი. ამ იგავში ვხედავთ ცოცხალ ილუსტრაციას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ღმერთის მიერ ბოძებულ ნიჭზე, უნარზე ანდა ტალანტზე და მის განვითარებაზე ზრუნვა.

პავლეს მიანდეს მასწავლებლის და მოციქულის მსახურება. მან თქვა: „მსახური გავხდი ღვთის მადლის ნიჭით, ჩემთვის მოცემული მისი ძალისხმევით“ (ეფეს.3:7;). ყურადღება მიაქციეთ, თუ რა სერიოზულობით ეკიდება იმას, რომ იყოს ერთგული იმ ნიჭის მიმართ, რომელიც მას მიანდეს.

> „რადგან თუ ვახარებ, არაფერი მაქვს სასიქადულო, ვინაიდან ეს ჩემი აუცილებელი მოვალეობაა, და ვაი მე, თუ არ ვახარებ. ვინაიდან თუ სურვილით ვაკეთებ ამას, საზღაური მქონია, ხოლო თუ სურვილის გარეშე, მხოლოდ მნეობა მქონია მონდობილი“ (1კორ.9:16-17;)

პავლე ამბობს: „ვაი მე“. „ვაი“ – ეს ძალზე ძლიერი სიტყვაა. იესო ამ სიტყვას იყენებდა ცალკეული ადამიანების და მთელი ქალაქების გასაფრთხილებლად მომავალი სამსჯავროს თაობაზე. მან თქვა „ვაი“ ქორაზინს და ბეთსაიდას და ეს ქალაქები აღარ არსებობენ (მათ.11:21-22;). მან თქვა „ვაი“ მწიგნობრებს და ფარისევლებს (მათ.23;) და იუდას (მათ.26:24;).

სიტყვა „ვაი“ გამოიყენება იუდას ეპისტოლეში, სადაც საუბარია ღვთის სამსჯავროს შესახებ ეკლესიაში მყოფი ცოდვილების მიმართ. გამოცხადების წიგნში კი დედამიწაზე მცხოვრებთა მისამართით ღვთის სამსჯავროს დღეების დროს (გამოცხ.8:13;). სიტყვა „ვაის“ გამოყენებით პავლე ხაზს უსვამდა ღვთიური ნიჭისადმი ერთგულების უდიდეს პასუხისმგებლობას.

ქრისტიანი ჩამოცილდება ღმერთს, თუ ის თავის ნიჭში და მოწოდებაში არ იმოქმედებს. უმოქმედო ქრისტიანი საკუთარი თავის იზოლირებას ახდენს და მტრის იოლი ნადავლი ხდება. ღმერთის მამაკაცებისა და დედაკაცების ცხოვრების შესწავლით დავინახე, რომ ზოგიერთი მათგანი, ვინც დაეცა, ერთ დროს ზერელედ და უდიერად ეპყრობოდა თავის მოწოდებას. შესაძლოა, ისინი აგრძელებდნენ კიდეც მსახურებას, მაგრამ მათი საქმიანობა განვლილი წლების საკუთარ მიღწევათა ცოცხალ ძეგლს წარმოადგენდა. მათ ღვთიური ნიჭების გამოყენება საკუთარი გამორჩენისთვის დაიწყეს და არა იმისათვის, რომ სხვები დაეცვათ და მათ მომსახურებოდნენ.

მეფე დავითი ცოდვაში ჩავარდა მაშინ, როცა იგი ომში უნდა ყოფილიყო.

> „წელიწადის შემობრუნებისას, მეფეთა გამოსვლის ჟამს, გაგზავნა დავითმა იოაბი თავისი ხალხითურთ და მთელი ისრაელი. და გაანადგურეს ყამონის ძენი და შემოადგნენ რაბას, დავითი კი იერუსალიმში დარჩა“ (2მეფ.11:1;)

დავითი იყო მეფე. ღმერთმა დააყენა იგი მეფედ, რათა მას, როგორც მწყემსს, ემწყემსა ისრაელი და ეზრუნა მასზე. იგი ომში უნდა წასულიყო და არა ისრაელში დარჩენილიყო და წარსული გამარჯვებების ნაყოფებით დამტკბარიყო. დავითი მოეშვა და განცხრომას მიეცა. იგი აივანზე გადმომდგარი თავის სამფლობელოს ათვალიერებდა, როცა მობანავე ბერ-შაბაყი შენიშნა. ამ ისტორიის დასასრული თავადვე იცით.

საქმე იმაშია, რომ აქ ჩვენ არდადეგებზე არ ვართ. თვით ჩვენი სიცოცხლეც კი ჩვენ არ გვეკუთვნის, რადგან ის ფასით არის ნაყიდი და შემდეგ უკანვე დაბრუნებული იმისათვის,

რომ ვმართოდ (განვკარგოთ). ჩვენ აქ (ქვეყნიერებაზე) მხოლოდ დროებით ვიმყოფებით და არა სამარადჟამოთ. მაგრამ ზოგიერთები ისე იქცევიან, თითქოს ეს ცხოვრება მათი დანიშნულების საბოლოო პუნქტს წარმოადგენდეს!

იესომ თქვა: „ჩემი საჭმელია – ვქმნა ჩემი მომავლინებლის ნება და აღვასრულო მისი საქმე“ (იოან.4:34;). ასეთივე უნდა იყოს ჩვენი დიეტაც. იესომ იცოდა, თუ რა იყო საჭირო ფორმის შესანარჩუნებლად. ჩვენ ძალას ვიღებთ საკვებიდან, ფიზიკური იქნება ეს თუ სულიერი. თუ ჩვენ ვწყვეტთ მისი ნების აღსრულებას, მისი საკვების რესურსს მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვიყენებთ და შედეგად მოდის დაღლა და ძალის დაკარგვა, თითქოს საკვებს მეტად აღარ იღებს ჩვენი ორგანიზმი. და ძალადაკარგულები აღმოვაჩენთ, რომ უფრო ადვილია მიჰყვე ამქვეყნიურ დინებას, ვიდრე მის წინააღმდეგ იარო. ჩვენ ვხდებით თვითკმაყოფილები, თვითსამართლიანები, კონცენტრირებულები მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ.

ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია. არ უნდა ვიყოთ ისეთი ქრისტიანები, რომლებიც უბრალოდ დადიან ეკლესიაში და არ ცხოვრობენ იმ პრინციპებით, რასაც იქ ასწავლიან. ასეთი ადამიანები მხოლოდ სუქდებიან ღვთის სიტყვის საშუალებით. ეზეკ.34:20-ში ღმერთი აფრთხილებს: „ამიტომ ასე უთხრა მათ უფალმა ღმერთმა: „აჰა, მე განვიკითხავ ჯანსაღ (ინგლ. „მსუქან“) კრავსა და გამხდარ კრავს შორის“.

ვინ არიან ეს მსუქანი ცხვრები? ისინი, ვინც ღვთიური სიკეთეებით საკუთარ თავს ემსახურებიან, და სხვებს არად აგდებენ. ნახეთ, როგორ აღწერს უფალი ასეთებს:

> „განა ცოტაა თქვენთვის კარგ სამწყემსურზე მწყემსვა, რომ დანარჩენს თქვენს სამწყემსურებზე ჰქელავთ ფეხებით და დალექილ წყალს სვამთ და დარჩენილს ფეხით ამღვრევთ?... ვინაიდან გვერდსა და მხარს ჰკრავთ თქვენ და რქებით რქენთ ყველა სუსტსა, სანამ არ გარეკავთ მათ გარეთ. მე კი ვიხსნი ჩემს ცხვრებს და აღარ იქნებიან მეტად ნადავლად, და გავიკითხავ კრავსა და კრავს შორის“ (ეზეკ. 34:18, 21-22;)

ღვთიური ნიჭები – ქონების დასაგროვებლად არ გვეძლევა. ღმერთი გვცდის თავისი მადლით. ღვთიური შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ იმ ადამიანთა სამსახურში, რომლებიც სუსტები, ახალგაზრდები ანდა უუნარონი არიან. და მაშინ, სხეული ერთიანი იქნება.

სწორად გამიგეთ. ცუდი არაფერია იმაში, თუ ჩვენი შრომის ნაყოფებით ვისიამოვნებთ. ღმერთი გვაძლევს დასვენებასაც და ძალების აღდგენის შესაძლებლობასაც. მაგრამ როცა მთელი ჩვენი ყურადღება მხოლოდ საკუთარი თავის მიმართ არის გადატანილი, მსუქნები და უდარდელები ვხდებით. ნიჭები და ტალანტები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი თავის მსახურებისათვის გამოიყენება, არ მრავლდება.

თქვენი სხეულის თითოეული ნაწილი პასუხისმგებელია დანარჩენი ნაწილების მიმართ. თუ ფეხები მუშაობაზე უარს განაცხადებენ, მაშინ მთელი სხეული დაიტანჯება. თუ გული ან ფილტვები მუშაობას შეწყვეტენ, მაშინ მთელი სხეული დაიღუპება! თუ სატანა თქვენს ყურადღებას მხოლოდ საკუთარ თავზე გადაგატანინებთ და სხვების მიმართ მსახურებას ჩამოგაშორებთ, ამით მთელი სხეული დაიტანჯება.

### *3. ნიჭი – ეს ღვთის მრავალგვარი მადლის ნაწილია*

აქ ძირითადი სიტყვაა „მრავალგვარი(მრავალმხრივი)“. პეტრე ნიჭებს ორ ძირითად კატეგორიად ყოფს. პირველი – სამეტყველო ნიჭები ანუ სალაპარაკო ნიჭები, მეორე – მსახურების ნიჭები.

„თუ ვინმე ლაპარაკობს, ილაპარაკოს როგორც ღვთის სიტყვით, თუ ვინმე ემსახურება, ღვთის მიერ მინიჭებული ძალით ემსახუროს“ (1პეტრ.4:11;)

შემდეგ პავლე განსაზღვრავს ამ ორ კატეგორიას. წავიკითხოთ ნაწყვეტი რომაელთა მიმართ წერილიდან:

> „ვინაიდან, ჩვენ ერთ სხეულში მრავალი ასო გვაქვს, მაგრამ ყველა ასოს როდი აქვს ერთი და იგივე საქმე. ასევე ჩვენ, მრავალნი ერთ სხეულად ვართ ქრისტეში, ხოლო ერთიმეორისთვის – ასონი. და გვაქვს მადლით სხვადასხვა ნიჭი, ჩვენთვის მოცემული, თუ ქადაგებაა – რწმენის მიხედვით, თუ მსახურებაა – მსახურებაში, თუ მოძღვარია – გამხნევებაში, გამნაწილებელია – უბრალოებაში, წინამდგომია – სიბეჯითეში და მწყალობელია – მხიარულებაში“ (რომ.12:4-8;)

სამეტყველო ნიჭებს მიეკუთვნება: წინასწარმეტყველება, სწავლება, შეგონება, ხელმძღვანელობა. მსახურების ნიჭებია: სრული დროით მსახურება, გაცემა, ქველმოქმედება.

ნება მომეცით აღვნიშნო ერთი რამ: სამეტყველო ნიჭების გამოყენებით ხელმძღვანელ პოზიციაზე ვერ აღმოჩნდებით, ვიდრე არ გამოიცდებით ერთგულებასა და მსახურებაში მათ მიმართ, ვინც უკვე იმყოფება ასეთ პოზიციაზე. ბევრს სურს, რომ იყოს ლიდერი და იქადაგოს, მაგრამ სინამდვილეში არ უნდათ თავიანთი ცხოვრება მსახურებას მიუძღვნან. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რამდენად ნიჭიერები არიან. მათი ნიჭი და უნარი მხოლოდ ზიანს მოუტანს, როგორც თავად მათ, ასევე იმ ადამიანებს, ვინც მათი მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდებიან. თუ ადამიანის ხასიათი არ არის სხვებისადმი მსახურებაში გამოწრთობილი, ხელმძღვანელის(ლიდერის) პოზიცია ადამიანებზე ბატონობისათვის იქნება გამოყენებული.

მინახავს, როგორ გამოვლენილა ეს ორი უკიდურესობა ამ საკითხის უცოდინარობის მიზეზით. პირველ უკიდურესობას მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავზე იმაზე მეტად ფიქრობენ, ვიდრე უნდა ფიქრობდნენ. ისინი ცდებიან, როცა სამეტყველო ნიჭებს მიიჩნევენ, როგორც ერთადერთ არსებულს; ფიქრობენ, რომ სრული დროით მსახურება – ეს უმაღლესი წერტილია და არ სჯერათ, რომ ღვთისადმი მსახურების სხვა საშუალებაც არსებობს.

ეს არის არასწორი. „ვინაიდან სხეული ერთი ასო კი არ არის, არამედ ბევრი... თუ მთელი სხეული თვალია, სადღაა სმენა? თუ ყველაფერი სმენაა, სადღაა ყნოსვა?“ (1კორ.12:14,17;). ყველას უნდა, რომ პირი იყოს. მაგრამ თითოეული ნაწილი მნიშვნელოვანია. დახმარების მსახურების გარეშე სამეტყველო ნიჭები შემოსაზღვრულია. ადამიანები ცდილობენ იმოქმედონ იმ ნიჭში, რომელიც სურთ, რომ ჰქონდეთ, და არა იმაში, რომელიც აქვთ!

მეორე უკიდურესობა – ეს ისინი არიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნებისმიერი მსახურება მქადაგებლებითა და მისიის თანამშრომლებით შემოიფარგლება. ასეთი აზროვნება ამახინჯებს სხეულს და ინვალიდივით მოქცევას აიძულებს.

პავლე განმარტავს: „არამედ, სხეულის ის ასოები, რომლებიც ყველაზე უძლურნი ჩანან, უფრო მეტად საჭირონი არიან. ხოლო რომლებიც ნაკლებ საპატიო გვეჩვენება სხეულში, მით უფრო უხვად გარემოვიცავთ პატივით“ (1კორ.12:22-23;). ეს მნიშვნელოვანს ხდის მათ, ვინც შეუმჩნეველნი არიან. შეგიძლია იცოცხლო ხმის გარეშე, მაგრამ ღვიძლისა და გულის გარეშე ამას ვერ შეძლებ. მათ გარეშე ვერც სიარულს შევძლებთ და ვერც ლაპარაკს.

მოციქულთა საქმეების წიგნში ნაჩვენებია ნიჭებისადმი დამოკიდებულება ადრეულ ეკლესიაში. ადრეულმა ქრისტიანებმა გააცნობიერეს, რომ ღმერთისადმი მსახურება – ეს რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ქადაგება, განკურნება, განთავისუფლება და წინასწარმეტყველება. საქმეების მე-6 თავში ნათქვამია, რომ იერუსალიმის ეკლესიაში ზოგიერთ ქვრივს არასამართლიანად ეპყრობოდნენ. მათ საკვები და ყოველდღიური დახმარება ესაჭიროებოდათ.

როცა ლიდერებმა ამ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება, თქვეს: „ამოირჩიეთ ძმებო, თქვენგან შვიდი სარწმუნო, სულიწმიდით და სიბრძნით აღსავსე კაცი, ისინი გავამწესოთ ამ საქმეზე“ (საქმ.6:3;). მოძებნეს ადამიანები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნებს და მოციქულებს მიუყვანეს: „წარუდგინეს ისინი მოციქულებს, ილოცეს და ხელები დაასხეს მათ. და ვრცელდებოდა ღვთის სიტყვა და დიდად მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში და მღვდელთაგანაც ბევრი ემორჩილებოდა რწმენას“ (საქმ.6:6-7;).

რა მოხდა, როცა მოციქულებმა ხელები დაასხეს მათ? ამ ადამიანებმა მიიღეს მსახურების ნიჭი და როგორც შედეგი, გავრცელდა ღვთის სიტყვა და გაიზარდა მოწაფეთა რიცხვი. საოცარი ფაქტია! მამაკაცები ქვრივებს ემსახურებიან და ეს არის მიზეზი იმისა, რომ ვრცელდება ღვთის სიტყვა და მოწაფეთა რიცხვი იზრდება.

ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ეკლესიები არ იზრდება და არ მრავლდება არის ის, რომ ყველა ადამიანი (რიგითი მორწმუნეები და ლიდერები) თავიანთ ნიჭებში არ მოქმედებს. მოციქულთა საქმეების წიგნი იმასაც კი გვიჩვენებს, თუ  როგორ შეუძლია ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობის უფალთან მიყვანა ნიჭებში მოქმედ ლიდერს და რამდენად დიდი იქნება შედეგები, თუ საქმეში მთელი ეკლესია ჩაერთვება.

ორმოცდამეათე დღეს, როცა პეტრე ქადაგებდა „იმ დღეს შეემატა სამი ათასამდე სული“ (საქმ.2:41,47;). მაშინაც კი, როცა პეტრე განკურნების ცხებულებით დადიოდა იერუსალიმის ქუჩებში „სულ უფრო და უფრო ემატებოდნენ უფალს მორწმუნეები, მრავალი მამაკაცი და დედაკაცი“ (საქმ.5:14;).

მაგრამ როცა მორწმუნეები ყოველდღიურად  ასწავლიდნენ ღვთის სიტყვას სახლებში (საქმ.5:42;), ეკლესიამ „გამრავლება“ დაიწყო (საქმ.6:7;). მორწმუნეების მსახურების შემდგომი ნაბიჯი ქვრივებზე ზრუნვა გახდა. ამის შემდგომ ეკლესია „დიდად მრავლდებოდა“ (საქმ.6:7;).

დღეს მწყემსებს, ფაქტიურად, დამხმარე მსახურების ძებნა უწევთ. და ეს ძალზე საწყენია! საქმეების წიგნში ვერ ნახავთ, რომ ლიდერები მსახურების ნაკლებობას განიცდიდნენ და მათ ძიებაში იყვნენ. მაშინ რამდენად სერიოზულად უდგებოდნენ დამხმარე მსახურის პოზიციას, რომ ეძებდნენ უნარიან ადამიანებს იმისთვისაც კი, რომ მაგიდები გაეწყოთ. უნარიანებს – რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ეხებოდა მათ ხასიათს და არა ტალანტებს. ასეთებს ირჩევდნენ. რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაშინ მორწმუნეები ისეთ მსახურებებს, რომლებიც დღეს სათაკილოა!

## ერთგულების პასუხისმგებლობა

რა მოხდება, თუ ყველა მორწმუნე თავის ადგილს იპოვის? ბევრ საოცარ რამეს ვიხილავდით! გამოღვიძება – მხოლოდ მქადაგებლებისთვის როდია, არამედ მთელი სხეულისთვის. გამოღვიძებაში თითოეულ ადამიანს თავისი პოზიცია უკავია. გახსოვდეთ: ნიჭი – ეს არის უნარი, რომელსაც ღმერთი გვაძლევს. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ იმაზე, რაც არ მიგვიღია. ფეხი პასუხს არ აგებს მხედველობაზე. მაგრამ ასეც რომ იყოს, უფლის ნება მხოლოდ სულიწმიდის მიერ მოცემული უნარების საშუალებით აღსრულდება. „არა იმიტომ, რომ ჩვენ ძალგვედვას ჩვენ თვითონ განვსაჯოთ რაიმე, ვითომც ჩვენგან იყოს და არა ღვთისაგან ჩვენი შემძლეობა“ (2კორ.3:5;).

მტერს სწორედ ამ ერთობლივი ნიჭების მოქმედების შეჩერება სურს. და როცა მას ეს გამოსდის, სერიოზული საფრთხე ექმნება ჩვენ ზრდა-განვითარებას! მან იცის, რომ ღმერთს ხელს ვერ შეუშლის ადამიანებს ნიჭები უბოძოს. ამიტომ ნადირობს იმაზე, რომ ადამიანებმა საკუთარი ნებით განაცხადონ უარი მათ გამოყენებაზე. გაუბედაობა და შიში – ეს არის ბოროტის პირველი ხელის შემშლელი საშუალება.

*განყოფილება II*

# გაუჯედაოჯის გამოაშკარავება

*რატომ არის ბევრი ჩვენგანი არაეფექტური?*

# უმოქმედო ნიჭები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული მორწმუნე ფლობს ძალაუფლების პოზიციას, რომელიც ღვთისაგან ბოძებულ ტალანტებთან და ნიჭებთან ერთად მოდის და დაფარულია ისეო ქრისტეში, რაც ყოველ დემონურ ძალაზე აღმატებულია. მაშ, რატომ არის ბევრი ჩვენგანი არაეფექტური? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მოდით, წავიკითხოთ პავლეს სიტყვა ტიმოთესადმი:

„ამ მიზეზით შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში“ (2ტიმ.1:6;)

სიტყვა „გაღვივება“ – ბერძნულად *„ანაზოპურეო“,* ნიშნავს „ხელახლა გაღვივებას ანდა ძლიერი ცეცხლის შენარჩუნებას“ (Vine`s dictionary). თუ პავლეს უწევდა ამ ახალგაზრდა კაცის გამხნევება ნიჭის(ქარიზმა) გასაღვივებლად, ეს ნიშნავს, რომ ნიჭი შეიძლება იყოს უმოქმედო. ნიჭი ავტომატურად არ მოქმედებს. ასევეა ცეცხლიც, იგი უნდა გავაღვივოთ და შევინარჩუნოთ!

არიან წრფელი გულის და ჭეშმარიტი მიზნების მქონე ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ ღმერთს რაიმე სურს, ის თავისთავად მოხდება. მაგრამ ეს არის არასწორი. 1795 წელს ედმუნდ ბერკი წერდა: „იმისათვის, რომ ბოროტებამ იზეიმოს, საჭიროა მხოლოდ ერთი რამ – კარგმა ადამიანებმა არაფერი არ გააკეთონ“. ტიმოთეს სუფთა გული ჰქონდა. გაიხსენეთ, როგორ დაახასიათა პავლემ იგი, რას წერს მოციქული ამ ახალგაზრდა კაცის ხასიათის შესახებ: „ვინაიდან არავინ მყავს ისეთი თანამოზიარე, ასე ბეჯითად რომ ზრუნავდეს თქვენზე. იმიტომ რომ ყველანი თავისას ეძებენ და არა იმას, რაც იესო ქრისტესია. თქვენ იცით მისი გამოცდა, რომ როგორც მამასთან შვილი, ისე

მსახურობდა ჩემთან ერთად სახარებისთვის“ (ფილ.2:20-22;). და მიუხედავად ამისა, პავლე ორჯერ აფრთხილებს ტიმოთეს, რომ არ უგულებელყოს ღვთის ნიჭი. სხვაგვარად, ნიჭი არ გამოვლინდებოდა.

ამრიგად, ჩვენ ორ კითხვას უნდა ვუპასუხოთ: „რა იწვევს იმას, რომ ნიჭი უმოქმედო მდგომარეობაში რჩება?“ და „როგორ გავაღვივოთ ნიჭი?“. მეორე კითხვას მომდევნო თავებში გავცემთ პასუხს, ახლა კი მოდით, პირველი კითხვა განვიხილოთ. რა იწვევს იმას, რომ ღვთიური ნიჭი უმოქმედოა?

პასუხი ქვემოთ მოყვანილ მუხლშია:

*„ამ მიზეზით შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში. ვინაიდან ღმერთმა ჩვენ მოგვცა არა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების“ (2ტიმ.1:6-7;)*

სიტყვა „შიში“ ბერძნულად არის „დეილია“. ეს სიტყვა შემდეგი მნიშვნელობის მატარებელია: „გაუბედაობა(მორიდება, მორცხვობა) და სიმხდალე“. აღნიშნული სიტყვა წმინდა წერილში არსად არ არის გამოყენებული დადებითი მნიშვნელობით (Vine`s dictionary). მოცემული მუხლი კიდევ ერთხელ წავიკითხოთ New International Version-ის მიხედვით:

„ვინაიდან ღმერთმა ჩვენ მოგვცა არა გაუბედაობის სული“ (2ტიმ.1:7;)

ეს თარგმანი „გაუბედაობას“ გვთავაზობს, როგორც ყველაზე შესაფერის სიტყვას ამ მუხლში. მეც ასევე ვფიქრობ. ამრიგად, პავლე ეუბნება ტიმოთეს: „შენი ნიჭი არ მოქმედებს(უმოქმედო მდგომარეობაშია) გაუბედაობის, მორიდებულობის გამო“. ეს მუხლი შეგვიძლია ვთარგმნოთ ასე:

„ტიმოთე, შენში ღვთიური ნიჭი არ მოქმედებს შენი გაუბედაობის გამო!“.

გაუბედავი მორწმუნეები სულიერ ძალაუფლებას თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობის მიზეზით კარგავენ. შედეგად, ნიჭი, მათში არსებული ღვთიური უნარი, თითქოსდა მიძინებულია და უმოქმედო. თუმცა ნიჭი არის, მაგრამ არ მოქმედებს.

მე ნამდვილად დავიბენი, როცა მიჩიგანში ხუცესმა განდიდების ლიდერის სიტყვები გადმომცა, რომელიც თვლიდა,

რომ ძალიან მკაცრი ვიყავი. მოულოდნელად უფლის ნიჭმა ძალა დაკარგა და ვეღარ ვიქადაგე ცხებულებით, რომელიც წინა მსახურებებზე მძლავრად იგრძნობოდა. თითქოს, ღვთიურმა სიცოცხლემ დამტოვა; დავიბენი; გაბედულება დავკარგე; არ მინდოდა ადამიანებთან შეხვედრა. რატომ? იმიტომ, რომ ხელიდან გავუშვი ჩემთვის მოცემული ღვთიური ძალაუფლება.

## გაუბედაობის განსაზღვრება

ახლა კი მოდით, განვიხილოთ სიტყვების „გაუბედაობის“ და „შიშის“ განსაზღვრება. Oxford English Dictionary (ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონი) სიტყვის „შიშის“ ასეთ განმარტებას იძლევა:

1. გახდე გაუბედავი, მორიდებული;
2. შთაგონებული შიშით;
3. იყო შიშში და კრთოდე, იყო შეშინებული, დამფრთხალი.

Merriam – Websters Collegiate Dictionary (მე-10 გამოცემა) სიტყვას „შიში(კრთომა)“ შემდეგნაირად განსაზღვრავს:

იყო თავგზააბნეული, დათრგუნული, განადგურებული მუქარით.

Oxford English Dictionary (ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონი) სიტყვას „გაუბედაობას“ განსაზღვრავს შემდეგნაირად:

1. შიშის მდგომარეობა;
2. მუქარის და ძალადობის შედეგი, რომლის მიზანია ადამიანს აიძულოს რაიმე მოქმედებისკენ ანდა უმოქმედო მდგომარეობაში ჩააგდოს.

გაუბედაობის მიზანია – ჩვენი უმოქმედობა, დათრგუნვა და დამორჩილება. გაუბედაობას სურს, რომ თქვენში არასრულფასოვნებისა და შიშის განცდა შემოიტანოს. თუ, გააზრებულად ან გაუაზრებლად, უკან დაიხევთ და დაემორჩილებით, თქვენ მსახური ხდებით იმ პიროვნებისა, ვისგანაც ეს ზეწოლა მოდის. თქვენ უკვე აღარ გაქვთ უფლის ნების აღსრულების თავისუფლება, განწირული ხართ თქვენი დამმორჩილებლის ნება სურვილის შესასრულებლად.

შედეგად ღვთიური ნიჭი, მისი სულიერი უნარი არ მოქმედებს. თქვენ წაგართვეს ძალაუფლება, რათა იგი თქვენს და თქვენი გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.

გაუბედაობის ბუნება – ესაა შიში, რომელიც შენი მტრისგან, ეშმაკისგან მომდინარეობს. ის არის ყოველგვარი შიშის და

გაუბედაობის ავტორი (დაბ.3:1-10;). იგი შემოგვიტევს აზრების, წარმოდგენების და ხილვების საშუალებით, ანდა გამოიყენებს მისი გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანებს და გარემოებებს, რათა შეგვაშინოს. სხვა სიტყვებით, მას ერთი მიზანი გააჩნია – აკონტროლოს და შემოსაზღვროს.

## ელია იყო შეშინებული?

წინასწარმეტყველი ელია დიდ ღვთიურ ძალაში მოქმედებდა. იგი შიშის გარეშე წარსდგა უსამართლო მეფის წინაშე და განაცხადა: „არ იქნება ამ წლებში არც ცვარი და არც წვიმა, თუ არა ჩემი სიტყვით“ (3მეფ.17:1;). მას არ შეეშინდა ამ უღვთო მეფის.

შემდეგი რამდენიმე წლის მანძილზე მის ირგვლივ ზებუნებრივი სასწაულები ხდებოდა. ჯერ ერთი, მას ყორნები კვებავდნენ, შემდეგ ქვრივი ქალი ზრუნავდა მასზე, რომლის პური და ზეთი არ ილეოდა იმ დროს, როცა ირგვლივ შიმშილი იყო. მოულოდნელად მოკვდა ქვრივის შვილი, ღმერთმა ისმინა ელიას ლოცვა და ბავშვი მკვდრეთით აღადგინა. ამ ადამიანს დიდი მსახურება ჰქონდა.

მრავალი წლის შემდეგ ის კვლავ წარდგა მეფის წინაშე. მეფემ იგი გვალვასა და განსაცდელებში დაადანაშაულა და შემდეგი სიტყვებით შეეგება: „ეს შენა ხარ ისრაელის მაშფოთებელი?“ (3მეფ.18:17;).

ელიამ გაბედულად უპასუხა: „მე არ ვაშფოთებ ისრაელს, არამედ შენ და შენი მამის სახლი იმით, რომ დაივიწყეთ უფლის მცნებანი და ბაყალებს გაყევით“ (3მეფ.18:18;). შემდეგ მეფეს უთხრა, რომ ბაყალის 850 წინასწარმეტყველი და ხალხი ქარმელის მთაზე შეეკრიბა. დათქმულ დღეს მთელი ისრაელი გამოვიდა, რათა ენახათ ვინ იყო ჭეშმარიტი ღმერთი! ელიამ გამოიწვია ბაყალის წინასწარმეტყველნი და უთხრა, რომ მსხვერპლი შეეწირათ თავიანთი ღმერთისთვის  და თავადაც მოიტანა მსხვერპლი თავისი ღმერთის წინაშე. „ღმერთი, რომელიც ცეცხლით გაგვცემს პასუხს, ღმერთი იქნება“ (3მეფ.18:24;).

უფალმა ღმერთმა ცეცხლით უპასუხა, ისრაელიანელები პირქვე დაემხნენ და ღმერთისკენ შემობრუნდნენ. შემდეგ, ელიას ბრძანებით 850 წინასწარმეტყველი მოკლეს. ელიამ თქვა, რომ მალე წვიმა მოვიდოდა, იგი გულმხურვალედ ლოცულობდა, მაგრამ წვიმის არავითარი ნიშანი არ ჩანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ცა მოიქუფრა და ძლიერი წვიმა წამოვიდა. როცა აქაბი იზრეყელისკენ მიემგზავრებოდა, უფლის ხელი იყო ელიასთან და მან აქაბის ეტლს გაასწრო სირბილით.

ეს იყო ელიას ცხოვრების მხოლოდ ერთი დღე. ხალხი გაოცებული იყო ნანახით. უსამართლონი, ბოროტეულნი განადგურდნენ. ხანგრძლივი გვალვა დასრულდა. ელიას შეეძლო ღმერთის ხმის გარკვევით მოსმენა, აკეთებდა იმას, რასაც ისმენდა და უდიდეს სასწაულებსაც ხედავდა.

## შეჯახება იზებელთან

მაგრამ იმავე დღეს, შეიტყო რა, აქაბის ცოლმა იზებელმა წინასწარმეტყველთა ხვედრი, ელიას მოციქული გაუგზავნა: „ასე და ასე მიყონ ღმერთებმა და უარესიც დამმართონ, თუ ხვალ ამ დროს ისევე არ მოგექეცი, როგორც შენ მოექეცი თითოეულ მათგანს“ (3მეფ.19:2;). იგი განრისხებული იყო, რადგან ელიამ მისი წინასწარმეტყველნი დაახოცინა, რომლებიც მის უწყებას ქადაგებდნენ. ნახეთ როგორ მოიქცა ელია:

> „ეს რომ ნახა, ადგა და წავიდა, რომ თავი გადაერჩინა. და მივიდა იუდას ბეერ-შებაყში და დატოვა იქ თავისი მსახური. თავად კი უდაბნოში გავიდა ერთი დღის სავალზე. და მივიდა ერთი ბელეკონის ბუჩქთან და მის ძირას დაჯდა, სიკვდილი ინატრა და თქვა: „ახლა კი კმარა უფალო, წაიღე ჩემი სული, რადგან ჩემს მამებზე უკეთესი არ ვარ“ (3მეფ.19:3-4;)

ერთსა და იმავე დღეს მან მოიგო დიდი ბრძოლა, შემდეგ კი თავისი სიცოცხლის გამო კანკალებდა. იგი ისე შეაშინა იზებელის მუქარამ, რომ სიკვდილს ნატრობდა. ამ დაშინების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მას ხელი შეეშალა ელიასთვის უფლის ნების აღსრულებაში. იზებელს უნდოდა თავისი გავლენა შეენარჩუნებინა ქვეყანაზე, გაენადგურებინა ელია და გზიდან ჩამოეშორებინა. მართალია მან ვერ შეძლო წინასწარმეტყველის მოკვლა, მაგრამ თავის მიზანს მაინც მიაღწია, ისე შეაშინა, რომ ელია გაიქცა და სიკვდილი ინატრა. ღვთის წინასწარმეტყველი უნებურად მისი გეგმის მიხედვით მოქმედებდა. იგი მომხდარის არსს სწორად რომ ჩასწვდომოდა, არსად არ გაიქცეოდა.

## გაუბედაობის სიმპტომები

გაუბედაობის სული ათავისუფლებს უხერხულობას, დაქვეითებულ განწყობას და დაბნეულობას. მისი მიზანია – დაგაკარგინოთ სწორი ხედვა. ყველაფერი დამთრგუნველად,

რთულად და შეუძლებლად გამოიყურება. და თუ დროულად არ გაერკვიეთ, თუ რასთან გაქვთ საქმე, ისეთი რამეების კეთებას დაიწყებთ, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდით, სწორედ ეს წარმოადგენს დაშინების მიზანს. ვიხსენებ შემთხვევას, როცა თავად ვიყავი გაუბედაობის თავდასხმის ობიექტი და შემიძლია წარმოვიდგინო, რას განიცდიდა ელია. ვიდრე გავაცნობიერე, თუ როგორ მოქმედებს ეს სული, ვიჯექი სასტუმროში და დაბნეულობას და უიმედობას ვებრძოდი. მიკვირდა, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს? ზოგჯერ ასეთი აზრები წარმატებული დილის მსახურების შემდეგაც მოდიოდა.

მახსენდება ერთი კონკრეტული შემთხვევა, როცა მთელი დღის მანძილზე არაფრის გაკეთება არ შემეძლო. სიმძიმეს ვერ ვიშორებდი, ვლოცულობდი, და მეგონა, რომ ღმერთი საერთოდ არ არსებობდა. ელიასავით მეც მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ თავზე და ისევ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ არაეფექტური ვიყავი და ჩემი მსახურება უსარგებლო იყო. ამიტომაც თქვა ელიამ: „ახლა კი კმარა, წაიღე ჩემი სული, რადგან ჩემს მამებზე უკეთესი არ ვარ“ (3მეფ.19:4;).

იმ უიმედო დღის ბოლოს ღმერთმა მაჩვენა, თუ როგორი შეშინებული იყო ელია. და ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი ქმედება ისეთი იყო, რაც ამ შემაშინებელ და დამაბნეველ სულს სურდა. მას უნდოდა, რომ უკან დამეხია და უარი მეთქვა უფლის დავალების შესრულებაზე. იმ ეკლესიაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არ უყვარდათ მონანიებისა და სიწმინდის შესახებ ქადაგებების მოსმენა, რაც უფლისგან მქონდა დავალებული. დაუყოვნებლივ მოვძებნე სიმპტომების ფესვი, რომელსაც მთელი დღე ვებრძოდი. ეს იყო გაუბედაობის სული. მე გავთავისუფლდი, უხერხულობას და დაბნეულობას თავი დავაღწიე. იმ საღამოს ძლიერი მსახურება გვქონდა! მოგვიანებით აგიხსნით, როგორ აღუდგეთ წინ გაუბედაობის სულს. მაგრამ, მანამდე მოდით, კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ ელიას ცხოვრებას, რათა ამ სულის გარჩევა ვისწავლოთ.

## „აქ რა გინდა, ელია?“

ელია ჩამოშორდა თავისი ძალაუფლების პოზიციას, როცა უარი თქვა წინააღმდეგობა გაეწია იზებელის მხრიდან წამოსული მუქარისთვის. შედეგად, მისი მსახურების ნიჭი დაითრგუნა და იგი იმ მიმართულებით წავიდა, რაც ღმერთის გეგმაში არ იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ელია, როცა კონფრონტაციას

გაურბოდა, სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე მაშინ, როცა კონფრონტაციაში შედიოდა. იგი საპირისპირო მიმართულებით გაემართა, დატოვა თავისი მსახური და ორმოცი დღე და ღამე იარა ხორების მთამდე. პირველი, რაც იქ მისვლისას მოისმინა, შემდეგი სიტყვები იყო: „აქ რა გინდა, ელია?“ (3მეფ.19:9;).

წარმოიდგინეთ: ის სასოწარკვეთილია, დაღლილია სიარულით და საერთოდაც დეპრესიულ მდგომარეობაშია. ღმერთი კი ეკითხება: „რატომ გაიქეცი და აქ რატომ იმალები?“.

თქვენ, ალბათ, ფიქრობთ: „მართალია, მაგრამ ღმერთმა ხომ თავისი ანგელოზი გაუგზავნა ელიას, რომელმაც ნამცხვარი და წყალი მიუტანა, რომ თავისი ორმოცდღიანი მოგზაურობა გაეგრძელებინა“. მაშინ, რატომღა ეკითხება: „აქ რა გინდა, ელია?“. ღმერთმა იცოდა, რომ ელია მაინც გაიქცეოდა. როცა ადამიანი გულში რაიმეს ჩაიდებს, ღმერთი უფლებას აძლევს, რომ გააკეთოს ის, რაც მას სურს, თუნდაც ეს ღმერთის სრულყოფილ ნებას არ წარმოადგენდეს ამ ადამიანისათვის.

იგივე დაემართა ბილყამს, როცა მოაბის მეფე ბალაკმა სთხოვა, რომ მისულიყო და ისრაელი დაეწყევლა. ღმერთმა უთხრა ბილყამს, რომ არ წასულიყო, მაგრამ მან ხელმეორედ ჰკითხა ღმერთს. თითქოს ღმერთი გადაიფიქრებდა და ბილყამს წასვლის უფლებას მისცემდა.

მეორე დილით ბილყამმა ვირი შეკაზმა და გასამგზავრებლად მოემზადა და როგორც ბიბლიაში წერია: „და აღიგზნო რისხვა ღვთისა, რადგან წავიდა იგი“ (რიცხ.22:22;). და უფლის ანგელოზი აღსდგა მის მოსაკლავად.

რატომ დართო ღმერთმა წასვლის ნება და როცა ბილყამი ასე მოიქცა, რატომ განრისხდა ღმერთი? ღმერთი ხედავდა ბილყამის გულის მდგომარეობას. მან იცოდა, რომ ბილყამს ბალაკის მიერ შეთავაზებული პატივი და ფული უფრო უნდოდა, ვიდრე უფლის მორჩილება. როცა ადამიანი თავის გულში გადაწყვეტს რაიმეს გაკეთებას, ღმერთი მას არ შეაჩერებს, თუნდაც ეს მის სრულყოფილ ნებას არ წარმოადგენდეს.

ეს შეემთხვა ელიასაც. ღმერთს სურდა, რომ იგი დაბრუნებულიყო და წინაღდგომოდა იზებელს ისე, როგორც ეს მისი წინასწარმეტყველების შემთხვევაში გააკეთა. ეს ქარმელის მთაზე დაწყებულის კარგი დასრულება იქნებოდა. მაგრამ ელიამ არ ისურვა იზებელთან შეხვედრა. მას მობეზრდა ზეწოლა და გაერიდა მას. ღმერთმა ანგელოზი გაუგზავნა ელიას, რომელმაც საკვები მიუტანა. ღმერთი მზად იყო მოეთმინა და მას ხორების მთაზე დალაპარაკებოდა.

## ერთი პასუხისმგებელი ყველაზე

ღმერთის მიერ ელიას საშუალებით დაწყებული საქმე იზებელთან კონფრონტაციის გარეშე ვერ დასრულდებოდა. დედოფალი იყო ისრაელის ყველა პრობლემის ფესვი. ბიბლიაში ნათქვამია: „ჯერ არავინ ყოფილა, რომ ახაბივით გაეყიდოს თავისი უფლის თვალში ბოროტების საკეთებლად, რაზეც აქეზებდა იზებელი, მისი ცოლი“ (3მეფ.21:25;). ღმერთი იყო ელიასთან ისევე, როგორც ქარმელის მთაზე. მაგრამ წინასწარმეტყველი შეაშინა იზებელის მუქარამ, რამაც დააკარგვინა თავისი ძალაუფლების პოზიცია. ნიჭი, რომელიც საქმის ბოლომდე მისაყვანად მიეცა, უმოქმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნახეთ, რას ეუბნება ღმერთი ელიას ხორების მთაზე:

> „და უთხრა უფალმა: „წადი, გაბრუნდი უდაბნოს გზით და დამასკოში მიდი. როცა მიხვალ სცხე ხაზაელს არამზე სამეფოდ. და იეჰუს, ნიშის ძეს, სცხე ისრაელზე სამეფოდ. ელისე შაფატის ძე კი, აბელ-მეხოლადან რომ არის, სცხე, რათა წინასწარმეტყველებდეს შენს ნაცვლად. და ვინც ხაზაელის მახვილს გადაურჩება იეჰუ მოკლავს მას; ვინც იეჰუს მახვილს გადაურჩება, ელისე მოკლავს“ (3მეფ.19:15-17;)

დაუკვირდით, ღმერთმა უთხრა ელიას, რომ ელისე ეცხო წინასწარმეტყველად და იეჰუი ისრაელის მეფედ. ღმერთმა მოძებნა ორი მამაკაცი, რომლებიც იზებელს არ გაურბიან. ელიას დანიშნულებას ისინი აღასრულებენ.

ელიას მსახურება შეჩერდა, როცა შეშინებული გაურბოდა იზებელს. ალბათ, გახსოვთ, რომ სწორედ იზებელი იდგა ისრაელში გავრცელებული ყველა უკეთურების უკან. თუ ლიდერის არასწორმა ზეგავლენამ სათანადო პასუხი არ მიიღო და მის ქმედებას წერტილი არ დაესვა, მაშინ ეს მხოლოდ დროის საკითხია, რათა უკეთურება გავრცელდეს მათზეც, ვინც ამ ლიდერის დაქვემდებარებაში იმყოფება.

იესო ასწავლიდა: „ვერავინ შეძლებს შევიდეს ძლიერის სახლში და გაიტანოს მისი ნივთები, თუ ჯერ ძლიერს არ გათოკავს, მაშინღა გაძარცვავს მის სახლს“ (მარკ.3:27;). „ძლიერი“ – ეს ლიდერია. „სახლი“ – ეს მისი გავლენის სფეროა. „მისი ნივთები“ – ესაა ნაყოფები ანუ გავლენის შედეგები. ახლა ამ ინტერპრეტაციის გამოყენებით წავიკითხოთ იგივე მუხლი; ის, რაც იესომ თქვა:

„ვერვინ შეძლებს შევიდეს ლიდერის ტერიტორიაზე და ამოძირკვოს მისი გავლენის შედეგები, ვიდრე თვით ლიდერს არ მოაშორებს. და მაშინ შეძლებს მიიღოს მისი ტერიტორია“ (მარკ.3:27; ავტორ. პარაფ.)

თქვენ იტყვით: „აქაბი ლიდერი იყო და ელიას მისი არ შეეშინდა“. გეთანხმებით, და თან არც გეთანხმებით. აქაბი ლიდერის ტიტულის მატარებელი იყო, მაგრამ თავისი ძალაუფლება ცოლს დაუთმო. ამიტომ სულიერ სამყაროში სწორედ ის იყო „ძლიერი“, რომელიც ისრაელში კერპთმსახურების უკან იდგა. სწორედ ის მოითხოვდა ბაალის თაყვანისცემას. სწორედ მისმა ზეგავლენამ აიძულა მთელი ისრაელი, შვიდი ათასი ერთგული ადამიანის გარდა, რომ განდგომოდნენ ჭეშმარიტ ღმერთს. და რამდენადაც მის წინააღმდეგ აშკარად არავინ გამოდიოდა, მისი გავლენა არ ნელდებოდა.

ამგვარი რამ ბევრჯერ მინახავს. ადამიანს ჰქვია მწყემსი ან ლიდერი, და ამავდროულად სხვა ადამიანები აკონტროლებენ მას და მისით მანიპულირებენ. ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანები მის გარემოცვაში იმყოფებიან. ეს შეიძლება იყოს ცოლი, დამხმარე მსახური, საბჭოს წევრი, დიაკვანი, შუამდგომელი და ა.შ. ისინი კულისებში მოქმედებენ (უფროსობენ) და აკონტროლებენ ადამიანს, რომელიც ლიდერად იწოდება.

ასეთი რამ ოჯახშიც ხდება. მშობლებს ეშინიათ შვილების. ქმრები კრთიან ცოლების წინაშე და ფაქტობრივად, ოჯახის უფროსის ფუნქციას არ ასრულებენ. მნიშვნელოვანია, რომ ლიდერის გარშემო იყვნენ მრჩევლები – სახლშიც და მსახურებაშიც. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია თავად ის რჩებოდეს თავის ძალაუფლებაში, და შეეძლოს ღმერთის მიერ ბოძებულ ნიჭში მსახურება თუ დაცვა, იქნება ეს ოჯახში თუ მსახურებაში.

თუ ელიას ამბავს წავიკითხავთ მისი გაქცევის შემდეგ, დავინახავთ, რომ მის მიერ დაწყებული საქმე ჩავარდა. აქაბი აგრძელებდა ხალხის ჩაგვრას. იზებელის გავლენა ქმარზე და სამეფოზე იზრდებოდა. აღდგა ბაალის თაყვანისცემა, მიუხედავად იმისა, რომ ელიამ დაამარცხა ბაალის წინასწარმეტყველები და ხალხი ღმერთის ძალის გამოვლინების მოწმე გახდა. იზებელისგან გაქცევით ელიამ ისრაელიანთა გაბედულებაც თან გაიყოლა. აქაბი მოკვდა, მაგრამ დარჩა ორი ვაჟი, რომელთა მმართველობის დროს ხალხი უფრო მეტად და მეტად შორდებოდა ჭეშმარიტ ღმერთს და ღრმად ეფლობოდა კერპთმსახურებაში (3მეფ. 22:5, 4მეფ.9).

**ორი პიროვნება, რომლებმაც არ დათმეს თავისი ძალაუფლება**

ამრიგად, ელია გაექცა ამ გარყვნილებისა და გახრწნილების სათავეს. ამიტომ უთხრა მას უფალმა, რომ ორი ადამიანი ეცხო, რათა ამ ბოროტი ქალისთვის ბოლო მოეღო. და საბოლოოდ, სწორედ იეჰუმ მოკლა იგი (4მეფ.9:30-37;). როცა იზებელი მის გაკონტროლებას შეეცადა, მან არ ისურვა დამორჩილებოდა მის მუქარას. მხოლოდ ერთი ბრძოლის შემდეგ მოეღო ბოლო მის გავლენას (4მეფ.10;).

იეჰუმ და მისმა ხალხმა აქაბის სამოცდაათივე ვაჟი მოკლა. მან მოუხმო ბაალის ყველა თაყვანისმცემელს და მახვილს გადასცა ისინი, შევიდა ბაალის ტაძარში და ყველა სიწმინდე ცეცხლს მისცა. იეჰუს ხალხმა ბაალის ქანდაკებები დაამსხვრია და მისი სახლი მიწასთან გაასწორა. ნახეთ, რას ამბობს ბიბლია იეჰუს შესახებ:

„ასე გადააშენა იეჰუმ ბაყალი ისრაელიდან“ (4მეფ.10:28;)

ღმერთმა პირდაპირ უთხრა ელიას: „ვინც იეჰუს მახვილს გადაურჩება, ელისე მოკლავს“ (3მეფ.19:17;). საჭირო გახდა ორი ადამიანი, რათა ბოლომდე მისულიყო საქმე, რომელზეც თავდაპირველად ელია იყო დადგენილი. ღმერთმა უთხრა ელიას, რომ ეცხო ელისე, რათა „წინასწარმეტყველებდეს შენს ნაცვლად“, რადგან ელიამ გაუბედაობის გამო დათმო თავისი ძალაუფლება. იეჰუმ და ელისემ კი უფლისგან ბოძებული ძალაუფლება არ დათმეს აქაის სახლის წინაშე და ამიტომაც არ დარჩა ღვთიური ნიჭი უმოქმედოთ, ქვეყანა კი ბაყალის თაყვანისცემისგან გათავისუფლდა.

როცა გაუბედაობას ვიჩენთ, ვთმობთ ჩვენი ძალაუფლების პოზიციას. შედეგად კი ღვთისაგან მოცემული ნიჭი უმოქმედო ხდება. და ჩვენდა უნებურად ხელს ვუწყობთ იმის მიზნების აღსრულებას, ვინც შეგვაშინა.

ძველ აღთქმაში ბევრი მაგალითია იმისა, რომ ღმერთის ხალხი უკან იხევდა იმის ნაცვლად, რომ წინ წასულიყო. როგორც პავლე წერდა: „ყოველივე ეს მათ დაემართათ სამაგალითოდ და აღწერილია ჩვენს დასარიგებლად, რომლებმაც მიაღწიეთ სოფლის აღსასრულს“ (1კორ.10:11;). რომაელთა მიმართ წერილში ვკითხულობთ: „რადგან ყოველივე რაც წინათ დაიწერა, ჩვენს სასწავლებლად დაიწერა, რათა მოთმინებით და წერილთა ნუგეშით გვქონდეს სასოება“ (რომ.15:4). ამ წიგნში კიდევ მრავალ მაგალითს მოვიყვან, როგორც ძველი, ისე ახალი

აღთქმიდან. რამეთუ შეუძლებელია სრულად ჩასწვდე იმას, თუ როგორ გამოიყენო ახალი აღთქმა და არ იცოდე ძველი აღთქმის მაგალითები. შემდეგ თავში განვიხილავთ, თუ როგორ აფერხებს ღმერთის საქმიანობას გაუბედაობა არა მხოლოდ ლიდერის ცხოვრებაში, არამედ მათ ცხოვრებაშიც, ვისაც ლიდერი ემსახურება.

*როცა ადამიანი შეშინებულია, იგი ღმერთზე*
*მეტად პატივს სცემს იმას, რისიც ეშინია*

# პარალიზებული გაუბედაობის მიერ

გაუბედაობა ჩვენს პარალიზებას ახდენს სულიერ სფეროში. იგი გვაიძულებს კომპრომისზე წავიდეთ იმასთან, რაც ვიცით, რომ არასწორია; გვაიძულებს დავუშვათ და მოვითმინოთ ის, რასაც სხვა შემთხვევაში წინ აღვუდგებოდით.

ამის მაგალითია – ყელისა და მისი ვაჟების ისტორია. ვიდრე ისრაელი მონარქია გახდებოდა, მას მსაჯულები მართავდნენ. ღმერთი მათ ქვეყნის ისტორიის კრიტიკულ მომენტებში წამოაყენებდა ხოლმე. დეიკის ბიბლიის თანახმად, ყელი ისრაელის მეთხუთმეტე მსაჯული იყო. ის არამარტო მსაჯული, არამედ ასევე რიგით მეშვიდე მღვდელმთავარი გახლდათ. იგი ისრაელს ორმოცი წლის მანძილზე ემსახურებოდა. მისი ორი ვაჟიც მღვდლები იყვნენ. მაგრამ მოდით, ვნახოთ, როგორი იყო სულიერი ატმოსფერო ისრაელში ყელის მმართველობის დროს:

„უფლის სიტყვა ძვირი იყო იმ დღეებში. ხილვები არ იყო ხშირი“ (1მეფ.3:1;)

აქ ნახსენები უფლის სიტყვა ქაღალდზე გადმოცემული წერილი არ არის. ებრაელებს ჰქონდათ თორა. მაგრამ ამ მუხლში სულის მიერ შთაგონებული უფლის გზის და გეგმების განჭვრეტა იგულისხმება. ხალხში კი მხოლოდ მოგონებებიღა შემორჩა იმ დროზე, როცა ღმერთი პირისპირ საუბრობდა მათთან. ახლა კი წიგნის ავტორი დუმდა. მისი ხმა იშვიათად ესმოდათ. რატომ დუმდა ღმერთი? პასუხს მეორე თავში ვკითხულობთ:

„ძალზე მოხუცდა ყელი. ესმოდა ყველაფერი, როგორ ექცეოდნენ მისი შვილები მთელს ისრაელს, რომ

> წვებოდნენ იმ ქალებთან, ვინც საკრებულო კარვის კართან მსახურებას ეწეოდნენ“ (1მეფ.2:22;)

ყელის ვაჟები უკეთურნი იყვნენ. ისინი იმდენად გათავხედნენ, რომ მრუშობდნენ ქალებთან, რომლებიც იმ კარავში მსახურობდნენ, სადაც უფლის თანდასწრება უნდა ყოფილიყო. სად იყო მათი ღვთიური შიში?

მათი უსამართლობა მხოლოდ სექსუაალური ცოდვით არ შემოიფარგლებოდა. ისინი ძალით ართმევდნენ ადამიანებს უმ ხორცს, რომელიც სამსხვერპლოდ მოჰქონდათ. ასეთი პრაქტიკა რჯულს ეწინააღმდეგებოდა, რადგან ეს ხორცი მსახურებს და ღმერთს ეკუთვნოდათ. ასეთმა საქციელმა გამოიწვია ის, რომ ხალხი აღარაფრად აგდებდა საღვთო შესაწირავებს. ყელის შვილები შებრკოლების ქვებად იქცნენ ისრაელიანთათვის. მათი ქცევის გამო ხალხს გული გაუცივდა უფლის მიმართ.

ყელიმ იცოდა რასაც აკეთებდნენ მისი შვილები, მაგრამ მსახურებას კი არ ჩამოაშორა ისინი, არამედ მხოლოდ უსაყვედურა: „რატომ აკეთებთ ამას? ხალხისგან ხმები მესმის, თქვენი უკეთურების ამბავი. ნუ იზამთ, შვილებო! ცუდი ხმები მესმის, გზიდან აცდენთ უფლის ერს“ (1მეფ.2:23-24;).

მისი შვილები მეტს იმსახურებდნენ, ვიდრე ამ მცირე შეგონებას. ყელის ისინი უნდა ჩამოეშორებინა მღვდლობას და კარვის მსახურებას მანამ, სანამ არ მოინანიებდნენ თავიანთ საქციელს.

ღმერთის წინასწარმეტყველი მივიდა ყელისთან და უთხრა:

> „რატომ თელავთ ჩემს მსხვერპლს და შესაწირავს ტაძრისათვის რომ დავაწესე? რატომ ამჯობინე ჩემს თავს შენი შვილები? ... რადგან ჩემს მადიდებელს განვადიდებ, ჩემი მოძულენი კი დამცირდებიან“ (1მეფ.2:29-30;)

„განდიდება“ – ესე იგი „პატივისცემა, დაფასება, ყურადღების მიპყრობა“. იმ ფაქტით, რომ ყელიმ უარი თქვა თავის შვილებთან კონფრონტაციაზე წასვლაზე და მათ დისციპლინირებაზე, მან აჩვენა, რომ შვილებს უფრო მეტ პატივს სცემდა, ვიდრე ღმერთს. როცა ადამიანი შეშინებულია, იგი ღმერთზე მეტად პატივს სცემს იმას, ვისიც ან რისიც ეშინია. გააზრებულად თუ გაუაზრებლად ადამიანი ემორჩილება იმას, რისიც ეშინია. ყელის გაუბედაობა რომ არ გამოეჩინა, იგი სხვაგვარად მოექცეოდა თავის შვილებს.

მოგვიანებით ღმერთმა უთხრა სამუელს ყელისთან დაკავშირებით: „ხომ გამოვუცხადე, რომ უკუნისამდე დავსჯი მის სახლს უკეთურების გამო, რადგან იცოდა, რომ თავს ირცხვენდნენ მისი შვილები და არ ამხილებდა მათ“ (1მეფ.3:13;).

იშვიათი იყო ღმერთის სიტყვა, ქვეყანაში უკეთურება ზეიმობდა, რადგან მსაჯულს და მღვდელმთავარს საკუთარი შვილების ეშინოდა! მან დათმო ძალაუფლების პოზიცია და შედეგად ისრაელის სამართლიანად განსჯისა და მსახურების უნარი დაკარგა. უგულებელყოფილი იყო ღვთიური მიზნები. ისრაელის მტრები ყველგან ძლიერდებოდნენ, რადგან გახრწნილება ყვაოდა ისრაელში. როცა ლიდერები ძალაუფლებას კარგავენ, ზარალდება მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ადამიანი.

## ეს თუ ჟღერს მოურიდებლად ?

საუბედუროდ, ბევრ მამას ეშინია საკუთარი შვილის. მინახავს ქრისტიანული ოჯახები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. მინახავს, როგორ უდიერად ეპყრობიან მშობლებს მოზარდები. ისინი უპატივცემულოდ ელაპარაკებიან მათ. როგორც ჩანს, მშობლები აღიზიანებდნენ მათ. მე უბრალოდ შეშფოთებული ვიყავი, ამ ახალგაზრდებს მშობლების თანდასწრებით მივუთითებდი, რადგან მშობლები დაბნეულები იყვნენ და შიში ხელს უშლიდათ მათ გამოსწორებაში. მათ სახლებში ანარქია და სრული ქაოსი სუფევდა. მშობლებმა თავიანთი ძალაუფლება შვილების სასარგებლოდ დათმეს. ღვთიური ძალა და ნიჭი, რომელიც ოჯახში წესრიგის დამყარებისათვის და კეთილშობილი შვილების აღსაზრდელად მიეცათ, უმოქმედო იყო.

ეს პრობლემა არსებობს არა მარტო ოჯახებში, არამედ ჩვენს ეკლესიებშიც. ასობით ეკლესიაში მინახავს, თუ რაოდენ ბევრი ლიდერი განიცდის შიშს თავისი ხალხის წინაშე. ეკლესიებში არსებული ატმოსფერო ბევრად არაფრით არ განსხვავდება ყელის დროს ისრაელში არსებულისაგან: იშვიათად ისმის ღმერთის ხმა.

ამ ლიდერებმა დათმეს ძალაუფლების პოზიცია და ღმერთის ძალას მოქმედება არ შეუძლია. მწყემსი ქადაგებს ყველა მსახურებაზე, განდიდების გუნდი გალობს, მაგრამ ძალიან მცირეა ან საერთოდ არ არის ღმერთის თანდასწრება.

მსახური სიფრთხილით ქადაგებს, რათა არავინ გაანაწყენოს და არ შეეწინააღმდეგოს მათ, ვინც ურჩობაში ცხოვრობს. ანდა პირიქით, იგი გაცხარებული და აბობოქრებულია, უტევს

ცხვრებს, ამას აკეთებს იმის გამო, რომ თავისი შიში დამალოს ზოგიერთი მათგანის მიმართ. მაგრამ ასეთ ქმედებაში ძალზე ცოტაა ან საერთოდ არ არის სულიერი ცხოვრება.

„იშვიათი“ – ეს არის ღვთიური თანდასწრების ბიბლიური აღწერა. შესაძლოა სიცოცხლის ნაპერწკლები იგრძნობა ხან აქ, ხან იქ, მაგრამ არ არის უხვი ღვთიური თანდასწრება, მისი სიტყვა არ იღვრება თავისუფლად, როგორც ცოცხალი წყლის შადრევანი.

## ცოცხალმკვდარი ეკლესია

1990 წელს „სრული მახარებლობის“ ეკლესიაში ვმსახურობდი. ადამიანები ფიქრობდნენ, რომ სულიერად ცოცხლები იყვნენ და უფალს მიჰყვებოდნენ. მე კვირა დილით ვქადაგებდი და ვგრძნობდი, რომ თითქოს ჩემი სიტყვები უკან მიბრუნდებოდნენ და სახეზე მეწებებოდნენ. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქმოს ქვის კედელს ვუქადაგებდი. ატმოსფერო ამბოხის სულით იყო დამძიმებული. ასეთი რამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. მწყემსი და მისი მეუღლე საოცრად კეთილი და საყვარელი პიროვნებები იყვნენ. მათი ვაჟი მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა, იგი ბრწყინვალე პიროვნებას წარმოადგენდა. ვერ მივხვდი რაში იყო საქმე მანამ, სანამ მსახურების შემდგომ მათთან სადილად არ წავედი.

მწყემსმა მითხრა: „ჯონ, მინდა გკითხო. ჩემს ეკლესიაში არის განქორწინებული წყვილი. ისინი მოდიან მსახურებაზე და დარბაზში ერთმანეთის საპირისპირო მხარეს სხდებიან. მამაკაცი – ეკლესიის მთავარი ორგანიზატორია. მან ერთი ახალგაზრდა ქალი გაიცნო, მასთან პაემანზე დადიოდა და გარკვეული ხნის შემდეგ ქალი მასთან გადავიდა საცხოვრებლად. ახლა ისინი ერთად ცხოვრობენ. როგორ მოვიქცე?“.

ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთ კითხვაზეც მიწევდა პასუხის გაცემა. დაბნეულმა ვკითხე: „შენ იმის თქმა გინდა, რომ იგი ეკლესიიდან არ გაგირიცხავს?“

„არა“, – მიპასუხა მან, მაგრამ ვთხოვე, რომ მთავარ ორგანიზატორად აღარ ემსახურა.

თავი ვეღარ შევიკავე და მწყემსს და მის ცოლს ერთი საათის მანძილზე ვუქადაგებდი. ვუამბე იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცა პავლე კორინთოს ეკლესიის ხუცესების მიმართ. მათ შორის ვიღაც ცოდვაში ცხოვრობდა. პავლემ ამხილა იგი: „არ შეგფერით კვეხნა, ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელს ცომს ააფუებს“ (1კორ.5:6;).

ცომში მოთავსებული საფუარი მთელ ცომს აფუებს. პავლე აღვირახსნილ, ვულგარულ და შეგნებულ ცოდვას ადარებს ცომში მოთავსებულ საფუარს. მე გავაფრთხილე მწყემსი: „შენ უფლებას აძლევ ცოდვას, რომ დაუბრკოლებლივ გავრცელდეს ეკლესიაში. ღმერთი შენ მოგკითხავს იმ შედეგების გამო, რომლებიც სხვა ცხვრების ცხოვრებაში გამოვლინდება!“. მე ვაგრძელებდი: „მწყემსი არა მარტო კვებავს ცხვარს, არამედ იცავს კიდეც. შენ მოგწონს მათი გამოკვება, მაგრამ გეშინია დაიცვა ისინი, რადგან კონფრონტაცია არ მოგწონს. მაგრამ მნიშვნელოვანია ერთიც და მეორეც! შენ გჭირდება წინ აღუდგე ამ ადამიანს, ოღონდ სიყვარულით, და თუ ის დაუყოვნებლივ არ მოინანიებს, გარიცხე ეკლესიიდან“. თუ ცხვარს არ ვკვებავთ, ის შიმშილით მოკვდება. თუ არ დავიცავთ, მას შეჭამენ.

მწყემსს და მის ცოლს ფერი აღარ ედოთ სახეზე. ცოლმა თქვა: „მე ისიც აღარ ვიცი, მინდა კიდევ მსახურება თუ არა. მინდა უბრალოდ მიყვარდეს ადამიანები“.

მე ვუპასუხე: „თუ ადამიანებს არ იცავთ – ეს ძალზე მოსახერხებელი სიყვარულია, მაგრამ არა ნამდვილი“.

მათ მაინც აღიარეს, რომ ზოგიერთების მიმართ შიშს განიცდიდნენ ეკლესიაში. შემდეგ კი გაიხსნენ ჩემს წინაშე და სხვა პრობლემების შესახებაც მესაუბრნენ. აღმოჩნდა, რომ განდიდების ჯგუფში რამდენიმე მუსიკოსი უპატივცემულონი იყვნენ. მე მათ ვუამბე, თუ როგორ დაბნეულობას განვიცდიდი მსახურებაზე და მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ.

იმ საღამოს, ქადაგების დროს ერთმა ადამიანმა შემაჩერა და ენებზე ლაპარაკი მოისურვა. მე ვთხოვე მას შეჩერებულიყო და ავუხსენი, რომ ღმერთი საკუთარ თავს არ აჩერებს. მან გაიგო და შეწყვიტა ლაპარაკი. მაგრამ, მაშინვე წამოხტა გიტარისტი და ყვირილით მომვარდა: „მე არ მჭირდება მქადაგებლები, რომლებიც სულიწმიდას მოქმედების საშუალებას არ აძლევენ. მე აქედან მივდივარ!“. მან თავის მეუღლეს ხელი მოჰკიდა და ბას-გიტარისტს შეუძახა, რომ ისიც გაჰყოლოდა. ბას-გიტარისტმა, მისმა ცოლმა და კიდევ ერთმა პიროვნებამ მსახურება დატოვეს. ატმოსფერო მღელვარებამ მოიცვა.

მე მაშინვე ვკითხე სულიწმიდას, როგორ მოვქცეულიყავი. მან მითხრა:„ასწავლე მათ ძალაუფლების შესახებ“. სანამ ვასწავლიდი, უფლის მშვიდობამ მოიცვა ეკლესია და მსახურებაზე მისი წესრიგი დასადგურდა.

როცა დავამთავრე, უფალმა მიბრძნა: „უთხარი ადამიანს, რომელიც შენ შეაჩერე, თქვას ის, რაც ენებზე ეძლევა და განმარტოს“.

ცოტა ყოყმანით, ვუთხარი მამაკაცს: „ბატონო, ვფიქრობ, ღმერთს სურს, რომ სწორედ ახლა წარმოთქვათ ის უწყება, რომელიც მან მოგცათ“.

მან ილაპარაკა ენებით და განმარტა კიდეც. სიტყვა ასე ჟღერდა: „ასე ამბობს უფალი: მე დავინახე ცოდვის ინფექცია ამ ეკლესიაში. ჩემს მსახურს მხოლოდ მისი ნაწილი ვუჩვენე. ყურად იღეთ მისი სიტყვები, რადგან ეს ჩემი სიტყვებია“.

ხმამაღლა ვტიროდი ამ ეკლესიაში დაშვებული ცოდვისა და ამბოხის გამო. მწყემსი გაოგნებული იყო. ცოდვა გამრავლდა, რადგან ლიდერებს ეშინოდათ მათი, ვინც ღვთის ნების შესაბამისად უნდა დაეცვათ.

ძალიან გამიხარდა, როცა მოგვიანებით გავიგე, რომ მწყემსი წინ აღუდგა იმ მამაკაცს და ქალს, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ. ორივემ მოინანია და გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ დაშორებოდნენ ერთმანეთს.

## თანამშრომლებით შეშინებული მწყემსი

ერთხელ ვმსახურობდი ეკლესიაში, სადაც განრიგი ისე იყო შედგენილი, რომ მსახურებები იწყებოდა კვირა დილით და ოთხშაბათ საღამომდე გრძელდებოდა. საოცარი მსახურებები გვქონდა, ნამდვილი მონანიებით, განკურნებებით და განთავისუფლებებით. ეკლესია ფინანსურ გარღვევას განიცდიდა. დასწრება გაიზარდა. მაგრამ სამშაბათ საღამოს მსახურების წინ მწყემსი ატირდა.

– რა მოხდა? – ვიკითხე მე.

– ჯონ, მე არ მშურს შენი, უბრალოდ არ მესმის, რატომ არასოდეს არ ვხედავ ღმერთის მოქმედებას. მე სულიწმიდით ვარ ავსილი, მაგრამ ჩემს მსახურებაზე სულიწმიდის არცერთი ნიჭი არ მოქმედებს; არც არავინ ინკურნება, არც თავისუფლდება და ყველაფერი ძალიან რთული მეჩვენება.

მაშინ მას რამდენიმე კითხვა დავუსვი. გამოირკვა, რომ მათ საეკლესიო საბჭოში არის ორი ოჯახური წყვილი, რომლებიც მწყემსზე ადრე (მოინათლნენ) აღივსნენ სულიწმიდით. ამიტომ ისინი მიუთითებდნენ მწყემსს, როგორ მოქცეულიყო და როგორ ემართა ეკლესია. მე ავუხსენი: „შენ გეშინია საეკლესიო საბჭოსი. შენ უნდა დაუბრუნდე ღვთისაგან მოცემულ ძალაუფლებას და თქვა, რომ მწყემსი შენ ხარ და არა ისინი“.

მეორე დღეს მწყემსი დაელაპარაკა მათ. ორივე წყვილი გაბრაზდა და ეკლესიიდან წავიდნენ. მსახურებები გრძელდებოდა. ბოლო საღამოს, ადამიანთა ჯგუფი წინ გამოვიდა ლოცვისთვის,

მაგრამ ღმერთმა მითხრა: „შენ არ ილოცო მათთვის. დაე, მწყემსმა ილოცოს“.

მე ვუყურებდი მწყემსს და ვხედავდი ღვთის ძალას მის გარშემო. „მწყემსო, – მივმართე მას, – „ღმერთმა თქვა, რომ შენ ილოცო მათთვის“.

იგი ამ ჯგუფში შევარდა და მისი ერთი შეხებით ადამიანები ძირს ეცემოდნენ. ძლიერი იყო ღმერთის ძალის გამოვლინება.

ბოროტი სულით შეპყრობილი გოგონა გათავისუფლდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს ჯგუფი იატაკზე იწვა და სულიწმიდა ემსახურებოდა მათ! მწყემსი შემობრუნდა, შემომხედა და თვითონაც იატაკზე დაენარცხა. მსახურების დასრულება მის ცოლს მოუწია. ნახევარი საათის შემდეგ ორმა პიროვნებამ მწყემსი ფეხზე წამოაყენა. ეკლესია მეტად აღარ ყოფილა ისეთი, როგორიც ადრე.

## ერთი და იგივე პიესა განსხვავებული დეკორაციებით

მე გახლდით მოწმე იმისა, თუ როგორ მოქმედებდა ეს პრინციპები ეკლესიებში და ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში. საზღვარგარეთ ერთ ეკლესიაში ვმსახურობდი და თვალყურს ვადევნებდი იმას, თუ როგორ იქცეოდნენ მწყემსები და ლიდერები. აშკარად ვხედავდი, რომ ისინი გაუბედაობას ებრძოდნენ. მთელი კვირის მანძილზე ვამხნევებდი და ვუქადაგებდი დარჩენილიყვნენ ძლიერები სულში და ესწრაფათ უმაღლესი მოწოდებისაკენ უფალში. ჩემი წამოსვლიდან სამი თვის შემდეგ ეკლესია სამჯერ გაიზარდა! ისინი ოთხას ადგილიანი ეკლესიიდან ორი ათას ადგილიან აუდიტორიაში გადავიდნენ. მოგვიანებით, როცა ამ ქვეყანაში კვლავ დავბრუნდი მწყემსმა მითხრა, რომ ის და მისი ეკლესია შეიცვალნენ, როცა გაუბედაობა და შიში დაამარცხეს.

ერთხელ ატლანტაში მსახურებისთვის მიმიწვიეს სამი დღით. ბოლო საღამოს ვქადაგებდი იმის შესახებ, თუ როგორ დავამარცხოთ გაუბედაობის ძალა. მწყემსი გათავისუფლდა შიშისგან, რომელსაც თავისი ხალხის წინაშე გრძნობდა. მან მითხრა: „შენ აუცილებლად უნდა დაბრუნდე უკან, თანაც რაც შეიძლება მალე, და მთელი კვირით დარჩე ჩვენთან“.

მე სამი კვირის შემდეგ ჩავედი მათთან და ცხრა მსახურება ჩავატარე. ღმერთის ძალა ისე ძლიერ მოქმედებდა, რომ ღამით მწყემსს სახლში ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რადგან ზოგიერთები ისევ უფლის თანდასწრებისა და ძალის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ არასოდეს არ განეცადათ ღვთიური ძალის ასეთი მოქმედება.

ამის შემდგომ იმ ეკლესიაში ცხრა თვის მანძილზე, ყოველი კვირის ბოლოს გამოღვიძების მსახურებები ტარდებოდა. მწყემსი მირეკავდა და ინფორმაციას მაწვდიდა იმის შესახებ, თუ როგორი ძლიერი მსახურებები ტარდებოდა მათ ეკლესიაში და როგორი დიდებული მოვლენები ხდებოდა ეკლესიის წევრების ცხოვრებაში. იგი ამბობდა, რომ არცერთი მსახურება არ ჰგავდა მეორეს. მათი ეკლესია ოთხასიდან შვიდას კაცამდე გაიზარდა. მან მითხრა, რომ ის საღამო, როცა გაუბედაობის შემუსვრის შესახებ ვქადაგებდი, გარდამტეხ მომენტად იქცა მის ცხოვრებასა და მსახურებაში.

მე „ცოცხალი რწმენის“ კიდევ ერთ ეკლესიაში ვიყავი. ღმერთის განდიდების დროს შეიძლებოდა დაგძინებოდათ. მწყემსი წამოდგა, გააკეთა განცხადება, შემდეგ კი „ასწავლა“ შესაწირის შესახებ. ამაზე მოსაწყენი არაფერი მენახა. მსახურების შემდეგ ერთად სადილობის დროს მას მხოლოდ ფეხბურთზე და სხვა ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე შეეძლო ესაუბრა. ეს ძალზე მოსაწყენი გახლდათ!

მეორე საღამოს ღმერთმა მაიძულა გაუბედაობის შემუსვრის შესახებ მექადაგა. შუა ქადაგების დროს მწყემსი ძირს დაეცა და პირად ცხოვრებაში და მსახურებაში არსებულ სისუსტეებს ინანიებდა. ვიცოდი, რომ ღმერთი გარკვეულ სამუშაოს ასრულებდა მის ცხოვრებაში, მაგრამ არ ვიცოდი, რა სამუშაო იყო ეს.

მეორე დღეს მან დამირეკა: „ჯონ, ჩემს მეუღლეს მხოლოდ ერთი საათი ეძინა, მე კი საერთოდ არც დავწოლილვარ. მთელი საღამო ვინანიებდით და ვტიროდით, შემდეგ კი ვიცინოდით. მერე ყველაფერი თავიდან დაიწყო: ვინანიებდით, ვტიროდით და ვიცინოდით“. მან იმავე დღეს მოიწვია საეკლესიო საბჭო და მათ წინაშე მოინანია, ითხოვა პატიება, რადგან ის არ იყო ისეთი ლიდერი, როგორიც ღმერთს სურდა, რომ ყოფილიყო. შედეგად საბჭოს რამდენიმე წევრი წავიდა ეკლესიიდან, რადგან მიხვდენენ, რომ მის გაკონტროლებას ვეღარ შეძლებდნენ.

შეიცვალა ეს პიროვნებაც და ეკლესიაც. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ისინი გამოღვიძების მსახურებებს ატარებდნენ. როცა მწყემსი მირეკავს, იგი მიამბობს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რას ამბობს ღმერთი მისი ბაგით და რა ხდება ეკლესიაში. მე რამდენჯერმე ვიყავი მათ ეკლესიაში და ყოველ ჯერზე უკეთესობას ვამჩნევდი. მან ასევე რამდენჯერმე მითხრა, რომ ის ქადაგება გარდამტეხ მომენტად იქცა მისი ცხოვრებისა და მსახურებისათვის. გათავისუფლება – არ არის მარტო ლიდერებისა და მწყემსებისათვის, ის თითოეული

მორწმუნისთვისაა. მრავალი მოწმობა მიგვიღია ჩვეულებრივი ადამიანებისგან – ისინი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში გაუბედაობისა და შიშისაგან გათავისუფლდნენ.

ერთ ეკლესიაში, როცა იქ იგივე თემაზე ვქადაგებდი, მსახურების შემდეგ ჩემთან მოვიდა ქალი, რომელმაც მითხრა, რომ იგრძნო, როგორ მოშორდა შიშის მარწუხები მის ცხოვრებას. რამდენიმე დღის შემდეგ ის და მისი გოგონა შეიარაღებული მძარცველების ხელში აღმოჩნდნენ.

დიდმა გაბედულებამ აავსო მისი შინაგანი და მთელი ძალით დაიწყო უცხო ენებით ლაპარაკი. ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მათ პისტოლეტს უმიზნებდა, იყვირა: „გაჩერდი!“. მაგრამ ქალი აგრძელებდა ლაპარაკს. მძარცველი ისე დაიბნა, რომ გოგონამ მოახერხა 911-ში დარეკვა. მძარცველი გაიქცა, თან საფულე გაიყოლა.

მეორე დღეს ერთმა ქრისტიანმა გადაწყვიტა დედასთან წასულიყო, მაგრამ არა იმ გზით, რომლითაც ჩვეულებრივ მიდიოდა ხოლმე. მან ტყეში იპოვა ამ ქალის საფულე და დაურეკა მას. ისინი ერთად ხარობდნენ. საფულეში არ აღმოჩნდა მხოლოდ მცირეოდენი თანხა, საბუთები კი ადგილზე იყო.

იმ ქალმა ჩემს ცოლს უთხრა, რომ მან დაიჯერა უწყება, რომელსაც გაბედულება მოაქვს და ამან იხსნა მისი სიცოცხლე.

მე მადლობას ვუხდი და ვადიდებ უფალს ასეთი მოწმობებისათვის. ერთ დროს მეც შებორკილი ვიყავი გაუბედაობით, მაგრამ უფლის მადლით ახლა თავისუფალი ვარ!

ჩვენ განვიხილეთ, თუ რას წარმოადგენს გაუბედაობა და შიში; დავინახეთ, თუ როგორ შეუძლია ამ ყოველივეს ხელი შეუშალოს ღმერთის ნიჭებისა და ძალის მოქმედებას და უარეს შემთხვევაში შეაჩეროს კიდეც. მაგრამ ჩვენი მიზანი სცდება უბრალოდ ამოცნობის საზღვრებს. ჩვენ უნდა ვიმოძრაოთ წინ და შევმუსროთ ეს მომაკვდინებელი წინააღმდეგობა!

*სულიერი წინააღმდეგობა სულიერ*
*მიდგომას მოითხოვს*

# გაუბედაობის სული

გაუბედაობის გამოსავლენად და მის შესამუსრად საჭიროა გავაცნობიეროთ ორი რამ. ჯერ ერთი, შიში ანუ გაუბედაობა – ეს სულია; და მეორეც, ის არ არის ღმერთისგან.

„ვინაიდან ღმერთმა ჩვენ მოგვცა არა სიმხდალის სული“ (2ტიმ.1:7;)

სიტყვა „სული“ ბერძნულად არის „პნევმა“. სტრონგის სიმფონიის თანახმად, ეს იგივე სიტყვაა, რომელიც სულიწმიდის, ადამიანის სულის ან დემონის აღსანიშნავად გამოიყენება. გაუბედაობა, მშიშრობა, მორიდებულობა – ეს არ არის უბრალოდ მიდგომა ანდა ტემპერამენტი. ეს არის სული.

და რადგანაც გაუბედაობა – სულია, არ შეგვიძლია მასთან ბრძოლა ინტელექტუალურ ან ნებისყოფის დონეზე. პოზიტიური აზროვნება გაუბედაობას ვერ დაამარცხებს. სულიერი წინააღმდეგობა სულიერ მიდგომას საჭიროებს. ჩვენ სულიერ სფეროში უნდა ვიმოქმედოთ.

თავად დაფიქრდით: რატომ არის, რომ ინტელექტუალურ ადამიანებს და ფიზიკურად ძლიერ ადამიანებს ეშინიათ მათი, ვინც მათზე სუსტია ფიზიკურად და ინტელექტუალურად? თუ ყველაფერი რიგზეა, ისინი მაინც შიშობენ, რომ გარემოება შეიძლება უარესისკენ შეიცვალოს. შეშფოთებულები მთელ თავიანთ დროსა და ენერგიას საკუთარი თავის დაცვაში ხარჯავენ; თავს იცავენ იმისგან, რაც შესაძლოა არასოდეს არ მოხდეს. მათ არ შეუძლიათ რაიმეთი დატკბნენ მოცემულ მომენტში, რადგან მომავლის ეშინიათ. და როგორც არ უნდა ეცადო და შეაგონო იაზროვნონ საღად, შიში მაინც რჩება. ისინი შიშის ან გაუბედაობის სულით არიან შებორკილნი. მათ უნდა ებრძოლონ არა ბუნებრივ სისუსტეებს, არამედ სულიერს.

წარმოიდგინეთ ქალი ან მამაკაცი, რომლებიც ყოველთვის ყველაფერს თავისებურად აკეთებენ. მნიშვნელობა არ აქვს რა სტატუსის და განათლების მქონენი არიან ისინი. შესაძლოა, ძალაუფლების არავითარ პოზიციას არ ფლობენ, მაგრამ ირგვლივ ყველა და ყველაფერი მათ ემორჩილება. რატომ? ყველაფერი ძალზე იოლადაა. ისინი სხვებს გაუბედაობისა და შიშის სულით აკონტროლებენ. მათ ისწავლეს ამ სულის გამოყენება საკუთარი სარგებლობისათვის.

მე ვვახშმობდი ერთ ძალიან წარმატებულ ბატონთან, რომლის ბიზნესიც ყვაოდა. მან მიამბო, თუ როგორ ცხოვრობდა და მოქმედებდა უფლისკენ მოქცევამდე. მან მითხრა: „ადამიანების დაშინებით შემეძლო მიმეღო ყველაფერი, რაც ბიზნესისათვის მჭირდებოდა. შემეძლო რეალურად შემეგრძნო ეს ძალა, როცა მერიის შენობაში შევდიოდი. მომწონდა, რომ ადამიანებს ჩემი ეშინოდათ. ვღებულობდი ყველაფერს, რაც მჭირდებოდა, ქალაქის საბჭოდანაც კი“. იგი ფლობდა გაუბედაობისა და დაშინების სულს.

ქალაქის ხელმძღვანელობაც კი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალ პოზიციებს ფლობდნენ, ვერ ბედავდნენ მისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

## მაკონტროლებელი სული

ელიას არ შეშინებია ისრაელიანების, რომლებიც ბაყალს ეთაყვანებოდნენ. როგორი საოცარი გაბედულებაა – ერთი ადამიანი მთელი ერის წინააღმდეგ! იგი 850-მა წინასწარმეტყველმაც კი ვერ დაამარცხა. როგორი სითამამეა – ერთი წინასწარმეტყველი თითქმის ათასი რელიგიური ლიდერის წინააღმდეგ! ბოლოს და ბოლოს, მას ისრაელის მეფის რისხვაც არაფრად მიაჩნდა. ადამიანების უმრავლესობა ასეთ სიტუაციას ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ, ერთ ქალს ნება მისცა იმ დონემდე დაეშინებინა, რომ გაიქცა და სიკვდილი ინატრა! რა უაზრობაა.

ფსიქოლოგები იტყოდნენ, რომ მას უბრალოდ ქალების ეშინოდა. მაგრამ ეს ძალზე სუსტი არგუმენტია. ისრაელი მარტო მამაკაცებისგან არ შედგებოდა! არა, ეს იყო ისეთი სიძლიერის სულიერი კონფლიქტი, რომ მთელი ერი, მეფე და ცრუწინასწარმეტყველნი უძლურნი იყვნენ მის წინაშე. იზებელის სახით ელია გაუბედაობისა და დაშინების ძლიერ მაკონტროლებელ სულს გადააწყდა. ეს სული არ იყო არც მეფეში და არც ცრუწინასწარმეტყველებში.

მოდით, გავერკვეთ რას ამბობს წმინდა წერილი ამ სულის შესახებ.

„და როცა დაინახა იორამმა იეჰუ, თქვა: „მშვიდობაა იეჰუ?“ და თქვა: „რა მშვიდობა უნდა იყოს დედაშენის იზებელის გარყვნილებისა და მისი ამდენი ჯადოსნობის მერე?“ (4მეფ.9:22;)

სიტყვა „ჯადოსნობა“ ნუ დაგაბნევთ. ნუ წარმოიდგენთ, რომ ეს იყო ცოცხზე გადამჯდარი ბებერი ჯადოქარი. ადამიანი ჯადოსნობს, როცა სურს სხვები გააკონტროლის. დიახ, არსებობს კონტროლის ანუ ჯადოსნობის ასეთი ფორმა, როცა იძახებენ დემონურ სულებს. მაგრამ ჯადოსნობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. პავლე საყვედურობდა გალატელთა ეკლესიას: „ჰოი, უგუნურო გალატელებო! ვინ მოგაჯადოვათ თქვენ, რომ არ დამორჩილებოდით ჭეშმარიტებას“ (გალ.3:1;). ისინი რაღაც შინაური წამლებით არ იყვნენ მოჯადოებულნი. პავლე ახსენებს მასწავლებლებს, რომლებიც არწმუნებდნენ მათ, რომ არ ესმინათ ღმერთისთვის იმ საკითხებში, რაც მათ გაუცხადდათ. ეს მასწავლებლები ოკულტური საქმეების სპეციალისტები არ იყვნენ, მაგრამ მათში იყო მაკონტროლებელი სული. და ამან გავლენა იქონია მთელს ეკლესიაზე.

იზებელი ფლობდა ისეთ ძლიერ მაკონტროლებელ და დამაშინებელ სულს, რომ მეფეც, ლიდერებიც და ხალხიც მას ემორჩილებოდნენ. ელიამაც კი უკან დაიხია და თავის გადასარჩენად გაიქცა. როცა შიშს უფლებას აძლევთ შემოვიდეს თქვენს გულში, კარგავთ მშვიდობას, ნდობას, გაბედულებას, სიმტკიცეს და უსაფრთხოებას. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

ვხედავ, როგორ ცდილობენ ადამიანები პოზიტიური აზროვნების საშუალებით დააღწიონ თავი ამ მტანჯველ შიშს. მათ არაფერი გამოსდით, რადგან ისინი ებრძვიან შიშის შედეგებს და არა წყაროს. თქვენ შეგიძლიათ მთელი ნაყოფი ჩამოკრიფოთ ხიდან, გარკვეული ხნის მანძილზე იგი უნაყოფო იქნება, მაგრამ შემდეგ ნაყოფს ისევ მოისხამს. ხე მანამდე მოიტანს ნაყოფს, ვიდრე მისი ფესვები ძლიერია. ამიტომ, გაუბედაობის სულის დასამსხვრევად უნდა შეეწინააღმდეგოთ იმ სულიერ ძალას, რომელიც მის უკან დგას.

## კონტროლი და დაშინების სული ეკლესიაში

თქვენს ეკლესიებში არიან ადამიანები, რომელთა გულის მდგომარეობა არ არის უფლისთვის მოსაწონი. ასეთი მორწმუნეები აშინებენ ლიდერებს, რათა მიიღონ ის, რაც სჭირდებათ. ისინი მხოლოდ მაშინ ემორჩილებიან, როცა ყველაფერი ისე მიდის, როგორც მათ აწყობთ. როცა ლიდერები სუსტები არიან, სწორედ ასეთი ადამიანები მართავენ ეკლესიას. ხშირად დავდივარ ეკლესიებში და მომსწრე ვარ ასეთი მოვლენების და ზოგჯერ არც ვიცი, რატომ მიწევს ბრძოლა ამასთან და საერთოდ, საიდან მოდის ეს ყოველივე. მიზეზი ისაა, რომ დაშინება და გაუბედაობა – ეს არის სული, რომელიც ვლინდება დამთმობი ადამიანების საშუალებით. მორწმუნეების მხრიდანაც კი. ბიბლია გვაფრთხილებს ადგილი არ მივცეთ ეშმაკს (ეფეს.4:27;).

მინდა, ჩემი განცდები გაგიზიაროთ. ამის გაკეთებით შესაძლოა „სუპერსულიერის“ ანდა „ბოროტ სულებზე მონადირის“ დამღაც კი დამასვან. მესმის, რომ ზოგიერთი ადამიანი ყველა პრობლემაში, რომელიც წინ ელობება, ეშმაკს ეძებს: თუ შეგვიძლია ეშმაკი დავადანაშაულოთ, მაშინ ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ჩვენს ქმედებაზე. ასეთი მიდგომა უფრო მეტად ეშმაკზე ახდენს ყურადღების კონცენტრირებას, ვიდრე იესოზე. მაგრამ ბიბლია გვასწავლის მზერა მივაპყროთ იესოს და არა ეშმაკს. ის არის ავტორი და სრულმყოფი ჩვენი რწმენისა (ებრ.12:2;).

რამდენადაც მესმის, ჩვენი მზერა იესოსკენ უნდა იყოს მიმართული და თუ ეშმაკი გზაზე გადაგვეღობება, უნდა დავამარცხოთ უფლის სიტყვით და განვაგრძოთ უფლისკენ სწრაფვა! ალილუია! მაგრამ, გაუბედაობის და შიშის ეფექტურად გადასალახავად, უნდა გვესმოდეს, რომ ეს სული არ დაგვტოვებს, სანამ გამოაშკარავებული არ იქნება. და მოხდება საპირისპირო რამ.

## შეტევა

ახლა კი მინდა მოვიყვანო ერთი შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, რომ გაუბედაობა და დაშინება – ეს სულია. ერთ ეკლესიაში რამდენიმე დღის განმავლობაში ვქადაგებდი. პირველი მსახურება კვირა დილით ძლიერად წარიმართა. ამ მსახურების ვიდეოჩანაწერს წლების მანძილზე ვუშვებდით. მსახურების შემდეგ არავის არაფერი უთქვამს ნეგატიური. და

მართლაც, ჩემს ირგვლივ, ადამიანები ძალზე პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი. მოგვიანებით, ნაშუადღევს აღმოვაჩინე, რომ რაღაც ისე ვერ იყო, მაგრამ ვერ ვხვდებოდი რა. მაგრამ მე ვიცანი სიმპტომები: ისინი იესეთივე იყო, როგორიც მაშინ, როცა გაუბედაობის წინააღმდეგ ვიბრძოდი. იმ საღამოს ღმერთმა აღმძრა, რომ ეკლესიაში ძალაუფლების შესახებ მექადაგა.

მსახურების შემდეგ მწყემსმა ოფისში შემიყვანა და მითხრა: „შენ არც კი იცი, რომ პირდაპირ მიზანში მოარტყი შენი ქადაგებით“. მან მიამბო, რომ ერთმა ქალმა, ეკლესიის წევრმა შუადღით დაურეკა და უთხრა: „მწყემსო, ვიცი, რომ თქვენ არ ეთანხმებით იმას, რასაც ეს კაცი ქადაგებს. ის ძალზე მკაცრია ადამიანების მიმართ. ვიცი, რომ ამ საღამოს შემდეგ თქვენ შეწყვეტთ მსახურებებს, რადგან თქვენ ისეთი არ ხართ, როგორიც ის. მე საღამოს მსახურებაზე არ მოვალ, სახლში დავრჩები და ვილოცებ ამ კაცის წინააღმდეგ“.

ახლა კი ზუსტად ვიცოდი, საიდან მოვიდა ეს განხიბლვა. მე მწყემსს ვკითხე, სათანადო პასუხი გასცა თუ არა ამ პიროვნებას. მან მითხრა, რომ მას ეს არ გაუკეთებია. ქალს უბრალოდ სთხოვა, რომ ყველაფერი ღმერთის ხელთ გადაეცა. მწყემსს ამ ქალისთვის საჭირო მითითება რომ მიეცა და თავის ძლაუფლებაში დარჩენილიყო, დარწმუნებული ვარ, სრულიად სხვაგვარი დღე მექნებოდა. ის, რასაც არ ვებრძვით – არ შეიცვლება. თუ ბოროტებას იგნორირებას გავუკეთებთ, ის გაძლიერდება! ჩვენ ორივემ კარგი გაკვეთილი მივიღეთ იმ ინციდენტიდან. ღმერთმა გამოიყენა მისი მაგალითი, რათა ეჩვენებინა, როგორ დავრჩეთ სულიერ ძალაუფლებაში და უკან არ დავიხიოთ გაუბედაობისა და დაშენების სულის წინაშე.

მადლობა ღმერთს სულიწმიდისთვის. მან იცოდა, რაც ხდებოდა და მაიძულა პირდაპირ კათედრიდან შევბრძოლებოდი ამ სულს. თუმცა თვითონაც არ მესმოდა, რა ხდებოდა. მწყემსმა კი იცოდა და ქადაგებამ მას თვალი აუხილა. ეს მსახურებები ყველაზე ძლიერი მსახურებები იყო იმ წელიწადში. მოგვიანებით კვლავ ვესტუმრე ამ ეკლესიას. მწყემსთან კი დღესაც გულითადი მეგობრობა მაკავშირებს.

## კიდევ ერთი შებრკოლება გაუბედაობასთან: მაკონტროლებელი სული

მეორე შემთხვევაში, მე მიმიწვიეს სემინარზე, რომელიც საზღვარგარეთ იმართებოდა. სემინარზე დასასწრებად დაახლოებით ათასი კაცი დარეგისტრირდა. დღისით – ორი,

ხოლო საღამოს ერთი მსახურება უნდა ჩატარებულიყო. პირველი ორი მსახურება ძალზე ძლიერი იყო. მე სიწმინდესა და მონანიებაზე ვქადაგებდი და თითქმის ყველა მსახურებაზე ვგრძნობდი წინააღმდეგობას ატმოსფეროში. მეორე მსახურების შემდეგ, ნახევარი დღე ჩემს ოთახში სიმძიმესა და უიმედობასთან ბრძოლაში გავატარე. ვიცოდი, რომ ეს იყო შიშის მაკონტროლებელი სული, მაგრამ ჩემს საწინააღმდეგოდ არავინ არაფერს ამბობდა. და იმ დროისთვის, მე უკვე ვიცოდი, რომ ვიბრძოდი არა სისხლისა და ხორცის, არამედ ბოროტი სულის წინააღმდეგ.

მორწმუნეებმა სულში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ღმერთის სული გაგვიცხადებს, რის წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ. ასეთი გარჩევის გარეშე ჩვენი ყურადღება გვერდით მოვლენებზე გადავა. რომ არ მცოდნოდა რასთან მქონდა საქმე, ალბათ ვიფიქრებდი: „და რატომ ვებრძოდი დეპრესიას? ღირდა კი საერთოდ ჩემი აქ ჩამოსვლა? რატომ დავტოვე ცოლ-შვილი? იქნებ ეს ჩემი მოწოდება არ არის? იქნებ უნდა გავჩერდე და აღარ ვიქადაგო?“. ამ ფიქრებს რომ ავყოლოდი, მსახურებას ვეღარ შევძლებდი და მაკონტროლებელ შიშის სულსაც სწორედ ეს უნდოდა. ჩემს ყურადღებას მივმართავდი საკუთარი თავისკენ და არა იმაზე, რაც ღმერთს ჰქონდა ხალხისთვის სათქმელი.

ამრიგად მთელი დღე ვიბრძოდი. როცა მსახურებაზე წასაყვანად მომაკითხეს, თარჯიმანთან საუბარში ვახსენე, რომ გაუბედაობის სულს ვებრძოდი. „მეც!“ – თქვა თარჯიმანმა. გაირკვა, რომ ორივეს ბრძოლა ერთი და იგივე სიმპტომებს ატარებდა. იმ საღამოს ვიქადაგე გაუბედაობისა და დაშინების სულის შესახებ და ბევრმა მიიღო გათავისუფლება.

მეორე დილით, როცა კათედრასთან ვიდექი, არავითარი ცხებულება არ იგრძნობოდა. თითქოს ღმერთი დუმდა. ღმერთისგან სიტყვის მოლიდინში რამდენიმე წუთს მდუმარედ ვიდექი სცენაზე. მე ვლოცულობდი და ხალხსაც ვთხოვე ელოცათ, მაგრამ არ იყო არავითარი მმართველობა, არც ცხებულება, არც განცდა. გულის სიღრმეში ვხვდებოდი, რომ ვმონაწილეობდი რაღაც ბრძოლაში და ეს შეტევა ჩემს მიმართ იყო. ვიცოდი, რომ საჭირო იყო ჩემს მიმართ გამოთავისუფლებული სიტყვის დანგრევა. ღმერთის სიტყვა ამბობს:

> „ყოველი იარაღი დამზადებული შენს წინააღმდეგ, გაცუდდება; და ყოველ ენას, რომელიც შენს წინააღმდეგ წარსდგება სამსჯავროზე, შენ დაადანაშაულებ. ეს არის ხედვა უფლის მსახურთა და მათი გამართლება ჩემგან არის! – ამბობს უფალი“ (ესაია 54:17;)

დავიწყე გაუბედაობისა და დაშინების ამ შემოტევის დანგრევა. მე ვუბრძანე, ჩემს წინააღმდეგ წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას რომ ყოფილიყო განსჯილი. არ ვზრუნავდი იმაზე, თუ რას იფიქრებდნენ ადამიანები. მე უკვე ვიცოდი, რომ როცა სული ლაპარაკობს, ყველაზე უკეთესია უსმინო საკუთარ გულს. მაშინვე ღმერთის სიტყვა მოვიდა ჩემთან. ღმერთმა მთელი სიზუსტით მითხრა რა უნდა გაეკეთებინათ ადამიანებს. ორი-სამი წუთის შემდეგ მოვიდა ღმერთის ძალა. ადამიანები ისე აღივსნენ სულიწმიდით, რომ დაიწყეს გაუკონტროლებელი სიცილი. ღვთიური ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ თითქმის არ ვქადაგებდი. დღის სამი საათისათვის კი ადამიანები ისევ ადგილზე რჩებოდნენ და ამოწმებდნენ. მოხდა უდიდესი გარღვევა და ჩემი გული დიდად ხარობდა. მე წინააღმდეგობა რომ არ გამეწია ამ სულისთვის, ეს ყოველივე არ მოხდებოდა.

მოგვიანებით თარჯიმნისგან გავიგე, რომ მსახურებას ეწინააღმდეგებოდა მსახური – ქალი, რომელიც მსახურების გეგმის შესადგენად მოვიდა სემინარის ხელმძღვანელთან და უთხრა: „რატომ უნდა უსმინოს ხალხმა ყველა მსახურებაზე ჯონ ბევირს? ჩვენ სხვა მქადაგებლებიც გვჭირდება“.

მე სხვა გასაკვირი ამბებიც მოვისმინე ამ ქალბატონის შესახებ. იგი ადამიანთა გათავისუფლების არაბიბლიურ მეთოდებს იყენებდა: იყენებდა თვალის წვეთებს და კანის ღვინით დაზელვას. არავინ იყო, რომ იგი ემხილებინა. ფაქტობრივად, ლიდერი უფლებას აძლევდა ემსახურა ამ სახით. სამწუხაროა ამის აღიარება, მაგრამ ეკლესიის ლიდერები ხშირად კომპრომისზე მიდიან იმის ნაცვლად რომ წინააღმდეგობა გაუწიონ. ფიქრობენ, რომ ასე უფრო მოსახერხებელია. მაგრამ კომპრომისზე წასვლა ძვირად გვიჯდება ხოლმე.

მსახურების შემდეგ ლიდერს დაველაპარაკე. ვკითხე, მართალი იყო თუ არა ის ისტორიები, რაც ამ ქალის შესახებ მოვისმინე. მან დამიდასტურა. მე ჩემი აზრი გამოვთქვი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყანა მქადაგებლის არჩევის საკითხი, უკვე მას შემდეგ, რაც ლიდერმა განსაზღვრა მსახურებასთან დაკავშირებული ღვთიური მიმართულება. მე ვუთხარი, რომ აშკარად ქალს სურს მისი გაკონტროლება (ქალი არ იყო ლიდერი და არც ამ ეკლესიის წევრი).

მე ვკითხე: „რატომ აძლევ ამ ქალს მსახურების გამართვის უფლებას ამ ეკლესიაში?“

მან მითხრა: „ჯონ, მე მას ვუთხარი, რომ ასე მოქცევის უფლება არ აქვს“.

– „შენ შეგიძლია შეაჩერო ამ არაბიბლიური მეთოდების გამოყენება, მაგრამ ამ ყოველივეს უკან მდგარი სული მაინც დარჩება. მისი გულის მდგომარეობა არ შეიცვლება. როგორც ლიდერს გინდოდა, რომ მშვიდობა შეგენარჩუნებინა, ამიტომ კონტროლისა და დაშინების სულის მქონე პიროვნება მსახურებისა და ძალაუფლების პოზიციაზე დააყენე. ამან კი გაუბედაობისა და დაშინების სულს კანონიერი უფლება მისცა ებრძოლა ჩემს წინააღმდეგ და ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ, ვინც ამ სულის სურვილებს არ ეთანხმება“ – ავუხსენი მე მას.

იმისათვის, რომ მწყემსს უკეთ დაენახა რა ხდება, მე მას ერთი შემთხვევის შესახებ ვუამბე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში მოხდა. ერთ განსაკუთრებულ საღამოს (მე მაშინ კოლეჯში მწყემსად ვმსახურობდი), ღმერთს ძლიერად ვადიდებდი. ახალგაზრდები ტიროდნენ. შენობა ღვთიურმა მშვიდობამ და თანდასწრებამ აავსო. ეს დაახლოებით ორმოც წუთს გაგრძელდა. ერთ მომენტში ყველა გაჩერდა, მხოლოდ ზოგიერთის ჩუმი ტირილის ხმა ისმოდა.

და უცებ, ახალგაზრდა ვაჟმა, რომელიც ადრე არასოდეს მინახავს, ენებით დაიწყო ლაპარაკი. ვიდრე ის ლაპარაკობდა, შენობა მოუსვენრობისა და მომხდარის გაუგებრობის გრძნობამ მოიცვა. შემდეგ გოგონამ, რომელიც მის გვერდით იდგა და რომელიც ასევე მანამდე არ მენახა, რაღაც უცნაურად განმარტა ნათქვამი.

ამ დრომდე მე უფლის თანდასწრებაში ვიყავი, მაგრამ უცებ ამ მოვლენის წინაშე აღმოვჩნდი, მე არაფერი მითქვამს.

როცა გოგონამ ლაპარაკი დაამთავრა, ატმოსფერო უკვე შეცვლილი იყო. ღმერთის თანდასწრება სრულიად დაიკარგა. ვიფიქრე, რომ რაიმეს თქმა უკვე გვიანი იყო. ყველაფერი უკვე დაირღვა. ამიტომ ყველას ვთხოვე დამსხდარიყვნენ, გავაკეთე განცხადება მთელი კვირის მსახურებების შესახებ, შემდეგ შესაწირი შევაგროვეთ. ამის შემდეგ დავიწყე ქადაგება.

ქადაგების დროს სულ ვფიქრობდი: „სად არის სიცოცხლე? რა ხდება? რატომ ვამბობ ამ ყველაფერს?“. ქადაგების დროს არ იგრძნობოდა ცხებულება და მივხვდი, თითქოს რაღაც მებრძოდა. არ მესმოდა, რატომ არ მოქმედებდა ღვთიური ნიჭი და ყველას ვთხოვდი, რომ გველოცა. ღმერთმა მითხრა: „მინდა, რომ ამ ბიჭს და გოგოს წინ აღუდგე“.

ვიფიქრე: „მაგრამ უკვე ოცი წუთი გავიდა. ამის გაკეთება არ შემიძლია“. მე არ გავითვალისწინე ის, რაც ღმერთმა მითხრა და გავიფიქრე, რომ უბრალოდ დიდხანს ვილოცებდი. ჩვენ ვაგრძელებდით ლოცვას და გამოვდიოდით სულიერი წინააღმდეგობის წინააღმდეგ.

რამდენიმე წუთის ლოცვის შემდეგ, იმედგაცრუებულმა ვთქვი: „ღმერთო, რა ხდება?“

მე კვლავ გავიგე ჩემს სულში: „ მინდა, რომ მათ წინაღუდგე“.

ამ მომენტისთვის უფრო მეტი დრო იყო გასული. ვიფიქრე: „არავითარ შემთხვევაში. ხალხი იფიქრებს რომ რაღაც უცნაური ვარ“. კიდევ ათი წუთი ვილოცე, მაგრამ არავითარი ცვლილება არ ჩანდა. იმედგადაწურულმა მსახურება დავასრულე.

სახლში გულდამძიმებული დავბრუნდი. უფალთან კითხვის დასმაც კი არ მინდოდა, თუ რა მოხდა. უბრალოდ დასაძინებლად წავედი. მეორე დილით უფრო მეტ სიმძიმეს ვგრძნობდი სულში. ლოცვა დავიწყე.

„ღმერთო, რა მოხდა გუშინ საღამოს?“ – ვკითხე მე მას.

მან მიპასუხა: „ჯონ, ხომ გითხარი, რომ წინაღდგომოდი იმ ახალგაზრდებს“. და განაგრძო: „როცა შენ მსახურების (ან სხვა რამის) ლიდერად გაყენებ, შენ გეკისრება პასუხისმგებლობა წესრიგისათვის ამ მსახურებაზე და სათანადო ძალაუფლებაც გაქვს ამისათვის. მე არ გავაკეთებ ამას, რადგან შენ მოგანდე ამის გაკეთება. როცა ადამიანი ედემში შევუშვი ვუთხარი, რომ დაეცვა იგი. ეშმაკი მოვიდა, რომ ნგრევა მოეტანა, მაგრამ მე არ ჩამოვსულვარ და არ წამირთმევია ხის ნაყოფი ადამისთვის ხელიდან, თუმცა ვიცოდი, თუ როგორი სერიოზული შედეგები მოყვებოდა ამას ადამიანისათვის და მთელი კაცობრიობისათვის! მე არ ვართმევ იმას, რასაც ვიძლევი და ეს პასუხისმგებლობა მე მას დავაკისრე. იმ ახალგაზრდაში არის ამბოხის სული. შენ არ მომისმინე, ამიტომ სულს მსახურებაზე ბატონობის უფლება მიეცა. როცა ეს მოხდა, ჩემმა სულმა უკან დაიხია, რადგან შენ დათმე შენი ძალაუფლება“.

მე დაუყოვნებლივ მოვინანიე და გადავწყვიტე, რომ ასეთი რამ აღარ მოხდებოდა.

ეს ისტორია ვუამბე იმ მწყემსს და ის მიხვდა, თუ რატომ უნდა აღდგომოდა წინ ამ მეამბოხე მსახურ ქალს. მე გავამხნევე იგი: „შენ – ამ ხალხის მწყემსი ხარ და მონოდებული ხარ არა მარტო კვებო ისინი, არამედ დაიცვა კიდეც. დაცვა გულისხმობს წინააღმდეგობას“.

მე ვკითხე მას: „გქონია ისეთი სიტუაციები, როცა ადამიანები რაიმეს ითხოვენ შენგან და გულში იცი, რომ უნდა თქვა „არა“, მაგრამ იმისთვის, რომ მშვიდობა შეინარჩუნო, ამბობ „დიხ“?

მან მიპასუხა: „დიახ ჯონ, მე ვიქცევი ასე“. იგი ერთ წამს დაფიქრდა, შემდეგ კი შემომხედა: „ეს ხომ თვალთმაქცობაა?“

მე დავეთანხმე: „სწორედ მსჯელობ. ამ თვალთმაქცობას ანუ კომპრომისს გაუბედაობა და შიში წარმოშობს“.

მან მოინანია და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გარკვეულიყო იმ საკითხებში, რომლის წინაშეც ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემდგომში, როცა მას კვლავ შევხვდი, მის სახეზე სიხარული იყო აღბეჭდილი და მან წამოიძახა: „გავთავისუფლდი!“.

გააცნობიერეთ, რომ უხერხული კონფრონტაციის ეს მაგალითები უკიდურეს სიტუაციებს წარმოშობს. მე ასობით მსახურებაზე მიქადაგია და იქ არ ყოფილა არავითარი წინააღმდეგობა. თავისუფლება – ეს ნორმაა; წინააღმდეგობა – გამონაკლისი. მაგრამ მე ვგრძნობ, რომ აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

თუმცა ეს მაგალითები მსახურებას ეხება, ამ პრინციპების გამოყენება ყველა სფეროშია შესაძლებელი. გაუბედაობა და შიში – ეს სულია, და მას სათანადოდ უნდა მოვეპყროთ. თუ სულიერ ბრძოლაში ხორციელი იარაღით ვიბრძოლებთ, უკეთეს შემთხვევაში უბრალოდ დავიბნევით, უარეს შემთხვევაში კი – დავიჭრებით და დავმარცხდებით.

> „ვინაიდან, თუმც ხორცში დავდივართ, ხორციელად არ ვიბრძვით. ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად, იმით ვამხობთ ზრახვებს და ყოველ სიმაღლეს, რომელიც აღმართულია ღვთის ცოდნის წინააღმდეგ და ვატყვევებთ ყოველგვარ აზრს ქრისტეს დასამორჩილებლად“ (2კორ.10:3-5;).

მტერი, რომლის სახელია „გაუბედაობა“, ჩვენს სულს უტევს. მასზე გამარჯვება ფსიქოლოგიით და დადებითი აზროვნებით შეუძლებელია. გაუბედაობისა და შიშის წინააღმდეგ მიმართულ იარაღს წარმოადგენს სულის მახვილი, სიტყვისადმი მტკიცე მორჩილება (ეფეს.6:17;). კონფრონტაცია გაუბედაობასთან თქვენში ღვთიურ ნიჭს აღვიძებს. ამის შესახებ შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

# გაუბედაობის შემუსვრა

*რას მიზამს მე კაცი?*

# ნიჭის გაღვივება

გაუბედაობისა და დაშინების მიზანია – გვაიძულოს დავთმოთ ძალაუფლება და ამგვარად არ მივცეთ ნიჭებს მოქმედების საშუალება. მაშინ იძულებულნი ვიქნებით საკუთარი შემოსაზღვრული ძალები და უნარები გამოვიყენოთ. ჩვეულებრივ, ეს ჩვენს თავდასხმით პოზიციას თავდაცვითი პოზიციით შეცვლის. ვგრძნობთ რა, საკუთარ სისუსტეს, უფრო და უფრო ვიხევთ უკან, ვეძებთ რა უსაფრთხოებას და კომფორტს.

## ნიჭის გაღვიძება

ამრიგად, თუ გაუბედაობა აძინებს ნიჭს, მაშინ რა გააღვივებს მას? გაბედულება. გაუბედაობა და დაშინება ადამიანს უკან დახევას აიძულებს, იმ დროს, როცა გაბედულება გვიბიძგებს საშიშროების წინააღმდეგ ვიმოძრაოთ. მაგრამ საიდან მოიტანოს გაბედულება შეშინებულმა ადამიანმა?

„ვინაიდან ღმერთმა ჩვენ მოგვცა არა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების“ (2ტიმ.1:7;)

გაბედულება მოდის ისეთ სათნოებებთან ერთად, როგორიცაა ძალა, სიყვარული და კეთილგონიერება. თავისთავად, გაუბედაობა სათნოებას არ წარმოადგენს. ზოგიერთი ცნობილი პიროვნება ცნობილია, როგორც თავისი გაბედულებით, ისე თავისი უსირცხვილობითაც. ჭეშმარიტი გაბედულება მოდის ღმერთისგან და იგი საკვებს ღვთისმოსაობისგან ღებულობს. გაბედულება, რომელიც ღვთიური ბუნებიდან მომდინარეობს, აღვიძებს ნიჭებს ჩვენს ცხოვრებაში.

ზოგიერთი ადამიანის გაბედულების უკან არავითარი

სათნოება არ დგას. მათ იციან რა უნდა თქვან და გაბედულად და დამაჯერებლად მოქმედებენ, როცა მცირე წინააღმდეგობებს აწყდებიან ან საერთოდაც არ აწყდებიან. მაგრამ მათ ძალას სიღრმე არ გააჩნია. იგი ზედაპირულია. სახის გაბედული გამომეტყველება – ნიღაბია, რომლის უკანაც ქედმაღლობა ან უვიცობა იმალება. ასეთი გაბედულების ფესვი სუსტია და ძლიერი შტორმი ამოაგდებს მას. ვიდრე კარგი ამინდია, არ ჩანს რამდენად ღრმაა ხის ფესვები, მაგრამ ძლიერი ქარის შემთხვევაში ის ან ამოიძირკვება ან გაძლებს.

## ვინ უფრო ძლიერია?

დავითმა თქვა: „უფალი შუქი არის და ხსნაა ჩემი: ვის შევუშინდე?“ (ფსალ.26:1; ინგლ.ფსალ.27:1). დავითმა უფალი თავისი ძალისა და სიმაგრის წყაროდ აღიარა. მან იცოდა, რომ არავინ არის უფალზე დიდებული და უშიშრად განაცხადა: „არავისი არ მეშინია!“.

ის არა მარტო გაბედულად აღიარებდა, არამედ ცხოვრებაშიც გაბედულებას იჩენდა. დავითმა იცოდა ღვთის ძალა, რადგან იცნობდა მას. ამგვარმა გაბედულებამ საშუალება მისცა აღესრულებინა თავისი დანიშნულება და სამართლიანად ემართა. მოდით, გავიხსენოთ დავითის ახალგაზრდობის წლები.

დავითი ბეთლემელი იესეს მერვე ვაჟი იყო. სამი უფროსი ძმა მეფე საულის არმიაში მსახურობდა. ფილისტიმელებმა ისრაელის წინააღმდეგ ჯარი შეკრიბეს. ყოველდღე, მათი ჯარისკაცი, გოლიათი, გამოწვევის წინაშე აყენებდა ისრაელ ჯარისკაცებს: „გამოარჩიეთ თქვენში კაცი, და ჩამოვიდეს ჩემთან, თუ გამიმკლავდება და დამამარცხებს თქვენი მსახური გავხდებით. თუ მე გავუმკლავდი და დავამარცხე, თქვენ გაგვიხდით მსახურებად და გვემსახურეთ“ (1მეფ.17:8-9;).

ზოგადად, ისრაელიანებს ეს გამოწვევები უნდა შეეფასებინათ, როგორც მოწოდება ომისკენ, მაგრამ გოლიათი რეგულარული არმიის ჯარისკაცი არ ყოფილა. ზოგიერთი მონაცემებით იგი სიმაღლეში თერთმეტ-ნახევარ ფუტს შეადგენდა (1ფუტი–30,48სმ.). უკეთ რომ წარმოვიდგინოთ, იგი იყო კალათბურთის კალათის სიმაღლის. ის არა მარტო დიდი, არამედ გამოცდილი მეომარიც იყო. მას ბრონზისფერი ჩაფხუტი ეხურა, მისი აბჯარი კი 125 ფუტს იწონიდა! მისი აბჯრის, მახვილისა და ისრის საერთო წონა ორას ფუტს შეადგენდა. იგი ძალზე საშიში სანახავი იყო! ბიბლიაში ნათქვანია: „და გაიგონეს საულმა და მთელმა ისრეალმა ფილისტიმელის სიტყვები და დაფრთხნენ და

შეშინდნენ მეტისმეტად“(1მეფ.17:11;). და აი, დავითი, მწყემსი, რომელიც მამამ გაგზავნა, რომ უფროსი ძმებისათვის საჭმელი მიეტანა და მათი ამბავი გაეგო. ამ დროს ჩემპიონი გოლიათი უკვე მეთოთხმეტედ გადმოდგა ისრაელიანების დასაცინად.

დავითი ძალზე გააკვირვა ნანახმა. იგი გაოცებული იყო არა გოლიათის ზომებით, არამედ ძმებისა და თანამემამულეთა რეაქციით. „როგორც კი დაინახეს ეს კაცი, გაიქცნენ მისგან ისრაელის ძენი, რადგან შეშინდნენ მეტისმეტად“ (1მეფ.17:24;). ალბათ, დავითი ფიქრობდა: „ნუთუ მათ დაავიწყდათ ვინ არის მათ მხარეს? ის არ გვიწვევს ჩვენ, ის იწვევს ღმერთს!“.

და დავითმა თამამად განაცხადა: „ვინ არის ეგ წინადაუცვეთელი ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს ცოცხალი ღვთის რაზმებს?“ (1მეფ.17:26;). ჰაერი პირდაპირ კონფრონტაციით იყო გაჟღენთილი. უფროსი ძმები შეურაცხყოფილნი იყვნენ, როცა დავითმა მათი სიმხდალე ამხილა. მათ არ სურდათ ამგვარი განცხადება მოესმინათ უმცროსი ძმისგან. გამოვლინდა მათი სისუსტეები, რომლებსაც მანამდე პირისპირ არ შეჯახებიან.

ძმებმა შეუტიეს დავითს, რადგან იცოდნენ, თუ მის დისკრედიტაციას შეძლებდნენ, მათი სირცხვილი დაიფარებოდა. გოლიათის მიერ შეშინებული უფროსი ძმა შეეცადა, რომ უმცროსი ძმა შეეშინებინა:

> „და გაიგონა ელიაბმა მისმა უფროსმა ძმამ, ხალხს რომ ელაპარაკებოდა დავითი და განურისხდა მას ელიაბი და უთხრა: „რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის მცირე ფარა უდაბნოში? ვიცი შენი ამპარტავნებისა და ავგულობის ამბავი, რადგან ბრძოლის საყურებლად ხარ ჩამოსული“ (1მეფ.17:28;)

ელიაბი გაბედული იყო – გაბედული სიბრაზისგან. მან შეუტია დავითის ბუნებას და არა იმ პრობლემას, რომელიც ისრაელს დაატყდა. როცა ადამიანი გაუბედავია, იგი ეძებს რაიმე გამოსავალს, რათა ზეწოლა შეასუსტოს. სუსტი ადამიანი ბოდიშს მოიხდის. ძლიერი კი ხშირად შეუტევს მათ, ვინც წინაღუდგა მას. პასუხად, ამა თუ იმ ფორმით, ბრალს დასდებს მას.

დააკვირდით, ელიაბი დავითს ამპარტავნობასა და ავგულობაში ადანაშაულებს. რადგანაც ელიაბი საკუთარ თავზე ფიქრობდა, იგი თვლიდა, რომ დავითიც ასეთი იყო. მაგრამ დავითი ასეთი არ იყო. ის ღმერთის გულის სანდომ ადამიანს

წარმოადგენდა. იგი არ იყო ამპარტავანი, არამედ უფლის მორჩილი.

ძლიერი პიროვნებები გაუბედაობას და დაშინებას იყენებენ იმისათვის, რომ სიცრუე სიმართლედ წარმოაჩინონ. თქვენ სულში უნდა რჩებოდეთ, რომ ასეთი შეტევების გადალახვა შეძლოთ.

შესაძლოა, ელიაბს შურდა ძმის. სამუელმა დავითი სცხო მეფედ, თუმცა უფროსი ვაჟი ელიაბი იყო. ყოველივე ისე გამოიყურებოდა, რომ ლიდერობა და მებრძოლობა ელიაბის მახასიათებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო. სამუელმაც კი, ელიაბის დანახვისას გაიფიქრა: „აჰა, უფლის წინაშეა მისი ცხებული! და უთხრა უფალმა სამუელს: „ნუ უყურებ მის გარეგნობას და ტანის სიმაღლეს, რადგან მე განვაყენე იგი, რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს, რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც სააშკარაოზეა, ხოლო უფალი გულს ხედავს“ (1მეფ.16:6-7;).

მაშ, ვის გულში ბუდობდა სიამაყე? ღმერთმა განუცხადა სამუელს, რომ ელიაბი არ იყო არჩეული თავისი სიმაღლისა და გარეგნობის გამო და არც ამის გამო იყო უარყოფილი. ღმერთი გულის მიხედვით განსჯის. როცა ღმერთი გულში სიამაყეს ხედავს, იგი ეწინააღმდეგება ასეთ ადამიანს (იაკ.4:6;). ღმერთმა უარყო ელიაბი, რადგან ის ამაყი იყო. ელიაბი თვით იყო ისეთი, რაშიც დავითს ადანაშაულებდა. იგი ამაყი ადამიანი იყო!

ჩვეულებრივ გაუბედაობის (შიშის) სულის მქონე ადამიანი თქვენ გადანაშაულებთ იმავე სისუსტეში, რაც თვითონ გააჩნია, რათა ამით თავისი ნაკლი დამალოს. ისინი, ვინც კეთილშობილურად იქცევიან, მაგრამ გულში სიწმინდე არ გააჩნიათ, ყოველთვის შეუტევენ მათ, ვისაც გული სუფთა აქვს. გაიხსენეთ ტიმოთე, რომელსაც სუფთა გული ჰქონდა, იგი უხერხულობასა და გაუბედაობას განიცდიდა. დარწმუნებული ვარ, რომ ეფესოს ეკლესიაშიც იქნებოდნენ ელიაბის მსგავსი გულის მქონე ადამიანები.

იესოს წინააღმდეგ მუდმივად დაშინებას იყენებდნენ. არაწმინდა გულის მქონე ფარისევლები და მწიგნობრები იესოს დისკრედიტირებას და მის სიტყვაში გამოჭერას ცდილობდნენ. თუ ისინი მის შეცბუნებას, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას მოახერხებდნენ, მის გაკონტროლებასაც შეძლებდნენ. ამიტომაც ამბობდნენ, რომ ის იყო მოღალატე, გაუმაძღარი, ლოთი და შეპყრობილი ცოდვილი. ყველა ეს თვისება კი მათთვის იყო დამახასიათებელი. უარი თქვა რა, მათი კონტროლის ქვეშ მოქცევაზე, იესომ ამხილა მათი გულები.

რატომაა, რომ არაწმინდა გულის მქონე ადამიანებს წმინდა გულის მქონე ადამიანების დაშინება სურთ? იმიტომ, რომ თავი დააღწიონ მხილებას და სიტუაცია კონტროლზე აიყვანონ. წარმატების შემთხვევაში მათ არ მოუწევთ საკუთარი გულების გადამოწმება და მონანიება. ელიაბმა იცოდა, რომ ეს მადისკრედიტირებელი და დამაშინებელი შეტევე დავითს დამორჩილებას აიძულებდა და თავად ზეწოლისგან გათავისუფლდებოდა.

მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა, ყველა დავითის წინააღმდეგ გაერთიანდა. იგი შეტევის ობიექტი აღმოჩნდა, მისი უფროსი ძმა კი მასზე მეტად ტანადი იყო. გახსოვდეთ, რომ უფროს ძმებს შეუძლიათ, რომ უმცროსი ძმები აიძულონ თავი ძალზე არაკომფორტულად იგრძნონ. თუ დავითი ელიაბის ნათქვამს არ დამორჩილდებოდა სახლში მას კარგი დღე არ ელოდა. მას მოუწევდა მრავალჯერ გადაეხადა ფასი იმის გამო, რომ სიმართლის მხარეს იდგა. ღირდა კი ერთი მეორედ?

ეს არ იყო უბრალოდ ზეწოლა დავითის წინააღმდეგ. დანარჩენებიც ელიაბს უჭერდნენ მხარს. არც მათ უნდოდათ, რომ მათი შიში ვიღაც ლოყაწითელა ბიჭის მიერ ყოფილიყო მხილებული! დავითისათვის უფრო იოლი იქნებოდა უკან დაეხია. სწორედ ეს უნდოდათ ელიაბს და სხვა „მეომრებს“.

დავითმა გადაწყვიტა, რომ ღმერთის მხარეზე დარჩენილიყო და მის წინააღმდეგ გამოთავისუფლებული გაუბედაობა (დაშინება) შეემუსრა. მან ჰკითხა ელიაბს: „რა გავაკეთე ახლა? მხოლოდ სიტყვა ვთქვი“ (1მეფ.17:29;). სინამდვილეში იგი ამბობდა: „რა გავაკეთე არასწორი? სად არის თქვენი გაბედულება? მე ხომ არ მეშინია. აშკარაა, რომ თუ თქვენ ორმოცი დღე კანკალებთ, ღმერთი იძულებული გახდა ეპოვა სხვა, ვინც არ შეშინდებოდა და წინადაუცვეთელ ფილისტიმელს გაუმკლავდებოდა! ამიტომ ვარ მე აქ“.

დავითი მეფესთან მიიყვანეს. საულიც შეშინებული იყო გოლიათის საქციელით: „და უთხრა საულმა დავითს: „ვერ გახვალ საბრძოლველად მაგ ფილისტიმელთან, რადგან შენ ყმაწვილი ხარ, ის კი მებრძოლია სიყრმიდანვე“ (1მეფ.17:33;). თუმცა დავითს ჯერ წვერიც კი არ ამოსვლოდა (როგორც მისმა ძმამ აღნიშნა), მაინც ეს საკმაოდ დამამცირებელი შენიშვნა იყო მეფის მხრიდან.

მაგრამ დავითმა უპასუხა მეფეს და არა ისე, როგორც ეს ძმის მიმართ გააკეთა, მან თქვა:

„მწყემსავდა შენი მსახური თავისი მამის ფარას და როცა დაეცემოდა ლომი ან დათვი გაიტაცებდა ფარიდან ცხვარს. გავეკიდებოდი, ვკლავდი და პირიდან გამოვგლეჯდი. თუ დამეცემოდა, ყბაში ჩავავლებდი ხელს და ვკლავდი. ლომსაც და დათვსაც ამარცხებდა შენი მსახური ამ წინადაუცვეთელ ფილისტიმელსაც იგივე დაემართება, რადგან სირცხვილში აგდებს იგი ცოცხალი ღვთის რაზმებს. და თქვა დავითმა: „უფალი რომელსაც დავუხსნივარ ლომისაგან და დათვისაგან, ახლაც დამიხსნის ამ ფილისტიმელისაგან“ (1მეფ.17:34-37;)

თავისი ძმებისა და მეომრების მიმართ ის ძალზე გაბედული და აგრესიული იყო. მაგრამ მეფესთან საუბრისას იცოდა, რომ იმ ადამიანს ელაპარაკება, რომელსაც ძალაუფლება გააჩნია. იგი მიმართავს მეფეს, როგორც შვილი მამას. ის საუბრობს თავის გამოცდილებაზე და ახსენებს ღმერთს, როგორც გამომხსნელს და ამასთანავე სჯერა, რომ მეფე მას სწორად გაუგებს.

გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა მეფეს ეკისრებოდა. თუ ბრძოლას წააგებდნენ, მთელი ქვეყანა მონობაში აღმოჩნდებოდა. დავითმა იცოდა, რომ თუ ბრძოლაში გასვლა საჭირო იქნებოდა, მაშინ ღმერთი მეფის გულს განაწყობდა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენც ასეთივე მიდგომა გვქონდეს ჩვენს ზემოთ მდგარი ადამიანების მიმართ. დავითის პასუხის შემდეგ საულმა მას ნება დართო. მან თქვა: „წადი, უფალი იყოს შენთან!“.

დავითმა უარი თქვა საულის მიერ შეთავაზებულ მუზარადზე. მან უფლისმიერი დაცვა ამჯობინა. მან აიღო თავისი კომბალი, ამოარჩია ხუთი რიყის ქვა და გუდაში ჩაყარა. როცა ფილისტიმელის პირისპირ აღმოჩნდა, დავითმა იგი სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა. მას ამ დროს შიში რომ გამოევლინა, ღვთიური ნიჭი უბრალოდ უმოქმედოდ დარჩებოდა – ეს მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, მთელი ქვეყანა კი მონობაში აღმოჩნდებოდა.

„და დაინახა ფილისტიმელმა დავითი და სასაცილოდ აიგდო, რადგან ყმაწვილი იყო იგი და წითური ლამაზი შესახედავიც. და უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „ძაღლი ხომ არ ვარ ჯოხით რომ გამოდიხარ ჩემთან!“ და დაწყევლა ფილისტიმელმა დავითი თავისი ღმერთების სახელით. და უთხრა ფილისტიმელმა დავითს: „ახლოს მოდექი, რომ ცის ფრინველებს და ველის მხეცებს მივცე შენი გვამი“ (1მეფ.17:42-44;)

გოლიათი ცდილობდა, რომ დავითი არა მარტო თავისი ზომით, არამედ სიტყვითაც დაეშინებინა. მისი დაწყევლით გოლიათმა დახატა ცოცხალი სურათი იმისა, თუ რის გაკეთებას უპირებდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ამ სურათის ფონზე დავითი უფერულად გამოიყურებოდა, იგი ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა თავისი ძალის წყაროსა და გამარჯვებაში.

> დავითმა კი ფილისტიმელს უპასუხა: „შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან. მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გამოვდივარ, რომელიც შენ შეურაცხყავი. დღეს ჩაგაგდებს უფალი ჩემს ხელში და დაგამარცხებ, და თავს მოგაცლი, ფილისტიმელთა ბანაკის გვამებს კი ცის ფრინველთ და მიწის მხეცებს მივცემ დღეს და შეიტყობს მთელი ქვეყანა, რომ ჰყავს ისრაელს ღმერთი. და შეიტყობს მთელი ქვეყანა, რომ არა მახვილითა და შუბით იხსნის უფალი, რომ უფლის ნებაზეა ომი, და ხელში ჩაგვიგდებს თქვენს თავებს“ (1მეფ.17:45-47;)

დავითმა გაბედულად ილაპარაკა ღმერთის ერთგულებაზე. ისრაელის მამაკაცები კი ხედავდნენ მხოლოდ იმას, თუ როგორი დიდი იყო ეს გოლიათი, მაგრამ დავითმა ღმერთის დიდებულება დაინახა! შემდეგ კი ყველამ იხილა, როგორ გაიქცა დავითი ღმერთის მტრისაკენ. იგი რწმენას ავლენდა არა მხოლოდ სიტყვით, არამედ მოქმედებითაც.

> „და ჩაყო ხელი დავითმა გუდაში და ამოიღო იქიდან ქვა, სტყორცნა შურდული და შიგ შუბლში მოარტყა ფილისტიმელს. და შუბლში ჩაერჭო ქვა და პირქვე დაემხო ფილისტიმელი“ (1მეფ.17:49;)

დავითის რწმენა გადამდები აღმოჩნდა და ისრაელს იმედი კვლავ დაუბრუნდა. ღმერთი მათ მხარეს იყო, ფილისტიმელებს კი მხოლოდ მკვდარი გმირი ჰყავდათ. ისრაელი შეტევაზე გადავიდა და მტერი დაამარცხა.

მთელი ამ ხნის მანძილზე დავითი სამჯერ დადგა გაუბედაობისა და დაშინების პირისპირ. პირველად, ძმები და მეომრები მთელი ძალით ცდილობდნენ მისი ღირსებების შელახვას, მის დაბნევას. თუ აქ დავითი დანებდებოდა, მაშინ ასრულება აღარ ეწერა იმ მისწრაფებას, რომელიც ღმერთმა მის გულში ჩადო. ის უბრალოდ, გატრიალდებოდა და სახლში წავიდოდა, ღვთის ნიჭი

კი უბრალოდ არ იმოქმედებდა. შედეგი სრულიად სხვაგვარი იქნებოდა: დავითი არ მოკლავდა გოლიათს. გოლიათი კი გააგრძელებდა შიშის დათესვას ისრაელში და ღმერთი დავითის მაგივრად სხვას მოძებნიდა, ვინც ამ ყოველივეს შეაჩერებდა.

მეორედ, მან დამაბნეველი და დამამცირებელი შენიშვნები მიიღო მეფისაგან. ამ შემთხვევაშიც დავითს უკან რომ დაეხია, ღმერთის ნიჭი უმოქმედოდ დარჩებოდა. ის არც მეფის სიტყვებმა შეაფერხა. მას გააჩნდა პატივისცემა თავისი ხალხის ლიდერის მიმართ, მაგრამ მან შეძლო, რომ მეფე ბრძოლის აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

მესამედ, დავითი გოლიათის მხრიდან წამოსული დაშინების წინაშე დადგა. არა მხოლოდ გოლიათის ზომები ახდენდა დამთრგუნველ შთაბეჭდილებას, არამედ თვით გოლიათი საკმაოდ იყო დარწმუნებული საკუთარ თავში. იგი ცდილობდა, რომ დავითს უმნიშვნელოდ და სუსტად ეგრძნო თავი მის წინაშე. თუ დავითი ამ შემთხვევაში უკან დაიხევდა; ღმერთის ნიჭი მძინარე მდგომარეობაში დარჩებოდა და თვით დავითს კი ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

დავითი მტკიცედ იყო დარწმუნებული ღმერთის ძალაში. ამ გაბედულებამ ღვთიური ნიჭი გააღვიძა მასში და მან გიგანტი დაამარცხა, რომელიც აშინებდა და ზეწოლას ახდენდა ისრაელის ჯარზე ორმოცი დღის მანძილზე!

## ახალი აღთქმის ძალა

კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე ერთმანეთს ადარებს სიკვდილის მსახურების დიდებას და სულის მსახურების (ანუ ახალი აღთქმის მსახურების) დიდებას (2კორ.3:7-8;). ის თვლიდა, რომ თუ ძველი აღთქმის ძალა იმდენად დიდებული იყო, რომ ისრაელის ძეთ არ შეეძლოთ მოსეს სახის ცქერა რიდის გარეშე, მაშინ რამდენად ძლიერი იქნება ახალი, სიცოცხლის მიმცემი აღთქმის მსახურება!

პავლე ამ „ახალს“ აღწერს, როგორც საგანძურს, რომელიც „გვაქვს თიხის ჭურჭლებში“ (2კორ.4:7;). პავლე არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც იცნობდა ღმერთს, იცოდა მისი ძალა და ძლიერება. იგი ამბობს:

> „ვინაიდან, თუ წარმავალს ჰქონდა დიდება, რამდენად მეტი აქვს დიდება მას, რაც რჩება. ამიტომ, რაკი ამდენი თავისუფლება გვაქვს, დიდი გაბედულებითაც ვმოქმედებთ“ (2კორ.3:11-12;)

ძალა წარმოშობს გაბედულებას. თქვენ აღმოაჩენთ უდიდეს გაბედულებას მორწმუნეებში, რომლებიც საკუთარ ძალებს არ ეყრდნობიან. მათ ვერ შეაშინებ გარემოებებით, ადამიანებით ან ეშმაკით, რადგან ამით ვერც ღმერთს შეაშინებ. ებრაელთა მიმართ წერილში (13:5-6;) მოცემულია აღთქმა:

„ვინაიდან თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ". ამიტომ გამხნევებულნი ვამბობთ: „უფალია ჩემი შემწე, არ მეშინია. რას მიზამს მე კაცი?"

ჩვენ გაბედულად უნდა ვთქვათ: *„რას მიზამს მე კაცი?".* სწორედ ასეთი დაჯერებულობა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მორწმუნისათვის. რატომაა, რომ მორწმუნე გვქვია და არ გვწამს? მაშ, რისი მორწმუნენი ვართ? ღმერთის! არც ადამიანს და არც ეშმაკს უფლება არ აქვს დააშინოს ნამდვილი მორწმუნე. რატომ? იმიტომ, რომ იესოა ჩვენს მხარეს. არ არსებობს ამაზე უმაღლესი სახელი და ამაზე მეტი ძალა. მან თავად თქვა: „აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად და მტრის ყოველი ძალისა, თქვენ კი არაფერი გევნებათ".

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ? მან თავის ხალხს მისცა ძალა ყოველგვარ მტერზე გასამარჯვებლად. გაუბედაობა და დაშინება – მტერია. იგი გვატყუებს და გვეუბნება: „მე შენზე მეტ ძალას და ძალაუფლებას ვფლობ. შენთვის უკეთესია უკან დაიხიო და ის გააკეთო, რასაც გეტყვი! თუ არა და პასუხს აგებ შედეგებზე".

თუ მოვუსმენთ ამ ტყუილს, ღმერთის ნიჭი დარჩება უმოქმედოდ, ჩვენ კი უსუსურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. მაგრამ თუ ვიცით, ვინ აღგვითქვა ერთგულება, ნებისმიერ ძალაზე მაღლა უნდა დავდგეთ და დავითის მსგავსად გაბედულად დავუხვდეთ გაუბედაობისა და დაშინების გოლიათებს.

## იმდენად რთულია თქვენი რწმენა, რომ არ შეგიძლიათ ირწმუნოთ?

ამ ჭეშმარიტების გაგება რთული არ არის. პირიქით, ადვილიც კია. სახარების ჭეშმარიტება არ არის რთული. ადამიანები ურწმუნოების გამო ცდებიან.

ჰკითხეთ საკუთარ თავს და გულახდილად უპასუხეთ: „დაფუძნებულია თუ არა თქვენი რწმენა იმაზე, რაც ღმერთმა თქვა, თუ იმაზე – რასაც ხედავთ და განიცდით? თუ ყოველივეს,

რაც ხდება, თქვენს წარსულთან აკავშირებთ, მაშინ ვერასოდეს გაიმარჯვებთ მასზე.

აფუძნებთ კი თქვენს რწმენას იმაზე, თუ რა ემართებათ სხვებს? ზომავთ თქვენი ნდობის დონეს სხვა ადამიანების ერთგულებით?

თუ უპასუხებთ „დიახ“, მაშინ გირჩევთ დაფიქრდეთ. იქნებ ყველაფერს ართულებთ, რადგან ცდილობთ, რომ თქვენს (ან სხვის) წარსულ დამარცხებას ახსნა მოუძებნოთ? რთული რწმენა გოლიათს არ კლავს. ის ჩვენ გვკეტავს „საოცრებათა ქვეყანაში“ და ვცდილობთ წარმოვიდგინოთ ის, რისი შეცვლაც სინამდვილეში არ შეგვიძლია და ყოველი მოძრაობის გაკეთების წინ ვყოყმანობთ.

რატომ არ შეგვიძლია მორწმუნეებს უბრალოდ გვწამდეს? რატომ ვაძლევთ უფლებას ჩვენს გრძნობას გაართულოს სახარება?

მინდა გაგიზიაროთ ერთი რამ, რაც არასოდეს არ დამავიწყდება. ეს იყო 1980 წელს. სტუდენტი ვიყავი და ჩრდილოეთ კაროლინაში ვცხოვრობდი. ერთხელ დილის ოთხ საათზე ჩემმა ხმამ გამაღვიძა. მე ვყვიროდი: „მე ვეძებ ვინმეს, ვინც ირწმუნებს!“.

ამან შემძრა. საწოლი სველი იყო ოფლისგან. ვიცოდი, რომ ეს ღმერთი მელაპარაკებოდა ასეთი არაჩვეულებრივი ზებუნებრივი სახით.

გავიფიქრე: „ეს ხომ აშკარაა. რატომ არ უნდა მომცეს ღმერთმა რაღაც უფრო ღრმა? რა თქმა უნდა, მას სჭირდება ადამიანები, რომლებსაც სწამთ!“.

მეორე დილით ეს სიტყვები ჩემს თავში ტივტივებდა. ისევ და ისევ მესმოდა ჩურჩული: „მე უბრალოდ ვეძებ ვინმეს, ვინც ირწმუნებს; უბრალოდ ვეძებ ვინმეს, ვინც ირწმუნებს“.

ისევ და ისევ მესმოდა ეს და მივხვდი, რომ ღმერთმა არ დამანახა რაღაც გაცვეთილი და უსახური – ეს იყო მასთან ერთობის გასაღები!

მე სახარებას მივუბრუნდი, ვკითხულობდი და შევნიშნე, რომ იესო განაწყენდა და გაბრაზდა ადამიანთა ურწმუნოების გამო. როცა მისმა მოწაფეებმა ვერ შეძლეს ბოროტის განდევნა შეპყრობილისგან, იესომ მკაცრად ამხილა ისინი.

> „მიუგო იესომ და უთხრა: „ჰოი, ურწმუნო და უკუღმართო მოდგმავ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე მოგითმენთ თქვენ? აქ მომგვარეთ იგი“ (მათ.17:17;)

როგორ შეიძლება ასეთი რამ უთხრა საკუთარ მოწაფეებს! იესო არ იყო ისეთი, როგორიც დღევანდელი ლიდერები არიან! მან ნათლად დაანახა, რომ ღმერთის ნიჭი არ იმოქმედებს, ვიდრე არ ირწმუნებენ. მას სურდა, მოწაფეებს სცოდნოდათ, რომ ურწმუნოება გულს სტკენს მას.

მე ისიც შევამჩნიე, რა მოსწონდა იესოს: „როცა ადამიანებს სწამდათ ყოველგვარი კითხვების გარეშე! რომაელთა მეომარმა, წარმართმა, დიდი ყურადღება მიიპყრო თავისი რწმენის გამო, განსხვავებით მრავალი ისრაელიანელისაგან. ამ რომაელმა თქვა, რომ იესოს მისვლაც კი არ სჭირდებოდა მის სახლში, თუ ის იტყვის სიტყვას, მისი მსახური გამოჯანმრთელდება. „ეს რომ გაიგონა, იესოს გაუკვირდა და თავის მიმდევრებს უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ ისრაელშიც ვერ ვპოვე მე ასეთი რწმენა“ (მათ.8:10;).

ჩვენ გვსურდა, რომ იესო გვენახა სტუმრად მოსული ჩვენთან, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეჭვი შეგვეპარა მასში. ჩვენ რწმენა ფეხქვეშ გავთელეთ. მაშ, რა არის რწმენა? დავიჯეროთ, რომ ღმერთი გააკეთებს იმას, რაც თქვა. იესომ თქვა, რომ მოგვცა ძალა და ძალაუფლება ბოროტის მთელი არმიის წინააღმდეგ. ის, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, არის – გვწამდეს მისი და ვიაროთ ამ ძალასა და ძალაუფლებაში. არ ღირს, რომ ცხოვრება გავართულოთ შიშით, ეჭვით და წარსულში დარჩენილ ნაკლოვანებებსა და დაცემებზე ფიქრით. თუ ასე მოვიქცევით დავკარგავთ გაბედულებას და ღვთიური ნიჭების გამოვლენის უნარი წაგვერთმევა. ღმერთის ნიჭი, ჩვენში, მიიძინებს!

ვიდრე ჩვენი ნავიდან ცხოვრების ქარიშხლიან წყლებში ნაბიჯს გადავდგავდეთ, საჭიროა საკუთარი გულის მოტივები გადავამოწმოთ. სხვაგვარად, დავიხრჩობით! შემდეგ თავში გაეცნობით მოტივებს შორის არსებულ განსხვავებას; მოტივს, რომელიც დაგვეხმარება, რომ გავძლოთ, და მოტივს, რომელიც დაგვეხმარება, რომ დავიხრჩოთ.

*ადვილია იდგე რწმენაში, ვიდრე ღმერთი*
*აკეთებს იმას, რასაც ველოდებით*

# გაუბედაობის ფესვი

გაუბედაობისგან გათავისუფლება რომ შევძლოთ, აუცილებელი არ არის ვიყოთ ზეციური მორწმუნე. ზოგიერთი გამოჩენილი ადამიანი, ვინც მე ვიცი, ებრძვის ამ სულს. ხშირად არის რომ მათი ბრწყინვალება (გარეგნული) – მხოლოდ გაუბედაობისა და შიშის საფარველს წარმოადგენს, რასაც შინაგანად ებრძვის. საკუთარ თავში ჩაკეტილობა გაუბედაობის ერთადერთ სიმპტომს არ წარმოადგენს. ზოგიერთები რაც ნაკლებად კომფორტულად გრძნობენ თავს, მით უფრო მეტს ლაპარაკობენ.

უხერხულობისა და გაუბედაობის უნარს საერთო არაფერი აქვს იმასთან, რამდენად ცხებული ხართ. ვიცი ადამიანები, რომლებიც ძლიერი მსახურები არიან, მაგრამ მაინც განიცდიან ბრძოლას ამ სულთან. ცხებულებაში მყოფნი, უშიშარნი არიან, მათი სისუსტეები ქარწყლდება ღვთიურ ცხებულებაში. და როცა ცხებულების მოსასხამი ტოვებს მათ, ისინი უბრალო ადამიანები ხდებიან, რომლებიც შიშსა და უარყოფას ებრძვიან.

მათთან პირისპირ ურთიერთობის დროს საოცრად ჩანს მათი მორიდებულობა. საიდან ვიცი ეს ყოველივე? თავად ვიყავი ასეთი.

თქვენ შეიძლება იყოთ განსაკუთრებული, ძლიერი, გაბედული, ცხებულიც კი – და მაინც ებრძოდეთ გაუბედაობას. როცა ზეწოლა საკმაოდ ძლიერი ხდება, გარეთ გამოდის ის, რაც შიგნითაა. გაუბედაობას არავითარი კავშირი არ აქვს ხასიათის ნაკლოვანებებთან, ფიზიკურ ძალასთან, ანდა ცხებულებასთან. მაშ, რაში გამოიხატება ადამიანის სისუსტე ამ სულთან დამოკიდებულებაში?

## ხილული ჭეშმარიტების წინააღმდეგ

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მოდით სიმონ-პეტრეს დავაკვირდეთ. ის განსაკუთრებული პიროვნება იყო, მას არასოდეს არ რცხვენოდა საკუთარი აზრის გამოთქმის. იგი გაბედული იყო. ერთი შეხედვით, იგი ძლიერი ნების მქონე და უშიშარ პიროვნებას წარმოადგენდა. თითქოს, არაფერს შეეძლო პეტრეს შეცბუნება, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, მაგრამ ეს მოხდა. სიკვდილის შიშმა იგი აიძულა სამჯერ ეთქვა უარი იესოზე. ამრიგად, გაუბედაობის მონობისაგან თავის დაღწევა – ძლიერი პიროვნების ნიშანი არ არის. სხვაგვარად, სიმონი არაფრის გამო არ უარყოფდა იესოს და ყველასგან განსხვავებით, იესოს ერთგული დარჩებოდა.

არის ტენდენცია, რომელიც სიმონს წარმოგვიდგენს, როგორც ჩვეულებრივ ყბედს. ზოგჯერ ამბობენ, რომ როცა საქმე მოქმედებას ეხებოდა იგი „წიწილას“ ემსგავსებოდა. მე ამას ასეთი კითხვით ვუპასუხებ: „როგორ შეეძლო „წიწილას“ კბილებამდე შეიარაღებულ ბრბოს დაპირისპირებოდა?“. პეტრემ ეს გაბედულად გააკეთა! იოან. 18:3,10-ში წერია:

> „იუდამ კი წაიყვანა რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთაგან მხლებელნი; და მივიდნენ იქ ლამპრებით, ჩირაღდნებითა და საჭურველით... სიმონ-პეტრემ, რომელსაც მახვილი ჰქონდა, ამოიღო და დაჰკრა მღვდელმთავრის მონას და ყური ჩამოათალა“

მასზე ვერ იტყვით „წიწილაა“. რა გამოდის პეტრე ეკვეთა ჯარისკაცს მხოლოდ იმის გამო, რომ შემდეგ მოსამსახურე ქალის შეშინებოდა? დიახ, ამ მსახურმა ქალმა მართლაც შეაშინა იგი!

„პეტრე კი იჯდა გარეთ, ეზოში, მივიდა მასთან ერთი მხევალი და უთხრა: „შენც იესო გალილეველთან იყავი“. მან კი უარყო ყველას წინაშე...“ (მათ.26:69-70;).

საიდან, ასეთი ცვლილება?

## მოჩვენებითი გაბედულება

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მოდით, იმავე საღამოს მოვლენებს მივუბრუნდეთ. ყველა მოწაფე ერთად ზეიმობდა პასექის დღესასწაულს. იესომ ისინი გააფრთხილა: „თქვენ ყველანი ცდუნდებით ამაღამ ჩემს გამო“ (მათ.26:33;). მაგრამ

პეტრე თვლიდა, რომ იგი გამონაკლისს წარმოადგენდა და გაბედულად თქვა: „ყველანი რომ ცდუნდნენ შენს გამო, მე არასოდეს ვცდუნდები“ (მათ.26:33;). სიმამაცის როგორი დიდებული გამოვლინებაა. გამოდის, რომ თვით იესოც კი შეცდა, რომ პეტრე მათ რიცხვს მიაკუთვნა, ვინც ცდუნდებოდა.

მაგრამ იესო პირდაპირ პეტრეს სულში იყურებოდა და მას უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: „ამაღამ, სანამ მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე“ (მათ.26:34;). როგორი დარტყმაა პეტრეს თვითდაჯერებულობაზე! იესომ უთხრა, რომ ის უბრალოდ კი არ წაიბორძიკებს, არამედ უარყოფს კიდეც მას.

სუსტი ხასიათის და ნების მქონე ადამიანი აქ შეჩერდებოდა. როგორ შეიძლება მასწავლებელი ცდებოდეს? მაგრამ, პეტრე ჯიუტად იდგა თავის პოზიციაზე: „მოვკვდები შენთან ერთად და არ უარგყოფ!“ (მათ.26:35;). ფაქტიურად ამ გაბედულებამ სხვებიც აღძრა, რომ დათანხმებოდნენ მას: „ასევე ამბობდა ყველა მოწაფე“ (მათ.26:35;).

## მოტივები შესაძლოა განსხვავდებოდეს ხილულისგან

ზედაპირულად თუ შევხედავთ, ვიფიქრებთ, რომ ამ ადამიანებს წმინდა მოტივები და უდიდესი გაბედულება გააჩნდათ. უფრო ღრმა გამოკვლევით ვარკვევთ, რომ მათ მამოძრავებელ მოტივს ღმერთის სიყვარული კი არ წარმოადგენდა, არამედ რაღაც სხვა.

ვიდრე გააფრთხილებდა, იესომ უთხრა მათ: „და აჰა, ჩემი გამცემის ხელი ჩემთან ერთად არის ამ სუფრაზე“ (ლუკ.22:21;). რა საშინელებაა, რა საზიზღრობაა გაიფიქრო, რომ ვიღაც მათ შორის, გასცემს იესოს. უფალს, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე მათ გვერდით დადიოდა; იესოს, რომელიც ზრუნავდა მათზე!

თუმცა, იესომ იცოდა, და იცოდა თავიდანვე, ვინ იქნებოდა ეს ადამიანი და რას გააკეთებდა, მოწაფეებმა კი ამის შესახებ პირველად გაიგეს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ რა მოუსვენრობამ და ურთიერთ გამომრიცხავმა ეჭვმა მოიცვა ოთახში მთელი ატმოსფერო ამ განცხადების შემდეგ! „და მათ დაიწყეს ერთმანეთის გამოკითხვა, რომელი მათგანი გააკეთებდა ამას“ (ლუკ.22:23;).

მოწაფეები შეცბუნებულნი იყვნენ, მათ არ სჯეროდათ რომ რომელიმე მათგანს შეეძლო ასეთი უღირსი საქციელის ჩადენა. ამრიგად, როგორი იყო მათი მოტივები ამ გამოძიებისათვის? რა თქმა უნდა, ამას გარკვეული კავშირი ჰქონდა იესოსთან. მაგრამ როგორი? ერთმანეთში საუბარი გასცემს მათ. ვნახოთ შემდეგი მუხლი:

„ასე იყო დავა მათ შორის: რომელი მათგანი უნდა ჩათვლილიყო დიდად“ (ლუკ.22:24;)

აშკარაა, რომ მათი გამოძიების მიზეზი ეგოიზმი და სიამაყე იყო. იესომ თქვა, რომ მალე შეიპყრობენ მღვდელმთავრები და სიკვდილს მიუსჯიან, მოწაფეები კი ამ დროს საკუთარი ძალაუფლებისა და პოზიციის მოპოვებაზე ზრუნავენ. როგორი ეგოიზმია!

შეგვიძლია გამოვიცნოთ, ვინ დაიწყო დისკუსია. მეტად დამაჯერებელია, რომ ეს იყო პეტრე, რომელიც თავისი ადრინდელი ლიდერული გამოსვლებისა და დომინირებადი ხასიათის შესატყვისად მოქმედებდა.

შესაძლოა, მან ყველას მალევე შეახსენა, რომ მხოლოდ მას ერთს ეყო გაბედულება, რომ წყალზე გაევლო (მათ.14:28-31;). ანდა შესაძლოა გაიხსენა თავისი ვარაუდი იმის შესახებ, თუ ვინ იყო სინამდვილეში იესო (მათ.16:15-16;). და ასევე გაიხსენა თავისი შთაბეჭდილებები, ფერიცვალების მთაზე იესოს, მოსესა და ელიას თანდასწრებაში რომ განიცადა (მათ.17:1-8;).

სავარაუდოა, რომ იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ თავად არის ყველაზე დიდი, თორმეტს შორის. მაგრამ მომდინარეობდა კი ეს დაჯერებულობა სიყვარულიდან? დარწმუნებული ვარ, პეტრე ფიქრობდა, რომ ეს ასე იყო. მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ ყოფილა. მისი დაჯერებულობა სათავეს სიამაყიდან და ეგოიზმიდან იღებდა. დაიმახსოვრეთ და განვაგრძოთ.

**ზეთსახდელი პრესი**

„მაშინ იესო მივიდა მათთან იმ ადგილზე, რომელსაც გეთსემანია ჰქვია, და უთხრა მოწაფეებს: „აქ ისხედით, ვიდრე იქ წავიდოდე და ვილოცებდე“ (მათ.26:36;).

სიტყვა „გეთსემანია“ – „ზეთსახდელ პრესს“ ნიშნავს. ამ პრესის საშუალებით ხდიან ზეთს ზეთისხილიდან. ზეთის გამოხდა მხოლოდ დიდი წნეხის საშუალებით შეიძლება. გეთსემანია – ეს

არის ადგილი ასეთი წნეხის, მაგრამ არა ზეთისხილზე, არამედ გულებზე. ინტენსიური წნეხის შედეგად, ყოველივე, რაც ჩვენს შიგნითაა გარეთ გამოდის, ხშირად ჩვენდა გასაკვირადაც კი. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, როცა მოდის განსაცდელები (წნეხი), იცდება და ვლინდება ჩვენი გულის მოტივები.

იესო გეთსემანიაში პეტრესთან, იაკობთან და იოანესთან ერთად მივიდა. წმიდა წერილში ნათქვამია: „იწყო წუხილი და ურვა“ (მათ.26:37;). იესოს სული „სასიკვდილოდ იყო დამწუხრებული“, რადგან იგი ამ წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. იგი უდიდეს ბრძოლაში იყო: განიცდიდა ცდუნებას, რომ მამის ნება სხვა მიმართულებით აღესრულებინა და ამით ეხსნა საკუთარი თავი. ზოგს არ სჯერა, რომ იესოს ცოდვის ჩადენა შეეძლო. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის იყო „ჩვენსავით გამოცდილი ყველაფერში, გარდა ცოდვისა“ (ებრ.4:15;).

„გამოცდილი“, „გამოცდა“ – ე.ი. ბრძოლა რაღაცასთან. იესოს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული იმუნიტეტი ცოდვის წინააღმდეგ, მაგრამ ის ყოველთვის იმარჯვებდა. რატომ? იმიტომ, რომ თავისი ნების თანახმად არ ცხოვრობდა. თუ მას ცოდვის ჩადენა არ შეეძლო, მაშინ მისი გამოცდაც შეუძლებელი იქნებოდა. ეს არ ამდაბლებს მის დიდებულებას, არამედ პირიქით, მისი ღირსების დემონსტრირებას წარმოადგენს. იმიტომ, რომ მან არ შესცოდა. ალილუია!

ბაღში იესო ითხოვდა: „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა ამარიდე ეს სასმისი. მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“ (მათ.26:39;).

ამ მომენტში, პირველად იესოს ცხოვრებაში, ვხედავთ როგორ ეწინააღმდეგებოდა ძის ნება მამის ნებას. ამ მომენტამდე ისინი იმდენად ერთნი იყვნენ, რომ ჩვენ შეგვეძლო დაგვენახა მხოლოდ მამის ნება გამოვლენილი იესოს ცხოვრებაში. მაგრამ ამ ბრძოლაში მოსულმა საოცარმა წნეხმა აღძრა რისხვა მის სულში. ერთადაერთი რამ, რასაც შეეძლო მისი შეჩერება, გამოვლინდა: აღესრულებინა მამის ნება სხვაგვარად, და ამით თავი გადაერჩინა. ჯერ კიდევ ადრე, იესო ეუბნებოდა ფარისევლებს, რომ მან უნდა დადოს თავისი სიცოცხლე (იოან.10:17-18;).

ღმერთი არ აიძულებს მას ამის გაკეთებას. ამიტომაც იესოს ბრძოლა ჰქონდა საკუთარ თავთან.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ამ მომენტამდე, მან იცოდა, რომ მოელოდა ეს ბრძოლა. მან სამჯერ უთხრა მოწაფეებს ამის შესახებ. ჯერ კიდევ იერუსალიმში მისვლამდე, ის ეუბნებოდა მათ, რომ ეს იყო მამის ნება, რომ ჯვარცმულიყო, მომკვდარიყო და მკვდრეთით აღმდგარიყო.

რამდენიმე დღით ადრე იესომ გაანდო მოწაფეებს: „ახლა შფოთავს ჩემი სული და რა ვთქვა? მამაო, მიხსენი ამ ჟამისაგან! თუმცა ამისთვის მოვედი ამ ჟამს. მამაო, განადიდე სახელი შენი!“ (იოან.12:27-28;).

იესო მზად იყო გაეღო თავის სიცოცხლე, რათა მამის სახელი განდიდებულიყო. მან მოწაფეებსაც გაუზიარა ეს პრინციპი: „ვისაც თავისი სული უყვარს, კარგავს მას. ხოლო ვისაც თავისი სული სძულს ამ სოფელში, საუკუნო სიცოცხლისათვის შეინახავს მას“ (იოან.12:25;).

წმინდა წერილის ეს ადგილი, ერთდროულად ორ პასუხს იძლევა: რატომ ვერ შეძლო პეტრემ იმის გაკეთება, რასაც იფიცებდა, რომ გააკეთებდა და რატომ შეძლო ეს იესომ. იესოს საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა მამა და ამიტომ შეძლო საკუთარი სიცოცხლის გაღება. პეტრე ფიქრობდა, რომ იესო სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, მაგრამ გეთსემანიის ზეთსახდელმა პრესმა მისი მოტივები გამოავლინა.

გეთსემანიის ბაღში, უკვე საკმარისი აღარ იყო უბრალოდ მამის ნების ცოდნა. იესო თვით უნდა გამხდარიყო მამის ნება. ეს იმდენად ძნელი იყო, რომ იგი ეკითხებოდა მამას, ხომ არ არსებობს სხვა გზაც. ლოცვაში იგი მთელი არსებით ბრძოლობდა თავის გადარჩენის ცდუნების წინააღმდეგ და იმდენად შეეწინააღმდეგა, რომ მისი ოფლი სისხლად იქცა (ლუკ.22:44;).

ცდუნებისადმი წინააღმდეგობის ძალა იესოში მისი სიყვარულიდან მომდინარეობდა. მან საკუთარი თავი დაკარგა მამისადმი სიყვარულში (იოან.14:31;). ამ სიყვარულმა შეძლო გაემარჯვებინა მასზე, ვისი დამარცხებაც ადრე ვერავინ შეძლო: ეს არის საკუთარი თავის სიყვარული! ზეთი გარეთ გამოვიდა და დაამტკიცა, რომ მამისადმი სიყვარული – არამხოლოდ სიტყვებია, არამედ ასევე მსხვერპლი და მორჩილება.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ იმოქმედა პეტრეზე და სხვა მოწაფეებზე ამ პროცესმა ანუ ზეწოლამ.

### სული მხნეა, ხორცი უძლური

იესო მთელი საათი იბრძოდა საკუთარი ნების წინააღმდეგ, შემდეგ წამოდგა, მივიდა მოწაფეებთან და „ნახა ისინი მწუხარებისაგან ჩაძინებულები“ (ლუკ.22:45;). მოწაფეები უკვე აღარ დაობდნენ იმის შესახებ, თუ ვინ იყო დიდი მათ შორის. წუხილმა და დარდმა დაამძიმა ისინი. მხოლოდ იესო არ აღმოჩნდა ზეწოლის ქვეშ. ამ ზეთსახდელში მისი მოწაფეებიც მოყვნენ!

მათ წინაშე იყო განსაცდელი, ემწყემსათ საკუთარი თავი. მაგრამ მათ ძალა არ ეყოთ გამარჯვებისათვის, რადგან მათი ყურადღება მიპყრობილი იყო საკუთარ ნებაზე და არა მამის ნებაზე. იესოსგან განსხვავებით მათ სურვილიც კი არ ჰქონდათ, რომ ყურადღება ღმერთის ნებისაკენ წარემართათ. თუ სიცოცხლე მეტისმეტად ძვირფასია ჩვენთვის, უნარი არ გვექნება ისე ვიბრძოლოთ, რომ დავკარგოთ იგი.

იფიქრეთ ამაზე. ვიდრე იესო იბრძოდა, რომ დაეკარგა თავისი სიცოცხლე, მოწაფეებმა დაიძინეს და ბრძოლას ჩამოშორდნენ. პირველ რიგში იესომ პეტრეს მიმართა: „ნუთუ ვერ შეძელით ერთ საათს გეფხიზლათ ჩემთან ერთად? იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში, სული მხნეა, ხორცი კი უძლური“ (მათ.26:40-41;).

ნაცვლად იმისა, რომ ელოცა, ამ გაბედული დაპირისპირების მქონე ადამიანს ეძინა. მან ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, დაყრდნობოდა იმ ძალას, რომელიც მისი არ იყო. ამიტომ მან თავი დაიცვა ისე, როგორც შეეძლო: დაიძინა.

ჩვენი სული, ჩვენი გული ყოველთვის შეიძლება იყოს მხნედ, მაგრამ ხორცი ყოველთვის ცდილობს თავი დაიცვას. ამიტომაც, თუ ხორცი ჯვარცმული არ არის, მას ყოველთვის მივცემთ იმას, რასაც მოითხოვს. პეტრეს სურდა, რომ იესოს ერთგული ყოფილიყო, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ხორცმა აჯობა. მას თავისი სიცოცხლე უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე ღვთის ნების აღსრულება. იგი ვერ ხვდებოდა საკუთარი გულის ჭეშმარიტ მდგომარეობას. მას ნამდვილად მხედველობაში ჰქონდა ის, რასაც ამბობდა და ნამდვილად სჯეროდა, რომ იესოს გულისთვის სიცოცხლეს გასწირავდა. მაგრამ, ზეთსახდელი პრესიდან „გამოვიდა ის, რაც საიდუმლო სერობის საღამოს იყო თქმული – ეგოიზმი და სიამაყე.

## ორი სხვადასხვა შედეგი

ნახა რა, რომ მოწაფეებს ეძინათ, იესო კვლავ წავიდა სალოცავად. დაბრუნებულმა ისინი კვლავ მძინარენი იპოვა „ვინაიდან თვალები დამძიმებოდათ“ (მათ26:43;). იესოს გაფრთხილების შემდეგაც კი ვერ შეძლეს, რომ ეფხიზლათ. „მიატოვა ისინი, კვლავ წავიდა და მესამედ ილოცა, კვლავ იგივე სიტყვები წარმოთქვა. მაშინ მივიდა მოწაფეებთან და უთხრა მათ: „თქვენ ისევ გძინავთ და ისვენებთ? აჰა მოახლოვდა ჟამი და კაცის ძე მიეცემა ცოდვილებს ხელში“ (მათ.26:44-45;).

იესო სამ საათს ლოცულობდა, მანამ, სანამ არ დარწმუნდა, რომ ბრძოლა მოგებულია. მისი ნება მთლიანად შეერწყა მამის ნებას. ახლა ის მზად იყო შეხვედროდა დაშინებას მტრის მხრიდან, რომელიც იუდეველი ლიდერებისა და რომაელი ჯარისკაცების საშუალებით მოქმედებდა. იესოს გამძლეობამ, ამ საშინელი დევნის პირობებში, დიდად გააოცა რომაელი პროკურორი. „და როცა ბრალს დებდნენ მას მღვდელმთავარნი და უხუცესები არაფერი უპასუხია. მაშინ უთხრა მას პილატემ: „არ გესმის რამდენს მოწმობენ შენს წინააღმდეგ?“. არცერთ მის სიტყვაზე არ გაუცია პასუხი ისე, რომ ძალიან უკვირდა გამგებელს“ (მათ.27:12-14;).

გაბედულება გამოიხატება არა იმაში, რამდენად ხმამაღლა ან რამდენად ბევრს ლაპარაკობ. იგივეს თქმა შეიძლება სიჩუმეზეც – სიჩუმეზე, როცა პირდაპირ ბრალდებებს გიყენებენ. ზოგჯერ იესო რჩებოდა თავის ძალაუფლებაში და არ რეაგირებდა გამოწვევებზე. მან იცოდა, რომ არის მასზე უმაღლესი ძალა და თუ ის რეაგირებას მოახდენდა გამოწვევაზე, მაშინ ეს იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ ესეთი ძალა არსებობს. ფარისევლები ცდილობდნენ, რომ იესო თავიანთი ბრალდებებით და მუქარით ძალაუფლების პოზიციიდან გაეკონტროლებინათ. უგუნურება იქნებოდა მათთვის პასუხის გაცემა, რადგან მათ არავითარი შეხება არ ჰქონდათ ჭეშმარიტებასთან. იესომ იცოდა, რომ მათ არ შეეძლოთ მისთვის სიცოცხლის წართმევა, რადგან მან იგი მამას გადასცა!

რაც იესო თავის მბრალმდებლების პირისპირ იდგა პეტრე გარეთ, ცეცხლთან თბებოდა. ისრაელის მთავართა უბრალო მოსამსახურის მიერ შეშინებულმა პეტრემ იმაზეც კი უარი თქვა, რომ იცნობდა იესოს (მათ.26:69-75;). თუმცა, პეტრემ თქვა, რომ მოკვდება და იესოს არ მიატოვებს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მან დაკარგა გაბედულება და ყველაფერი ისე გააკეთა რაზეც ამბობდა, რომ არ გააკეთებდა. მიზეზი: მას ძალზე უყვარდა საკუთარი სიცოცხლე.

მისი სიტყვები იესოსადმი დიდ სიყვარულზე მოწმობდა, მაგრამ მისი მოქმედებები უფრო ხმამაღალი იყო. მისი გაუბედაობისა და მშიშრობის სათავე საკუთარი თავისადმი სიყვარულში მდგომარეობდა. იგი მას გაბედული განაცხადებისა და ქმედებების უკან მალავდა. მაგრამ ზეთსახდელმა პრესმა გამოავლინა ეს მშიშარა სული.

გაუბედაობისა და შიშის ფესვი საკუთარი თავის სიყვარულშია. სრულყოფილი სიყვარული დევნის შიშს და იძლევა გაბედულებას. სიყვარულისაგან შობილი გაბედულება გაუბედაობისა და შიშის

ბორკილებს ამსხვრევს. არასრულყოფილი ანუ ეგოისტური სიყვარული კარს უხსნის შიშს.

> „სიყვარულმა ჩვენში მიაღწია ისეთ სრულყოფას, რომ გულდაჯერება გვქონდეს განკითხვის დღეს, რადგან როგორიც ის არის ჩვენც ისეთები ვართ ამ სოფელში. სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა ხოლო მშიშარა არ არის სიყვარულში სრულყოფილი“ (1იოან.4:17-18;)

შიში და გაუბედაობა იზრდება, როცა კონცენტრირებას საკუთარ თავზე ვახდენთ. აქედან მოდის მტანჯველი გამონათქვამები: „მერე მე რა? მერე მე რა მომივა?“. იესო ამბობდა: „იმაზე დიდი სიყვარული არავის აქვს, როცა ვინმე თავს სწირავს თავისი მეგობრებისათვის“ (იოან15:13;). როცა ნამდვილად ვდებთ ჩვენს სიცოცხლეს იესოს სიყვარულისთვის, უკვე აღარ ვზრუნავთ იმაზე, თუ რა მოგვივა. რადგან ვიცით, რომ მისი მზრუნველობის ქვეშ ვიმყოფებით. მაშინ ჩვენ ვართ მკვდრები და მასში ვართ დაფარულნი. ზრუნვა და წუხილი აღარ გვჭირდება, რადგან ჩვენი სიცოცხლე ჩვენ აღარ გვეკუთვნის, იგი ღმერთს ეკუთვნის. მან გამოგვისყიდა, ამიტომ რაც არ უნდა მოხდეს, ეს მისი საზრუნავი იქნება. ჩვენ უბრალოდ სიყვარულსა და მორჩილებაში ვიცხოვრებთ.

მეტად აღარ დაგვტანჯავს შიში, რადგან მკვდრის დატანჯვა შეუძლებელია. შეგიძლიათ მკვდარს შუბლზე პისტოლეტი მიადოთ და დაემუქროთ, მაგრამ ის თვალსაც არ დაახამხამებს.

## როგორ მოიქცნენ დანარჩენები?

მაგრამ, როგორ მოიქცნენ დანარჩენი მოწაფეები? ისინიც ხომ დაეთანხმნენ პეტრეს, რომ მოკვდებოდნენ და იესოს არ მიატოვებდნენ. როგორ გაიარეს მათ ეს ზეთსახდელი პრესი? ისინი პეტრეზე ადრე გაიქცნენ. ბიბლია ამბობს, რომ როცა დაინახეს იესო შეიპყრესო „ყველა მოწაფემ მიატოვა იგი და გაიქცა“ (იოან.26:56;).

ისინი, საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და ამიტომ მზად იყვნენ დაეძინათ, ვიდრე ელოცათ. უკანასკნელი სერობისას ისინი დაობდნენ, თუ ვინ იყო ყველაზე დიდი. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მოწაფეები არ უსმენდნენ იესოს ან არ შეეძლოთ, რომ მოესმინათ. ისინი მხოლოდ ერთ რამეზე

ფიქრობდნეი: „რა მომივა?“. ამ წნეხის დროს გამოვლინდა მათი საკუთარი თავისადმი სიყვარული.

მათი მოტივები ბევრად არ განსხვავდებოდა პეტრეს მოტივებისაგან, პეტრე უბრალოდ, უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, ის უკან გაჰყვა ჯარისკაცებს, რომლებმაც იესო წაიყვანეს.

## ყველა გაბედულება სიყვარულით არ არის მოტივირებული

თქვენ ალბათ, ჯერ კიდევ ვერ ხვდებით, როგორ ეყო გაბედულება პეტრეს დანა აეღო და ამ მცირე არმიას წინ აღდგომოდა. მე ვთქვი, რომ იგი ამას სხვების თვალში ასამაღლებლად აკეთებდა. იგი დიდად კმაყოფილი იყო, როცა შეეძლო თავი წარმოეჩინა სხვების წინაშე. დაფიქრდით ამაზე. ისინი ხომ სწორედ იმაზე დაობდნენ, თუ ვინ იყო დიდი მათ შორის (და ეს თემა პირველად არ წამოიჭრა მათ შორის, ისინი გამუდმებით ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. პეტრეს ეს ახსოვდა და ახლა მშვენიერი საშუალება ჰქონდა იმისათვის, რომ თავისი უდიდესი ერთგულება დაემტკიცებინა).

მაგრამ როცა მღვდელმთავრის მსახურებთან ერთად ცეცხლთან იჯდა, იგი აღარ იყო გარემოცული თავისი მეგობრებით და სწორედ მაშინ გამოვლინდა მისი შინაგანი მდგომარეობა.

პეტრეს გაბედულება, სხვა შემთხვევაშიც უბიძგებდა ხოლმე გარკვეული ქმედებებისკენ. ერთხელ ეს მოხდა, როცა პეტრემ წყალზე გაიარა. ვიდრე სხვა მოწაფეები იესოს შეჰყურებდნენ მან დაიძახა: „უფალო, თუ ეს შენ ხარ, მიბრძანე მოვიდე შენთან წყალდაწყალ“ (მათ.14:28;).

პეტრე ნავიდან გადავიდა და წყალზე გაიარა. შესაძლოა, მისი გაბედულება განპირობებული იყო სურვილით, რომ მეგობრებზე შთაბეჭდილება მოეხდინა, მაგრამ, როცა დაინახა, რომ მღელვარე ზღვაში აღმოჩნდა, იესოს მოუხმო, რომ ეშველა მისთვის. ტალღებზე მიმავალმა გააცნობიერა, რომ არც ერთი მისი კონკურენტი მის გვერდით არ იყო. წნეხის ქვეშ აღმოჩენილმა, იესოს მოუხმო დასახმარებლად.

სავსებით შესაძლებელია, პეტრე ფიქრობდა, რომ იესო ბაღში შექმნილი სიტუაციიდანაც გამოიყვანდა, როგორც ეს მას ადრე არაერთხელ გაუკეთებია. და ის მართალი იყო. მაგრამ, არც პეტრე და არც დანარჩენი მოწაფეები არ მოელოდნენ, რომ იესოს დააპატიმრებდნენ. თუმცა, იესომ არაერთხელ აუწყა

მათ, თუ რა უნდა მომხდარიყო, ისინი მაინც ფიქრობდნენ, რომ იესო დაამყარებს თავის სამეფოს დედამიწაზე, პირდაპირ ახლა (საქმ.1:6 ;მათ.16:21;).

ადვილია ვიყოთ დარწმუნებული, ვიდრე ღმერთი აკეთებს იმას, რასაც ველოდებით. მაგრამ, როცა ის სიურპრიზს გვთავაზობს, შეიძლება შევყოყმანდეთ. ზოგჯერ, როცა ჩვენს ცხოვრებაში ან მსახურებაში ხდება რაღაც მოულოდნელობა და ჩვენ გაბედულებას ვკარგავთ. ხშირად მზად არ ვართ ტანჯვის, დევნისა და განსაცდელების გადასატანად. ბავშვების მსგავსად თავს კომფორტულად ვგრძნობთ თუ ჩვენი საკუთარი სცენარის შესაბამისი ცხოვრებით ვცხოვრობთ. მაგრამ ჩვენი გული იწვრთება, როცა არ ვღებულობთ იმას, რაც გვინდა, როცა გვინდა და როგორც გვინდა. როცა ამ განსაცდელებში ვმარცხდებით, ჩვენი გული მძიმდება. და ალბათ, ვჩანვართ უფრო დარწმუნებულნი როცა ღმერთი სწორედ იმას გვაძლევს რაც გვსურს, და როცა ცხოვრებაც წინასწარ განსაზღვრულია. მაგრამ, როცა ყველაფერი სხვაგვარად ხდება, აშკარავდება ჩვენი ჭეშმარიტი მოტივები. იესო ასე აღწერდა ამ მდგომარეობას:

> „ასევე, კლდოვანზე დათესილნი ისინი არიან, რომლებიც როგორც კი სიტყვას მოისმენენ მყის სიხარულით მიიღებენ მას. მაგრამ ფესვი არ გააჩნიათ თავის თავში და ხანმოკლენი არიან და, როგორც კი დგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვის გამო, მყისვე ცდუნდებიან“ (მარკ.4:16-17;)

შენიშნეთ, რომ ადამიანები ვერ უძლებენ გამოცდას იმის გამო, რომ ფესვი არ გააჩნიათ. როგორ უნდა განვავითაროთ ჩვენი ფესვები, რომ მტკიცედ ვიდგეთ? რაში უნდა ვიყოთ ფესვგადგმულნი? ეფეს. 3:17-ში ნათქვამია, რომ ქრისტესადმი სიყვარულში უნდა ვიყოთ ფესვგადგმულები და დაფუძნებულები. ნამდვილი სიყვარული თავისას არ ეძებს. ადამიანებს, რომელთა სიყვარულსაც ფესვი არ გააჩნია, უყვართ, ვიდრე ეს მათთვის მისაღები და სასარგებლოა. ისინი არ ჯვარცმულან იესოსთან ერთად, არამედ უფალთან მივიდნენ იმის გამო, რისი მოცემაც მას შეუძლია, და არა იმისთვის, თუ ვინ არის იესო!

ისინი კი, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს, ეძებენ მხოლოდ თავიანთ მხსნელს და იმას, რაც მისთვის სათნოა. სიყვარულს არ გააჩნია ცრუ მოლოდინი. სიყვარული გასცემს და ეს მოტივი უცვლელი რჩება, როცა ცხოვრება მიდის ისე, როგორც არ მოველით. სიყვარული სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და ამიტომ არ ფრთხება.

გაბედულება, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს გაუბედაობისა და შიშის სულის დასანგრევად, საფუძველს ღმერთის სიყვარულიდან უნდა იღებდეს. „ვინაიდან ღმერთმა მოგვცა ჩვენ არა სიმხდალის სული, არამედ ძალის სიყვარულისა და თავშეკავების“ (2ტიმ.1:7;).

ძალა აუცილებელია გაუბედაობისაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ თავის თავად იგი საკმარისი არ არის. როგორც უკვე ვთქვი, მინახავს ცხებული მამაკაცები ზეწოლის დროს გაუბედაობისა და შიშისაგან წელში მოხრილნი.

არც საღი აზრი და თავშეკავებაა საკმარისი. სულიწმიდამ გაუცხადა პეტრეს, რომ იესო – მესიაა (მათ.16:13-18;). ეს მოხდა მაშინ, როცა პეტრე სავსე იყო ღვთიური სიყვარულით, რომელიც სიცოცხლის გაღების უნარს იძლევა. ამის შესახებ შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

*გაუბედაობის დაძლევის ერთადერთი საშუალება –*
*ესაა დაკარგო საკუთარი სიცოცხლე*

## სურვილი საკმარისი არ არის

ბარგი განზრახვები საკმარისი არ არის. პეტრეს უნდოდა დაენახებინა, რომ შეძლებს იყოს ლოიალური მაშინაც კი, თუ საქმე სიკვდილს შეეხება. მაგრამ, მისი სურვილის ძალა საკმარისი არ აღმოჩნდა ამისთვის. გულში არსებულმა შიშმა მასწავლებლისადმი სიყვარული დაამარცხა. იესო ამ საკითხს მისი აღდგომის შემდგომ მიუბრუნდა.

იოანეს სახარების 21-ე თავში იესო ეცხადება მოწაფეებს და თევზსა და პურს უმზადებს საჭმელად. შემდეგ სამჯერ ეკითხება პეტრეს: „გიყვარვარ?“. პირველ ორ შემთხვევაში იესომ გამოიყენა სიტყვა „აგაპე“, რომელიც ნიშნავს მოქმედებას სიყვარულში. მაგრამ პეტრე ყოველ ჯერზე პასუხობდა ბერძნული სიტყვით „ფილეო“. ამ სიტყვის მნიშვნელობაა მშვინვიერი დამოკიდებულება ანდა სიყვარულის გრძნობა და იგი არ გვთავაზობს მოქმედებას.

პეტრე გაღიზიანდა, როცა იესომ მას მესამედაც დაუსვა კითხვა. ამჯერად იესომ გამოიყენა სიტყვა „ფილეო“. ამ კითხვაში იესომ სიყვარულის მნიშვნელობა გრძნობებთან დააკავშირა და არა მოქმედებასთან. დაბნეული პეტრე პასუხობს: „უფალო, შენ ყველაფერი იცი. იცი, რომ მიყვარხარ!“ (იოან.21:17;). მისი სიტყვები ნიშნავდა: „იცი, რას ვგრძნობ შენს მიმართ“.

ფაქტობრივად, იესო დასაწყისში ეკითხებოდა: „იმდენად გიყვარვარ, რომ გაიღებ სიცოცხლეს ჩემს გამო?“. ეს არის სიყვარულის ილუსტრაცია, რომელიც გამოიხატება სიტყვით „აგაპე“. პეტრე გულწრფელად და მორჩილად პასუხობდა, რომ მისი სიყვარული ემოციური გრძნობა იყო. გაიხსენეთ, რომ მან ეს-ესაა უარი თქვა იესოზე. იგი საკუთარ სისუსტეს აცნობიერებდა. მხოლოდ მის გრძნობებზე დამყარებული სიყვარული საკმარისი არ იყო, რომ სიცოცხლე გაეღო მისთვის.

ბოლოს იესომ ჰკითხა პეტრეს: „გიყვარვარ გრძნობებით?“. იესოს ესმოდა, რომ მაშინ პეტრე სავსებით განადგურებული იყო და „აგაპეს“ შესაბამისი სიყვარულის უნარი არ გააჩნდა, ამიტომ დაუსვა იესომ მას ეს კითხვა.

იმ მიზნით, რომ აეხსნა პეტრესათვის, თუ რა ჰქონდა მხედველობაში პირველი ორი კითხვის დასმისას, იესომ თქვა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: სანამ ახალგაზრდა იყავი შენ თვითონ შემოირტყამდი სარტყელს და მიდიოდი, სადაც გსურდა, როცა დაბერდები, გაშლი ხელებს, და სხვა შემოგარტყამს სარტყელს და წაგიყვანს იქ, სადაც არ გსურს“. ეს თქვა იმის მისანიშნებლად, თუ როგორი სიკვდილით განადიდებდა ღმერთს. ეს რომ თქვა, უთხრა: „მომყევი“ (იოან.21:18-19;).

ვფიქრობ, იესომ პეტრეს უთხრა შემდეგი რამ: „ადრე წარუმატებლობებს განიცდიდი, რადგან გრძნობაზე დამყარებული სიყვარულით ცხოვრობდი, მაგრამ მოდის დღე, როცა შეხვდები შენს უდიდეს შიშს და სრულყოფილი სიყვარულის ძალით გაიმარჯვებ მასზე“. ამ მომენტამდე პეტრეს უყვარდა იმდენად, რამდენადაც მისი ადამიანური შესაძლებლობა აძლევდა ამის საშუალებას, მაგრამ ამ უნარმა მას უღალატა. იესოს რომ გაჰყოლოდა, იგი „აგაპეთი“ უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. სიყვარულის ეს სახე ადამიანების სურვილით არ ვლინდება, არამედ ჩვენს გულებში იღვრება მამის მიერ (რომ.5:5;). ღვთიურ ნიჭს „აგაპეს“ არ ეშინია მოკვდეს სხვისთვის.

იესო შთააგონებდა პეტრეს, ეუბნებოდა, რომ როცა კვლავ აღმოჩნდებოდა ზეთსახდელ პრესში, იქიდან გამარჯვებული გამოვიდოდა. და ექნებოდა უნარი შეესრულებინა ის, რაზეც ადრე თვითდაჯერებულად იფიცებოდა: იესოს არ მიატოვებდა, არამედ მოკვდებოდა კიდეც მის გამო. გაუბედაობისა და შიშის მარწუხებისგან განთავისუფლებული პეტრე სხვა ადამიანი გახდებოდა.

ღმერთი, ამ ყოველივეს ჩვენს სასიკეთოთ აკეთებს. როცა ვკრთით იგი გვამაგრებს. იგი საშუალებას გვაძლევს არაერთხელ შევხვდეთ იმას, რისიც გვეშინია, ვიდრე გამარჯვებულები არ გამოვალთ. როცა ჩვენს ძალებს ამოვწურავთ, მაშინ მისი ძალის მოხმობას დავიწყებთ. ამ ძალაში არ დავმარცხდებით, რადგან სიყვარული არასოდეს არ მარცხდება (1კორ.13:8;). ღმერთს არ სურს, რომ ჩვენს სისუსტეებს გავექცეთ. მას სურს, რომ უშიშრად შევხვდეთ მათ.

**გთხოვთ, გამათავისუფლეთ ამისგან!**

პავლემ იცოდა, თუ რა წარმოადგენდა მის წყაროს. „რათა არ გავმედიდურდე მეტისმეტი გამოცხადებებით, ეკალი მომეცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომ დამქეჯნოს, რათა არ გავმედიდურდე“ (2კორ.12:7;).

აქ გამოყენებულია სიტყვა „ანგელოზი“. ვფიქრობ, რომ მხედველობაშია ბოროტი ანგელოზი, რომელიც სატანამ წარმოგზავნა, რათა პავლესთვის ზიანი მიეყენებინა. შედეგად, პავლე სადაც არ უნდა მისულიყო, პრობლემები იჩენდა თავს. 2კორ.11:24-27-ში აღწერილია ზოგიერთი უსიამოვნება, რომლებსაც პავლე შეჯახებია:

„ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა. სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე, ღამე და დღე შუა ზღვაში დავყავი. მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღობისაგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად, განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმათა შორის. შრომასა და გაჭირვებაში, გამუდმებულ სიფხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, გამუდმებულ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში“

ყველგან, სადაც არ უნდა ექადაგა, იგი ინტენსიურ დევნას განიცდიდა. თითოეულ ქალაქში ბორკილები და საშიშროება ელოდა. მას სცემდნენ, ქოლავდნენ, ზღვაში იხრჩობოდა და ა.შ. ამ ყოველივეს გამო იგი ლოცულობდა უფლის წინაშე.

„სამჯერ შევევედრე უფალს, რომ განმაშოროს იგი“ (2კორ.12:8;)

გაუცნობიერებლად, მას სურდა გათავისუფლებულიყო ამ წინააღმდეგობებისა და დევნისაგან. ღმერთმა უპასუხა:

„გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“ (2კორ.12:9;)

ფაქტობრივად, უფალი ამბობდა: „პავლე, ნუ მთხოვ, რომ მოგაშორო ეს ყოველივე, უკეთესია ითხოვო, რომ ჩემმა მადლმა

და ძალამ აგამაღლოს იმ ყველაფერზე მაღლა, რასაც საკუთარი ძალით ვერ უმკლავდები. სადაც წინააღმდეგობები არ არის, იქ არც ძალაა საჭირო. ბრძოლის მოგება მხოლოდ ბრძოლაში შეიძლება. ნამდვილი ჯარისკაცი არ გაურბის კონფლიქტებს, არამედ ისწრაფვის მათკენ“.

გახურებული ბრძოლის დროს იმის დრო არ არის, რომ ღმერთს იქიდან გამოყვანა ვთხოვოთ, ამ დროს უნდა ვილოცოთ, რომ მივიღოთ მისი მადლი, რათა შევძლოთ გამარჯვება. ღმერთი დიდდება, როცა ვხვდებით იმას, რისი დაძლევაც საკუთარი ადამიანური ძალებით შეუძლებელია. მაშინ მისი ძალა ივანებს ჩვენზე და ყველა ხედავს ამას. ღვთიური მადლი ამარცხებს ყოველგვარ შიშსა და წინააღმდეგობას, რომელსაც ვხვდებით! შთააგონეთ საკუთარი თავი ასეთი ღვთიური შეგონებით:

„მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძლევას გვანიჭებს ქრისტეში“ (2კორ.2:14;)

„მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“ (1კორ.15:57;)

„ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროვება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი? როგორც სწერია: „რადგან შენს გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ კრავებად ვართ შერაცხილნი“. მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით“ (რომ.8:35-37;)

დამპყრობი ხვდება წინააღმდეგობას და ლახავს მას, გამოფენს გამარჯვების დროშას ბრძოლის ველზე! პავლე ამას ეჭიდებოდა და ამიტომაც მისი შეშფოთება იმედში გადაიზარდა. იგი წერდა:

„ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემი უძლურებებით, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში. ამიტომ კმაყოფილი ვარ უძლურებაში, შეურაცხყოფაში, გაჭირვებაში, დევნაში და შევიწროვებაში, ქრისტეს გულისათვის, ვინაიდან როცა უძლური ვარ, მაშინ ვარ ძლიერი“ (2კორ.12:9-10;)

შენიშნეთ, რომ იგი ამბობს: „კმაყოფილი ვარ“ („უდარდელი ვარ“– ინგლ.) რამდენად ხშირად გვიწევს ისეთი ადამიანების

ნახვა, რომლებიც უდარდელად, უზრუნველად არიან შევიწროებისას, საჭიროებებში, დევნებსა და უბედურებებში? მხოლოდ ქრისტეში დაფარულ პიროვნებას (გალ.2:20;) შეუძლია მიიღოს კმაყოფილება მსგავსი მოვლენებისაგან. მხოლოდ მას, ვინც იმისთვის ცხოვრობს, რომ აამოს ქრისტეს. პავლემ იცოდა, რომ შეუძლია დაეყრდნოს ღვთიურ მადლს, რათა თავი გაიტანოს მანამ, სანამ იესო არ იქნება განდიდებული.

პავლეს იესო საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. იგი მზად იყო მომკვდარიყო, მაგრამ უფრო მეტად უნდოდა ეცოცხლა მისთვის! ყურადღებით წაიკითხეთ ეს ადგილი ფილიპელთა მიმართ წერილიდან:

> „თანახმად მოლოდინისა და სასოებისა, რომ არაფერში არ შევრცხვები, არამედ მთელი სიცხადით, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც განდიდდება ქრისტე ჩემს სხეულში – სიცოცხლით იქნება თუ სიკვდილით“ (ფილ.1:20;)

პავლესთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სიცოცხლით განადიდებდა ქრისტეს თუ სიკვდილით. მთავარი იყო ის, რომ ქრისტე ყოფილიყო განდიდებული. პავლეს მხედველობაში არ ჰქონდა ავადმყოფობით ან უძლურებით გამოწვეული სიკვდილი. ეს ყოველივე იესომ აზიდა ჯვარზე ჩვენს ნაცვლად. ავადმყოფობა და უძლურება არ განადიდებს უფალს. რწმენა იმისა, რომ იესო განდიდდება თუ ავადმყოფობით მოვკვდებით ისევე არასწორია როგორც რწმენა იმისა, რომ იესო განდიდდება თუ ჩვენ მონობაში მოვკვდებით. ერთიც და მეორეც იესომ ჯვარზე აიტანა (ესაია 53:4-5;). ფსალმ. 102:2-3-ში ნათქვამია:

„ადიდე, სულო ჩემო უფალი და ნუ დაივიწყებ, რაც კეთილი გიყო! ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა“.

როგორც ვხედავთ, პავლე ავადმყოფობისა და უძლურების შესახებ არ საუბრობს. მაგრამ ჩვენი მიდგომა ასეთი უნდა იყოს: „უფალო მნიშვნელობა არ აქვს როგორ, მაგრამ შენ განდიდდები, აირჩიე შენი საკუთარი გზა, ეშმაკი კი ვერაფერს მიიღებს!“.

პავლეს თავგანწირულმა სიყვარულმა წარმოშვა ისეთი გაბედულება, რომელშიც ვერავითარი გაუბედაობა ვერ შეაღწევდა (იხ. ფილ.1:20;).

პავლე მიიჩქაროდა საქადაგებლად, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქალაქში დევნა და საშიშროება ელოდა. მას არ ეშინოდა ადამიანების. პავლე ეუბნება ეფესელ უხუცესებს:

„და აჰა, ახლა სულის მიერ შეკრული მივდივარ იერუსალიმში და რა შემემთხვევა არ ვიცი. მხოლოდ სულიწმიდა მიმოწმებს ქალაქიდან ქალაქში და მეუბნება, რომ ბორკილები და გასაჭირი მელის“ (საქ.20:22-23;)

აი, წინასწარმეტყველური სიტყვა! საინტერესოა, დღევანდელ დღეს ბევრი გადადგამდა წინ ნაბიჯს ასეთი სიტყვის შემდეგ? არა, ისინი არ მოისურვებდნენ მსგავსი რამის მოსმენას. ყველას მოგვწონს კარგის მოსმენა, მაგრამ ღმერთი გვაფრთხილებს სიძნელეების შესახებაც, რათა იმედი და სიმამაცე ვიქონიოთ. პავლე ამაგრებდა ახალ მოქცეულთ ასეთი სიტყვებით:

„მრავალი ჭირით გვმართებსო ღვთის სასუფეველში შესვლა“ (საქ.14:22;)

საინტერესოა, როგორ ვუპასუხებდით, რომ მიგვეღო წინასწარმეტყველური სიტყვა, რომ ყოველ ნაბიჯზე დევნა და წინააღმდეგობა გველის. თუმცა არ მინდა ვთქვა, რომ ყოველ ჯერზე, როცა ნამდვილ სიტყვას ვღებულობთ ღმერთისაგან, ის აუცილებლად ასეთი სახის უნდა იყოს.

პრობლემა იმაშია, რომ ჩვენთვის მოცემული ბევრი სიტყვა ადამიანებს არასწორის ძიებისკენ აღძრავს. ესაა სასიამოვნო სიტყვები იმის შესახებ, რომ ადამიანები წარმატებულნი იქნებიან ბიზნესში ანდა მსახურებაში. სიტყვები იმის შესახებ, რომ მათ ყველაფერი კარგად ექნებათ. ხშირად ადამიანები იქამდე მიდიან, რომ ეძებენ ღმერთს და ემსახურებიან მას მხოლოდ იმის გამო, რისი გაკეთებაც ღმერთს მათთვის შეუძლია. მათი სიყვარული იმით არ არის დაინტერესებული, რომ განადიდოს იგი სიცოცხლით ან სიკვდილით. მიაქციეთ ყურადღება, რა უპასუხა პავლემ ბორკილებისა და ტანჯვის შესახებ წარმოთქმულ წინასწარმეტყველურ სიტყვას:

„მაგრამ სიცოცხლე არად მიღირს, ოღონდ კი იმ სარბიელსა და მსახურებას დავასრულებდე, რომელიც უფალ იესოსგან მივიღე, რათა დავამოწმო ღვთის მადლის სახარება“ (საქ.20:24;)

პავლეს სიმამაცის გასაღები იმაშია, რომ იგი არ განიხილავდა საკუთარ სიცოცხლეს როგორც რაღაც ძვირფასს. მან ასევე გაიგო, რომ ღმერთის გეგმა მისი ცხოვრებისათვის მოიცავდა დევნებსა და განსაცდელებთან შეხვედრას. მისი სიყვარული

იესოსადმი მეტი იყო, ვიდრე საკუთარი სიცოცხლისადმი. თავის ცხოვრებაში პავლე ისწრაფოდა საიდუმლოსკენ, რომელსაც იგი „სარბიელის გასრულებას“ ეძახდა. ეს ნიშნავს დადო შენი სიცოცხლე და მიიღო იესოს სიცოცხლე. ხშირად ეს გულისხმობს, რომ უარს ვამბობთ იმაზე, რაც მოსახერხებელია და ვღებულობთ იმას, რაც არახელსაყრელია – ჯვარს.

**დარწმუნებული ხართ, რომ ეს სახარება ამერიკულია?**

მე ვიცი, რომ ასეთი მსჯელობა არ ესადაგება ჩვეულ დასავლურ ქრისტიანობას. ეს განსხვავდება ჩვენი ქადაგებებისა და ცხოვრების სტილისაგან. ვაღიარებ, რომ მე ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, ვინც ეცემოდა ამის გამო. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აღმოვჩნდებოდი ხოლმე „ზეთსახდელი პრესის“ სიტუაციაში, მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი გულის მოტივები გამომჟღავნებულიყო. პეტრეს მსგავსად, ვნაწყენდებოდი, როცა ვხედავდი ჩემს ცარიელ დაპირებებს და გულის ჭეშმარიტ მდგომარეობას. ამ მრავალრიცხოვან სიტუაციებში მე მოვუხმობდი უფალს და ვთხოვდი ჩემი გულის შეცვლას. მე ვისწავლე ვიყო მადლიერი განსაცდელებისათვის (1პეტრ.1:6-7;). და შევძელი უფრო ნათლად დამენახა წმინდა წერილის შემდეგი ადგილი:

> „რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით, ვინაიდან, ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა. რათა ხორცში დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღვთის ნებით“ (1პეტრ.4:1-2;)

განსაცდელებში გავლით მოწიფულნი ვხდებით. მე ახლა არ ვლაპარაკობ განსაცდელების რელიგიურ კონცეფციაზე, რომ მივიღოთ ავადმყოფობები ანდა სიღატაკე, თითქოს ისინი ღმერთის წინაშე თქვენი დამსახურებების შესახებ მოწმობენ. ასევე, მხედველობაში არ მაქვს განსაცდელები უცოდინრობის ანდა არაღვთიური საქციელის გამო. ამით ღმერთი არ დიდდება! განსაცდელები, რომლებსაც ვხვდებით, უნდა იყოს ისეთივე, როგორსაც ქრისტე განიცდიდა – გამოცდა ყველაფერში, მაგრამ ცოდვის გარეშე (ებრ.4:15;).

პეტრეს მიერ აღწერილი განსაცდელები – ესაა წინააღმდეგობა, რომელსაც ხვდება ადამიანი, როცა მისი ხორცი ან ირგვლივ მყოფი ადამიანები ზეწოლას ახდენენ, რომ იგი არ წავიდეს იმ

გზით, რომლისკენაც მას ღმერთი წარმართავს. ასეთ მომენტში შესაძლოა გაუბედაობამ და შიშმა უპირატესობა მოიპოვოს, თუ იესოსადმი სიყვარულში დაფუძნებულნი არ ვართ.

პეტრეს მსგავსად, მინდა მივყვე იესოს იმ დრომდე, როცა უბრალოდ კი არ ვიტყვი, რომ სიცოცხლეს გავიღებ მისთვის, არამედ მივყვე იმ დრომდე, როცა მზად ვიქნები მივიღო სიკვდილი საკუთარი მიზნებისა და სიცოცხლისათვის. დაე, ის ერთადერთი იყოს განდიდებული! ამის მიღწევა კი მხოლოდ მისი მადლის საშუალებით შეიძლება. იგი თავის მადლს თავმდაბლებს ანიჭებს (იაკობ.4:4;). ამიტომაც შეეძლო პავლეს თავისი დევნების ფონზე ეთქვა: „კმაყოფილი ვარ მათში“ (2კორ.12:10;). ნახეთ, რას ამბობს მოციქული იოანე მათზე, ვინც ეშმაკზე გაიმარჯვა:

> „გაიმარჯვეს მასზე კრავის სისხლით და მათი მოწმობის სიტყვით და არ შეიყვარეს მათი სული თვით სიკვდილამდე“ (გამოცხ.12:11;)

მომისმენია როგორ ციტირებენ ხშირად წმინდა წერილის ამ ადგილს. მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. უმრავლესობა მის პირველ ნაწილზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ ყურადღების გარეშე რჩება მეორე ნაწილი. წმინდა წერილის ეს ადგილი არაპოპულარულია ჩვენს დასავლურ კულტურაში. მაგრამ ვერასოდეს მოვიგებთ ბრძოლას გაუბედაობით, ვიდრე უარს არ ვიტყვით საკუთარი სიცოცხლის სიყვარულზე, თვით სიკვდილამდე. თუ ჩვენი სიცოცხლე გვიყვარს, მაშინ ყოველნაირად ვეცდებით მის გადარჩენას.

ღმერთის ქალებო და მამაკაცებო, ახლა თქვენ იცით ჭეშმარიტება: გაუბედაობის დაძლევის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს – დაკარგო შენი სიცოცხლე. წაიკითხე ეს? ახლა ღმერთს მოუხმე. უკან ნუ დაიხევთ, არამედ ირწმუნეთ. სთხოვეთ უფალს აავსოს თქვენი გული სიყვარულით – მისი სიყვარულით, რომელიც არასოდეს მთავრდება. ითხოვეთ მისი მადლი, რათა გადალახოთ წინააღმდეგობანი, რომლებსაც ხვდებით. ითხოვეთ მისგან რთულ ადგილებში მოხვედრის პრივილეგია. ილოცეთ, რომ იყოთ იმ მოვლენათა ცენტრში, რასაც ის აკეთებს დედამიწაზე. ნუ ითხოვთ იოლ ცხოვრებას. უკეთესია ითხოვოთ ისეთი ცხოვრება, რომელიც მას განადიდებს.

### „ამას რა?“

მოდით, იმ ადგილს დავუბრუნდეთ, როცა იესო მოწაფეებს

სადილს უმზადებს, თავისი აღდგომის შემდეგ. სადილის შემდეგ იესოს პეტრესთვის კურთხევები არ უწინასწარმეტყველებია. პირიქით, იესომ უთხრა, რომ პეტრე დაძლევს თავის დიდ შიშს და მეტად აღარ გაყვება საკუთარ სურვილებს და საკუთარ ძალას. იესომ უთხრა პეტრეს, რომ მოწამეობრივი სიკვდილით მოკვდება – დაკარგავს თავის სიცოცხლეს იესოსადმი ერთგულების გამო. იესო ხედავდა ახალ პეტრეს, ისეთს, როგორიც გახდებოდა. ის ხედავდა დასრულებულ სამუშაოს.

პეტრე ჯერ კიდევ არ იყო მზად. როცა იესოს სიტყვები მოისმინა, იგი მიბრუნდა, შეხედა მოციქულ იოანეს და ჰკითხა იესოს: „უფალო, ამას რა?“ (იოან.21:21). პეტრე ჯერ კიდევ სხვებს ადარებდა თავს. სინამდვილეში, იგი ამბობდა: „თუ მე უნდა გავიარო ასეთ განსაცდელში, მასაც იგივე ელის?“.

> იესომ უპასუხა: „თუ მე მსურს, რომ დარჩეს ჩემს მოსვლამდე, შენ რა? შენ მე მომყევი“ (იოან.21:22)

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ნუ შეადარებ თავს სხვებს. უბრალოდ გამომყევი! ბევრი ადამიანი სხვების ნათქვამით და მოქმედებებით ზომავს საკუთარ ცხოვრებას. თქვენ ხომ არ გსურთ, რომ საკუთარი თავი არასწორი სტანდარტებით განსაზღვროთ. დიდი განსხვავებაა სანტიმეტრსა და კილომეტრს შორის. ადამიანთა დიდი ნაწილი, ჩვენს ეკლესიებში, ისე ცხოვრობს, როგორც მათ მოსწონთ, იოლად და კომფორტულად. როცა თავს სხვებს ვადარებთ, მაშინ ძალიან კარგი ადამიანები ვჩანვართ. ეს მცდარი კომფორტია და ეს არის საშუალება ვთქვათ: „სხვაზე უარესი არ ვარ“. ცდუნებაა, დაჯერება იმისა, რომ თუ შენ ყველაფერი კარგად გაქვს, მაშინ მეც ყველაფერი კარგად მაქვს.

მაგრამ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი სტანდარტი, საზომის ერთი ერთეული. ჩვენ არ ვიყენებთ ეტალონად არც მქადაგებლებს, არც სხვა ეკლესიებს, არც დებსა და ძმებს. ჩვენი ეტალონი არის იესო! მას არ უთქვამს პეტრესთვის, რომ იოანეს გაჰყოლოდა. მან თქვა: „შენ მე მომყევი!“.

გზა, რომლითაც იესო მიდიოდა, საკუთარი თავის უარყოფის გზა იყო. რომ მივყვეთ იესოს, მხოლოდ გადაწყვეტილება და სურვილი არ არის საკმარისი. თქვენ ასე უნდა მოიქცეთ! წაიკითხეთ შემდეგი ადგილი:

> „და მოუხმო ხალხს თავის მოწაფეებთან ერთად და უთხრა: თუ ვინმეს სურს მე მომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი

ჯვარი და მომდიოს მე. ვისაც სურს სული შეინარჩუნოს, იგი დაღუპავს მას“ (მარკ.8:34-35;)

ხედავთ, მან თქვა, რომ თუ თქვენი სურვილია შეინარჩუნოთ სიცოცხლე, დაკარგავთ მას! აი, ეს მესმის! სურვილი იმისა, რომ მიიღო ის, რისკენაც ქვეყნიერება ილტვის – სიცოცხლის ფასად დაგიჯდებათ – თუნდაც ის ვერასოდეს ვერ მიიღოთ. მაგრამ, ყურადღებით წაიკითხეთ, რას ამბობს იესო შემდეგ:

„ხოლო ვინც ჩემი ანდა სახარების გულისთვის დაღუპავს სულს, იგი შეინარჩუნებს მას“ (მარკ.8:35)

დაუკვირდით ერთ რამეს, იგი არ ამბობს „თუ ვინმე მოისურვებს დაღუპოს (დაკარგოს) სული ჩემი გულისთვის“. სურვილი საკმარისი არ არის! პეტრეს სურდა, რომ გაჰყოლოდა იესოს იმ ღამით, როცა უარყო იგი. მაგრამ მისი მოტივების მიღმა არ იყო არც ღვთისადმი სიყვარული და არც ღვთიური ძალა. ამიტომ პეტრე დამარცხდა.

## გამოიკვლიე შენი გული

ამ სიტყვების კითხვისას გამოიკვლიე შენი მოტივები. ხართ იესო ქრისტეს ნამდვილი მოწაფე, თუ მხოლოდ საკუთარი პირობების საფუძველზე გინდათ მიჰყვეთ მას? გაქვთ საკუთარი პირობები, რომლებიც შორს დგას თავის უარყოფისაგან? შესაძლოა, რომ ამ პირობებმა დაგაშოროს იესოს გზებს და არასათანადო აღმოჩნდეთ ღმერთის სამეფოსათვის? (იხ.2კორ.13:5;).

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ, გავყვეთ იესოს თუ არა, ჯერ უნდა გავიგოთ ფასი, რისი გადახდაც მოგვიწევს. დიახ, ეს ასეა. ეს გზა ღირს რაღაცად. ის მთელს თქვენს ცხოვრებას მოითხოვს. ნახეთ, როგორ უხსნის იესო ამის შესახებ ხალხს, რომელთაც სურთ, რომ მას მიჰყვნენ.

„მივიდა მასთან დიდძალი ხალხი და ის მიუბრუნდა მათ და უთხრა: თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებს და დებს, საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე. ვინც არ ატარებს თავის ჯვარს და ისე არ გამომყვება, ვერ გახდება ჩემი მოწაფე. რადგან, რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, განა თავდაპირველად

> არ დაჯდება და არ იანგარიშებს იმ ფასს, რაც მის დასამთავრებლად იქნება საჭირო? რადგან საძირკველს თუ ჩაყრის და ვერ დაამთავრებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაცინვას დაუწყებს. და იტყვის: ამ კაცმა შენება დაიწყო და ვერ დაამთავრაო. ასევეა ყოველი თქვენგანი, ვინც უარს არ იტყვის ყველაფერზე, რაც აბადია, ვერ შეძლებს ჩემს მოწაფეობას“ (ლუკ.14:25-30;33)

აი, ფასი, რომელიც ბოლომდე უნდა გადავიხადოთ. ჩვენ ახლახან წავიკითხეთ გამოცხადების წიგნში, რომ გაიმარჯვეს იმათ, ვინც არ შეიყვარა საკუთარი თავი თვით სიკვდილამდეც კი. სამწუხაროდ, ეს სურათი დღევანდელი ამერიკული ეკლესიების ზუსტ აღწერილობას არ წარმოადგენს.

შემეძლო მომეყვანა ბევრი მაგალითი, როცა ქრისტიანები ჯერ კიდევ უფრთხილდებიან თავიანთ სიცოცხლეს (ცხოვრებას). როცა მწყემსი ვიყავი, ერთი ახალგაზრდა ქალი მოვიდა ჩემთან: „მწყემსო ჯონ, მე ისეთი საშინელი წარმოდგენა მაქვს საკუთარ თავზე, ილოცეთ, რომ ჩემს თავზე უკეთესი წარმოდგენა შემექმნას“.

მე მას შევხედე და ვუთხარი: „სწორედ ეს არის თქვენი პრობლემა!“.

ის შეცბა. იგი ელოდა ხანგრძლივ კონსულტაციას და ბოლოში ლოცვას. ელოდა, რომ რბილი და თავაზიანი ვიქნებოდი, რათა მას თავი უკეთესად ეგრძნო. ჩემმა პასუხმა იგი შოკში ჩააგდო. ჩვენი გამანთავისუფლებელი ჭეშმარიტება ასეთია: არ ილაპარაკო პრობლემებზე, არამედ გაერკვიე მათ ფესვებში.

მე ვკითხე მას: „სად წაგიკითხავთ ბიბლიაში თვითპატივისცემისა და საკუთარი თავისადმი კეთილი დამოკიდებულების შესახებ? იესომ თქვა, რომ თქვენ უნდა მოკვდეთ, რათა მიჰყვეთ მას! ოდესმე გინახავთ მკვდარი, რომელიც ამბობს: „ჰეი, რატომ ჩამაწვინეთ ამ საშინელებაში? მე ეს არ მომწონს! რატომ დამვარცხნეთ ასე? რას იტყვის ხალხი?“.

მე მინდოდა მისთვის დამენახვებინა, რომ საკუთარი თავისადმი ყურადღება და პატივისცემა ბიბლიური არ არის. ეს სრულიად არ არის საჭირო იმისათვის, რომ იესოს გავყვეთ. იგი უყურებდა დროებითს და არა მარადიულს.

არ შეიძლება ვემსახუროთ უფალს მხოლოდ მაშინ, როცა თავს კარგად ვგრძნობთ, როცა აღფრთოვანებული ვართ ანდა როცა ყველაფერი ისე მიდის, როგორც ჩვენ გვსურს. ასეთ ადამიანებს შეიძლება „სეზონური მეგობრები“ ვუწოდოთ. არსებობენ

„სეზონური ქრისტიანებიც“. ისინი უგუნურები არიან. საბოლოო ჯამში, ისინი შეხვდებიან ისეთ რამეს, რაც არ ჯდება მათ წარმოდგენებში. ეს შეიძლება მათი ღმერთთან ურთიერთობის ნებისმიერ სტადიაში მოხდეს. თუ ისინი მომზადებულები არ იქნებიან – დანებდებიან. ისინი დადიან ეკლესიაში, იძლევიან მეათედს და შესაწირს, ლაპარაკობენ ენებით, სწორ აზრებს ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთ გულში უარს ამბობენ გაჰყვნენ იესოს. თუ ნამდვილად მივყვებით იესოს, მაშინ საკუთარი პირობები გვერდზე უნდა გადავდოთ.

## შეცვლილი ადამიანი

როცა ვხედავთ პეტრეს მოციქულთა საქმეების წიგნში, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ის ადამიანია, რომელიც იფიცებოდა, რომ იესოს ერთგული იქნებოდა, მაგრამ მალევე უარი თქვა მასზე. სულიწმიდით ავსილმა გაბედულად და უშიშრად აღიარა იესო თავის უფლად და მესიად მთელი იერუსალიმის წინაშე. იგი დააპატიმრეს და მიიყვანეს მთავრებთან და ლიდერებთან, რომლებმაც ჯვარს აცვეს იესო. ახლა იგი პირისპირ იდგა არა მათი მოსამსახურის წინაშე, არამედ იმ საბჭოს წინაშე, რომელმაც იესოს განაჩენი გამოუტანა. მან გადახედა მათ და გაბედულად განაცხადა: „თქვენ ჯვარს აცვით იესო ქრისტე, მესია, და არ არსებობს გადარჩენა, თუ არა მისით“ (იხ.საქმ.4:8-12;).

პეტრეს და იოანეს გაბედულებამ გააკვირვა სინედრიონი და მათ ვერ შეძლეს რაიმე ეთქვათ იმის წინააღმდეგ, რასაც ღმერთი აკეთებდა. ეს ადამიანები კონტროლის პროფესორები იყვნენ. ამიტომ მათ დაშინებას მიმართეს.

ისინი ერთმანეთში ამბობდნენ: „რომ ეს ყოველივე მეტად აღარ გავრცელდეს ხალხში, დავემუქროთ და ავუკრძალოთ, რომ აღარ ელაპარაკონ ადამიანებს ამ სახელით“ (საქმ.4:17;).

გაიხსენეთ, რომ ამ ლიდერებმა ეს-ესაა ჯვარს აცვეს იესო. იესომ კი პეტრეს უთხრა, რომ მოკვდება, როგორც იესო მოკვდა. და ეს იყო არა მხოლოდ საშიშროება. მაგრამ პეტრე და იოანე, შესაძლო სიკვდილის წინაშეც კი, გაბედულად ამოწმებდნენ: „განსაჯეთ, მართებულია განა ღვთის წინაშე, თქვენ უფრო გისმინოთ, ვიდრე ღმერთს? ჩვენ არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ ის, რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ“ (საქმ.4:19-20;).

თუ არ ჩავთვლით იოანეს, პეტრე პირისპირ იდგა სინედრიონის წინაშე. ახლა საჭირო არ იყო ვინმეზე შთაბეჭდილების მოხდენა ან გაღიზიანება. მაგრამ ახლა, პეტრეს ჰქონდა სულ სხვაგვარი

გაბედულება. მისი გაბედულება იესოსადმი სიყვარულიდან გამომდინარეობდა. პეტრე და იოანე გაათავისუფლეს. ისინი მივიდნენ მოწაფეებთან და უამბეს ყოველივე, რაც გადახდათ. და ნახეთ, რას ითხოვენ ღმერთისაგან ეს ადამიანები:

„ახლა კი დაინახე უფალო, მათი მუქარა და მიეცი შენს მონებს ძალა, მთელი გაბედულებით ილაპარაკონ შენი სიტყვა. როცა გაიწვდი შენს ხელს განსაკურნებლად, ნიშნებისა და სასწაულების მოსახდენად შენი წმინდა მსახურის იესოს სახელით“ (საქმ.4:29-30;)

ეს ადამიანები ითხოვდნენ უფრო მეტ რამეს, ვიდრე იყო ის, რამაც ისინი პრობლემებში ჩააგდო. მათ იცოდნენ, რომ სახარების ქადაგება მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, მაგრამ ისინი აგრძელებდნენ ქადაგებას და ღმერთიც ეწეოდა მათ დიდებული სასწაულებით. მათ არ დაუშვეს, რომ შიშისა და გაუბედაობის გამო, ღმერთის ნიჭი უმოქმედოდ დარჩენილიყო. ღმერთის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ გამოჰყავდათ ქუჩებში ავადმყოფები და პეტრეს ჩრდილი კურნავდა მათ“ (საქმ.5:15;).

მღვდელმთავრებმა და სინედრიონმა შეასრულა მუქარა. მოწაფეები დაიჭირეს და ციხეში მოათავსეს. მღვდელმთავარმა თქვა: „სასტიკად აგიკრძალეთ, რომ არ გესწავლებინათ ამ სახელით. აჰა, თქვენი მოძღვრებით აავსეთ იერუსალიმი“ (საქმ.5:28;).

და პეტრემ კვლავ გაბედულად მიუგო:

„ღმერთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს. ჩვენი მამების ღმერთმა აღადგინა იესო, რომელიც თქვენ მოჰკალით ძელზე დაკიდებით. იგი ღმერთმა წინამძღვრად და მაცხოვრად აღამაღლა თავისი მარჯვენით, რომ მიეცეს ისრაელს მონანიება და ცოდვების მიტევება. და მოწმენი ვართ ამ სიტყვებისა ჩვენ და სულიწმიდა, რომელიც ღმერთმა მისცა თავის მორჩილთ“ (საქმ.5:29-30;)

როგორი გაბედულებაა! მოწაფეები არ შედრკნენ. პეტრე უკვე აღარ ეძებდა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას. იგი თავისუფალი იყო ეგოიზმისაგან და ავსილი იყო სულიწმიდით. მისი გული ღმერთის სიყვარულით იყო სავსე. როგორც რომ. 5:5-ში წერია: „ღვთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ“.

აშკარაა, რომ სულიწმიდას მოაქვს ღმერთისადმი სიყვარული ჩვენს გულში. და ასევე, პეტრეს მაგალითიდანაც ჩანს, რომ სულიწმიდა ეძლევა მორჩილთ. ბევრ ქრისტიანს კი სურს სიყვარული მორჩილების გარეშე.

ენებით ლაპარაკი არ არის იმის გარანტია, რომ ღვთიური სიყვარული არის ჩვენს გულში. სულიწმიდით ავსება – ეს ერთჯერადი მოვლენა არ არის. და ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს რამდენად კარგად ვიცით წმიდა წერილი და რამდენად კარგად ვლაპარაკობთ ენებით. თუ მორჩილებაში არ ცხოვრობთ ღმერთის წინაშე, თქვენი სიყვარული გაცივდება. ყოველი დაუმორჩილებლობის შედეგად იგი უფრო და უფრო შემცირდება!

იესომ თქვა, რომ ბოლო დროის ნიშანი იქნება ღვთისადმი სიყვარულის განელება, დაუმორჩილებლობა და სხვა ურჯულოებანი (მათ.24:12;). სიყვარული, რომელიც მხედველობაში ჰქონდა იესოს – არის „აგაპე“. ეს სიყვარული გააჩნიათ მხოლოდ მათ, ვინც იესო მიიღო. შესაძლოა, იყო ავსებული სულით, და სულის ჭეშმარიტი სიყვარულის ნაკლებობას განიცდიდე.

მორჩილებამ, პეტრე და იოანე დიდი გაბედულებით შემოსა და სიყვარულით აავსო.

> „დაუჯერეს ეს და დაუძახეს მოციქულებს, სცემეს და უბრძანეს, რომ აღარ ელაპარაკათ იესოს სახელით და გაუშვეს. ხოლო ისინი წავიდნენ სინედრიონიდან და უხაროდათ, რომ მისი სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ“ (საქმ.5:40-41;)

პეტრე და იოანე არ შედრკნენ. პირიქით, ისინი სიხარულით იყვნენ აღვსილნი. ისინი უკვე, სულ სხვაგვარი მოწაფეები გახლდნენ, არა ისეთები, როგორიც გეთსემანიის ბაღში. ისინი ხარობდნენ, რომ მიეცათ საშუალება ღვთისადმი სიყვარული და ერთგულება გამოევლინათ. პეტრეს სიყვარული ახლა უკვე აღარ იყო უბრალოდ ემოციური.

„Foxe`s Christian Martyrs of the World“ (გამომცემლობა, რომელიც მოწამეთა შესახებ ინფორმაციებს ფლობს). არსებული ფაქტებით, პეტრე იყო წამებული, როგორც ეს იესომ იწინასწარმეტყველა. ამბობენ, რომ როცა პეტრე ჯვარზე უნდა გაეკრათ, მან თქვა: „ღირსი არ ვარ მოვკვდე ისე, როგორც ჩემი უფალი მოკვდა!“. ამიტომ მათ იგი თავდაყირა გააკრეს ჯვარზე! პეტრემ ეს ქვეყანა გამარჯვებულმა დატოვა. ალილუია!

*თქვენ მოემსახურებით იმას, ვისიც გეშინიათ*

## ღვთიური შიში ადამიანური შიშის წინააღმდეგ

ამ ყოველივემ, რაც აქამდე წავიკითხეთ და ვისწავლეთ, გაუბედაობასთან ბრძოლის გადამწყვეტ მომენტთან მიგვიყვანა. ეს მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ მაშინ, როცა დაშინებას ვაწყდებით, არამედ მნიშვნელოვანია ცხოვრების ნებისმიერი სფეროსთვის! მე ახლა ღვთიურ შიშზე ვსაუბრობ.

ეკლესიას არ ესმის უფლის მოშიშება (ღვთიური შიში) და ეს ძალზე სამწუხაროა, რადგან ეს გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ესაია წინასწარმეტყველებდა იესოს შესახებ: „უფლის მოშიშებაშია მისი განცხრომა“ (ესაია 11:3;). მისი განცხრომა ჩვენიც უნდა იყოს! ღვთის მოშიშ ადამიანს უფლისგან წარემართება გზები (ფსალ.24:12;). ასეთი ადამიანის „სული კეთილად განისვენებს და მისი მოდგმა დაიმკვიდრებს ქვეყანას“ (ფსალ.24:13;).

ნათქვამია, რომ უფლის მოშიშება – სიბრძნისა და უფლის შეცნობის დასაწყისია (იგავ.9:10; 1:7; 2:5;). ის ამრავლებს ჩვენი სიცოცხლის დღეებს (იგავ.10:27;). ჩვენ გვაფრთხილებენ, რომ ვერავინ იხილავს უფალს სიწმინდის გარეშე, რომელიც სრულყოფილი ხდება უფლის მოშიშებით. (ებრ.12:14; 2კორ.7:1). ეს მხოლოდ მაგალითია იმისა, რასაც ბიბლია ამბობს ღვთის მოშიშების შესახებ.

ერთადერთი საშუალება, თუ როგორ ვიაროთ გაუბედაობისაგან თავისუფლებმა, იმაში მდგომარეობს, რომ ვიაროთ უფლის მოშიშებაში. ბიბლიაში ნათქვამია: „უფლის შიშში ძლიერია რწმენა და მის შვილებს ექნებათ თავშესაფარი“ (იგავ.14:26;).

დარწმუნებულობა წარმოშობს გაბედულებას, რომელიც აუცილებელია ჩვენთვის, რათა მივყვეთ ღვთიურ გზებს და არა ადამიანურს. მოდით, გავერკვეთ ღვთიურ შიშსა და ადამიანურ შიშს შორის არსებულ განსხვავებაში.

## ღვთიური შიშისა და ადამიანური შიშის გარჩევა

პირველ რიგში, რა არის ღვთიური შიში? ეს უფრო მეტია, ვიდრე მისი პატივისცემა. მოშიშება უფლისა ნიშნავს მივუძღვნათ დიდება, პატივი, მადლიერება და ქება რასაც ის იმსახურებს (შენიშნეთ, რომ ის იმსახურებს არა იმას, რასაც ჩვენ ვფიქრობთ). ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში იკავებს ისეთ პოზიციას, როცა ჩვენ პატივს მივაგებთ მას და მისი სურვილები ჩვენს სურვილებზე მაღლა დგას. ჩვენ უნდა გვეზიზღებოდეს ის, რაც მას ეზიზღება, გვიყვარდეს ის, რაც მას უყვარს, ვთრთოდეთ მისი თანდასწრების და მისი სიტყვის წინაშე.

ახლა კი განვიხილოთ რა არის ადამიანური შიში. გეშინოდეს ადამიანების – ნიშნავს, იცხოვრო განგაშში, მოუსვენრობაში, შიშში, ეჭვში, კრთომაში მოკვდავი ადამიანის წინაშე. ამგვარი შიშით მოცულნი, ვიცხოვრებთ უიმედობაში, ტკივილისა და საყვედურის შიშში და გამუდმებით გავექცევით უარყოფას და დაპირისპირებას. ვიქნებით ისეთი დაკავებულები და მოუცლელები, რომ ღმერთს არაეფექტურად მოვემსახურებით. იმის შიშით, რომ შეიძლება ადამიანებმა რაღაც გვავნონ, ვერ შევძლებთ მივაგოთ ღმერთს ის, რასაც იმსახურებს.

ბიბლიაში ნათქვამია: „ადამიანთა მოშიშარს მახე დაეგება“ (იგავ.29:25).

მახე დაეგება. ადამიანების შიში გპარავთ ღმერთისაგან მოცემულ ძალაუფლებას. მისი ნიჭი უმოქმედოდ რჩება. ძალა აღარ გაქვთ, რომ რაიმე სწორი მოიმოქმედოთ, რადგან ღმერთის ძალმოსილება არ მოქმედებს. ესაიას 51:7-13-ში გვაფრთხილებს: „მისმინეთ მე სიმართლის მცოდნენო, ხალხო, რომელთაც ჩემი რჯული გულში გაქვთ, ნუ გეშინიათ კაცისგან შეგინებისა და მათი ლანძღვა ნუ დაგაფრთხობთ... ვინ ხარ შენ, რომ გეშინია კაცისა, რომელიც კვდება? და ადამის ძისა, რომელიც ბალახად არის შერაცხილი? და დაივიწყე უფალი, შენი შემქმნელი“.

როცა ადამიანებს ვაამებთ, რათა შერცხვენა ავიცილოთ, ღმერთს ვივიწყებთ. ვტოვებთ მის მსახურებას – „ადამიანებს რომ ვაამებდე, ქრისტეს მონა აღარ ვიქნებოდი“ (გალ.1:10;).

თქვენ დაემორჩილებით და მოემსახურებით მას, ვისიც გეშინიათ! თუ ადამიანის გეშინიათ, მას მოემსახურებით. თუ ღმერთის – ღმერთს. არ შეგიძლიათ გეშინოდეთ ღვთის, თუ ადამიანის გეშინიათ, რადგან ორი ბატონის მსახურება შეუძლებელია! (მათ.6:24;).

მეორე მხრივ, არ შეგეშინდებათ ადამიანის, თუ ღმერთის გეშინიათ!

**უნდა ეშინოდეთ ღვთისა ახალი აღთქმის მორწმუნეებს?**

უფლის შიში – ეს ძველაღთქმისეული მკვდარი დოქტრინა არ არის. ეს სიცოცხლის გზაა. თუ გიყვართ ღმერთი, მხოლოდ მისი შიში გექნებათ. ღვთის შიში შთანთქავს ყველა სხვა პატარა შიშს.

მე მწყინს, როცა მესმის, რომ ადამიანები ისე ლაპარაკობენ ღმერთზე, თითქოს მათი მოსამსახურე ბიჭი იყოს. ღმერთზე ამგვარად მოლაპარაკე ადამიანი სათანადოდ არ იცნობს ღმერთს. თვით მისი უახლოესი მოწაფეებიც კი მას ბატონს და მოძღვარს უწოდებდნენ (იოან.20:28). როცა უფალს მოურიდებლად მივმართავთ, არ მოვიაზრებთ მას მისთვის შესაფერის ადგილზე.

ასეთ მიდგომას იქამდე მივყავართ, რომ ჩვენ აღარ გვცემენ პატივს. ასეთი გამოვლინებები არის ეკლესიებშიც და „მორწმუნეთა“ პირად ცხოვრებაშიც. ისინი საკუთარ თავს მორწმუნეებს უწოდებენ, მაგრამ რის შესახებ მოწმობს მათი ცხოვრების სტილი? ძალზე განვიცდი, როცა ვხედავ, თუ როგორ იქცევიან ადამიანები ეკლესიაში. მსახურების წინ ისინი სირბილით მიიწევენ წინა რიგებში ადგილების დასაკავებლად და ბრაზდებიან თუ ვინმე დაასწრებთ. ისინი ხმაურობენ და საუბრობენ მსახურების დროს. თუ ჩათვლიან, რომ მსახურება ძალიან გაგრძელდა ანდა არ მოეწონათ, რაც მსახურმა იქადაგა, დგებიან და მიდიან.

საგანგაშოა როცა ხედავ, რომ არ არის პატივისცემა მწყემსის მიმართ. ღვთის მსახურებზე ისეთივე სტილით ლაპარაკობენ, როგორც გაზეთებში პოლიტიკოსებზე. შესაძლოა, მრავალი მსახურის ქადაგება პოლიტიკოსების საქცილს ჰგავს, მაგრამ მაინც ისინი ღმერთის მსახურნი არიან და ღმერთი თავად განსჯის მათ. როცა ღვთის შიში გვექნება, პატივისცემით განვეწყობით მისი სისხლისა და მის მიერ დანიშნულ მსახურთა მიმართ. დავითმა ხელი არ ასწია ღვთის მიერ ცხებულ მეფე საულზე, მას შემდეგაც კი რაც მან ოთხმოცდახუთი ღმერთის მსახური მოკლა (1მეფ.22:11-23;).

დავითს ღვთის შიში ჰქონდა! ძალიან მწყინს, როცა ვხედავ, თუ რას უყურებს, რას უსმენს და რას კითხულობს მრავალი მორწმუნე. ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ქრისტიანული ოჯახი არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ქვეყნიური ოჯახისაგან. ისინი მიისწრაფვიან იყვნენ დაბალანსირებულნი, ნორმალურნი და სასიამოვნონი, მაგრამ დაავიწყდათ, რომ ღმერთი „ნორმალურს“ არ უწოდებს იმას, რასაც ქვეყნიერება „ნორმალურად“ მიიჩნევს. თუ ჭეშმარიტად გიყვართ ღმერთი და

მხოლოდ მისი მოშიშება გაგაჩნიათ, იცხოვრებთ არა ქვეყნიური, არამედ მიძღვნილი ცხოვრებით. პეტრე გვაფრთხილებს:

> „არამედ თვითონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან სწერია: „იყავით წმიდები რადგან წმიდა ვარ მე“. თუ მამას უწოდებთ იმას, ვინც მიუკერძოებლად განიკითხავს თითოეულს საქმეთა მიხედვით, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის ხანი“ (1პეტრ.1:15-17;)

ღვთის შიში – უპატიოსნობისაგან დამცავი უდიდესი მოტივაციაა.

## ეშინია კი ეკლესიას?

საქმეების მე-2 თავში ვკითხულობთ, რომ მოწაფეები აივსნენ სულიწმიდით, დაიწყეს ენებზე ლაპარაკი და წინასწარმეტყველება. ისინი იმდენად აღვსილნი იყვნენ სულიწმიდით, რომ მთვრალებივით იქცეოდნენ. სიხარულით იყვნენ სავსენი ეს ახალი მორწმუნეები. ღმერთი ამტკიცებდა და აახლებდა მათ. უფალს მოსწონს ამის გაკეთება. ღმერთი არ არის სამაგიეროს მიმგები და სიბნელე და წყვდიადი სიამოვნებას არ ჰგვრის მას. იგი ტკბება სიყვარულით, წყალობით, სამართლიანობით, მშვიდობითა და სიხარულით.

მოწაფეებმა იესოსთან მოსული მრავალი ადამიანი იხილეს. მაგრამ, ზოგიერთი მათგანი იესოსთან მოვიდა კურთხევების გამო და არა იმის გამო, თუ ვინ არის იგი. თანდათან ისინი გახდნენ ძალზე მოურიდებელნი უფალთან მიმართებაში. და ამ მოურიდებლობამ (უპატივცემულობამ) ისინი იქამდე მიიყვანა, რომ ყოველგვარ ღვთიურ მოვლენას ღებულობდნენ, როგორც რაღაც ჩვეულებრივს. ისინი არ თრთოდნენ მისი თანდასწრებისა და მისი სიტყვის წინაშე. ამის გამოვლინებას საქმეების მე-5 თავში ვხედავთ.

ცოლ-ქმარმა გაყიდული მიწის საფასური მოიტანა. ეს არ იყო მთელი თანხა, რაც მათ მიიღეს მიწის გაყიდვით. მაგრამ მათ სურდათ, რომ კარგად გამოჩენილიყვნენ სხვა მორწმუნეთა თვალში. ისინი ხილულს უფრო აფასებდნენ, ვიდრე უხილავს და ადამიანების უფრო ეშინოდათ, ვიდრე ღმერთის. მათ მოიტანეს შესაწირი, იცრუეს (ბევრმა შეიძლება მათი სიტყვა შეაფასოს, როგორც „თეთრი ტყუილი“) და დაიხოცნენ.

ისინი მოკვდნენ, რადგან იცრუეს ღმერთის დიდების თანდასწრებაში. მე ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც იცით, რომ არიან ადამიანები, რომლებიც იგივეს აკეთებენ მქადაგებელთა წინაშე, მაგრამ ისინი არ კვდებიან. რატომ?

ვფიქრობ, რომ იმ დროს ღვთის თანდასწრება ბევრად ძლიერი იყო ვიდრე ახლაა. მაგალითად, საქმეებში წერია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ პეტრე დადიოდა იერუსალიმის ქუჩებში და მისი ჩრდილის შეხებისას ავადმყოფები ინკურნებოდნენ (საქმ.5:15).

ასეთ სასწაულებს ჩვენს დროში ვერ ვხედავთ.

მე მჯერა, რომ მისი თანდასწრება და დიდება გაძლიერდება, მოხდება იმგვარი მოვლენები, რომლებიც საქმეების მე-5 თავშია აღწერილი. ნახეთ, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ანანია და საფირა დაიხოცნენ.

„დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვინც ეს მოისმინა“(საქმ5:11;)

აღდგა ღვთისადმი შიში და პატივისცემა. ადამიანები მიხვდნენ, რომ საჭიროა გადახედონ თავიანთ მიდგომას ღმერთის თანდასწრებისა და ცხებულების მიმართ. გახსოვდეთ, ღმერთმა თქვა:

„ჩემს ახლობლებში განვიწმიდები და მთელი ხალხის წინაშე განვდიდდები“ (ლევ.10:3;)

**როცა ღმერთი დუმს, ჩვენი გულები შიშვლდება**

ღმერთი აკავებს თავის დიდებას, რათა გამოგვცადოს და მოგვამზადოს. მოვიქცევით კი ღირსეულად, მაშინაც კი, როცა მისი თანდასწრება არ ვლინდება. ძალზე ხშირად, თანამედროვე ეკლესია ისრაელის ძეთა მსგავსად იქცევა. და მართლაც სწორად თქვა პავლემ, რომ მათი გამოცდილება ჩვენს სამაგალითოდ დაიწერა (1კორ.10:6;).

ისრაელიანები აღფრთოვანებულნი იყვნენ, როცა ღმერთი მათ კურთხევას და სასწაულებს უგზავნიდა. როცა ღმერთმა გააპო წითელი ზღვა და ისრაელი მშრალად გაატარა მასში, შემდეგ კი დაფლა მათი მტრები, ისრაელიანები მღეროდნენ, ცეკვავდნენ და გამარჯვების ყიჟინას სცემდნენ (გამოს.15:1-21;).

მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ღმერთის ძლიერი ძალა იმდენად აღარ გამოვლენილა და საჭმელი და სასმელი

წყალი ილეოდა, ისრაელიანებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ღმერთის მიმართ (გამოს.15:22;).

მოგვიანებით მოსემ ისრაელი მიიყვანა სინაის მთასთან, რათა უფლისათვის მიეძღვნა იგი. ღმერთი ჩამოვიდა მთაზე მთელი ხალხის წინ. ეს რაღაც განსაკუთრებული იყო: ელვა, ქუხილი და სქელი ღრუბელი მთაზე. მაშინ მოსემ ხალხი კარვებიდან გამოიყვანა ღმერთთან შესახვედრად, მაგრამ „შეძრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი“ (გამოს.19:16;).

შეშინებულებმა უკან დაიხიეს – შეშინებულებმა არა ღვთის შიშით, არამედ საკუთარი ცხოვრებით. როცა ღმერთი ჩამოვიდა აღმოჩნდა, რომ მათ საკუთარი სიცოცხლე უფრო მეტად უყვარდათ, ვიდრე ღმერთი.

მათ უთხრეს მოსეს: „გველაპარაკე შენ და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ გველაპარაკება, თორემ დავიხოცებით. და უთხრა მოსემ ხალხს: „ნუ გეშინიათ, რადგან ღმერთი მოვიდა, რომ გამოგცადოთ თქვენ, რომ მისი შიში იყოს თქვენს წინაშე, რათა არ შესცოდოთ“ (გამოს.20:19-20;).

შენიშნეთ, რომ ღვთის შიში გაძლევთ ცოდვაზე გამარჯვების ძალას. იგავ.16:6-ში ნათქვამია: „უფლის შიშით განუდგები ბოროტს“.

გამოსვ. 20:21-ში მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება: „და იდგა ხალხი მოშორებით და მოსე მივიდა ნისლთან, სადაც ღმერთი იყო“. მოსემ უამბო ღმერთს, თუ რას ამბობს ხალხი და როგორ შეშინდნენ ისინი. ღმერთმა უპასუხა: „ვისმინე ამ ხალხის ლაპარაკის ხმა, შენ რომ გელაპარაკებოდა. ყველაფერი კარგია რაც ილაპარაკეს. ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შეშინებოდათ ჩემი და დაეცვათ ყველა ჩემი მცნება ყოველდღე, რათა კარგად ყოფილიყვნენ ისინი და მათი ძენი უკუნისამდე!“ (მეორე რჯ.5:28-29;).

ნახეთ, ხალხმა უკან დაიხია იმ დროს, როცა მოსე ღმერთს მიუახლოვდა. აქ ჩანს განსხვავება მოსესა და ისრაელს შორის. მოსეს ეშინოდა ღმერთისა, ამიტომ იყო უშიშრად. ხალხს კი არ ეშინოდა ღვთისა და ამიტომ შიშით იყვნენ ავსილნი. ღვთის შიში გიზიდავთ ღვთიურ თანდასწრებაში და არ გაშორებთ მას. მაგრამ ადამიანური შიში აღგძრავთ, რომ დაშორდეთ ღმერთს და მის დიდებას. როცა ადამიანური შიშით ვართ შებორკილნი, თავს კომფორტულად ვგრძნობთ ადამიანთა თანდასწრებაში და ღმერთის თანდასწრებაში. ეკლესიაშიც კი! მიზეზი ამისა იმაშია, რომ ღვთიური თანდასწრება ხსნის ჩვენს გულებს და მოაქვს მხილება.

**არა სინაი, არამედ სიონი**

იმის დასამოწმებლად, რომ ღვთის შიში ახალი აღთქმის რეალობას წარმოადგენს, განვიხილოთ ადგილი ებრაელთა მიმართ წერილიდან:

„თქვენ არ მიახლოებულხართ მთას, ხელშესახებსა და ცეცხლით აღგზნებულს, არც ბნელსა და წყვდიადს, ან ქარიშხალს. არც საყვირის ხმას და არც სიტყვათა ხმას, რომლის გამგონენიც ითხოვდნენ, რომ მათთვის აღარ გაგრძელებულიყო სიტყვა. ვინაიდან აღარ შეეძლოთ იმ ნაბრძანების ატანა... მაგრამ თქვენ მიეახლეთ სიონის მთას“ (ებრ.12:18-22;)

ჯერ ერთი, ჩვენ გვახსენებენ, თუ რა მოხდა სიონის მთაზე. შემდეგ კი გვიამბობენ მთაზე, რომელსაც მივუახლოვდით და რომელსაც ჰქვია სიონი. ადრე ღმერთი ლაპარაკობდა დედამიწაზე სინაის მთაზე. ახლა კი იგივე ღმერთი ლაპარაკობს ზეციდან, ამ ახალ, სიონის მთაზე.

„ფრთხილად, ნუ უარყოფ მოლაპარაკეს, რადგან, თუკი ისინი ვერ გადარჩნენ, რომელთაც უარყვეს ქვეყნად მაუწყებელი, მით უფრო ჩვენ, თუ ზურგს ვაქცევთ ზეციდან მაუწყებელს“ (ებრ.12:25;)

მიაქციეთ ყურადღება სიტყვას „მით უფრო“! ჩვენს მიმართ სამსჯავრო უფრო მკაცრია, როცა არ ვისმენთ და არ ვემორჩილებით ღმერთის ხმას. ახალ აღთქმაში, ჩვენთვის მოცემული მადლი – არის არა იმისთვის, რომ ვიცხოვროთ, როგორც მოგვესურვება. რატომ არ მიყვნენ ისრაელიანები მის ხმას? მათ ღმერთის არ ეშინოდათ. გახსოვდეთ ეს, ვიდრე კითხულობთ, და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ახალ აღთქმაში ადამიანები იგივე მიზეზის გამო არ ისმენენ ღმერთის ხმას:

„ამიტომ ჩვენ შეუძრავ სასუფეველს რომ ვღებულობთ, ვიქონიოთ მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს, მოწიწებითა და მოშიშებით, რადგან ჩვენი ღმერთი მჭამელი ცეცხლია“ (ებრ.12:28-29;)

ნახეთ, აქ ნათქვამია „მოწიწებითა და მოშიშებით“. თუ ღვთის შიში მხოლოდ მის წინაშე თრთოლვით შემოიფარგლებოდა, მაშინ

წერილის ავტორი მეტს აღარაფერს დაწერდა ამის შესახებ. ასევე, ავტორმა არ დაამთავრა სიტყვებით „იმიტომ, რომ ჩვენი ღმერთი სიყვარულის ღმერთია“, არამედ ამბობს „ჩვენი ღმერთი მჭამელი ცეცხლია“. ეს დამოწმება ღმერთის შესახებ განმარტავს, თუ რატომ გაექცნენ ღმერთის თანდასწრებას ისრაელიანები. „ხომ გვშთანთქავს ეს დიდი ცეცხლი, თუ ჩვენ კვლავ მოვისმენთ უფლის, ჩვენი ღმერთის ხმას, მაშინვე დავიხოცებით“ (მეორე რჯ.5:25;). ღმერთი არ შეცვლილა! ის ისევ წმიდაა. ის მჭამელი ცეცხლია!

დიახ, რა თქმა უნდა, ღმერთი სიყვარულია, მაგრამ ამასთან ერთად მჭამელი ცეცხლიც არის. ჩვენს ეკლესიებში მეტი აქცენტი გადაგვაქვს იმაზე, რომ ღმერთი სიყვარულია და ძალზე ცოტას ვისმენთ ღვთის შიშზე. და რამდენადაც არ ვქადაგებთ ღმერთის სრულ რჩევას და მის სრულ ბუნებას, ჩვენი წარმოდგენა სიყვარულზე – დამახინჯებულია.

სიყვარული, რომელსაც ვქადაგებთ – სუსტი სიყვარულია. მას ძალა არ გააჩნია იმისათვის, რომ მიძღვნილ ცხოვრებაში შეგვიყვანოს. იგი იძლევა ცეცხლს, რომელიც გვათბობს. ვემსგავსებით განებივრებულ ბავშვებს, რომლებიც მამას პატივს არ სცემენ! თუ ღვთის შიშში არ გავიზრდებით, ვდგებით რისკის წინაშე, რომ გავხდეთ მოურიდებელნი უფლისადმი და უგუნურად მივუდგეთ ყოველივეს, რასაც ის წმიდად მიიჩნევს.

ვნახოთ, კიდევ ერთხელ, ეს მუხლი: „ვიქონიოთ მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს მოწიწებითა და მოშიშებით“ (ებრ.12:28;).

მადლი მხოლოდ იმისთვის არ გვეძლევა, რომ ჩვენი უპატივცემულობა და ცოდვები დავფაროთ; იგი გვეძლევა იმისათვის, რომ გავხდეთ უნარიანნი, რომ სათანადოდ ვემსახუროთ ღმერთს. სათანადოდ, ესე იგი სიყვარულით, თრთოლვით და შიშით.

პავლე წერდა ამის შესახებ: „შიშით და ძრწოლვით იღვაწეთ თქვენს სახსნელად“ (ფილ.2:12;).

სად არის ჩვენი ძრწოლა და შიში? განა დაგვავიწყდა, რომ ღმერთი მსაჯულია? განა დაგვავიწყდა მისი სამსჯავროს შესახებ? ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი დარიგება.

> „ნუ გაამაყდები, არამედ გეშინოდეს. ვინაიდან, თუ ღმერთმა არ დაინდო ბუნებრივი რტოები (ისრაელი), შენც არ დაგინდობს. ამრიგად, ხედავ ღვთის სახიერებას და სიმკაცრეს: სიმკაცრეს დაცემულებზე და სახიერებას შენზე, თუ იდგები მის სახიერებაში, თუ არა და, შენც მოიკვეთები“ (რომ.11:20-22;)

ჩვენ ექსპერტები გავხდით მისი მადლის. მაგრამ, ჩვენ მის მადლზე არ უნდა ვზრუნავდეთ. ჩვენ ასევე, უნდა გავიგოთ ღმერთის სიმკაცრეც. მისი სიკეთე გვიზიდავს ღმერთის გულთან, მისმა სიმკაცრემ კი უნდა დაგვიცვას სიამაყისა და ყოველგვარი სახის ცოდვისაგან. ადამიანი, რომელიც მხოლოდ ღმერთის მადლს ღებულობს, ივიწყებს შიშის შესახებ, რომელმაც იგი სიამაყისა და ქვეყნიური მიდგომისაგან უნდა დაიცვას. და პირიქით, ადამიანი, რომელიც მხოლოდ ღმერთის სიმკაცრეს ღებულობს, ადვილად შეიძლება მოხვდეს რჯულის ხაფანგში. როგორც ღვთიურმა სიყვარულმა, ასევე ღვთიურმა შიშმა ამ ცხოვრების ვიწრო გზაზე უნდა დაგვაკავოს.

ვიმედოვნებ, გესმით, რომ მე მიზანმიმართულად ვაკეთებ აქცენტს ღვთის შიშზე, რადგან თანამედროვე ეკლესიაში ეს თემა იგნორირებულია. მე მთელი გულით მიყვარს ღმერთი, უსაზღვროდ მოხარული ვარ ვიყო მისი შვილი და მქონდეს პრივილეგია ვემსახურო მას. მე ვიცი, რომ სწორედ ღვთიურ მადლს მივყავართ მონანიებამდე (რომ.2:4;).

მაგრამ, ასევე ვიცი, რომ ღვთის შიში და ღმერთის სამსჯავრო გვიცავს შეგნებული ცოდვისგან.

> „ვინაიდან, თუ ჩვენ მას აქეთ, მივიღეთ ჭეშმარიტების შეცნობა, კვლავ ნებსით ვცოდავთ, აღარ რჩება მსხვერპლი ცოდვებისათვის. არამედ სამსჯავროს რაღაც საშინელი მოლოდინი და მოწინააღმდეგეთა შთანთქმისათვის გამზადებული შურის ცეცხლი. თუკი ვინმე, მოსეს რჯულის უარმყოფელი ორი ან სამი კაცის მოწმობით, შეუწყალებლად ისჯება სიკვდილით, როგორ ფიქრობთ, რაოდენ უფრო მძიმე სასჯელს დაიმსახურებს ის, ვინც გათელა ძე ღვთისა და წმიდად არ მიიჩნია აღთქმის სისხლი, რომლითაც განიწმიდა და შეურაცხყო მადლის სისხლი? რადგან ჩვენ ვიცნობთ იმას, ვინც თქვა: „ჩემია შურისგება და მე მივუზღავ“. და კიდევ: „უფალი განიკითხავს თავის ერს“. საშიშია ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა!“ (ებრ.10:26-31;)

ადამიანი ცდუნდება ცოდვით, როცა უგუნურად და არასერიოზულად უდგება იმას, რასაც ღმერთი წმიდად თვლის. ძალზე ხშირად, ჩვენ მეტად არასერიოზულად და იოლად ვუყურებთ იმ საგნებს (მოვლენებს), რომლებსაც ღმერთი სერიოზულად ეკიდება და სერიოზულად აღვიქვავთ იმას, რაც ღმერთისთვის მნიშვნელოვანი არ არის. ჩვენ ძალზე სერიოზულნი

ვართ იმაში, რომ რესპექტაბელურად გამოვიყურებოდეთ ადამიანთა წინაშე, მაგრამ ეს, როგორც ჩვენი გულის მოტივი, სრულიად არ არის მნიშვნელოვანი ღმერთისთვის.

მე ვიცნობდი ცოდვაში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც გამუდმებით გაიძახოდნენ: „მე მიყვარს იესო“. თავიანთ სულიერ მდგომარეობას იესოსადმი გრძნობებით ზომავდნენ. მაგრამ, უყვარდათ კი ის იმდენად, რომ თავიანთი შემაბრკოლებელი ცოდვისათვის მომკვდარიყვნენ? არა, მათ არ ჰქონდათ ღვთის შიში!

ერთხელ მოვინახულე ციხეში მყოფი მსახური, რომელიც სექსუალური გარყვნილობისა და ფინანსების ბოროტად გამოყენების ცოდვაში ჩავარდა. მან მითხრა: „ჯონ, მე ყოველთვის მიყვარდა იესო, მაშინაც კი, როცა ცოდვაში ჩავვარდი. ის იყო ჩემი მხსნელი, მაგრამ არა ბატონი“. ის ადამიანი ღებულობდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადამიანურ შიშზე იყო დაფუძნებული. მას სურდა ესიამოვნებინა ადამიანებისათვის. მას მოსწონდა და სურდა მის საპატივცემულოდ გამართულიყო ცერემონიები. ამან ის ბოროტად გამოყენებამდე მიიყვანა. ციხეში, ღმერთმა მას დაანახა თავისი სიყვარული და ღვთის შიში ასწავლა. ახლა მას ეშინია ღმერთის, იგი სრულებით აღდგენილია.

## უარის თქმა ღვთიურ მიპატიჟებაზე

მოდით, სინაის მთის ილუსტრაციას მივუბრუნდეთ. მინდა გამოვყო ერთი რამ, რასაც ადამიანთა დიდი ნაწილი ჩვეულებრივ მხედველობაში არ იღებს. ღმერთმა უთხრა მოსეს და აარონს, რომ ერთად ასულიყვნენ მთაზე (გამოს.19:24). მოსე წავიდა, მაგრამ ვხედავთ, რომ რაღაც მიზეზების გამო, აარონი ბანაკშია!(გამოს.32:1;). ვფიქრობ, აარონი დაბრუნდა ბანაკში, რადგან სხვა „მორწმუნეთა“ თანდასწრებაში უფრო მეტ კომფორტს გრძნობდა, ვიდრე ღმერთის თანდასწრებაში. განა ასეთები არ ვართ დღევანდელ ეკლესიებში? ჩვენთვის უფრო სასურველია ვიაროთ ეკლესიაში, ვიყოთ ურთიერთობაში სხვა ქრისტიანებთან, დაკავებული ვიყოთ მსახურებით, ვიდრე უბრალოდ ვიყოთ ღმერთთან ურთიერთობაში. ჩვენ გავურბივართ მასთან პირისპირ დარჩენას და ამის ნაცვლად ვესწრაფვით ადამიანების გარემოცვაში ყოფნას, რაიმე საქმიანობით დაკავებას, იმ იმედით, რომ ეს დაფარავს ჩვენს შინაგან სიცარიელეს.

იესო ნავეს ძეს კი პირიქით, ღმერთის გული სწყუროდა. მას სურდა ყოფილიყო ღმერთის თანდასწრებაში იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა. იგი ორმოცი დღის მანძილზე მთის ძირში დარჩა, ვიდრე მოსე ზემოთ იყო (გამოს.32:17;). იგი იმდენად მიუახლოვდა ღმერთს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ არ წავიდა იქ, სადაც მხოლოდ მოსე და აარონი იყვნენ მიწვეულნი. იესო ნავეს ძეს საკმარისად ეშინოდა ღმერთის, რომ თვითდაჯერებული და უცერემონიო არ ყოფილიყო.

ვიდრე იესო ნავეს ძე მთის ძირში უცდიდა მოსეს, ბანაკში მყოფი ხალხი მოთმინებას კარგავდა. ისინი უცხო მიწაზე იყვნენ, მათმა ლიდერმა ისინი ერთ თვეზე მეტ ხანს მიატოვა, ღმერთი კი არ ჩანდა. მათ თანდათან ეჭვი შეეპარათ ღმერთშიც და მოსეშიც.

> „და როცა დაინახა ხალხმა, რომ აყოვნებს მოსე მთიდან ჩამოსვლას, შეიკრიბა აარონთან და უთხრა მას: „ადექ, გაგვიკეთე ჩვენ ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ჩვენ ეგვიპტის ქვეყნიდან, არ ვიცით რა შეემთხვა“ (გამოს.32:1;)

გარეგნულად, მათ ეშინოდათ და პატივს სცემდნენ ღმერთს. „ო, მოსე, მოსე, – ევედრებოდნენ ისინი, – ის მეტისმეტად დიდია ჩვენთვის, შენ ელაპარაკე მას და მოგვიყევი, რასაც ის გეტყვის. მოვისმენთ და დავემორჩილებით“. მათ დაინახეს, როგორი საშიში და ძლიერია ღმერთი, მაგრამ სინამდვილეში – რადგანაც კერპი გაიკეთეს – არ ეშინოდათ მისი. ახლა კი ღმერთი დუმდა და გამოვლინდა მათი ჭეშმარიტი ბუნება.

ჩვენთვის ადვილია გვეშინოდეს ღმერთისა მანამ, სანამ ის სასწაულებს ახდენს და ავლენს თავის ძალას. მაგრამ ღმერთი ეძებს მათ, ვინც პატივისცემას და შიშს ავლენს მის მიმართ მაშინაც კი, როცა მამა თვალს არ ადევნებს მათ. ნამდვილი მორჩილებაა, როცა ვემორჩილებით მაშინაც კი, როცა ირგვლივ არავინ არის, რათა თვალი გვადევნოს.

ღმერთმა უთხრა ისრაელს: „რომ ვდუმდი დიდხანს, ამიტომ არ გეშინოდა ჩემი“ (ესაია57:11;). ფაქტობრივად, ღმერთი კითხულობს: „რატომ არ ეშინია ჩემი ჩემს ხალხს? და იქვე პასუხობს თავისსავე კითხვას, აღნიშნავს რა, რომ მის ხალხს არ ეშინია მისი, რადგან გარკვეული ხნის მანძილზე მას თავისი საშიში ძალა არ გამოუვლენია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა

ადამიანები არ ხედავენ მის გამოვლინებებს, ისე მოქმედებენ, თითქოს ღმერთი არც არსებობდეს. ღმერთის დუმილი ფარდას ხდის ადამიანთა გულების ჭეშმარიტ მოტივებს.

ნამდვილად მორწმუნეებად ყალიბდებიან არა დიდ, ცხებულ მსახურებებზე, არამედ უდაბნოში, განსაცდელების დროს. როგორიც არის ადამიანი ზეწოლის დროს ისეთია იგი სინამდვილეში. ნახეთ რა ქნა აარონმა მსგავს სიტუაციაში:

„და უთხრა მათ აარონმა ჩამოიხსენით ოქროს საყურეები, რომელიც თქვენს ცოლთა, ძეთა და ასულთა ყურებზეა და მოიტანეთ ჩემთან“. და ჩამოიხსნა მთელმა ხალხმა ოქროს საყურეები და მიუტანეს აარონს. და აიღო მათი ხელიდან და გააკეთა მისგან ჩამოსხმული ხბო და გამოკვეთა იგი საჭრეთლით და მათ თქვეს: „ესაა ღმერთი შენი ისრაელო, რომელმაც გამოგიყვანა შენ ეგვიპტის ქვეყნიდან“ (გამოს.32:2-4;)

მათ გაიკეთეს კერპი ღმერთისაგან მიღებული კურთხევებიდან, ეგვიპტიდან წამოღებული ნადავლიდან. მაგრამ, მეტად საგანგაშო არის ის, რომ ეს გააკეთა აარონმა, რომელიც მთაზე უნდა ასულიყო. ის მოსეს ხმა იყო. ადრე ის ყოველთვის მის მხარეს იჭერდა და ყველა დიდი სასწაულის თუ უბედურების მოწმე იყო. მაგრამ მას ახლა შეეშინდა ადამიანების და მისცა ის, რასაც ისინი ითხოვდნენ. მას ღმერთზე მეტად ადამიანების ეშინოდა და ამიტომ ადვილად დაემორჩილა ადამიანებს. და რამდენადაც მასში არ იყო გაბედულება, ღვთიური ნიჭი უმოქმედოდ დარჩა. ამან იგი სუსტ ლიდერად აქცია. როცა მოსე წინაღუდგა მას, მან დაადანაშაულა ხალხი, რომელმაც შეაშინა იგი.

„და უთხრა აარონმა: „ნუ აღეგზნება ჩემი ბატონის რისხვა: შენ იცნობ ამ ხალხს, რომ ბოროტია იგი. მითხრეს: გააკეთე ჩვენთვის ღმერთი, რომელიც წაგვიძღვება წინ, რადგან იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან, არ ვიცით რა შეემთხვა. და მე ვუთხარი მათ, ვისაც აქვს ოქრო, ჩამოიხსნას, და მე მომცეს მეთქი და ჩავაგდე იგი ცეცხლში და გამოვიდა ეს ხბო“ (გამოს.32:22-24;)

აარონმა პასუხისმგებლობა არ აიღო იმაზე, რაც გააკეთა. დიახ, მისი შეფასება ხალხთან მიმართებაში, სწორი იყო. ეს მათი იდეა იყო და არა აარონის. მაგრამ, შეშინებული, ის უკვე აღარ

იყო სათანადოდ ძლიერი, რომ ხალხის სურვილს წინაღდგომოდა და სწორი გზით წაეყვანა ისინი. იგი ადამიანთა წინაშე შიშით იყო შებორკილი.

ლიდერები, რომლებსაც ადამიანების ეშინიათ, უკან დაიხევენ და მისცემენ ადამიანებს იმას, რაც მათ სურთ და არა იმას, რაც მათ სჭირდებათ! ასეთი ადამიანები გაუბედაობის იოლი ლუკმა ხდებიან. და მნიშვნელობა არ აქვს რამდენად ხშირად ამბობს ეს ლიდერი, რომ უყვარს ღმერთი და მისი ხალხი. და იმ დრომდე, ვიდრე მასში არის შიში ადამიანთა მიმართ, იგი ვერ დაინახავს ნამდვილ ცვლილებებს ვერც საკუთარ თავში და ვერც ხალხში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს!

ადამიანი კი, რომელსაც ღმერთის ეშინია, მხედველობაში იღებს მხოლოდ იმას, რასაც ღმერთი ამბობს მის შესახებ. ადამიანების მოშიშარი კი უფრო მეტად კონცენტრირებულია იმაზე, თუ რას ფიქრობენ მასზე სხვა ადამიანები და არა ღმერთი. ის გულს სტკენს ღმერთს, რათა არ გაანაწყენოს ადამიანები.

მინახავს, როგორ ღებულობენ გადაწყვეტილებებს ლიდერები, რათა მისცენ ადამიანებს ის, რაც მათ სურთ. მათი მოტივია – მისწრაფება, რომ პოპულარობა შეინარჩუნონ. რა თქმა უნდა, მათ ამაზე არც უფიქრიათ და არც ელოდნენ ასეთს. ისინი ამართლებდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას, ამბობდნენ: „არ გვინდა დავჭრათ ადამიანები“, ანდა „ეს საუკეთესოა, რისი გაკეთებაც შეიძლება ყველასთვის“, ან „ჩვენ შევძლებთ მოვემსახუროთ დიდი რაოდენობით ხალხს თუ ასე და ასე მოვიქცევით“ და ა.შ. ღმერთის სამეფო – დემოკრატია არ არის. ეს სამეფოა. პოპულარობა არ არის მნიშვნელოვანი. ის ადამიანები ვერ აცნობიერებდნენ, რომ შიშითა და გაუბედაობით იყვნენ ამოქმედებულნი. მათი მოქმედების მოტივი არ იყო სიყვარული ადამიანთა მიმართ, არამედ საკუთარი თავის სიყვარული

## რა ხდება, როცა ღმერთის შიში არ გვაქვს?

ღმერთმა უთხრა მოსეს: „ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შეშინებოდათ ჩემი“ (მეორე რჯ.5:29;). მაგრამ ხალხს არ ეშინოდა. და ნახეთ, რა მოხდა. უდაბნოში ერთი წლის ცხოვრების შემდეგ, დადგა დრო, წასულიყვნენ და აეღოთ აღთქმული მიწა. ღმერთმა უთხრა მოსეს: „გაგზავნე კაცები და დაზვერონ ქანაანის ქვეყანა, რომელსაც მე ვაძლევ ისრაელის ძეთ“ (რიცხ.13:3;). შენიშნეთ, რომ მან თქვა: „გაძლევთ...“. ღმერთს არ უთქვამს: „გაგზავნეთ და ნახეთ, შეძლებთ თუ არა მის აღებას“.

ამრიგად მოსემ გაგზავნა ისინი. ისინი ორმოცი დღის განმავლობაში ზვერავდნენ ქვეყანას და გაარკვიეს, რომ იქაური მცხოვრებლები კარგად ცხოვრობდნენ, ქალაქები დიდი და კარგად დაცული იყო.

თორმეტივე მზვერავმა ერთი და იგივე ხალხი, ერთი და იგივე გამაგრებული ქალაქები, ერთი და იგივე არმია და გოლიათები ნახა. იესო ნავეს ძე და ქალები მზად იყვნენ მაშინვე აეღოთ ღმერთის მიერ აღთქმული. მაგრამ დანარჩენი ათი კი შეშინებული იყო იმით, რაც ნახეს. მათ დაინახეს მხოლოდ დიდი არმია და გოლიათები იმ დროს, როცა იესო ნავეს ძემ და ქალებმა ღმერთის წყალობა და ერთგულება დაინახეს!

ათმა მზვერავმა ხალხს უთხრა, რომ ამ მიწის აღება შეუძლებელია. ისინი ოთხას წელზე მეტი ხნის მანძილზე მონობაში ცხოვრობდნენ და მზად არ იყვნენ ომისთვის, როგორც ის არმიები, რომლებიც იქ ნახეს. ხალხი მაშინვე შეშინდა და წუწუნი დაიწყო:

> „რად შეჰყავს ჩვენი თავი უფალს ამ ქვეყანაში, მახვილით რომ დავეცეთ? ჩვენი ცოლები და ჩვენი ბავშვები ნადავლად იქცევიან. განა უკეთესი არ იქნებოდა ჩვენთვის ეგვიპტეში დაბრუნება?“ (რიცხ.14:3;)

ამ მუხლში ვხედავთ ადამიანური შიშის ფესვს: უარესი ხომ არ იქნება ჩვენთვის? ეს ადამიანები შეშინდნენ, რადგან მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ. ისინი არ ამბობდნენ: „და რას მიიჩნევს ღმერთი უკეთესად?“. ამის მაგივრად, კითხულობდნენ: „რა იქნება ჩვენთვის უკეთესი?“.

ამაზე აშკარა რაღა უნდა იყოს? ადამიანთა წინაშე შიშის საფუძველი – ეგოისტური სიყვარულია. თუ საკუთარი სიცოცხლე გიყვარს მის დაცვას შეეცდები, და შეგეშინდებათ ყველაფრის, რაც მას დაემუქრება.

ღმერთმა თავისი ხალხი მიიყვანა იმ ადგილას, სადაც მათ არ ჰქონდათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მინდობოდნენ ღმერთს. ისე ჩანდა, რომ ამ უცხო ქვეყნის მცხოვრებნი მათ უბრალოდ გაანადგურებდნენ. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ღმერთზე დაედოთ იმედი, ისრაელიანები ისე იქცეოდნენ, თითქოს ღმერთმა ისინი ეგვიპტიდან მხოლოდ იმისთვის გამოიყვანა, რომ ქანანაელებისთვის მათი განადგურების უფლება მიეცა. რა თქმა უნდა, ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ჩვენ ყველა გავდივართ მომენტებს, როცა საჭიროა მივყვეთ უფალს ისეთ სიტუაციებში, რომლებიც სიცოცხლისათვის საშიშროების შემცველად ჩანს.

ასეთ გარემოებებში, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავყვებით, როცა ჩვენს გულებში დარწმუნებულები ვართ, რომ ღმერთი ნამდვილად მადლის ღმერთია. მასში მხოლოდ სიკეთეა. ის არასოდერ არაფერს გააკეთებს, მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის, რამაც შეიძლება სერიოზული დანაკარგები და ტანჯვა მოგვიტანოს! უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ყოველივეს უსასრულობის კუთხიდან უყურებს და განსჯის, ეს იმ დროს, როცა ადამიანთა განსჯა სამოცდაათ-ოთხმოც წელიწადს არ სცილდება!

## უარყოფა ღმერთისგან თუ ადამიანისგან?

ქალებმა და იესო ნავეს ძემ რთული გზა აირჩიეს. ღმერთმა თქვა, რომ მათში სხვაგვარი სული იყო და ისინი მიჰყვებოდნენ მას. სხვა დანარჩენებს კი ღმერთის მოსმენის გამო, საკუთარი კომფორტის დაკარგვა არ სურდათ. ქალები და იესო ნავეს ძე ერთადერთნი იყვნენ თავიანთ თაობაში, რომლებიც შევიდნენ აღთქმულ მიწაზე (იხ.რიცხ.14:24,30;).

საკუთარი სიცოცხლის მძებნელებმა დაკარგეს იგი. ღმერთმა თავისი განაჩენი წარმოთქვა სიტყვებით: „და თქვენი გვამები დაიყრება ამ უდაბნოში... და გამოსცდით ჩემგან მიტევებას“ (რიცხ.14:32,34;). როცა იცი, რომ მრავალი იქნება უარყოფილი ღმერთისაგან, რადგან მათ შეეშინდათ ადამიანებისგან უარყოფის – ეს აფხიზლებს.

ვლოცულობ, რომ ვისწავლოთ კმაყოფილება უფლის შიშში. რადგან „უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, რათა განერიდოს სიკვდილის მახეს“ (იგავ.14:27;).

შემდეგ თავში ნახავთ, თუ როგორ დაგეხმარებათ ღვთის შიში, რომ გაუბედაობისა და შიშის შემოტევის დროს ღვთიურ ნებაში დარჩეთ.

*უფლის შიში გაბედულებასა და*
*დარწმუნებას წარმოშობს*

## მოქმედება თუ რეაგირება?

გაუბედაობა და დაშინება შეიძლება მოვიდეს გარემოებების, აზრებისა და ადამიანების საშუალებით. ადამიანთა უმრავლესობა ებრძვის გაუბედაობასა და დაშინებას, რომელიც სხვა ადამიანების მხრიდან მოდის. ადამიანური შიში – ეს არის ასეთი სახის ზეწოლის სწორი განსაზღვრება.

ადამიანური შიში გვაიძულებს გავექცეთ უარყოფას, წნეხს და საყვედურებს ადამიანთა მხრიდან, და არ მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ამ ყოველივეთი ღმერთის იგნორირებას ვახდენთ. იმისათვის, რომ არ აწყენინოს იმას, ვისი დანახვაც შესაძლებელია, იმის, ვისიც ეშინია, ადამიანები გულს სტკენენ ღმერთს, ვისი დანახვაც შეუძლებელია.

იესო გვასწავლიდა: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს და ამის მეტი არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მაგრამ გაჩვენებთ ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ მისი, ვისაც მოკვლის შემდეგ აქვს ხელმწიფება გეენაში ჩაგდებისა. აჰა, გეუბნებით, მისი გეშინოდეთ“ (ლუკ.12:4-5;).

თუ ადამიანების შიში გაქვთ, მაშინ, როცა ღმერთი რთულ და მძიმე სიტუაციებში გაგატარებთ, თქვენ საკუთარი თავის დაცვას შეეცდებით. ნაცვლად იმისა, რომ ეძიოთ უფლის ნება, თქვენ საკუთარი ნების შესრულებას შეუდგებით. მაგრამ, თუ ღმერთის გეშინიათ, მაშინ შეძლებთ ნებისმიერი სირთულე გადალახოთ და ამით პატივი მიაგოთ ღმერთს. თქვენ მიხვდებით, რომ მხოლოდ მას ერთს შეუძლია თქვენი დაცვა. თქვენ გექნებათ ნდობა, რომ მხოლოდ მან იცის ყველაზე უკეთესი გეგმა თქვენთვის ფასეულობათა მუდმივ სისტემაში.

იგავთა წიგნში არის ერთი ძლიერი აღთქმა ღვთის შიშთან დაკავშირებით:

„უფლის შიშში ძლიერია რწმენა და მის შვილებს ექნებათ თავშესაფარი, უფლის შიშში სიცოცხლის წყაროა,

რათა განერიდოს სიკვდილის მახეს“ (იგავ.14:26-27;)

და პირიქით, წმიდა წერილში ნათლად ჩანს:

„ადამიანთა მოშიშარს მახე დაეგება, ხოლო უფალს მინდობილი დაცული იქნება“ (იგავ.29:25;)

გაუბედაობა და დაშინება – ეს ხაფანგია, მახეა. მაგრამ ღვთის შიში ბადებს გაბედულებასა და დარწმუნებულობას. სწორედ იმას, რაც გვჭირდება, რომ გაუბედაობის მახეს თავი დავაღწიოთ.

## ზეწოლა ამხელს

მინდა ორი მეფე შევადარო ერთმანეთს. ორივე ერთსა და იმავე სამეფოში მეფობდა და ორივემ ერთი და იგივე ღმერთის წინაშე დადო ფიცი. ერთი უარყოფილ იქნა, მეორე კი ღმერთმა თავისი გულის სანდომ ადამიანად აღიარა. ამ ორის შედარებით დავინახავთ, თუ რა განსხვავებაა ღვთის შიშსა და ადამიანურ შიშს შორის. მოდით, ვნახოთ ერთი ყველაზე დრამატული და ამავდროულად, ნაკლებ შესწავლილი მომენტი საულის ცხოვრებიდან.

ისტორია ასეთია. საული უკვე მეორე წელია, რაც მართავს სამეფოს. და როგორც მსგავს სიტუაციებში ხშირად ხდება, მმართველობის თაფლობის თვემ მისი ბუნება არ გამოავლინა. მაგრამ ამ ისტორიის დროს მისი მოტივები აშკარა გახდა.

როცა საული თავის საუკეთესო მეგობართან ერთად მიქშაშში იმყოფებოდა, ფილისტიმელები შეიკრიბნენ, რათა მის წინააღმდეგ წასულიყვნენ (1მეფ.13:5-15;)

საულს მოუწია ძლიერი არმიის წინაშე წარდგომა. მტერს ოცდაათი ათასი ეტლი, ექვსი ათასი მხედარი და „ზღვის ქვიშასავით“ მრავალი ჯარისკაცი ჰყავდა. ეს გიგანტური არმია იყო! ოცდაათი ათასი ეტლი, ეს იგივეა რაც ოცდაათი ათასი ტანკი, ეს ძალიან  დიდი არმია იყო. ისრაელის არმიის თვალსაწიერიდან, ეს ძალზე შიშის მომგვრელად გამოიყურებოდა.

საულის არმიის ჯარისკაცები შიშისაგან თხრილებში, ბუჩქებსა და კლდის ნაპრალებში დაიმალნენ. ისინი დათრგუნულნი იყვნენ. ზოგი კი უბრალოდ გარბოდა იორდანეს გაღმა ნაპირზე მდინარე გადისა და გალაადის ქვეყანაში. საულის მხლებლებიც შიშით ცახცახებდნენ.

ყოველი ბრძოლის წინ ისრაელს ღმერთისთვის უნდა მოეხმო. სამუელმა საულს ღმერთისგან ნაბრძანები გადასცა, უთხრა, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მოვიდოდა, რათა სრულადდასაწველი მსხვერპლი მოეტანა უფლისათვის. საულმა „შვიდ დღეს იცადა (მან), სამუელის ვადამდე, მაგარმ არ მოდიოდა სამუელი გილგალში, ხალხი კი ეფანტებოდა“ (1მეფ.13:8;).

ზეწოლაში მყოფმა საულმა თქვა: „მომიყვანეთ სრულადდასაწველი და სამშვიდობო მსხვერპლი“. მან მსხვერპლი შესწირა და როგორც კი ეს გააკეთა სამუელი მოვიდა.

ჰკითხა სამუელმა საულს: „ეგ რა ჰქენი?“, და მოდით, ყურადღებით წავიკითხოთ, თუ რა უპასუხა საულმა:

> „დავინახე, რომ მეფანტებოდა ხალხი და შენც არ მოხვედი დათქმულ დროს. ფილისტიმელები კი მიქმაშში არიან შეკრებილნი. ვიფიქრე ახლა დამესხმებიან ფილისტიმელები გილგალში, მე კი არ შევვედრებივარ მეთქი უფალს. თავს ვიკავებდი, მაგრამ მაინც აღვავლინე სრულადდასაწველი“ (1მეფ.13:11-12;)

სამუელმა ამხილა საული, უთხრა, რომ უგუნურად მოიქცა, ღმერთის ბრძანებას რომ არ დაემორჩილა.

ახლა კი, როცა ვნახეთ, რაც მოხდა, საკუთარი თავი საულის ადგილას წარმოიდგინეთ. თქვენ ლიდერი ხართ. თქვენ და თქვენი ხალხი უკვე შვიდი დღეა უდიდესი არმიის წინაშე დგახართ. თქვენი რიგები სულ უფრო თხელდება და თხელდება, მტრის რიგები კი ყოველდღიურად ძლიერდება. თქვენი ხალხი შიშით ცახცახებს და გარბის. ხოლო დანარჩენი კი თრთის საშინელების მოლოდინში. თქვენ ღმერთის წინასწარმეტყველს ელოდებით, ის კი დროულად არ მოდის, რომ მსხვერპლი მოიტანოს!

თქვენ დიდ ზეწოლას იგრძნობთ. ეს „ზეთის სახდელი პრესის“ სიტუაციაა. ირგვლივ მყოფნი გიკიჟინებენ: „რამე იღონე, თორემ ყველა დავიხოცებით!“. მოიცდით, როგორც ღმერთმა გიბრძანათ, თუ დაიწყებთ მოქმედებას, რათა თავი გადაირჩინოთ?

სწორედ ასეთ სიტუაციას წააწყდა მეფე საული (1მეფ.13:1-8;).

სამწუხაროდ, მან ვერ გაუძლო ამ ზეწოლას. ყურად არ იღო ღმერთის ნათქვამი და მსხვერპლი შესწირა. ნახეთ, როგორ იმართლებს თავს საული: „ახლა დამესხმიან ფილისტიმელები გილგალში, მე კი არ შევვედრებივარ – მეთქი უფალს, თავს ვიკავებდი, მაგრამ მაინც აღვავლინე სრულადდასაწველი“ (1მეფ.13:12;).

მან შესწირა მსხვერპლი, რათა ხალხის თვალში კარგი გამოსულიყო, შემდეგ კი შეეცადა სამუელისთვის თავი სულიერად ეჩვენებინა. მან განაცხადა: „მაგრამ მაინც აღვავლინე“. სინამდვილეში კი ის მხოლოდ რეაგირებდა სტუაციაზე და გაუბედაობისა და შიშის ხაფანგში მოექცა.

**იღონე რამე!**

ადამიანების უმრავლესობას, ასე თუ ისე, აქვს შეხება მსგავს სიტუაციებთან.

ოდესმე გიფიქრიათ ასე: „ვიცი, ღმერთო მეუბნები, რომ მშვიდად ვიდგე, მაგრამ მე უნდა ვიმოძრაო, რომ შევცვალო სიტუაცია, რომელშიც ვიმყოფები“.

მქონია სიტუაციები, როცა ჩემი ლიდერობის მომენტში, ადამიანები მევედრებოდნენ: „ჯონ, შენ რამე უნდა იღონო!“. მაგრამ გულში ვიცოდი, რომ ამას ღმერთი არ მეუბნებოდა. ის დუმდა.

ყველაზე რთულია, დაელოდო უფალს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის არაფერს ამბობს! ეს ჭეშმარიტება დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია. ჩვენთან, ამერიკაში, ფულის ასეთი რესურსებით, ჩვეულებრივ, შეგვიძლია რაიმე მოვიმოქმედოთ მაშინაც კი, როცა ღმერთი საერთოდ არ მონაწილეობს ამაში. ჩვენი ტალანტებისა და უნარების საშუალებით, ღმერთის ჩარევის გარეშეც კი, შეგვიძლია შევქმნათ რამე, რომელიც ისე გამოიყურება, რომ ღმერთის მიერ შექმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

როცა საქმე გადაწყვეტილების მიღებას ეხება, ხშირად, არ შეგვიძლია მოვძებნოთ ის თავი და მუხლი (ბიბლიაში), რომელიც გვიკარნახებს როგორ მოვიქცეთ. თითოეულ მომენტში, გვინდა ვიცოდეთ, თუ რას ამბობს ღმერთი. მაგრამ, როცა გვგონია, რომ ღმერთი არაფერს ამბობს, სინამდვილეში ის ლაპარაკობს! ის ამბობს: „გააგრძელე ზუსტად იმის კეთება, რაც უკვე გითხარი. ყოველგვარი ცვლილებების გარეშე!“. მდგომარეობა განსაკუთრებით მაშინ გვიმძიმდება, როცა შიში და გაუბედაობა გვიპყრობს.

მინდა გაგიზიაროთ სიტყვა, რომელიც ღმერთმა ერთხელ საახალწლოდ მომცა. საზღვარგარეთ ვიყავი, გონება გადაღლილი მქონდა ორმოცდაექვს საათიანი მოგზაურობისა და ყოველდღიური ქადაგებისაგან. უცებ, ღამის ორ საათზე, ღრმა ძილისაგან გამოვფხიზლდი. ვიცოდი, რომ მხოლოდ ღმერთს შეეძლო ამგვარად ჩემი გამოღვიძება, რადგან სულ სამი საათი მეძინა და ადგომას არ ვაპირებდი.

ღმერთმა მომცა სიტყვა, რომელსაც ჩვეულებრივ სიტუაციაში სხვას არ გავუზიარებდი, რადგან ის ძალზე პირადული იყო. მაგრამ მწამს, რომ ღმერთს სურს მე ეს გავაკეთო ჩემი მტკიცებულებითი ილუსტრაციისათვის. ვფიქრობ, რომ ეს განამტკიცებს ბევრს, რომლებიც მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან. აი, ამ სიტყვის ნაწილი:

„შენ არ გრძნობდი ჩემ შენდამი ყურადღებას და ეს იყო გამოცდის ნაწილი. ეს მე გავაკეთე, რათა გამოგცადო და ვნახო, იმოქმედებ თუ არა ჩემი მმართველობის გარეშე. ის, რომ არაფერი მოგიმოქმედებია ჩემი დუმილის მანძილზე, მოსაწონია ჩემთვის. იმიტომ, რომ შენ არ მოძრაობდი მაშინ, როცა მე არ გეუბნებოდა და იმიტომ, რომ ჩემი სიტყვის მოლოდინში, საკუთარ გეგმებს არ აწყობდი – შენ ჩემს დიდ საქმეებს ნახავ. რადგან, შენ და შენს მეუღლეს გაგიცხადებთ დიდ და განსაკუთრებულ გეგმებს, რომლებიც დიდ სიხარულს მოგიტანენ“.

ღმერთი დამელაპარაკა სწორედ იმ მომენტში, როცა მე და ჩემი მეუღლე თავს ინერციულად ვგრძნობდით. ჩვენ გვქონდა ჩვენი გარკვეული სურვილები დ საჭიროებები, რომლებიც, როგორც ჩვენ ვთვლიდით, არ იყო აღსრულებული. რამდენიმე წლის მანძილზე ექსტრემალური წნეხის ქვეშ ვცხოვრობდით. მეგობრები, რომლებიც მართლაც წუხდნენ ჩვენს გამო, გვირჩევდნენ რამე გველონა, მაგრამ ჩვენ ვერ ვგრძნობდით, რომ ეს სიტყვა ღმერთისგან იყო. ისინი არ ცდებოდნენ, როცა ამას გვეუბნებოდნენ. უბრალოდ, რეაგირებდნენ იმ სიტუაციაზე, რომელშიც, როგორც ისინი თვლიდნენ, ვიმყოფებოდით. და სწორედ ეს იყო ჩვენი გამოცდა.

ჩვენ შეგვეძლო შეგვეცვალა რაღაც, რათა შეგვემცირებინა ის ზეწოლა, რომელშიც ვიმყოფებოდით. საჭირო იყო გვებრძოლა საკუთარ ეჭვებთან და კითხვასთან: „ნუთუ ღმერთის სიტყვა გამოგვრჩა?“. მაგრამ, გულის სიღრმეში ორივემ ვიცოდით, რომ ღმერთს არაფერი უთქვამს.

და იმ ახალ წელს, პირველი თვის ბოლოსთვის ვნახეთ, თუ როგორ ახდენს ღმერთი სასწაულებს, რომლებიც ჩვენს ყოველგვარ მოლოდინს სცილდებოდა! არ ვიცი, ყოფილა კი ოდესმე ჩემს ცხოვრებაში, რომ ერთი თვის მანძილზე ამდენი რამ მომხდარიყო. ვფიქრობ, რომ ამ ერთი თვის მანძილზე ღმერთმა იმდენი რამ მოიმოქმედა, რაც წინა ხუთი წლის მანძილზე არ გაუკეთებია!

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ზეწოლაზე რეაგირება არ მოვახდინოთ. ჩვენი მოქმედება ღმერთის სიტყვის შესაბამისი უნდა იყოს.

## უფლის გულის სანდომი კაცი

საული შეშინდა. მისი რეპუტაცია, ცხოვრება და სამეფო კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა და ამიტომ მან დაიწყო მოქმედება იმ დროს, როცა ღმერთმა უთხრა, რომ დალოდებოდა. მას შემდგომ, რაც სამუელმა ამხილა საული, წარმოსთქვა მსჯავრი მის მიმართ:

> „ამიერიდან ველარ იმყარებს შენი მეფობა, გამოძებნის უფალი თავის სასურველ კაცს და თავისი ერის წინამძღოლობას უბრძანებს, რაკი შენ არ დაიცავი, რაც გიბრძანა უფალმა“ (1მეფ.13:14)

საული შიშს არაერთხელ დაემორჩილა. მას მთელი სია ჰქონდა სიტუაციებისა, როცა ძლიერი ზეწოლის ქვეშ უფალს აღარ მოუსმინა. სხვა შემთხვევაში, ხალხის სურვილს დაემორჩილა, რომ წამოეღო ნადავლი იმ ქალაქიდან, რომლის სრული განადგურებაც უბრძანა უფალმა. მას არ სურდა, რომ გავლენა დაეკარგა ადამიანებში. როცა სამუელი წინ აღუდგა, იგი დაეთანხმა: „შევცოდე, რომ გადავედი უფლის ბრძანებას და შენს სიტყვას, რადგან ხალხის შემეშინდა და გავუგონე მის ხმას“ (1მეფ.15:24).

მისი შემდგომი მტკიცებულება გვიჩვენებს, რომ ის უფალს არ დაემორჩილა. სამუელის მიმართ ნათქვამმა სიტყვამ მისი გულის მოტივები გამოავლინა: „შევცოდე. ახლა ჩემი ერის უხუცესების და ისრაელის წინაშე მაინც მომაგე პატივი...“ (1მეფ.15:30).

საული ისევ და ისევ სცოდავდა, რადგან ადამიანების ეშინოდა. რაც მეტად და მეტად ეშინოდა, მით უფრო და უფრო მარცხდებოდა, როგორც ლიდერი. ასეთი რამ დაურწმუნებელ ლიდერებს ხშირად ემართებათ. ისინი უხეშად ეპყრობიან ადამიანებს, რათა მოაჩვენონ, რომ აკონტროლებენ სიტუაციას და ეს იმ დროს, როცა სინამდვილეში საკუთარ შიშსა და გაუბედაობას ფარავენ. სამუელმა საულს უთხრა, რომ ღმერთი სამეფოს გადასცემდა იმ ადამიანს, რომელიც იცავს მის მცნებებს (1მეფ.13:14).

დავითი ასეთი ადამიანი იყო. მომისმენია, როგორ ამბობდნენ ადამიანები, რომ მთელი გულით სწყურიათ ღმერთი. მაგრამ მინდა მოვისმინო, თუ როგორ იტყვის ღმერთი იმას, რაც თქვა დავითის შესახებ: „შენი გული მოვიწონე“. მე ვიცი, რომ ეს, ღმერთის მოყვარული თითოეული მორწმუნის სურვილია! გულდასმით ვსწავლობდი დავითის ცხოვრებას, რათა გამეგო თუ რატომ იყო იგი სათნო უფლისათვის.

შევამჩნიე, რომ დავითი ფრთხილი იყო იმ საკითხში, რომ იგი არაფერს აკეთებდა, ვიდრე არ მოისმენდა სიტყვას უფლისაგან ამ საქმესთან დაკავშირებით. ისევ და ისევ, ძლიერი ზეწოლის ქვეშ მყოფი  უფლის რჩევას ეძებდა (1მეფ.20:31;).

მოდით, ვნახოთ განსაკუთრებულად მტანჯველი სიტუაციები დავითის ცხოვრებაში.

## შეიძლება იყოს ამაზე უარესი?

საულის მეფობის უკანასკნელ წელს დავითმა და მისმა ხალხმა ფილისტიმელთა მიწას შეაფარეს თავი. გარემოებათა უცნაურად წარმართვის გამო, დავითი და მისი ხალხი შეუერთდა ფილისტიმელებს, როცა ისინი ისრაელის წინააღმდეგ აპირებდნენ ბრძოლას. მაგრამ ფილისტიმელთა წინამძღოლებს არ მოეწონათ, რომ ებრაელები მათთან ერთად წავიდნენ საბრძოლველად. ამიტომ დავითს და მის ხალხს ბრძოლის უფლება არ მისცეს.

მეორე დილით, დავითმა და მისმა ხალხმა გადაწყვიტა სახლში (ციკლაგში) ცოლ-შვილთან დაბრუნებულიყვნენ. ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი უთხრეს, დავითმა და მისმა ხალხმა თავი ზედმეტად იგრძნეს. ისინი უარყვეს არა მხოლოდ საკუთარმა ქვეყანამ და საკუთარმა მეფემ, არამედ მათაც, ვინც ისინი შეიფარა. სარწმუნოა, რომ დავითი თავს მარტოსულად გრძნობდა. ეს მისი ერთ-ერთი არასასიამოვნო დღე იყო. მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც წინ ელოდა. ყურადღებით წაიკითხეთ რაც მოხდა, როცა დავითი ოჯახში დაბრუნდა, და წარმოიდგინეთ, რას გრძნობდა იგი ამ სიტუაციაში.

> „სანამ მესამე დღეს დავითი და მისი კაცები ციკლაგში მივიდნენ, ყამალეკები სამხრეთიდან დაესხნენ ციკლაგს, გაანადგურეს ციკლაგი და გადაწვეს. და ქალები ვინც კი იყვნენ, დიდიდან პატარამდე არავინ მოუკლიათ, მხოლოდ ტყვედ წაასხეს და წავიდნენ თავიანთი გზით. და მივიდნენ დავითი და მისი კაცები ქალაქში და ხედავენ: გადამწვარია ქალაქი, დედა-წული ტყვედ არის წაყვანილი. და გამართეს

> მოთქმა დავითმა და მისმა ხალხმა და ტიროდნენ, ვიდრე ძალა შესწევდათ. ტყვედ იყვნენ წაყვანილნი დავითის ცოლი – იზრეყელი ახინაყომი და ქარმელელი ნაბალის ქვრივი“ (1მეფ.30:1-5;)

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის ტკივილი, რომელსაც დავითი გრძნობდა? მისი ოჯახი გაიტაცეს, ძვირფასეულობა მოპარეს, რაც დარჩა, დაწვეს! ამასთან, ის ნაღვლობდა არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის გამო, არამედ თავისი მეგობრების ოჯახების გამოც. გარემოებათა მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ისინი უსახლკარონი და უსარგებლონი იყვნენ და მოდით ვნახოთ, რა მოხდა შემდეგ:

> „და დამწუხრდა დიდად დავითი, რადგან მისი ჩაქოლვა განიზრახა ხალხმა, გამწარებული იყო ხალხი თავიანთი ვაჟებისა და ასულების გამო. მაგრამ, უფლის, თავისი ღვთის იმედით გაიმხნევა თავი დავითმა“ (1მეფ.30:6;)

მის უბედურებას ისიც დაემატა, რომ ხალხმა, რომელიც მის გვერდით იბრძოდა, მისი ჩაქოლვა განიზრახა, რადგან მათი ცოლ-შვილი დაცვის გარეშე იყო დატოვებული! ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს? ეს გაცილებით რთული იყო, ვიდრე საულის განსაცდელი. დავითს ერთი ადამიანიც კი არ ჰყავდა გვერდით, რომ მისთვის მიემართა. საულს კი, ბოლოს და ბოლოს, მშიშარა ჯარი და ოჯახი ჰყავდა და მას ჩაქოლვასაც არავინ უპირებდა.

მორწმუნეთა უმეტესობა, თავის ცხოვრებაში, მიდის იმ მომენტამდე, როცა თავს სრულიად მარტო გრძნობს. ვფიქრობ, ღმერთი უშვებს, რომ ეს მოხდეს. თუმცა ღმერთი არ არის ამის ინიციატორი, რადგან იგი ბოროტს არ იქმს. მაგრამ, ღმერთი არ ერევა, რადგან ამ სასოწარკვეთის პერიოდში რაღაც აზრს ხედავს. დავითი შეიძლებოდა დანებებულიყო, დადევნებოდა მტერს ანდა სხვა გზა მოენახა თავისი მებრძოლების ტკივილის გასაყუჩებლად, მაგრამ ნახეთ რა გააკეთა მან ამის ნაცვლად:

> „უფლის, თავისი ღვთის იმედით გაიმხნევა დავითმა თავი. და უთხრა დავითმა აბიათარ მღვდელს, აბიმელექის ძეს: „მომიტანე ეფოდი!“ და მიუტანა აბიათარმა ეფოდი დავითს. და დაეკითხა დავითი უფალს: „დავედევნო იმ ურდოს, მივეწევი?“ და უთხრა: „დაედევნე, დაეწევი და წაართმევ“ (1მეფ.30:6-8;)

უკიდურეს მდგომარეობაშიც კი, დავითი არ გაინძრა, ვიდრე ღმერთის ნება არ გაიგო. მან საკუთარ თავს ღვთის ერთგულება და აღთქმა შეახსენა და შემდგომ გამოიკითხა როგორ მოქცეულიყო. და ღმერთმა უთხრა: „და დაედევნე“.

დავითი დაედევნა მტერს. „და უკან დაიბრუნა დავითმა ყველაფერი, რაც წაღებული ჰქონდა ყამალეკს. თავისი ორი ცოლიც დაიბრუნა დავითმა. და არაფერი დაჰკარგვიათ, არც მცირე, არც დიდი, არც ვაჟებიდან და არც ასულებიდან – მთელი ნადავლიდან, რაც გატაცებული ჰქონდათ ყამალეკთ. ყველაფერი დაიბრუნა დავითმა“ (1მეფ.30:18-19;).

სიტუაცია, რომელიც სრულიად უიმედოდ გამოიყურებოდა, დიდი გამარჯვებით დასრულდა. ჩვენი ღმერთისათვის შეუძლებელი არაფერია. დავითს ადამიანებზე მეტად ღმერთის ეშინოდა. და ეს უბიძგებდა მას, რომ უპირველესად ღმერთისთვის მიემართა. ზეწოლაზე მისი რეაქცია ძლიერ განსხვავდებოდა საულის რეაქციისაგან.

დავითი მოქმედებდა იმ დროს, როცა საული მხოლოდ რეაგირებდა მომხდარზე. დავითს შეეძლო ემოქმედა და არა რეაგირება მოეხდინა მოვლენებზე, რადგან იცოდა, თუ რას ამბობს ღმერთი. როცა გვაქვს ქრისტეს გონება, მომზადებულები ვართ და კი არ ვრეაგირებთ მომხდარზე, არამედ მოქმედების გაბედულება გაგვაჩნია.

## საღი გონება

ერთ-ერთ წინა თავში გავარკვიეთ თუ რა არის საჭირო გაუბედაობის დასამარცხებლად. ეს არ არის ბუნებრივი გაბედულება, არამედ გაბედულება, რომელიც ძალის სიყვარულის და ჯანსაღი გონების წყალობით მომდინარეობს. წმინდა წერილის ეს ადგილი იყო ჩვენი ძირითადი მუხლი:

> „ამ მიზეზით შეგახსენებ გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასმით არის შენში. ვინაიდან ღმერთმა მოგვცა ჩვენ არა სიმხდალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების (ინგლ.ბიბლ. – „საღი გონების“)“ (2ტიმ.1:6-7;)

მოდით ვნახოთ, როგორ წარმოშვა დავითის გულში გაბედულება ამ სამმა თვისებამ, რაც მას გაუბედაობასთან ბრძოლაში დაეხმარა.

1. ძალა. დავითი იცნობდა ღმერთს და იცოდა, რომ ღმერთი ყველაფერზე დიდი და ძლიერია;

2. სიყვარული. მას ღმერთი საკუთარ თავზე მეტად უყვარდა;

3. საღი გონება. იგი არ მოქმედებდა ვიდრე არ გაიგებდა ღმერთის ჩანაფიქრს ან სიტყვას არ მიიღებდა მისგან და მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რამდენად დიდი იყო ზეწოლა.

როცა ჩვენი სული ღმერთის სიტყვით, ძალითა და სიყვარულით არის სავსე გაუბედაობის მსხვერპლი არ გავხდებით. საჭიროა არა მხოლოდ ერთი ამ ღირებულებათაგან, არამედ სამივეს კომბინაცია, რაზეც პავლეც საუბრობს. თუ მხოლოდ ერთ-ერთი იქნებოდა საკმარისი ან საჭირო, პავლე ამის შესახებაც ისაუბრებდა. მაგრამ იმისათვის, რომ ღვთიურ გაბედულებაში ვიაროთ, სამივე აუცილებელია.

ჩვენ უკვე დეტალურად განვიხილეთ თუ რა არის ძალა და სიყვარული. ახლა კი მოდით, საღი გონების შესახებ ვილაპარაკოთ.

*საღმა გონებამ იცის, თუ რას ამბობს და აკეთებს*
*ღმერთი ამ მომენტში*

## საღი გონების სული

Ერაფერი ისე არ აშინებს, როგორც უმეცრება. უმეცრება – ეს არის ცოდნის ნაკლებობა. წმინდა წერილში ხშირად არის ლაპარაკი ცოდნის ფასის შესახებ. იგავებში ნათქვამია: „ბრძენი ადამიანი ძლიერია, გონიერი კი განამტკიცებს თავის ძლიერებას. იგავ.11:9-ში კი გვახსენებს, რომ „მართალნი კი ცოდნით (გამჭვრეტელობით) იხსნიან თავს“. ცოდნა იძლევა ძალას გაუბედაობის ბორკილებისაგან თავის დასაღწევად.

გაიგეთ, რომ არის ბუნებრივი ცოდნა და სულიერი ცოდნა. სულიერი ცოდნა და სიბრძნე აღემატება ბუნებრივს. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ მათ ზებუნებრივს.

ტიმოთეს მიმართ მე-2 წერილში (1:6-7;) პავლე საუბრობს სამ ძირითად ელემენტზე, რომლებიც აუცილებელია შიშისა და გაუბედაობის წინააღმდეგ საბრძოლველად: სიყვარულის ძალა და საღი გონება. ამ თავში ვისაუბრებთ საღი გონების შესახებ.

რა არის საღი გონება? წმინდა წერილის ცოდნა?

მოწაფეები უმეცარი მეთევზეები იყვნენ, ხოლო სადუკევლები, ყველაზე განათლებული ადამიანები ისრაელში. გაკვირვებულნი იყვნენ მათი სიბრძნით და გაბედულებით.

> „როცა ხედავდნენ პეტრესა და იოანეს ესოდენ სიმტკიცეს და მიხვდნენ, რომ ისინი უწიგნური და უბრალო ადამიანები არიან, გაუკვირდათ, თანაც იცოდნენ, რომ ისინი იესოსთან ნამყოფები იყვნენ“ (საქმ.4:13;)

ასევე ბიბლიაში მოყვანილია დამოწმება: „და ვერ შეძლეს დაპირისპირებოდნენ სიბრძნესა და სულს, რომლითაც ის ლაპარაკობდა“ (საქმ.6:10;).

ეს პიროვნება იყო სტეფანე, რომელსაც სინაგოგის სწავლული მთავრები შეეკამათნენ.

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ საღი გონების სული არ მოდის

ბუნებრივი სიბრძნიდან ანდა წერილის შესწავლით. მაშ, საიდან მოდის საღი გონების სული?

## გამოცხადების ცოდნა

გონების სიჯანსაღე ქრისტეს გონების ცოდნიდან მომდინარეობს. მხოლოდ წმინდა წერილის ცოდნა ქრისტეს ცოდნის გარანტია არ არის. დაწერილია, რომ „ასო კლავს, სული კი აცოცხლებს“ (2კორ.3:6;).

„ასო“ – ეს წერილია.

ფარისევლებმა ძალიან კარგად იცოდნენ წმინდა წერილი, მაგრამ არ იცოდნენ მისი სული. ამიტომ მათი მსახურება სიკვდილს წარმოქმნიდა. იგი არ აახლოვებდა ადამიანებს ღმერთის გულთან, პირიქით – აშორებდა. თავიანთი კანონებით, ისინი ხალხს აშორებდნენ ღმერთისაგან, ღმერთს წარმოადგენდნენ იმგვარად, რა დონეზეც თავად ჩასწვდნენ მას, -არა გულით, არამედ გონებით.

იესო ამბობს: „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით“ (მათ.4:4;).

შენიშნეთ, რომ მას არ უთქვამს „გამოსული“. მაშინ ეს წარსული დრო იქნებოდა. მხოლოდ წმინდა წერილი არის ის, რაც ღმერთის პირიდან გამოვიდა.

მან თქვა „გამომავალი“, რაც აწმყო დროზე მიუთითებს. უნდა ვიცნობდეთ წერილის უფალს, რათა ვიცოდეთ, თუ რა გამოდის დღეს მისი პირიდან. იოანეს სახარება 16:13-14-ში ამბობს: „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ სრულ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს და მომავალს გაუწყებთ თქვენ“. მიაქციეთ ყურადღება, იესომ თქვა „რასაც ისმენს“ და არა „რაც მოისმინა“. სულიწმიდის დახმარებით შეგვიძლია ვიცოდეთ, რას ამბობს ღმერთი ახლა.

მაშინ, შეიძლება იკითხოთ: „მაშინ რაღა საჭიროა წმინდა წერილი?“. წმინდა წერილი – გზამკვლევია, რათა დაგვეხმაროს და მიმართულება მოგვცეს. წმინდა წერილი შთაგონებულია ღმერთის მიერ და როცა სულიწმიდა მას აცოცხლებს, წერილი ცოცხლდება ჩვენს გულში და არა მხოლოდ ჩვენს გონებაში. იგი წარმოადგენს სტანდარტს, რომელიც არის მტკიცებულება იმისა, რომ ვისმენთ უფლის სულისაგან. სულიწმიდა წერილს არასოდეს დაუპირისპირდება. მაგრამ ვიქნებით მოტივირებულნი, როცა წერილის ჩვენეული გონებრივი აღქმა შემოსაზღვრავს იმას, რისი თქმაც სულიწმიდას შეუძლია. ამაში მდგომარეობდა ფარისეველთა შეცდომა.

## წმინდა წერილის, რომელიმე თავის და მუხლის ცოდნა საკმარისი არ არის

ფარისევლები ძალზე მცოდნენი იყვნენ. ფაქტიურად მათ ძველი აღთქმის ხუთივე წიგნი ზეპირად იცოდნენ! ისინი იკვლევდნენ წერილს და მოუთმენლად ელოდნენ მესიის მოსვლას, მაგრამ ისინი მას წერილის მათმიერი გაგების შესატყვისად ელოდნენ. მათ იცოდნენ, თუ რას წინასწარმეტყველებდა ესაია:

> „რადგან ვაჟი შეგვეძინა ჩვენ, ძე მოგვეცა; და იქნება მთავრობა მის მხრებზე; და უწოდებენ მას სახელად საკვირველს, მრჩეველს, ძლიერ ღმერთს, საუკუნო მამას, მთავარს მშვიოდბისა. რათა იზარდოს მთავრობამ და მშვიდობისა დაუსრულებლად, დავითის ტახტზე და მის სამეფოზე, რათა გაამყაროს და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით ამიერიდან და უკუნისამდე. უფალ ცაბაოთის შური იქმს ამას“ (ესაია 9:6-7;)

მათ მესიას მიწიური სამეფო უნდა დაემყარებინა, რომაელთა მმართველობიდან უნდა გაეთავისუფლებინა და დავითის ტახტზე აეყვანა ისინი. მაგრამ შებრკოლდნენ, როცა იესო მოვიდა, როგორც დურგალი, ნაზარეთიდან, უცოდინარი მეთევზეებითა და მოწაფეებით გარშემორტყმული.

ეს ფარისევლები გამუდმებით ეწინააღმდეგებოდნენ იესოს, რადგან წმიდა წერილზე მხოლოდ გონებრივი წარმოდგენა ჰქონდათ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მესია დიდი ეროვნული ლიდერი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის თავს ესხმოდნენ მას ისეთი ხასიათის შეკითხვებით, როგორიცაა: „თუ მესია ხარ, მაშინ სად არის სამეფო, რომელიც უნდა დაამყარო? რატომ არ ზიხარ დავითის ტახტზე?“.

იესო პასუხობდა: „ღვთის სასუფეველი არ მოვა თვალსაჩინოდ. არც იტყვიან: აგერ, აქ არისო, ან: აგერ, იქ არისო, ვინაიდან აჰა, თვითონ თქვენშია ღვთის სასუფეველი“ (ლუკ.17:20-21;).

დღეს ჩვენ შეგვიძლია ამის გაგება, რადგან გვაქვს პრივილეგია ვიცოდეთ, რომ იესო მოკვდა და კვლავ აღსდგა. მაგრამ ის ადამიანები ფიქრობდნენ, რომ მართლები იყვნენ. მაგრამ მათი დარწმუნებულობა წმიდა წერილის გონებრივ ცოდნაზე იყო დამყარებული. მათ გაგების სული არ ჰქონდათ.

## სულის გამოცხადება

მესიის მოსვლას ელოდა ასევე პიროვნება, სახელად სიმონი. იგი არ იყო ისეთი მცოდნე, როგორიც ფარისევლები. მაგრამ, ნახეთ, რა წერია ბიბლიაში მასზე:

„კაცი მართალი და ღვთისმოშიში, რომელიც მოელოდა ისრაელის ნუგეშისცემას და სულიწმიდა იყო მასზე. სულიწმიდისაგან ჰქონდა ნაუწყები, რომ არ იხილავდა სიკვდილს უფლის ცხებულის ნახვამდე. შევიდა სულით ტაძარში და როცა მშობლებმა მიიყვანეს ყრმა იესო, რათა მოქცეოდნენ მას რჯულის წესისამებრ, მან მიირქვა ყრმა მკლავებზე, ადიდა ღმერთი და თქვა: „ახლა კი გამიშვი, ბატონო, შენი მონა მშვიდობით, როგორც ნათქვამი გაქვს. ვინაიდან იხილა ჩემმა თვალმა შენი ხსნა... იოსებს და მის დედას კი უკვირდათ მასზე ნათქვამი“ (ლუკ.2:25-30,33;)

როცა იესოს უფლისადმი მიძღვნა მოხდა, იგი ექვსი თვიდან – ორ წლამდე ასაკში იმყოფებოდა. ტაძარი დიდი იყო. იგი მრავალი სხვადასხვა ნაგებობისგან შედგებოდა. ჩვეულებრივ იქ ასობით და ალბათ, ათასობით ადამიანიც კი იყრიდა თავს.

ახლა კი წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ტაძარში შევიდნენ გალილეველი დურგალი და მისი მეუღლე და მიიყვანეს ბავშვი. და პირდაპირ, ხალხის ბრბოდან, მათკენ გაეშურა სიმონი, ბავშვი აიყვანა და იწინასწარმეტყველა: „მესია!“. ახლა კი თქვენთვის გასაგებია, თუ რატომ გაოცდნენ იოსები და მარიამი!

ხედავთ, სიმონს წმინდა წერილის წაკითხვის შემდეგ არ გამოუთვლია მესიის მოსვლის დრო *„ას ერთის მიზეზი იმისა თუ რატომ უნდა მოვიდეს მესია მეოთხე წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე“.* წმიდა წერილის წაკითხვის შემდეგ მას ეს ინფორმაცია არ მიუღია. სულიწმიდის გამოცხადების შედეგად მან იცოდა, რომ მესია ეს-ეს არის უნდა მოვიდეს. იგი სულიწმიდის მმართველობით მოვიდა ტაძარში!

საერთოდ ეს გასაოცარი ფაქტია. ამ ადამიანმა, რომელიც თავს რჯულის ექსპერტად არ თვლიდა, იესოში მესია ამოიცნო, მაშინ როცა იესო ექვსი თვის იყო. ფარისევლებმა კი ოცდაათი წლის შემდეგაც ვერ შეძლეს მესიის ამოცნობა, თუმცა იგი ავადმყოფებს კურნავდა, დევნიდა დემონებს, ბრმებს თვალს უხელდა და მკვდრებს აცოცხლებდა. აი, ასეთი სხვაობაა ქრისტეს გონებასა და წმინდა წერილის გონებით ცოდნას შორის.

შეიძლება, რომ ისევე მოვექცეთ ახალ აღთქმას, როგორც

ფარისევლები ძველ აღთქმას მოექცნენ? ხომ არ ვსაზღვრავთ ჩვენს მიერ იესოს შემეცნებას დოქტრინებითა და წერილის შესწავლით, თვით სრული სახარების ეკლესიებშიც კი. დოქტრინები ღმერთთან ურთიერთობას კი არ წარმოქმნიან, არამედ გვიბიძგებენ მისკენ! ჯვრისწერის ცერემონიალზე მე ვთქვი „დიახ“ არა იმიტომ, რომ ეს წიგნში ამოვიკითხე და რომ ეს ასე უნდა გაკეთდეს. არა. მე მქონდა პირადი ურთიერთობა ჩემს მეუღლესთან.

ამრიგად, ბიბლიის კითხვას თავი უნდა დავანებოთ? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ, იქნებ სხვაგვარად უნდა წავიკითხოთ. როცა ბიბლიას ხელში ვიღებ, ყოველთვის ვლოცულობ სულიწმიდის წინაშე, რომ მომცეს სიტყვის გამოცხადება. ვიდრე ვკითხულობ, ჭეშმარიტება ფეთქდება ჩემს გულში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომლის თანახმადაც უნდა ვიცხოვრო!

საღმა აზრმა იცის, თუ რას ამბობს და რას აკეთებს ღმერთი პირდაპირ ახლა. ამის გაცხადება მხოლოს სულს შეუძლია. მას შეუძლია გველაპარაკოს წმინდა წერილის საშუალებით, შეუძლია ელაპარაკოს ჩვენს გულს შინაგანი მოწმობის საშუალებით ანდა თავისი ნაზი ხმით. როცა ვიცით, თუ რას ამბობს ღმერთი, ჩვენს ცხოვრებას შეურყეველ კედელზე ვაფუძნებთ.

## იგი ძალაუფლებით ლაპარაკობს

სახარებებში მრავალჯერ ჩანს, თუ როგორი ძალაუფლებით ლაპარაკობდა იესო. განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა.

> „როცა იესომ დაასრულა სიტყვები, ხალხი გაოცებული დარჩა მისი მოძღვრებით. ვინაიდან იგი ასწავლიდა მათ, როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მათი მწიგნობარი“ (მათ.7:28-29;)

იგი არა მხოლოდ ლაპარაკობდა, არამედ მოქმედებდა კიდეც ძალაუფლებით. ვნახოთ მეორე მაგალითი.

> „ყველანი განცვიფრდნენ და ამბობდნენ ერთმანეთში: ეს რა სიტყვაა, რომ ხელმწიფებითა და ძალით უწმინდურ სულებს უბრძანებს და ისინიც გამოდიან?“ (ლუკ.4:36;)

იგი ისეთი ძალაუფლებით ცხოვრობდა და მოქმედებდა, რომ რომაელმა ასისთავმაც კი აღიარა. მან უთხრა იესოს, რომ თუ იგი უბრალოდ სიტყვას იტყოდა, მისი მსახური განიკურნებოდა

(მათ.8:5-10;). ეს რომაელი ხედავდა იესოს ძალაუფლების წყაროს. იესოს ძალაუფლება არ იყო შემოსაზღვრული მის მიერვე, არამედ უზრუნველყოფილი იყო ღმერთისაგან. აი, რატომ იყო, რომ იესო სრულად უქვემდებარებდა საკუთარ თავს სულიწმიდას, რომელიც მას მამის ნებას უცხადებდა.

ასისთავმა თქვა: „მეც ძალაუფლების ქვეშ მყოფი ადამიანი ვარ და მყავს ჩემს ძალაუფლების ქვეშ მყოფი ჯარისკაცები". იესო გაოცდა, როცა ეს მოისმინა. ამ მეთაურს ესმოდა, რომ ერთადერთი გზა ძალაუფლების მიღებისა იმაში მდგომარეობს, რომ თავად აღმოჩნდე ძალაუფლების ქვეშ! იესო ძალაუფლებით მოქმედებდა, რადგან თავად იყო ძალაუფლების ქვეშ. იგი სრულად ემორჩილებოდა სულიწმიდას, რომელიც მამის ნებას უცხადებდა. მან თქვა:

„რადგან მე ჩემით კი არ მილაპარაკია, არამედ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა მომცა მცნება რა ვთქვა და რა ვილაპარაკო" (იოან.12:49;).

და კიდევ:

„ჩემთავად არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ და ჩემეული განკითხვა სამართლიანია, რადგან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას" (იოან.5:30;)

იესომ ნათლად უჩვენა, რომ მისი ნება მამისგან გამომდინარეობს.

„არ გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემში? სიტყვებს, რომელთაც გეუბნები, ჩემით არ ვამბობ. ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს" (იოან.14:10;)

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ძე თვითონ ვერაფერს გააკეთებს, რომ არ ეხილოს რასაც მამა აკეთებს, რადგან რასაც ის აკეთებს, ძეც იმავეს აკეთებს" (იოან.5:19;)

გახსოვდეთ, რომ თუმცა იესო ღვთის ძე იყო, იგი ცხოვრობდა როგორც სულით ავსილი ჩვეულებრივი ადამიანი. მან თავისი ნებით უარი თქვა ყველა თავის ღვთიურ პრივილეგიაზე. მაგრამ იგი ყველას გასაოცრად, ძალაუფლებით ლაპარაკობდა. ეს იმიტომ, რომ იგი, მხოლოდ და მხოლოდ, ღვთის სულის

მმართველობით ლაპარაკობდა და მოქმედებდა. იგი არასოდეს უკან არ იხევდა, რადგან ღმერთის შეშინება და შეცბუნება შეუძლებელია. არავინაა უფრო ძლიერი, ყოვლისშემძლე და მცოდნე, ვიდრე ღმერთი!

იესო რჩებოდა თავის ძალაუფლებაში მაშინაც კი, როცა ფარისევლები თავიანთი ვერაგული რელიგიური შეკითხვებით მის შეშინებას ცდილობდნენ. ცდილობდნენ მის დისკრედიტირებას მისსავე სიტყვებით. მაგრამ მათი მახეები როგორი დახვეწილიც არ უნდა ყოფილიყო, იესო ყოველთვის სულიწმიდის შესაბამისად პასუხობდა და ანგრევდა ყოველგვარ დაშინებას. იესოს ისინი მათივე სიბრძნით ჩიხში შეჰყავდა და ბოლოს და ბოლოს, დაბნეულები მას თავს ანებებდნენ.

> „ვერავინ შეძლო მისთვის სიტყვის მიგება. იმ დღიდან მოკიდებული კითხვას ვერავინ უბედავდა“ (მათ.22:46;)

## „როგორც მე მომავლინა მამამ...“

ახლა კი, გასაოცარი ახალი ამბავი: „როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ“ (იოან.20:21;).

ჩვენ იესოს მსგავსად უნდა ვცხოვრობდეთ და ვმოქმედებდეთ. ამიტომ, ის ჩვენ გვამხნევებს:

> „ამიტომ თქვენ გულებში ჩაიდეთ, რომ წინასწარ არ იზრუნოთ, რითი იმართლოთ თავი. ვინაიდან მე მოგცემთ თქვენ პირსა და სიბრძნეს, რომელთაც ვერ დაუპირისპირდებიან და ვერ შეეპასუხებიან თქვენი მოწინააღმდეგენი“ (ლუკ.21:14-15;)

მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთები არ ლაპარაკობენ, არ ასწავლიან და არ ქადაგებენ ძალაუფლებით, არის ის ფაქტი, რომ მათ შეისწავლეს უწყება წმიდა წერილიდან და ის წერილის საკუთარ გაგებასთან შეათანხმეს. ისინი საუბრობენ მხოლოდ იმაზე, თუ რას ლაპარაკობდა და რას აკეთებდა (ადრე) ღმერთი, და არა იმას, თუ რას აკეთებს და რას ლაპარაკობს ღმერთი ახლა! მხოლოდ და მხოლოდ, სულიწმიდით შთაგონებულნი ვილაპარაკებთ ძალაუფლებით.

> „ვინაიდან თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ“. ამიტომ გამხნევებულნი ვამბობთ: „უფალი ჩემი შემწეა, არ მეშინია: რას მიზამს მე კაცი?“ (ებრ.13:5-6;)

კიდევ ერთხელ ყურადღებით დააკვირდით ამ სიტყვებს. ჩვენ შეგვიძლია გაბედულებით და ძალაუფლებით ვიმოქმედოთ, როცა ვიცით, რომ ახლა ღმერთი ლაპარაკობს! მისი სიტყვის ურყეობა გვაძლევს გაბედულებას. ღმერთი ირწმუნება, რომ როცა ჩვენთვის ცნობილია, რომ ის ლაპარაკობს და როცა გვწამს, რომ ის ყოველთვის ჩვენს გვერდითაა, მაშინ შეგვიძლია გაბედულად განვაცხადოთ: „რას მიზამს მე კაცი?“. თუ ასეთი დაჯერებულობით ვცხოვრობთ, მაშინ ჩვენი შეშინება შეუძლებელია!

## თანამედროვე ფარისევლები

მოხდა ისე, რომ შევეჩეხე იმ ადამიანებს, რომლებსაც თანამედროვე ფარისევლებს უწოდებენ, რომელთაც სული არ გააჩნიათ. მათ შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ენებით ლაპარაკობენ, მაგრამ მაინც, მათში ღვთის სული არ არის! ამასთან, მათ შეუძლიათ მოიყვანონ მუხლები და სხვებზე სწრაფად გააკეთონ ადგილების ციტირება წმინდა წერილიდან.

ისინი, რომ იტყვიან თავს დამესხნენ შეკითხვებით, იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც მიქადაგია ან კი დამიწერია. მხედველობაში არ მაქვს ის შეკითხვები, რომლებსაც სვამენ ადამიანები იმ მიზეზით, რომ რაღაც ვერ გაიგეს ან, რომ რამე ისწავლონ. მე მივესალმები ასეთ კითხვებს. ვლაპარაკობ მათზე, რომლებიც ყოველივეს თავიანთი სულიერი პარამეტრებით ზომავენ და უარყოფენ ყოველივეს, რაც თავიანთ დოქტრინალურ შეხედულებებში არ თავსდება.

შევნიშნე, რომ ასეთი სახის საუბარი შეიძლება ორი მიმართულებით წავიდეს. ერთი, რომ შესაძლოა წერილის მიხედვით წარმართულ ინტელექტუალურ დისკუსიაში ჩამითრიონ. შედეგად, თავს ძალზე გადაღლილად ვიგრძნობ, განსაკუთრებით კი როცა მოსაუბრეები წერილის, ამ საკითხთან დაკავშირებული ადგილის კარგი მცოდნენი არიან. ისინი გამარჯვებულ პოზიციაში გამოდიან, მე კი შეცბუნებული ვრჩები. მე უკვე ვისწავლე, არ ჩავება მსგავს ისტორიებში!

არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის სხვა საშუალება. უნდა ვუსმინოთ სულიწმიდას და ვთქვათ ის, რასაც ის ამბობს ჩვენს შინაგანში. მაშინ წინ წამოვა ღვთიური სიბრძნე და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების კვალიც კი არ დარჩება. ღვთიური სიბრძნე ყოველთვის მოდის წერილიდან, მაგრამ სულიწმიდა სიცოცხლის სუნთქვით ავსებს მას.

რამდენიმე წლის წინ, ერთ მსახურთან ერთად ვიმგზავრე თვითმფრინავით. ჩვენ შევხვდით ებრაელ ქალს. იგი განსაკუთრებული პიროვნება იყო და თავისი გონებამახვილობის დემონსტრირებას ახდენდა. საუბარი წავიდა იესო ქრისტეს შესახებ. ჩვენ სხვადასხვაგვარი დამოწმებები მოვიყვანეთ იმისა, რომ იესო ქრისტე მესიაა. მაგრამ ის თავის მხრივ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ყოველივე იესოსთან დაკავშირებული სიცრუეა.

უცებ, მივხვდი, რა ხდებოდა. მივხვდი, რომ ეს ინტელექტუალური დისკუსია ამაო იყო. და შინაგანში სულიწმიდის მმართველობის ძიება დავიწყე და მან გამიცხადა, თუ რა ვთქვა. მე ქალს შევხედე და ვუთხარი ის სიტყვები, რომელიც უფალმა მომცა. როცა ეს გავაკეთე ჩემი ხმის ტემბრი შეიცვალა და ჩემი სიტყვები ძალაუფლებით აივსო. როგორც კი ეს მოისმინა, მას თვალები დაუმრგვალდა, იგი გაჩერდა. ჩვენმა დებატებმა მას ვერ უშველა. მაგრამ, როცა მოვიდა სიტყვა უფლისაგან, საოცარი ეფექტი მოახდინა.

ჩვენ თვითმფრინავიდან ჩამოვედით და მსახურმა მითხრა: „ჯონ, მე ღმერთის თანდასწრებას ვგრძნობდი, როცა შენ ამ სიტყვებს ამბობდი. შეამჩნიე, რომ მას (ქალს) სათქმელი აღარაფერი ჰქონდა?“. ნუ ჩაებმებით არაფრისმომცემ დისკუსიაში, რომელიც წმინდა წერილის გონებრივ ცოდნაზეა დამყარებული. ამის ნაცვლად ნება მიეცით სულიწმიდას, რომ მიგიყვანოთ ღვთიურ სიბრძნესთან.

> „და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით. სულიერს სულიერით განვმარტავთ... სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება, რადგან ვინ შეიცნო უფლის აზრი, რათა ასწავლოს მას? ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი (გონება)“ (1კორ.2:13,15-16;)

ქრისტეს გონების მქონე ადამიანის განსჯა ან შეშინება შეუძლებელია! მე შემიძლია მოვიყვანო მრავალი მაგალითი, როცა შესაძლებელი იყო უკან დამეხია, ღმერთის სულისთვის რომ არ მიმემართა დასახმარებლად.

ჩვენ გვირჩევენ, ვიცხოვროთ იესოს მსგავსად (1იოან.2:6;).

იესო ყოველთვის აკეთებდა იმას, რასაც სულიწმიდისაგან ღებულობდა. თუ ასე მოვიქცევით, გვექნება გაბედულება და გონების სიჯანსაღე, რაც აუცილებელია გაუბედაობისა და კონტროლის დასაძლევად.

## უფალო, როგორ მოვიქცე?

ზოგჯერ ვხვდებით სიტუაციებში, რომლებიც ჩვენს პარალიზებას ახდენენ. თუკი არ გვაქვს ქრისტეს გონება, მაშინ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის შესრულების უნარი არ გაგვაჩნია. ასეთი შემთხვევა მქონდა მექსიკაში.

მონტერეიში დიდ ევანგელიზაციაზე მიმიპატიჟეს. მე მხოლოდ ერთი დღით ვიყავი მიწვეული და ამიტომ ყველა დანახარჯი საკუთარი ჯიბიდან გავიღე. ნახევარი დღე ლოცვაში გავატარე. ლოცვის დროს დავინახე მუქი ღრუბელი იმ შენობის თავზე, სადაც ევანგელიზაცია უნდა ჩატარებულიყო. მე ვკითხე ღმერთს, თუ რა იყო ეს ყოველივე და მან ამიხსნა: „ჯონ, ეს სიბნელე იბრძვის დღევანდელი კრებულის წინააღმდეგ, გააგრძელე ლოცვა“.

მოვიდა ძლიერი ცხებულება, რომელიც ლოცვაში მამაგრებდა. ოცდაათი წუთის შემდეგ კიდევ რაღაც დავინახე. შენობის სახურავიდან, ამ მოქუფრული ცის მიმართულებით წავიდა ელვა. ვკითხე უფალს, თუ რას ნიშნავდა ეს. „ეს, ჩემი დიდება მოდის დღევანდელ კრებულზე“, – მითხრა უფალმა ჩემს სულში. მე აღფრთოვანებაში მოვედი.

მსახურება საღამოს 6 საათზე იყო დანიშნული. ჩვენ იქ ცოტა ადრე მივედით და დაგვხვდა ამბავი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს სურდათ ენახათ მწყემსი, რომელიც ამ ღონისძიების ორგანიზატორს წარმოადგენდა. ჩინოვნიკებს თან ორი ფორმიანი ოფიცერი ახლდა. მე და მწყემსი მივედით მათთან. რაღაც დროის მანძილზე ჩინოვნიკი მწყემსს ესპანურად ელაპარაკებოდა, შემდეგ კი მე მკითხა ინგლისურად: „თქვენ საუბრობთ ესპანურად?“

– არა ბატონო, – მივუგე მე.

მაშინ მან მიბრძანა: „დღეს თქვენ ვერაფერს ეტყვით ამ ხალხს, გარდა იმისა, რომ შეგიძლიათ უამბოთ თქვენი, როგორც ტურისტის – მოგზაურის ისტორია“. შემდეგ მწყემსს მიუბრუნდა და მასთან საუბარი გააგრძელა. მე თვალს ვადევნებდი მწყემსს. ის რაღაც მხიარულად არ გამოიყურებოდა. პირიქით, დაშინებულიც კი ჩანდა.

ჩინოვნიკმა საუბარი დაამთავრა და წავიდა. მწყემსმა გვერდით გამიყვანა და მითხრა: „ჯონ, ეს კაცი ხელისუფლების წარმომადგენელია და მან თქვა, რომ შენ არ უნდა იქადაგო. მექსიკის კანონებით, თუ ამ ქვეყნის წარმომადგენელი არ ხარ, მაშინ სპეციალური ნებართვის გარეშე ქადაგების უფლება არ გაქვს. ჩვეულებრივ, ამ კანონს არ იყენებენ, მაგრამ როგორც

ჩანს, ამ ახალგაზრდას არ მოსწონს შენი აქ ყოფნა და გადაწყვიტა, რომ ეს კანონი გამოეყენებინა. და მან თქვა, რომ ორშაბათს დილის 9 საათზე  მის ოფისში მიხვიდე“.

ყურებს არ ვუჯერებდი. მე მაშინვე ვუთხარი მწყემსს: „მისმინე, მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ არ ვიქადაგო. თუ შენ მხოლოდ ჩემს გამო ხარ შეშფოთებული, მაშინ ნება მომეცი ვიქადაგო“.

მწყემსმა თქვა: „ჯონ, ეს შეიძლება ჩემს ეკლესიაზეც აისახოს. შეიძლება ბევრი პრობლემა გაჩნდეს. ეს კაცი სულ ზემოდანაა. უკეთესია, საერთოდ არ იქადაგო“. მწყემსი შეშინდა, მე აღარაფერი დამრჩენოდა გარდა ლოცვისა, რადგან მსახურება მის ძალაუფლებაში იყო.

მე შენობიდან გამოვედი. ეს იყო სპორტკომპლექსის შენობა. მე შენობის წინ არსებული ფლაგშტოკის ირგვლივ დავიწყე სიარული. ვიცოდი, რომ ღმერთმა უკვე მაჩვენა ის დიდება, რომელიც დღეს აქ გამოვლინდებოდა. ვიცოდი რომ აქ მოსვლა ღმერთმა დამავალა. მაგრამ არ ვიცოდი ახლა რა გამეკეთებინა. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა: „იქნებ ეს ჩინოვნიკი მართლაც შემიშლის ხელს გავაკეთო ის, რისთვისაც ღმერთმა აქ მომიყვანა?“. მაშინ დავიწყე განსჯა. ამ ადამიანს არ შეუძლია შეაჩეროს ის, რაც ღმერთმა ლოცვაში მაჩვენა. მაგრამ შინაგანი ბრძოლა გრძელდებოდა: „მაინც, როგორ მოვიქცე?“.

და მე ვთქვი: „მამაო, მე არ ვიცი როგორ მოვიქცე, მაგრამ შენთვის ეს სიურპრიზი არ არის. შენ ადრევე იცოდი რა მოხდებოდა. ამიტომ, მე მჭირდება შენი სიბრძნე და შენი რჩევა ამ სიტუაციაში“. მე დავიწყე სულში ლოცვა და გონებაში მოვიდა ადგილი წმინდა წერილიდან.

„ზრახვა კაცის გულში ღრმა წყალია, ხოლო გონიერი კაცი ამოხაპავს მას“ (იგავ.20:5;)

იესომ თქვა, რომ მორწმუნეებიდან იდინებენ ცოცხალი წყლის მდინარეები (იოან.7:38;).

მე უფლის რჩევა მჭირდებოდა. მჭირდებოდა ქრისტეს გონება. მის გამოვლინებას კი ენებით ლოცვა უწყობს ხელს.

რამდენიმე წუთი ვილოცე, ჩემს გონებაში სიჩუმე იყო, მაგრამ მე მსურდა კიდევ რაიმე გამეგო ღმერთისაგან. და უცებ, ჩემი გულიდან თითქოს აზრი გამოხტა: „უამბე ამ ადამიანებს იმ უდიდესი ტურისტების შესახებ, რომლებიც კი აქ ოდესმე ყოფილან“.

მე ხმამაღლა ვიყვირე: „ეს ის არის, რაც მჭირდება! იმ კაცმა თქვა, რომ შემიძლია ტურიზმის თემაზე ვთქვა რაც მინდა. მე ვუამბობ მათ იმ უდიდეს ტურისტზე, რომელიც მოვიდა მექსიკაში – იესო ქრისტეზე!“. ძალზედ გამიხარდა.

მე შენობაში დავბრუნდი. ჩემდა გასაკვირად, ვნახე, რომ ღმერთი მწყემსს უკვე დალაპარაკებია. მწყემსმა მითხრა: „ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა, რომ გააკეთო ის, რაც მან გითხრა“.

კრებული შემდეგი სიტყვებით დავიწყე: „მითხრეს, რომ დღეს თქვენ გელაპარაკოთ  იმ ტურისტის შესახებ, რომელიც იყო მექსიკაში“.

თითქმის ერთი საათის მანძილზე ვსაუბრობდი იესოზე, როგორც უფალსა და მხსნელზე. ზოგიერთი გამოეხმაურა ჩემს მოწოდებას, რომ მიეღოთ იესო საკუთარ უფლად და მხსნელად. მათ შორის იყო ერთი ხეიბარი. მონანიების ლოცვის წარმოთქმის შემდეგ ღმერთმა მითხრა: „მინდა, პირველ რიგში ეს კაცი გავკურნო“.

მე მას შევხედე და წარმოვთქვი: „სერ, სულიწმიდა ამბობს, რომ თქვენი განკურნება სურს“. მე ხელები დავადე მას და ვილოცე. შემდეგ ხელი მოვკიდე და სიარული დავიწყეთ. თავიდან ის ძალზე ფრთხილობდა. შემდეგ უფრო სწრაფად და სწრაფად დაიწყო მოძრაობა. მალე ის გაბედულად დადიოდა, შემდეგ კი ერთად გავიქეცით. და ბოლოს, ხელი გავუშვი და ის დამოუკიდებლად გაიქცა.

ამის მნახველი ავადმყოფობითა და უძლურებებით შეპყრობილი ადამიანები წინ მორბოდნენ. ამ არეულობაში ჩემი თარჯიმანი დავკარგე. ასობით ადამიანი ირეოდა სცენის წინ. ბევრი მათგანი განიკურნა და მათ შორის იყო ქალი, რომელიც დაბადებიდან სრულიად ყრუ იყო ერთი ყურით, და მეორეთი – კი ნაწილობრივ ესმოდა. იგი ისე ტიროდა, რომ მისი ზედატანი დასველდა ცრემლებისაგან. ეს საოცარი იყო!

მე არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, რომ იმ ჩინოვნიკმა ორი კაცი გამოგზავნა ღვთისმსახურებაზე, რათა დავეპატიმრებინე თუ ვიქადაგებდი. ისინი სწორედ იმ დროს მოვიდნენ, როცა მე დავრდომილისათვის ვლოცულობდი. ორგანიზატორმა გაიგონა, როგორ ეუბნებოდა ერთი მათგანი მეორეს: „მოდი, ჯერ ვნახოთ, რას აკეთებს და მერე დავაპატიმროთ“.

როცა დაინახეს, რომ ხეიბარი განიკურნა, ერთმა ჰკითხა მეორეს: „შენ ფიქრობ, რომ ეს მართლა მოხდა?“. ისინი ახლოს მოვიდნენ და უყურებდნენ, თუ რას აკეთებდა ღმერთი.

როცა დაინახეს როგორ განიკურნა ყრუ ქალი და შემდეგ ის როგორ ტიროდა; პირველმა თქვა: „ ვფიქრობ, რომ ეს მართლა ხდება“.

შემდეგ ხუთი წლის ბიჭი, ღმერთის ძალის შედეგად იატაკზე დაეცა: როცა ეს დაინახეს თქვეს: „დიახ, ეს რაღაც ნამდვილია!“ და ორივენი, რომლებიც ჩემს დასაპატიმრებლად იყვნენ წარმოგზავნილნი, წინ გამოვიდნენ ლოცვისათვის! ალილუია!

მეორე დღეს ქვეყანა დავტოვე. ერთი კვირის შემდეგ მექსიკელი მწყემსი შტატებში ჩამოფრინდა და გაზეთის ნომერი მოიტანა, მან წამიკითხა სტატია ჩვენი მსახურების შესახებ.

სტატიაში ეწერა, რომ ხელისუფლებამ თაღლითად მაღიარა და თქვა, რომ მე მხოლოდ ფული მაინტერესებდა (სულმა მითხრა, რომ არ ამეღო ფული ამ ქვეყანაში და მგზავრობაც კი ჩემი ხარჯით ყოფილიყო. ამის აზრს მაშინ მივხვდი, როცა სტატიაში ეს ადგილი წავიკითხე). მაგრამ შემდგომ გაზეთში ეწერა, რომ მისმა საკუთარმა კორესპონდენტებმა ნახეს, რომ ადამიანები მართლა ინკურნებოდნენ! დიდება უფალს!

ხელისუფლება ცდილობდა შევეჩერებინე. თუ მე და მწყემსი საშუალებას მივცემდით მათ მუქარას, რომ გავეკონტროლებინეთ, მაშინ ღმერთის ნიჭი უმოქმედოთ დარჩებოდა, არც არავინ განიკურნებოდა და კურთხევასაც არავინ მიიღებდა იმ საღამოს. მაგრამ სულისაგან მოცემულმა ღმერთის სიტყვამ მოიტანა გაბედულება გამერღვია ჩემს წინააღმდეგ წამოსული გაუბედაობა და შიში. ასეთი ძალა აქვს ჯანსაღ გონებას.

*იმას, რაც უმნიშვნელოა ადამიანთა თვალში,*
*ღმერთი იყენებს, რათა შეუძლებელი დაანახოს.*

## წინსწრაფვა

ნეემია იყო ებრაელი, რომელიც ისრაელის ტყვეობის პერიოდში ცხოვრობდა. რამდენიმე წლით ადრე, მოვიდნენ ბაბილონელები და იერუსალიმი დაანგრიეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი მოკლეს ან ტყვედ წაიყვანეს. იერუსალიმის კედლები გადამწვარი და განადგურებული იყო და ქალაქი ნანგრევებად იქცა.

ღმერთმა გულში ჩაუდო ნეემიას სურვილი, დაბრუნებულიყო იერუსალიმში და აღედგინა დანგრეული კედლები და ქალაქი. ნეემია ერთგულად ემსახურებოდა უცხო მეფეს და მისი კეთილნებობა დაიმსახურა. მეფემ მადლიერების ნიშნად ნება მისცა წასულიყო და ღმერთისგან ჩადებული სურვილი აესრულებინა. ნეემია დაუყოვნებლივ გაემართა იერუსალიმში, შეკრიბა ისრაელში დარჩენილები და მოუწოდა აღედგინათ ის, რაც მტერმა დაანგრია.

მაგრამ ისინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. სამ ადგილობრივ ხელისუფალს სანბალატს, ტობიას და გეშეს არ სურდათ, რომ კედლები აღდგენილიყო. ისინი ისრაელის აყვავების წინააღმდეგი იყვნენ და ცდილობდნენ ნეემია შეეჩერებინათ.

როცა ამ ლიდერებმა პირველად გაიგეს ნეემიას მიზნების შესახებ „დასცინეს და აბუჩად აიგდეს“ (ნეემ.2:19;).

ისინი არამხოლოდ ცდილობდნენ თავგზააებნიათ ნეემიასთვის და მისი ხალხისათვის, არამედ ისე გაეკეთებინათ, რომ ისინი სულელებად გამოჩენილიყვნენ ხალხის თვალში. ისინი დასცინოდნენ მათ და დამამცირებელ განცხადებებს აკეთებდნენ მათ მიმართ. „ააშენონ რაც უნდათ, იმაზე ერთი მელა რომ შედგეს, ისიც კი დააქცევს მათ ქვის კედელს“ (ნეემ.4:3;).

ხშირად ადამიანები ცდილობენ შეგაფერხონ და შეგაშინონ, სასაცილო გახადონ ის, რასაც თქვენ აკეთებთ. მათ შეუძლიათ დაგცინონ და ეჭვი შეიტანონ იმაში, რომ თქვენ უნარი გაქვთ

აღასრულოთ ის, რაც ღმერთმა გულში ჩაგიდოთ. მათ შეუძლიათ პირში მოგახალონ ან ხალხში გაავრცელონ ეს დამცინავი გამონათქვამები. ანდა, გეწინააღმდეგებათ არა ადამიანთა ჯგუფი, არამედ თქვენ ებრძვით საკუთარ გონებას, რომელიც შემდეგნაირი აზრებით გბომბავს: „რას იფიქრებს ხალხი? დამცინებენ? მე დავმარცხდები?“.

ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რისი გაკეთება გვიბრძანა ღმერთმა და გავიხსენოთ, რომ „სოფლის უმეცარნი (უმნიშვნელონი) ამოარჩია ღმერთმა...რათა შეარცხვინოს ბრძენნი (მნიშვნელოვანნი)“ (1კორ.1:27;).

იმას, რაც უმნიშვნელოა ადამიანთა თვალში, ღმერთი იყენებს, რათა გააკეთოს შეუძლებელი. მაშინ მთელი დიდება მას ეძღვნება!

ნეემია ლოცულობდა და მარხულობდა, ვიდრე შეძლებდა ჩაწვდომოდა ღმერთის გონებას. მაშინ მან შეძლო გაბედულად მოეგერიებინა მოწინააღმდეგეთა შემოტევები. „ღმერთი ცათა ის შეგვეწევა ჩვენ. და ჩვენ მსახურნი მისი ავდგებით და ავაშენებთ! თქვენ არა გაქვთ წილი, მოწყალება და სახსენებელი იერუსალიმში“ (ნეემ.2:20;).

მოწინააღმდეგეები გამძვინვარდნენ, როცა ნახეს, რომ ისრაელიანები წარმატებულნი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში. ისინი უკვე აღარ დასცინოდნენ მათ, რადგან ხედავდნენ, რომ საქმე უკვე აღარ იყო სასაცილო. მაშინ გადაწყვიტეს, რომ მათი გეგმის ჩაშლის მიზნით ქალაქს თავს დასხმოდნენ (იხ.ნეემ.4:7-8;).

რისხვა – ეს დაშინების კიდევ ერთი იარაღია. იგი შესაძლოა იყოს გამოყენებული, რათა შეგაჩეროთ და შეგაფერხოთ. ასეთი სახის რისხვა, შესაძლოა უხეში ანდა შეუმჩნეველი ცდუნების საშიშროებას შეიცავდეს. ასეთი შეტევა – დაშინების ძალზე ეფექტური საშუალებაა. ბევრჯერ ვყოფლივარ იმის მოწმე, რომ რისხვის თავიდან ასაცილებლად, ადამიანები უარს ამბობენ იმის გაკეთებაზე, რაც იციან, რომ სწორია და რაც უნდა გაეკეთებინათ. ისინი მიდიოდნენ განსაკუთრებულ დათმობებზე, რომ მშვიდობის გარეგნული ფორმა შეენარჩუნებინათ.

## ზეწოლა შინაგანში და გარედან

ნეემიას მიმართ იყო შეტევები, როგორც სხვა, უცხო ადამიანთაგან, ასევე შიგნით, მისი ხალხის მხრიდანაც. ეს ეხებოდა იმ გარემოებებს, რომლებიც მათ ირგვლივ იქმნებოდა. ხშირად, როცა ღმერთი მოგვიწოდებს, ვხვდებით წინააღმდეგობებს და ოპოზიციას არა მხოლოდ გარედან, ასევე შიგნიდანაც.

ნეემიას ხალხი უბრალოდ დაიღალა. დანგრეულ კედლებზე იმდენი ნანგრევი და ნაგავი იყო, რომ ეს მუშაობას აძნელებდა (ნეემ.4:10;).

იყო კიდევ ერთი პრობლემა. მათ შორის მდიდრები ფინანსურ ზეწოლას ახდენდნენ ვალებში ჩავარდნილ თანამოძმეებზე (ნეემ.5:1-8;).

ეს გაბედულებას და შემართებას უქვეითებდა მათ, ვისი ოჯახიც ნაკლებობას განიცდიდა. ეს შიდა პრობლემები უფრო მეტად ხელისშემშლელი იყო, ვიდრე გარეშე.

## ყოველმხრივ დაშინება

მე ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში. პირველ ხანებში, როცა მოგზაურობა დავიწყე; მთხოვეს დავხმარებოდი ერთ ეკლესიას, რომელმაც მწყემსი დაკარგა. ეს ეკლესია რვაასი ადამიანით დასახლებულ პატარა ქალაქში იყო. ქალაქი არავისთვის არ იყო ცნობილი. ორი მსახურების შემდეგ ყველა მოზარდმა მოინანია და იგრძნო ღმერთის ძალა. ასევე გრძნობდა ძალას ზიგიერთი მოზრდილიც. ღმერთის მოქმედების გამო, კრებულზე დასწრებამ იმატა და რამდენიმე ასეულს მიაღწია. მე და ჩემი მეუღლე იმდენად თანავუგრძნობდით ამ ადამიანებს, რომ გავაუქმეთ ჩვენი შემდგომი ექვსი მსახურება და გადავწყვიტეთ დავრჩენილიყავით, რათა ძლიერი საფუძველი ჩაგვეყარა ამ ეკლესიაში და იგი ახალი მწყემსისთვის მოგვემზადებინა.

მაგრამ, ეკლესიის საბჭოს რამდენიმე წევრს არ მოეწონა, რომ მე ვქადაგებდი. ერთ-ერთი მათგანი იმის გამო გაბრაზდა, რომ როცა ისინი ჩვენი რიგით მესამე ქადაგებაზე მოვიდნენ, წინ ორი რიგი სავსე იყო მოზარდებით, სადაც ის და მისი ცოლი სხდებოდნენ ხოლმე. ადრე კი ახალგაზრდები ეკლესიის ბოლო რიგებში იკავებდნენ ადგილებს.

სხვებმა კი გადაწყვიტეს, რომ ჩემი მსახურებები მეტისმეტად ძლიერია, მიზეზი ის იყო, რომ ეკლესიის საბჭოს წევრებს სურდათ ჩემი გაკონტროლება. მათ სურდათ, რომ ეკლესიაში ყველაფერი მათი სურვილების თანახმად ყოფილიყო. რმდენიმე მსახურების შემდეგ ვთქვი: „დარჩენილი ექვსი კვირის მანძილზე ძალაუფლებას ჩემს ხელში ავიღებ, შემდეგ კი ამას თქვენი ახალი მწყემსი გააკეთებს. ეს მხოლოდ ასე უნდა მოხდეს. თქვენ თვთიონ გადაწყვიტეთ“.

იმ დღეს, როცა მათ თავიანთი გადაწყვეტილება უნდა გაეხმოვანებინათ, ადგილობრივმა ნარკოტიკებით მოვაჭრემ დამირეკა. მისი მეუღლე ჩემს მსახურებებს ესწრებოდა. იგი მეუღლეს გამოუტყდა, რომ მის საუკეთესო მეგობართან

ულალატა. ქმარმა კი გადაწყვიტა, რომ მთელი რისხვა ჩემზე და ეკლესიაზე გადმოენთხია, მან მითხრა, რომ ამ საღამოს პრობლემები შემექმნებოდა.

მე ამ მუქარას განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციე. რამდენიმე საათის შემდეგ კი დამირეკა ეკლესიის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც მხარს გვიჭერდა, და მითხრა, რომ მას დაურეკა ამ პიროვნებამ და დაიმუქრა, რომ ეკლესიის შენობას ბომბს დაუდებდა. მე ვუპასუხე: „დარეკე პოლიციაში და სთხოვე, რომ ბომბი მოძებნონ“.

გარკვეული ხნის შემდეგ კი პოლიციიდან დამირეკეს. ოფიცერმა თქვა: „მისტერ ბევირ, გთხოვთ მოხვიდეთ სადგურთან და ხელი მოაწეროთ საბუთებს, რათა ამ ახალგაზრდის დაპატიმრების ორდერი გავცეთ“.

მე ვუპასუხე: „ოფიცერო, მე არ მსურს, რომ ის დააპატიმროთ, ის ცუდ დღეშია. ის, რასაც უბრალოდ გთხოვთ, არის, რომ ამ საღამოს შენობის ირგვლივ დაცვა დააყენოთ“.

მან თქვა: „ჩემი ცვლა ოთხ საათზე მთავრდება და უახლოესი პოლიციის პუნქტი აქედან ოცდათხუთმეტი მილის მოშორებით არის. ამ საღამოს ისინი ვერავის გამოგზავნას ვერ შეძლებენ“.

მე ვუპასუხე: „მე მაინც არ მინდა, რომ ის დააპატიმროთ.

ოფიცერმა მკითხა: „ბატონო ბევირ, რამდენი ხანია, რაც ამ ქალაქში ცხოვრობთ?“.

მე ვუთხარი, რომ აქ საერთოდ არ ვცხოვრობდი.

პოლიციელმა მიპასუხა: „ბატონო ბევირ, მე ვიცნობ ამ ადამიანს. მას ცუდი რეპუტაცია აქვს. იგი ეჭვმიტანილია ნარკოტიკებით ვაჭრობაში. და თუ დათვრება კიდეც, იმედს ვეღარ მოგცემთ“.

ყურებს არ ვუჯერებდი. პოლიცია ამბობს, რომ ეს ადამიანი საშიშია და მე მივხვდი, რომ ეს სიმართლე იყო. მაგრამ მე ძველებურად ვგრძნობდი, რომ საბუთებზე მისი დაკავების შესახებ ხელი არ უნდა მომეწერა. ამიტომ ოფიცერს მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე.

მე მომიწია, რომ საქმე მქონოდა არა მარტო ამ ახალგაზრდასთან, არამედ ეკლესიის საბჭოსთანაც. გავიფიქრე: „ეს უბრალოდ სასაცილოა. საეკლესიო საბჭო პრობლემებს მიქმნის. მათ არ უნდათ, რომ აქ დავრჩე. ახლა კი მე და ჩემს ოჯახს ვიღაც გადარეული გვემუქრება“.

მთელი ჩემი არსებით მსურდა, რომ დამებერტყა მტვერი ჩემს ფეხთაგან და მზის ჩასვლამდე ცოლ-შვილთან ერთად დამეტოვებინა ეს ქალაქი. რომ არ მცოდნოდა, რომ აქ ღმერთმა გამომგზავნა, ცოლ-შვილის გამო წავიდოდი იქიდან. მაგრამ

გულმა არ გამიშვა წავსულიყავი სამი მიზეზის გამო. პირველი, რომ მე გამომგზავნა ღმერთმა და არ მომისმენია, რომ მას აქედან წასვლა ებრძანებინოს ჩემთვის. მეორე, არ მინდოდა დამეტოვებინა ეს ადამიანები, რომლებსაც ღმერთი შეეხო. და მესამე, თუ ერთხელ შეშინდი და გაიქეცი, მაშინ შემდგომი გაქცევა უფრო ადვილი იქნება.

მე ვიცოდი ღმერთის სურვილი და გადავწყვიტე დავრჩენილიყავი, თუ ამას ეკლესიის საბჭოც დაეთანხმებოდა. მთელი დღე ლოცვაში გავატარე. ეს იყო ერთ-ერთი ძლიერი ლოცვა, რომელიც კი პრაქტიკაში მქონია. ღვთის ნიჭი განმტკიცდა ჩემში. მე მზად ვიყავი იმ საღამოსათვის.

მაგრამ როცა ეკლესიაში მივედი გავიგე, რომ დარჩენა არ შემეძლო. ეკლესიის საბჭო პირდაპირ მსახურების დაწყების წინ იკრიბებოდა. ერთ-ერთმა დიაკვანმა მიამბო, რომ ყველამ ჩემს გამგზავრებას დაუჭირა მხარი. ის საღამოს მსახურება უკანასკნელი უნდა ყოფილიყო.

მე გავნაწყენდი, მაგრამ მთელი ყურადღება გადავიტანე იმაზე, თუ რისი გაკეთება სურდა უფალს ამ საღამოს. მე ძლიერად ვიქადაგე და ღმერთის ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ ადამიანები იატაკზე აღმოჩნდნენ. მრავალი განდგომილი წარდგა უფლის წინაშე და თავისი სიცოცხლე ღმერთს ჩააბარა. მაგრამ კაცი, რომელიც მემუქრებოდა, არ გამოჩენილა. მსახურების ბოლოს განვაცხადე, რომ ეკლესიის საბჭოს სურვილი არ ჰქონდა დავრჩენილიყავი. დარბაზში უკმაყოფილების შეძახილები გაისმა. მე არ მსურდა, რომ იქ განხეთქილება შემეტანა, ამიტომ ვგრძნობდი მშვიდობას ჩემს გამგზავრებასთან დაკავშირებით.

ერთი კვირის შემდეგ კი ეკლესიის საბჭოს წევრებმა აირჩიეს მწყემსი, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჰომოსექსუალისტი იყო. რამდენიმე წელში ოთხი მწყემსი გამოიცვალეს. გაუბედაობისა და შიშის სული, რომელიც აკონტროლებდა ამ საეკლესიო საბჭოს დამანგრევლად მოქმედებდა ეკლესიის ერთობაზე.

## იყავით ძლიერნი და მიზანმიმართულნი

ის-ის იყო ნეემიამ თავის გვერდით მყოფ ადამიანთა პრობლემა მოაგვარა, რომ დაშინების ახალი ტალღა წამოვიდა.

„სანბალატმა და გეშემმა გამომიგზავნეს მსახური და შემომითვალეს: „წამო ონოს ხეობის რომელიმე სოფელში შევიკრიბოთ“. განზრახული ჰქონდათ ჩემთვის ბოროტი

> შეემთხვიათ, მაგრამ მე მოციქულები გავუგზავნე და შევუთვალე: „დიდ საქმეს ვაკეთებ და ვერ ჩამოვალ, რად უნდა შეჩერდეს საქმე, როცა მივატოვებ მას და თქვენთან ჩამოვალ? და ოთხჯერ გამომიგზავნეს ამ სიტყვებით და მეც იგივე პასუხი გავუგზავნე“ (ნეემ.6:2-4;)

სანბალატი და გერშემი ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ნეემია შეეფერხებინათ. მაგრამ ნეემია ძლიერად იდგა. მისი მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იმაზე, რისი გაკეთებაც ღმერთმა დაავალა. მას არ სურდა, რომ ვინმეს ხელი შეეშალა მისთვის ან დავალების შესრულებაში.

მტერს უნდა, რომ გზას აგვაცდინოს, რათა არაეფექტურები ვიყოთ ჩვენს საქმიანობაში. სატანის მცდელობა, ამ მიზნით, ერთჯერადი არ იქნება. ჩვენ ძლიერად უნდა ვიდგეთ ჩვენს გადაწყვეტილებაზე, რათა შევძლოთ გამარჯვება. ამიტომ ბიბლიაში ნათქვამია: „წინაღუდექით მტკიცე რწმენით“ (1პეტრ.5:9;).

სიტყვა „მტკიცე“ ნიშნავს „ძლიერი, შეურყეველი“. ძალზე ბევრი ადამიანი მტრის რამდენიმე დარტყმის შემდეგ ნებდება, ნაცვლად იმისა, რომ იყვნენ ურყევნი, ვიდრე გამარჯვება არ მოვა.

სანბალატმა მეხუთედ გააგზავნა თავისი მსახური ნეემიასთან. ამჯერად წერილით ხელში, რომელშიც მას მეფის წინააღმდეგ ამბოხში ადანაშაულებდა (ნეემ.6:5-7;).

ეს ბინძური ტყუილი იყო. მაგრამ ნეემია არ გაჩერებულა. ის იმდენად იყო დაკავებული საქმით, რომ ამ ბოროტი სიტყვებისათვის ყურადღების მისაქცევად არ ეცალა. ძალზე ხშირად ვუხვევთ აღებული კურსიდან, როცა ვცდილობთ ყოველივე მოვაგვაროთ მტერთან, რომელიც ჩვენს დაშინებას ცდილობს.

მე მიწევდა მეთქვა ადამიანებისთვის: „რატომ აძლევთ უფლებას ამ ადამიანის სიცრუეს, რომ მოახდინოს გავლენა იმაზე, რისკენაც ღმერთმა მოგიწოდათ? ის, რომ თქვენ ის ბრალს გდებთ, იმას არ ნიშნავს, რომ ის მართალია ანდა ჭეშმარიტებას ეძებს! თქვენ გჭირდებათ იცოდეთ, თუ რას ამბობს თქვენზე ღმერთი და როგორია მისი გეგმები თქვენთვის. რატომ უნდა მიაქციოთ ყურადღება სისულელეებს!“. ბიბლიაში ნათქვამია: „ნუ უპასუხებ ბრიყვს მისი სისულელისამებრ, რათა შენც არ დაემსგავსო მას“ (იგავ. 26:4;).

და უკანასკნელი ადამიანი, რომელიც ნეემიას შეჩერებას შეეცადა, იყო ერთი კაცი, რომელიც მოვიდა

და უწინასწარმეტყველა, რომ ნეემიას ტაძრისთვის უნდა შეეფარებინა თავი, რადგან მტერი მის მოკვლას აპირებდა (ნეემ.6:10;).

ნეემიას თავისი საქმიანობა რომ შეეჩერებინა, ხალხი უფრო დაუსუსტდებოდა და საქმე დაუმთავრებელი დარჩებოდა.

ნეემიამ უპასუხა: „ჩემნაირი კაცი უნდა გაიქცეს? განა ჩემისთანა კაცი სიცოცხლის გადასარჩენად ტაძარში შევა? არ შევალ!“ (ნეემ.6:11;).

ნეემია მიხვდა, რომ ეს კაცი ღმერთის გმოგზავნილი არ იყო. მან წინასწარმეტყველება იმიტომ წარმოსთქვა, რომ იგი სანბალატმა და ტობიამ დაიქირავეს. ახლა კი ვნახოთ, რა თქვა შემდეგ ნეემიამ:

> „მოსყიდული იმისთვის იყო, რომ შემშინებოდა, იმგვარად მოვქცეულიყავი და ცოდვა ჩამედინა; ამით ისინი სახელს გამიტეხდნენ და ჩემს დასაცინად გამოიყენებდნენ“ (ნეემ.6:13;)

მტერმა შეიძლება დაგაშინოთ და გაიძულოთ, მთელი ძალით დაიცვათ თავი და ამით რეპუტაცია შეგილახოთ. მაგრამ ნეემიას ჰქონდა ღმერთის გონება, ამიტომ მას შეეძლო ჭეშმარიტი და წმიდა – ბოროტისა და სიცრუისაგან გაერჩია.

ნეემიამ გამოააშკარავა სანბალატის, ტობიას და გეშემის გეგმები:

> „ყველანი ჩვენს დაშინებას ცდილობდნენ, ფიქრობდნენ: ხელები ჩამოუცვივათ საქმიდან და ვერ დაასრულებენო, მაგრამ ახლა უფრო განვამტკიცე ჩემი ხელები!“ (ნეემ.6:9;)

ჩვენ კვლავ ვხედავთ დაშინების მიზანს: შეგვასუსტოს, გვაიძულოს წინაღვუდგეთ ჩვენს შემავიწროებელთ და ამით ღვთის ნების შესრულების უუნარონი გაგვხადოს. თუ მტკიცედ არ ვიდგებით, მტრის ნადავლად ვიქცევით.

როცა ეშმაკის ტერიტორიაზე გადავდივართ, იგი სხვადასხვა გზებს ეძებს იმისათვის, რომ შეგვაჩეროს. იგი ერთი მცდელობის შემდეგ არ ჩერდება. და თუ ეშმაკი შეძლებს შეგვაჩეროს, შეგვაფერხოს ანდა შეგვასუსტოს კიდეც, მაშინ იგი ამით შეაფერხებს ცათა სასუფევლის წინსვლას.

ნეემიამ და მისმა ხალხმა დაამთავრა კედლის მშენებლობა. ახლა ქალაქი უკვე დაცული იყო, და იგი აღდგენის გზას დაადგა. ამის მიღწევა ადვილი არ იყო. მთელი ამ ხნის მანძილზე, ყოველ

ნაბიჯზე დიდი წინააღმდეგობები იყო მოსალოდნელი. მაგრამ ხალხმა იცოდა, თუ რა თქვა ღმერთმა და ამიტომ უკან დახევაზე უარი განაცხადეს.

**წინააღმდეგობის გადალახვა**

ნეემიას სიმტკიცე – კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მორწმუნე.

„არა იმიტომ, რომ უკვე მივაღწიე ან სრულქმნილი გავხდი, არამედ ვისწრაფი, ვინძლო მივაღწიო, როგორც მე მომაღწია ქრისტე იესომ“ (ფილიპ.3:12;)

აქ ძირითადი სიტყვაა „ვისწრაფი“. თუ პავლემ სულიწმიდით თქვა „ვისწრაფი“, ესე იგი ნეემიას მსგავსად მასაც ხშირად უწევდა წინააღმდეგობების გადალახვა. მაგრამ ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით. ჩვენ კიდევ წინ უნდა წავიდეთ, პავლე აგრძელებს:

„ვილტვი მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების პატივისაკენ ქრისტე იესოში“ (ფილიპ.3:14;)

არის უმაღლესი (უზენაესი) მოწოდება და არის უმდაბლესი მოწოდება. უმაღლესი მოწოდება ნიშნავს –იცხოვრო დედამიწაზე ზეცის სტანდარტებით და ხედავდე როგორ ვლინდება ცათა სასუფეველი შენს პირად ცხოვრებაში. ამ მოწოდებაში მცხოვრები ადამიანები გავლენას ახდენენ ირგვლივმყოფებზე. რჩებიან, რა მათთვის მიცემულ ძალაუფლებაში, ისინი ცვლიან სულიერ კლიმატს, დათრგუნვისა და ზეწოლის ნაცვლად მოაქვთ თავისუფლება.

იესოს შეეძლო ეჭამა და ესვა ცოდვილებთან ერთად, რადგან ის აკონტროლებდა ატმოსფეროს. თუ თქვენ უფრო ძლიერი ხართ ღმერთში, ვიდრე უღმერთო ადამიანი ეშმაკში, მაშინ ატმოსფერო თქვენს კონტროლს დაექვემდებარება. თუ ურწმუნო უფრო მეტადაა ფესვგადგმული ცოდვაში, ვიდრე მორწმუნე სამართლიანობაში, მაშინ სულიერ კლიმატს ურწმუნო გააკონტროლებს.

თუ გადაწყვეტთ, რომ უმაღლეს მოწოდებაში იცხოვროთ, შეხვდებით წინააღმდეგობას. „და ყველა, ვისაც სურს ქრისტე იესოში იცხოვროს ღვთისმოსაობით, დევნილი იქნება“. (2ტიმ.3:12;).

ასე ითქვა: „მრავალი ჭირით გვმართებს(ო) ღვთის სასუფეველში შესვლა“ (საქმ.14:22;).

მაგრამ, მრავალი ქრისტიანი ჩერდება და ცხოვრობს უმდაბლეს მოწოდებაში. რატომ? მათ არ სურთ, რომ უმაღლესი მოწოდებით ცხოვრების გზაზე წინააღმდეგობებს შეეჩეხონ. ისინი მზად არიან დაეთანხმონ იმას, რაც მათ ირგვლივაა, ნაცვლად იმისა, რომ ღვთიური შეტევით შეცვალონ სიტუაცია. გაცილებით ადვილია შეერიო ბრბოს, ვიდრე გამოეყო მას. წინააღმდეგობების დროს ზოგიერთები, კომპრომისზე მიდიან და ეძებენ გზას, რომელიც ნაკლებ წინააღმდეგობებს შეიცავს.

ვთვლი, რომ ჩვენი სურვილი და სწრაფვა იმისკენ, რომ არ ვიცხოვროთ წინააღმდეგობებში, ნაწილობრივ იმითაც არის გამოწვეული, რომ გვსურს იოლი და კომფორტული ცხოვრებით ვიცხოვროთ. ჩვენ ვცდილობთ იმგვარად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ ყოველნაირად ავირიდოთ ნებისმიერი სიძნელე. არა ის, რომ ვამართლებ ცხოვრების სისასტიკეს, არამედ ნამდვილად ვთვლი, რომ ჩვენ უფრო მეტად ვეყრდნობით ჩვენს გეგმებს და პროგრამებს, ვიდრე ღმერთს.

ჩვენ დაზღვეულნი ვართ. თუ ავად გავხდებით, არც კი ვილოცებთ და მაშინვე ექიმთან გავრბივართ. ვიცით, რომ ჩვენი დაზღვევა ყველა ხარჯს აანაზღაურებს. სამსახურში გარანტირებული გვაქვს გარკვეული თანხა ყოველ ხელფასზე. თუ სამსახურს დავკარგავთ უმუშევარიც კი თავს კომფორტულად ვგრძნობთ. არსებობს სოციალური შემწეობები. თუ ეს დახმარება არ გვეკუთვნის, შეიძლება კიდევ რაიმე პროგრამა მოვძებნოთ, სადაც იზრუნებენ ჩვენზე და შესაძლოა, ჩვენი სიზარმაცეც კი დააფინანსონ.

ასევე, ტელევიზიაც გვიბიძგებს პასიური ცხოვრებისკენ. საშუალო ამერიკელი, კვირაში, ტელევიზორს 24 საათის განმავლობაში უყურებს! ჩვენ ნებას ვაძლევთ ტელეკომპანიებს და ჰოლივუდს, რომ ჩვენს მაგივრად იფიქრონ. ჩვენი პრინციპები ყალიბდება იმის საფუძველზე, რასაც მათი პროგრამებიდან ვღებულობთ.

მიკროტალღური ღუმელი და სწრაფი კვების რესტორნების ქსელი გვთავაზობს მომენტალურ სადილს, რაც ჩვენის მხრივ არავითარ ძალისხმევას არ მოითხოვს. ზოგიერთები კი უფასო სადილსაც კი გვპირდებიან თუ მას თხუთმეტ წუთში არ მოგვართმევენ. ჩვენ გვაქვს სწრაფი ფოსტა, ქიმწმენდა ერთ საათში, მომენტალური ფოტო, მანქანის სწრაფი შეკეთება და მსოფლიოს ახალი ამბები 24 საათის მანძილზე. და ეს მხოლოდ მცირეოდენია იმ მომსახურებათაგან, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენთვის.

ბევრი მათგანი მშვენიერია. ისინი საშუალებას იძლევიან, რომ დრო უფრო მნიშვნელოვანს მოვახმაროთ. მაგრამ, ხშირად

ჩვენ არასწორად ვანაწილებთ პრიორიტეტებს. დღეს, ადამიანთა დიდი ნაწილი არ მიისწრფის რაღაც ისეთისკენ, რომელზეც სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი.

სამწუხაროდ ასეთი აზროვნება შემოიჭრა ჩვენს დასავლურ ეკლესიაში. ქრისტიანთა ძალზე მცირე ნაწილს აქვს შეუპოვარი ხასიათი, რათა უმაღლესი ღვთიური მოწოდება მოიპოვოს. წინააღმდეგობის შეხვედრისთანავე ისინი ნაკლებ წინააღმდეგობრივი გზისკენ უხვევენ. პირველ ხანებში ეს გზა ადვილ წარმატებას ჰპირდება და გამოიყურება, როგორც სწორი არჩევანი. მაგრამ ეს გზა გაჯერებულია სულიერი ნელთბილობის ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: კომპრომისი, აპათია და თვითგადარჩენა.

იესო გვასწავლის წინაღვუდგეთ მტრის მთას, რათა გადავდგათ იგი. შეიძლება სხვაგვარად ვთქვათ: დაანგრიეთ თქვენი მთა, თუნდაც მისი პატარა ნატეხებად დამტვრევა მოგიწიოთ. მსგავსად ნეემიასი, ქრისტეში მყოფი ჭეშმარიტი მებრძოლები დაჯერებულნი მიდიან გარღვევაზე ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში და რომ მორწმუნეთათვის შეუძლებელი არაფერია (მათ.17:20;).

და პირიქით, ვინც იოლ გზას ირჩევს, ის გვერდს უვლის თავის მთებს და ცდილობს გაექცეს კონფრონტაციას. ამქვეყნიური სისტემა, ჰაერში გაბატონებული ბატონის მიერ არის დამტკიცებული (ეფეს.2:2;).

ზეცა ღია კონფლიქტშია ამ მოვლენასთან. თუ ზეცის გზით წავალთ, გამუდმებული წინააღმდეგობები გვექნება ამ ქვეყნიური სისტემის მხრიდან. სამწუხაროდ, ამქვეყნიური სისტემა დომინირებს ჩვენს ეკლესიებშიც.

მე ამ წინააღმდეგობას შევადარებდი სწრაფ მდინარეში ნავის დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობას. თქვენ გამუდმებით უნდა წინაღუდგეთ წყლის დინებას, თქვენი ნიჩბები სულ უნდა მუშაობდეს. ერთი წუთითაც არ შეგიძლიათ გაჩერება და თუ შეჩერდებით, შესაძლოა რამდენიმე ხანს ინერციით გააგრძელოთ მოძრაობა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება და დინება მდინარის დინების მიმართულებით წაგიღებთ. თქვენი გემის ცხვირი შესაძლოა კვლავ დინების საწინააღმდეგო მხარეს იყოს, მაგრამ თქვენ თვითონ დინებას მიჰყვებოდეთ. ეს არის ილუსტრაცია იმისა, თუ რა ხდება, როცა მორწმუნეები წინ არ ისწრაფვიან. ისინი თავს აჩვენებენ, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანები არიან, სინამდვილეში კი უკან, ქვეყნიერებისაკენ მიექანებიან. ხდებიან რელიგიურები, ძალას და ეფექტურობას კარგავენ. თუ იესოს სიტყვების ციტირებას მოვახდენთ, ასეთი ქრისტიანი „აღარაფრად გამოდგება!“ (მათ.5:13).

**იყავი ძლიერი!**

მოძღვრავდა რა ტიმოთეს, რომ გაეღვივებინა ღვთიური ნიჭი, პავლე იქვე ეუბნება: „იყავ ძლიერი მადლში, რომელიც ქრისტე იესოშია“ (2ტიმ.2:1;).

გვმართებს ვიყოთ ძლიერნი, რათა გადავლახოთ წინააღმდეგობა და წინ გავიჭრათ.

პავლე აფრთხილებს კორინთოს ეკლესიას: „იფხიზლეთ, იდექით რწმენაში, იყავით მამაცნი, გამაგრდით“ (1კორ.16:13;).

მამაცი ქრისტიანი პირისპირ ხვდება რთულ სიტუაციებს და არ გაურბის მათ.

ღმერთმა არა ერთხელ, არამედ შვიდჯერ გაამხნევა იესო ნავეს ძე, რომ ძლიერი და მამაცი ყოფილიყო.

> „ოღონდ გამაგრდი და ძალზე განმტკიცდი, რათა დაიცვა შესასრულებლად მთელი რჯული, რომელიც გიბრძანა შენ მოსემ, ჩემმა მსახურმა. ნუ გადაუხვევ მისგან მარცხნივ ან მარჯვნივ, რათა ხელი მოგემართოს სადაც კი წახვალ. (რათა გონივრულად მოიქცე ყოველი წინააღმდეგობის გადალახვისას)“ (იესო.ნ.ძ.1:7;)

ნახეთ, ღმერთი ამბობს ვიყოთ ძლიერები და მამაცები. რატომ? რათა ომი მოვიგოთ და დიდ გმირებად ვიქცეთ? არა. რათა დავიცვათ ღმერთის სიტყვა. ამისათვის, იესო ნავეს ძეს სჭირდებოდა გამხდარიყო გმირი და ომიც კი მოეგო! გაუბედაობა ცდილობს, რომ უფლის ნებისა და სიტყვისადმი მორჩილების თავისუფლება დაგვაკარგინოს. ამიტომ, გვჭირდება ყოველთვის ვიყოთ ძლიერები და მამაცები, რათა უნებლიედაც კი არ ვთქვათ უარი იმაზე, რაც ვიცით, რომ სწორია.

მოდით, მივცეთ განსაზღვრება სიტყვას „სიმამაცე“:

> მიდგომა ანდა პასუხი სიტუაციაზე, როცა მზად ვართ ღიად შევხვდეთ და გავერკვეთ ყოველივეში, რაც სიძნელესა და საშიშროებას წარმოადგენს ჩვენთვის და რაც ტკივილს გვაყენებს. ჩვენ ვაკეთებთ ამას, ნაცვლად იმისა, რომ თავი ავარიდოთ შეჯახებას.

ახლა ვნახოთ, რა არის სიმამაცის საწინააღმდეგო. ალბათ, ავტომატურად ივარაუდებთ, რომ ეს არის შიში და სისუსტე. რაღაც დონეზე, ეს სიმართლეა. მაგრამ, სჯობს ავიღოთ სიტყვა „შეფიქრიანება“ („თავგზის დაბნევა“) (ინგლისურ ენაში სიტყვა

“couzage“ (სიმამაცე) და „discouzagement“ („თავგზის დაბნევა“ შეფიქრიანება“) ერთმანეთის ანტონიმებს წარმოადგენს). ღმერთი მოუწოდებდა იესო ნავეს ძესაც და მოგვიწოდებს ჩვენც, ვიყოთ ძლიერები და გაბედულები, არ დავუშვათ განხიბლვა და სულის ჩაქრობა ჩვენს გულში!

მოდით, მივცეთ განსაზღვრება სიტყვას „შეფიქრიანება“:

> დაკარგო სიმამაცე; გახდე ნაკლებ დაჯერებული, წაგერთვას იმედი; გული გაიტეხო, დანაღვლიანდე.

გახსოვთ, როგორ განიხიბლა ელია, როცა იეზებელის მიერ იყო დაშინებული? მან უკან დაიხია და გაიქცა. ის იმდენად იყო დაბნეული, რომ მისთვის მიცემული ძალაუფლების პოზიციიდან ამოვარდა. განხიბლვას უნდა ვუყუროთ, როგორც მტერს. ჩვენ სათანადო შეფასებას არ ვაძლევთ ამ ძალას და ეს გვაფერხებს ღვთიურ უმაღლეს მოწოდებაში. თუ ღმერთმა შვიდჯერ უთხრა იესო ნავეს ძეს, რომ გაბედული და მამაცი ყოფილიყო, ჩვენც გვამრთებს ყურადღების გარეშე არ დავტოვოთ ეს სიტყვები. განხიბლვა – მკვლელია! თუ მას წინ არ აღვუდგებით, ის გვაიძულებს უკან დავიხიოთ.

> „მართალი იცოცხლებს რწმენით, ხოლო თუ უკან მიიქცევა, ჩემი სული არ მოიწონებს (არ აკურთხებს) მას“ (ებრ.10:38;)

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი სულმოკლეობა ღმერთს არ აამებს. ჩვენ გვეთქვა: „გამარჯვებული დაიმკვიდრებს ამას, მე მისთვის ღმერთი ვიქნები, და ის ჩემთვის ძე. ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შებილწულთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყველა ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით, რომელიც მეორედ სიკვდილია“ (გამოცხ.21:7-8;).

სიტყვა „მხდალი“ ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც „დემონსტრირებს სამარცხვინო შიშს ტკივილისა და საშიშროების წინაშე“. გამომაფხიზლებელი არ არის ჩვენთვის, რომ ღმერთი მხდალებს, მკვლელთა და მეძავთა გვერდით მოიხსენიებს? მაგრამ ჩვენ თავს ვიმშვიდებთ, როცა ვთვლით, რომ შიშით გამოწვეული მოქმედება – ეს უბრალოდ სისუსტეა.

არა, მშიშრობა ურწმუნოებისაგან მოდის. ხოლო ურწმუნოება ისრაელიანებს სიცოცხლის ფასად დაუჯდათ და ვერ შევიდნენ აღთქმულ ქვეყანაში. „ჩვენ ვხედავთ, რომ მათ ვერ შეძლეს შესვლა ურწმუნოების გამო“ (ებრ.3:19;).

იგივე ხდება დღესაც. მშიშრები ვერ იმარჯვებენ. ისინი ვერ ღებულობენ აღთქმულს. უფალი დაჟინებით შეგვაგონებს მოციქული პავლეს საშუალებით:

„ოღონდ მოიქეცით ქრისტეს სახარების ღირსად, რათა როცა მოვალ და გნახავთ ან თუ არ ვიქნები თქვენთან, მოვისმინო თქვენზე, რომ დგახართ ერთი სულით და ერთსულოვნად იღწვით სახარების რწმენისათვის. ნურაფერში შეუშინდებით მოწინააღმდეგეს: ეს მათთვის დაღუპვის ნიშანია, თქვენთვის კი – ხსნისა“ (ფილიპ.1:27-28;).

მტკიცედ იდექით და თქვენი შეშინების ნება არ მისცეთ მოწინააღმდეგეს. იყავით გაბედულნი, ძლიერნი და მამაცნი, მზად მყოფნი შეხვდეთ წინააღმდეგობას და არ გაიქცეთ! შემდგომ მუხლში პავლე აგრძელებს:

„ვინაიდან ქრისტეს გულისათვის მოგეცათ თქვენ არა მარტო რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც“ (ფილიპ.1:29;)

რა ტანჯვაა ეს, რომელიც უნდა გადავიტანოთ? პეტრე პასუხობს ამ კითხვაზე:

„რაკი ქრისტე ჩვენთვის იტანჯა ხორციელად, თქვენც აღიჭურვეთ იმავე აზრით, ვინაიდან ვინც კი ხორციელად იტანჯა, შეწყვიტა ცოდვის ჩადენა, რათა ხორცში დარჩენილი დრო განვლოთ არა ადამიანური გულისთქმებით, არამედ ღვთიური ნებით“ (1პეტრ.4:1-2;)

ჩვენ ტანჯვას განვიცდით, როცა ჩვენი ხორცი ანდა სხვათა გავლენა გვაიძულებს ვიაროთ ერთი მიმართულებით იმ დროს, როცა ღმერთის ნებაა ჩვენთვის, რომ – სრულიად სხვა მიმართულება ავირჩიოთ. ამიტომ მოგვიწოდებენ ვიყოთ ძლიერნი და გაბედულნი, რათა შევძლოთ დავიცვათ უფლის სიტყვა.

პეტრე ამბობს, რომ ამგვარი აზრით უნდა შევიარაღდეთ. ქრისტიანი, რომელიც არ არის შეიარაღებული და მომზადებული ტანჯვისათვის, არის – როგორც შეუიარაღებელი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე. მას ან მოკლავენ ან ტყვედ წაიყვანენ. ქრისტიანი, რომელსაც არ სურს იტანჯოს, ადვილად შეიძლება მოხვდეს ადამიანური შიშის საპყრობილეში – გაუბედაობაში.

ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენი უმაღლესი მოწოდებისაკენ მისწრაფებაში, წინააღმდეგობებს შევეჯახებით. მაგრამ პავლე დაჯერებულობით აცხადებს: „დამიხსნის უფალი ყოველი ბოროტისაგან და დამიცავს თავისი ცათა სასუფევლისათვის. დიდება მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ (2ტიმ.4:18;).

ღმერთი მაინც შეგვიყვანს თავის დიდებაში, ალილუია!

ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი დარიგება ღმერთის სიტყვიდან. წაიკითხეთ ისე, თითქოს ეს ადრე არასოდეს წაგიკითხავთ. შეჩერდით და ზედმიწევნით იფიქრეთ თითოეულ სიტყვაზე. საშუალება მიეცით სულიწმიდას რომ დაანთოს ეს სიტყვები თქვენს გულში.

„თუ ღმერთი ჩვენსკენ (ჩემსკენ) არის, ვინ გამოვა ჩვენს (ჩემს) წინააღმდეგ?“ (რომ.8:31;)

„ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროვება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი?... მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით“ (რომ.8:35,37;)

„თქვენ ღვთისგან ხართ შვილნო, და სძლიეთ მათ, რადგან ის, ვინც თქვენშია მეტია იმაზე, ვინც სოფელშია“ (1იოან.4:4;)

დაიცავი სიწმინდეში შენი გული და იდექი შენს პოზიციაზე, როგორც ძალაუფლების მქონე ღმერთის შვილი და მსახური და ამის შემდეგ გაბედულად აღიარებ:

*უფალი ჩემთან არის - არ მეშინია,*
*რას მიზამს კაცი?*

## ეპილოგი

და ბოლოს, გარწმუნებთ, რომ არასოდეს მისცეთ უფლება წარსულ დამარცხებას, რომ შეგაჩეროთ თქვენ. ნუ გააკეთებთ დასკვნებს მომავლის შესახებ თქვენი წარსულიდან გამომდინარე! თუ ასე მოიქცევით მაშინ წარსულს თავს ვერასოდეს დააღწევთ! მნიშვნელობა არ აქვს რამდენჯერ დაეცით. არის მარადიული იმედი: ღმერთი მშიშრების გმირებად გადაქცევის ოსტატია! ალილუია! მისი ძალა სრულყოფილი ხდება უძლურებებში.

მაგალითისთვის, შეხედეთ პეტრეს ძმის, ანდრიას ცხოვრებას. იმ ღამით, როცა იესო დააპატიმრეს „ყველა მოწაფემ მიატოვა იგი და გაიქცა“ (მათ.26:56;). პეტრე არ იყო მხოლოდ ერთადერთი ვინც გამოიცადა გაუბედაობაში; ანდრიამაც განიცადა დაძირვა თავის ცხოვრებაში. მაგრამ ამ გაუბედაობით, არ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი დარჩა გაუბედაობაში.

იესოს აღდგომის შემდეგ ანდრია ქადაგებდა ეთიოპიაში, რომელიც ასევე რომის იმპერიის დაქვემდებარებაში შედიოდა.

> როცა ანდრიამ მრავალი მოაქცია თავისი ქადაგებით, გუბერნატორმა ნებართვა გამოითხოვა რომის სენატორისაგან, რომ ეიძულებინა ყველა ქრისტიანი რათა მსხვერპლი შეეწირათ და თაყვანი ეცათ რომაელთა კერპებისათვის. ანდრიამ გადაწყვიტა წინაღდგომოდა გუბერნატორს და მასთან მივიდა. მან განაცხადა, რომ კაცთა მსაჯული უპირველესად ზეციურ მსაჯულს უნდა ეთაყვანებოდეს. ანდრიამ თქვა, რომ ჭეშმარიტი ღმერთისადმი თაყვანისცემა გონებიდან განდევნის ყოველგვარ ცრუ ღმერთებსა და ბრმა კერპებს.
> ანდრიაზე განრისხებულმა გუბერნატორმა თქვა შეეტყოთ, ეს კაცი ხომ არ იყო ის, ვინც ახლახანს წარმართულ ტაძარში არეულობა მოაწყო და ხალხს არწმუნებდა მიეღოთ ქრისტიანობა, შესულიყვნენ „ცრურწმენობრივ სექტაში“ რომელიც რომაელთა მიერ არაკანონიერად იყო გამოცხდებული.

ანდრიამ უპასუხა, რომ რომის მმართველებმა ვერ გაიგეს ჭეშმარიტება. ღმერთის ძე, რომელიც ხალხთა საკეთილდღეოდ მოვიდა დედამიწაზე, ასწავლიდა, რომ რომაელი ღმერთები – ბოროტნი და ადამიანთა მტრები არიან, აიძულებენ ადამიანებს – შეურაცხყონ ღმერთი და ღმერთს, – რომ ზურგი აქციოს ადამიანებს. ანდრია ამბობდა, რომ მათი მსახურებით, იგივე ეშმაკის მსახურებით, ადამიანები ათასგვარ სიბილწეს სჩადიან და ამიტომაც კვდებიან, და მათ შემდგომ, მხოლოდ მათი ბოროტი საქმეები რჩება.

პროკონსულმა უბრძანა ანდრიას მეტად აღარ ექადაგა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯვარცმით დაემუქრა. და მაშინ ანდრიამ მიუგო: „მე არ ვიქადაგებდი ჯვრის პატივსა და დიდებას, თუ თავად მექნებოდა ჯვარზე სიკვდილის შიში“. იგი ჯვარცმისთვის განამწესეს, ახალი სექტანტური სწავლებისა და რომის ღმერთების რელიგიისადმი დაუქვემდებარობის გამო.

როცა დასასჯელად მიჰყავდათ და მის წინ აღმართულ ჯვარს შესცქეროდა, მას სახის გამომეტყველებაც კი არ შეცვლია. უკან დახევა არ იგრძნობოდა მის საუბარშიც. ის ჯვარს აცვეს. სხეული სუსტდებოდა, მაგრამ გონება არ ერთმეოდა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მომაკვდავებში. მან თქვა: „ო, ჯვარო, დიდი ხნის ნანატრო და სასურველო! ჩემს გონებაში არსებული მზადყოფნით, სიხარულით და სურვილით მოვდივარ შენსკენ. მე მისი მოწაფე ვარ, რომელიც აქ ეკიდა. ყოველთვის ვიყავი შენი პატივისმცემელი და აჰა, უფალო, გიძღვნი საკუთარ თავს“.

ეს უკვე ის ადამიანი აღარ იყო, რომელიც გარბოდა, რათა თავი გადაერჩინა, როცა იესო დააპატიმრეს. ის შეიცვალა.

ფაქტობრივად, ყველა გაქცეული მოწაფე, შემდგომ სიკვდილით იყვნენ დასჯილნი იესო ქრისტეზე მოწმობის გამო. ღმერთი სჩუქნიდა მათ პრივილეგიას შეხვედროდნენ მას, ვისგანაც გარბოდნენ. გაუბედაობისა და შიშის სული დაიმსხვრა, და მათ დადეს თავიანთი სიცოცხლე!

თქვენ თავს იმით უნდა იმშვიდებდეთ, რომ „დამწყები თქვენში კეთილი საქმისა შეასრულებს კიდეც მას იესო ქრისტეს დღემდე“ (ფილ.1:6;).

იმ მოწაფეთა ცხოვრების შესახებ მოწმობა – არის ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ შეუძლია ღმერთს თქვენი დამარცხება გამარჯვებად მოაქციოს!

უკან ნუ დაიხევთ, არამედ გაბედულად ენდეთ მას, ვინც შეგიყვარათ და თავისი სიცოცხლე დადო თქვენთვის.

მოდით, ერთად ვილოცოთ:

მამაო, იესო ქრისტეს სახელით, გთხოვ განმამტკიცო შენი სიყვარულითა და სიბრძნით. მაპატიე, რომ სიძნელეების დროს უკან ვიხევდი საკუთარი კომფორტისა და უსაფრთხოების გულისათვის. უფალო იესო, დღეს მე გადავწყვიტე უარი ვთქვა საკუთარ თავზე, ავიღო ჩემი ჯვარი და გამოგყვე. მე შენი მსახური ვარ, მე ვღებულობ შენს მადლს, რომელიც უნარს მაძლევს განვაცხადო შენი სიტყვა და აღვასრულო შენი ნება გაბედულებით და სიყვარულით.

ახლა კი მიმართე შიშისა და კონტროლის სულს:

მე ვანგრევ დაშინებისა და კონტროლის სიტყვებს, რომლებიც ითქვა ჩემს ცხოვრებაში ჩემგან და სხვა ადამიანთა მხრიდან. ჩემს ცხოვრებაში მე ვანგრევ ადამიანთა წინაშე შიშის მარწუხებს. სიბნელის არაწმინდა სულებო, გამოვდივარ თქვენს წინააღმდეგ და ჩემს თავს ღმერთს ვუმორჩილებ. მე არ გაძლევთ ადგილს ჩემს ცხოვრებაში და ამიტომ წადით, იესო ქრისტეს სახელით. ამინ.

*„ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და უბიწონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე, ერთადერთ ბრძენს – ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს აწ და ყოველთა საუკუნეთა მიმართ. ამინ“*

იუდ.24:25

# იარეთ ღმერთისგან თქვენთვის ბოძებულ ძალაუფლებაში, თორემ ვიღაც მას თქვენს წინააღმდეგ გამოიყენებს

ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ყველა ყოფილა გაუბედაობის მსხვერპლი! ნამდვილად იცი, რატომ მოხდა ასე? იცი როგორ დაიცვა თავი, რომ მეტად აღარ განმეორდეს მსგავსი მდგომარეობა შენს ცხოვრებაში? ჯონ ბევირი კარგად ხედავს საფრთხეებს და ზეწოლებს, რასაც უფლისგან ბოძებული ძალაუფლებით ანადგურებს. იგი ამ წიგნის დახმარებით გასწავლის, როგორ გამოანთავისუფლო ღმერთის ნიჭები და განმტკიცდე უფლის ძალაუფლებაში.

## ჭინც ჭეიძლია ეს!

შეებრძოლე გაუბედაობის ფესვს და გააცნობიერე, თუ რატომ არის შენთვის რთული უთხრა მას „არა“; რატომ გეშინია კომფრონტაციის; რატომ ცდილობ კომფლიქტის თავიდან არიდებას და რატომ ხარჯავ დიდ ძალას იმაზე, რომ აამო სხვებს.

არ მისცე შიშს შენზე გამარჯვების უფლება, დაიცავი ზურგი! დაამარცხე გაუბედაობის ნაყოფები: დეპრესია, უიმედობა და დაბნეულობა. იარე გაბედულად, მიენდე იესო ქრისტეს ძალას!

*ჯონ ბევირი* არის პოპულარული მწერალი და საკონფერენციო მომხსენებელი. მან და მისმა მეუღლემ ლიზა ბევირმა, ასევე პოპულარულმა მწერალმა, 1990 წელს „მესენჯერ ინტერნაციონალი“ დააფუძნეს. ეს მოღვაწეობა მრავალმხრივ საერთაშორისო საევანგელიზაციო საქმიანობაში გადაიზარდა, რაც მოიცავს ყოველკვირეულ სატელევიზიო პროგრამას *„მესენჯერს“*, რომელიც 214 ქვეყანაში გადაიცემა. ჯონ ბევირი მრავალი წიგნის ავტორია, მათ შორისაა *„უფლის შიში“*, *„სატანის სატყუარა“* და *„საფარქვეშ“*. ჯონი, მისი ცოლი ლიზა და მათი ოთხი ვაჟი ცხოვრობენ ფლორიდის შტატში, ქალაქ ორლანდოში.